სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

საკონსტიტუციო სამართალწარმოება

პაატა ზავახიშვილის რედაქტორობით

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უაკ) 342.565.2(479.22)
ს-198

საკონსტიტუციო სამართალწარმოება

პაატა ჯავახიშვილის რედაქტორობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

CONSTITUTIONAL PROCEEDING

Edited by Paata Javakhishvili

Prince David Institute for Law of Sulkhan-Saba Orbeliani University
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, Tbilisi, 2024

I თავი – დიმიტრი გეგენავა

II თავი – ავთანდილ დემეტრაშვილი

III თავი – ზაზა ზანგურაშვილი, მარიამ ნატროშვილი,
მე-8 და მე-9 ქვეთავები – ლელა მაჭარაშვილი

IV თავი – ნიკა პირველაშვილი

V თავი – პაატა ჯავახიშვილი

VI თავი – გვანცა ლაშხია

VII და VIII თავები – ივა ხავთასი

IX თავი – ლელა მაჭარაშვილი

X თავის პირველი და მე-2 ქვეთავები – გვანცა ლაშხია,
მე-3 ქვეთავი – თამარ ბარამაშვილი

XI თავი – თამარ ბარამაშვილი

XII თავი – სოფიო დემეტრაშვილი

XIII თავის პირველი და მე-2 ქვეთავი – თამარ ბარამაშვილი,
2.4 ქვეთავი – ზაზა ზანგურაშვილი, გვანცა ლაშხია,
მე-3 ქვეთავი – ნიკა პირველაშვილი

© ავტორები, 2024
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2024

ISBN 978-9941-8-7035-4

წინათქმა

სამართლებრივი განათლება ტრადიციული მიდგომებით გაჯერებული, თუმცა განვითარებაზე ორიენტირებული პროცესია. იგი ხელს უნდა უწყობდეს სამართლის ახალი დისციპლინების ჩამოყალიბებას, რომლის მიზანი, უპირველესად, პრაქტიკოსი იურისტის მომზადება იქნება. სამართლებრივი განათლება, ისევე, როგორც სამართალი და ზოგადად, განათლება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას საქართველოში, რისი ძირითადი მიზეზი ცოდნის გაზიარებისას დოგმატური მიდგომების არსებობა და სიახლისადმი გაუთვითცნობიერებელი შიში შეიძლება იყოს. სამართლის პრაქტიკა კი სწრაფად ვითარდება და არ ტოვებს ტრადიციული, ხშირად მოძველებული მეთოდების გამოყენებისთვის სივრცეს.

ქართული სამართლებრივი სისტემის დახვეწისთვის მნიშვნელოვანია ახალი სამართლებრივი დისციპლინების ჩამოყალიბება და განვითარება. გასაკვირი არ იქნება, თუ მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული თემატიკა იპყრობს. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოს უკავია, რომლის მიერ დადგენილი პრაქტიკა ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტს განსაზღვრავს საქართველოში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელების წესი, საინტერესო და მრავალფეროვანი ასპექტებით ხასიათდება საქართველოში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ საკითხებზე კონცენტრირება, რომლებიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების, როგორც ქართული სამართლებრივი განათლებისთვის ახალი დისციპლინის, ჩამოყალიბებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, არსებული სირთულეები განსაკუთრებით გამოიკვეთა 2020 წლიდან, როცა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების ახალმა დარგობრივმა მახასიათებელმა გაითვალისწინა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემატიკის სავალდებულო სწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე.

წიგნი მთლიანად ორიენტირებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ისეთ აქტუალურ თემატიკაზე, როგორიცაა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსი და დანიშნულება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები, სამართალწარმოების მონაწილეები და ვადები, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეტაპები (სტადიები) და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელების საპროცესოსამართლებრივი ასპექტები. ცალკე ყურადღება ეთმობა ისეთი პრაქტიკული დოკუმენტების შემუშავების შინაარსობრივ და პრაქტიკულ ასპექტებს, როგორიცაა, კონსტიტუციური სარჩელი, კონსტიტუციური წარდგინება, შესაგებელი, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემის მიზნებისთვის დამუშავებულია მრავალფეროვანი ლიტერატურა, განსაკუთრებით ღირებული კი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და სამართალწარმოებით დადგენილი სტანდარტების ანალიზია – განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს 350-მდე გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა, ასევე კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები, მოსამართლეთა განსხვავებული და თანმხვედრი აზრები, ვენეციის კომისიის დასკვნები, სხვადასხვა სახელმწიფოს უმაღლესი და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის თითოეულ ავტორს, რომელთაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ნაშრომის შექმნაში.

იმედს ვიტოვებ, გამოცემა ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალიზაციას, მათ შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზს, როგორც საუნივერსიტეტო-აკადემიურ წრეებში, ისე პროფესიულ და საკონსტიტუციო სამართალწარმოებით დაინტერესებულ საზოგადოებაში.

პაატა ჯავახიშვილი
თბილისი, 2024 წლის 24 აგვისტო

შინაარსი

თავი I. საკონსტიტუციო კონტროლის ევოლუცია, მოდელები და სახეები

1. საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულება და განვითარება 1

1.1. საკონსტიტუციო კონტროლის იდეა და სამართლებრივი ბუნება 1

1.1.1. საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულება 1

1.1.2. კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო კონტროლის ზოგადი იურისდიქცია 3

1.1.3. საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობა 5

1.1.4. საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ბუნება 6

1.2. საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების ქრონიკა 7

1.2.1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ნარმოშობა 7

1.2.2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებიდან საკონსტიტუციო კონტროლამდე 9

2. საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები 11

2.1. ამერიკული მოდელი 12

2.2. ევროპული მოდელი 14

2.3. შერეული და ჰიბრიდული მოდელები 19

3. საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეები 21

3.1. აბსტრაქტული და კონკრეტული 21

3.2. წინასწარი და შემდგომი 22

3.3. ფაკულტატური და სავალდებულო 24

3.4. საკონსულტაციო და დამდგენი 24

3.5. Ex tunc და Ex nunc 25

თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში 27

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები 29

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა 30

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი 30

3.2. მოსამართლის სტატუსი 31

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა 33

3.4. თანამდებობის პირები და აპარატი 34

თავი III. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები

1. ნეგატიური კანონმდებლიდან პოზიტიურ კანონმდებლამდე 38

2. ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი 41

3. კანონიერების პრინციპი 44

4. კოლეგიალობის პრინციპი 44
5. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი 46
6. ინკვიზიციურობა და დისპოზიციურობა 50
7. საქმის ზეპირი განხილვის პრინციპი 54
8. საჯაროობის პრინციპი 57
9. გადაწყვეტილების საქვეყნოობა 59
10. მოსამართლის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა, მოსამართლის შეუცვლელობა 62
11. სამართალწარმოების ენისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპი 64

თავი IV. კონსტიტუციური სარჩელი

1. კონსტიტუციური სარჩელის ძირითადი მახასიათებლები 66
1.1. კონსტიტუციური სარჩელი, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების საფუძველი 66
1.1.1. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წესი 66
1.1.2. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა 67
1.2. კონსტიტუციური სარჩელის კატეგორიები 70
1.3. კონსტიტუციური სარჩელის ფორმა 72
2. კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტები 73
2.1. ფიზიკური და იურიდიული პირები 74
2.2. სახალხო დამცველი 75
2.3. სხვა სუბიექტები 76
2.3.1. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 76
2.3.2. პირი, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის ნევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა 77
3. კონსტიტუციური სარჩელის სტრუქტურა 79
3.1. ფორმალური ნაწილი 79
3.2. კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება 81
3.3. შუამდგომლობები 81
3.4. თანდართული დოკუმენტები 82
4. კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაცია 83
4.1. კონსტიტუციური სარჩელების განაწილება 85
4.2. მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა 87
5. კონსტიტუციური სარჩელის მოპასუხისათვის გაგზავნა და გამოქვეყნება 89

თავი V. კონსტიტუციური წარდგინება

1. კონსტიტუციური წარდგინების არსი და დანიშნულება 91
2. კონსტიტუციური წარდგინების ნორმატიული თავისებურებები 95
2.1. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი 96
2.2. კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა – უფლება თუ ვალდებულება? 97
2.3. მოთხოვნის არსი 99
2.4. საქმის განხილვის შეჩერება 100

3. კონსტიტუციური წარდგინების სტრუქტურა 102

4. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთების სტანდარტი 104

5. კონსტიტუციური წარდგინების სამართალწარმოების თავისებურებები 114

თავი VI. განსჯადობა და დასაშვებობა

1. საკონსტიტუციო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა 117

1.1. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების იურისდიქციის გამიჯვნა 117

1.2. საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კონკურენცია 121

2. განმწესრიგებელი სხდომა და მისი დანიშნულება 125

3. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების შემოწმება 130

3.1. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების დადგენის მიზნები და შედეგები 130

3.2. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის ფორმალური წინაპირობები 132

3.3. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის მატერიალური წინაპირობები 134

3.3.1. კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა 137

3.3.1.1. სადავო ნორმის შინაარსის პრობლემა 137

3.3.1.1.1. უფლებაშემზღუდველი სადავო ნორმის იდენტიფიცირება 137

3.3.1.1.2. აღმჭურველი წესის გასაჩივრება 139

3.3.1.1.3. ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმის" გასაჩივრება 142

3.3.1.1.4. ე. წ. „მიმთითებელი ნორმის" გასაჩივრება 144

3.3.1.1.5. ცალკეული სიტყვების, გრამატიკული ერთეულებისა და განმარტებითი ტერმინების გასაჩივრება 144

3.3.1.1.6. სადავო ნორმის განუსაზღვრელობის მტკიცების სტანდარტი 148

3.3.1.2. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების პრობლემა 153

3.3.1.2.1. კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს სწორად იდენტიფიცირება 153

3.3.1.2.2. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და მისი გვერდითი ეფექტის გამიჯვნა 155

3.3.1.2.3. არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა მხოლოდ კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმასთან მიმართებით 157

3.3.1.2.4. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება 158

3.3.1.2.5. სადავო ნორმის ფორმალური არაკონსტიტუციურობის მტკიცების სტანდარტი 159

3.3.1.2.6. ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით დასაშვებობის სტანდარტები 163

3.3.1.2.6.1. სადავო ნორმის დისკრიმინაციულობის მტკიცების სტანდარტი 163

3.3.1.2.6.2. საპროცესოსამართლებრივი გარანტიების დამდგენ დებულებებთან სადავო ნორმის მიმართების წარმოჩენის სტანდარტი 170

3.3.2. სუბიექტობა 173

3.3.3. განსჯადობა 179

3.3.4. ხელახალი განხილვის დაუშვებლობა 185

3.3.5. საკითხი არ არის საქართველოს კონსტიტუციით გადაწყვეტილი 187

3.3.6. ხანდაზმულობის ვადები 187

3.3.7. სუბსიდიარობა 189

4. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება 190

თავი VII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები, შესაგებელი

1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი 197

1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი მონაწილეები 198

1.2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა მონაწილეები 203

2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები 208

3. შესაგებლის არსი, ფორმა და თავისებურებები 215

თავი VIII. სასამართლოს მეგობარი

1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსი და დახასიათება 218

1.1. სასამართლოს მეგობრის ფუნქცია 220

1.2. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების წარდგენის ნორმატიული საფუძვლები 224

1.3. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების ფორმა, შინაარსი და დასაბუთების სტანდარტი 228

1.4. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარმდგენი პირი 231

2. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების პრაქტიკა და ტენდენციები 232

თავი IX. საკონსტიტუციო პროცესის მიმდინარეობა და თავისებურებები

1. საქმის განხილვა ღია სხდომაზე 236

2. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა 240

3. სხდომის დისტანციურად ჩატარების საფუძვლები და წესი 243

4. საქმის ზეპირი მოსმენისთვის მომზადება, ზეპირი სხდომის მიმდინარეობის თავისებურებები 245

4.1. ზეპირი მოსმენისთვის საქმის მომზადება და სხდომის მონაწილეების მოწვევა 245

4.2. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა 247

4.3. საქმის ხელახალი განხილვა 250

5. მტკიცების სტანდარტი 251

5.1. მოსარჩელე მხარის როლი საქმის არსებითად განხილვისას 253

5.2. მოპასუხე მხარის როლი საქმის არსებითად განხილვისას 255

6. მოსამართლის აცილება 257

7. საქმის განხილვის ვადა 262

თავი X. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და ნორმათკონტროლი

1. ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული დავის განხილვა და გადაწყვეტა 268

1.1. არსი, დანიშნულება და ძირითადი მახასიათებლები 268

1.2. დავის საგანი 269

1.3. მოსარჩელე მხარე 271

1.4. მოპასუხე მხარე 274
1.5. განსჯადობა, მიმართვის ხანდაზმულობისა და განხილვის ვადები 276
1.6. კონსტიტუციურობის შეფასების მასშტაბი 277
1.7. გადაწყვეტილების იურიდიული ძალა და ეფექტი 285
2. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი 288
2.1. არსი, დანიშნულება და ძირითადი მახასიათებლები 288
2.2. განხორციელების ფორმები 289
2.3. მოსარჩელე მხარე 294
2.4. მოპასუხე მხარე 297
2.5. განსჯადობა, მიმართვის ხანდაზმულობისა და განხილვის ვადები 298
2.6. გადაწყვეტილების იურიდიული ძალა და ეფექტი 298
3. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ცალკეული ფორმები 302
3.1. დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე 302
3.2. საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი 304
3.3. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ინიციირებული საკონსტიტუციო დავა 306
3.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიციირებული საკონსტიტუციო დავა 308

თავი XI. იმპიჩმენტი, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი და შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ დავა

1. იმპიჩმენტთან დაკავშირებული სამართალწარმოება 312
1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები იმპიჩმენტის განხორციელებისას 312
1.2. იმპიჩმენტის პროცედურა და ინიციატორი სუბიექტი 317
1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა 321
1.3.1. კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადგენა 321
1.3.2. დანაშაულის ნიშნების არსებობა 323
2. დავა საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე 325
2.1. საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე დავის სპეციფიკა 325
2.2. უფლებამოსილი მოსარჩელე 329
2.3. პრევენციული და რეპრესიული კონტროლის თანაფარდობა 331
3. დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ 332
3.1. უფლებამოსილების შესახებ დავის სამართლებრივი ბუნება 332
3.2. უფლებამოსილების შესახებ დავის სუბიექტები 333
3.3. უფლებამოსილების შესახებ დავის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების მოქმედება 336

თავი XII. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი

1. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი 339

1.1. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლის ევოლუცია საქართველოში 339

1.2. უფლებამოსილი სუბიექტები და სამართლებრივი შედეგები 342

1.3. სამართალწარმოების ვადები 345

1.4. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების იურისდიქციათა ურთიერთმიმართება არჩევნებსა და რეფერენდუმთან დაკავშირებით 346

2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი 346

2.1. არსი და დანიშნულება 346

2.2. უფლებამოსილი მოსარჩელე და დავის საგანი 350

2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები და გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები 352 352

3. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი 355

3.1. არსი და დანიშნულება 355

3.2. უფლებამოსილი მოსარჩელე 358

3.3. დავის საგანი და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის არაკონსტიტუციურად გამოცხადების სამართლებრივი შედეგები 360

თავი XIII. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სტრუქტურა და მიღების წესი 363

2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სახეები და თავისებურებები 368

2.1. განჩინება 368

2.1.1. განჩინების მიღების საფუძვლები 368

2.1.1.1. საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა 369

2.1.1.2. გამარტივებული წარმოება 370

2.1.1.3. სამართალწარმოების შეწყვეტა 372

2.1.1.4. განჩინების მიღების სხვა სამართლებრივი შემთხვევები 374

2.1.2. განჩინების დასაბუთების სტანდარტი 377

2.2. საოქმო ჩანაწერი 381

2.2.1. საოქმო ჩანაწერის სამართლებრივი ბუნება და მიღების საფუძვლები 381

2.2.2. საოქმო ჩანაწერის დასაბუთების სტანდარტი 383

2.3. დასკვნა 385

2.3.1. დასკვნის სამართლებრივი ბუნება და მიღების საფუძვლები 385

2.3.2. დასკვნის დასაბუთების სტანდარტი 386

2.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თანმხვედრი და განსხვავებული აზრი 389

2.4.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 389

2.4.1.1. გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება და მიღების წესი 389
2.4.1.2. გადაწყვეტილების სტრუქტურა და ფორმალური რეკვიზიტები 390
2.4.1.3. გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი 394
2.4.2. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრი 398
3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა და აღსრულება 403
3.1. სასამართლოს აქტების იურიდიულ ძალაში შესვლა 403
3.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიულ ძალაში შესვლა 403
3.1.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება და საოქმო ჩანაწერი 403
3.1.1.2. განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განჩინება და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საოქმო ჩანაწერი 405
3.1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა 407
3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა და სამართლებრივი შედეგები 409
3.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება/საოქმო ჩანაწერი 409
3.2.2. განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განჩინება და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საოქმო ჩანაწერი 410
3.2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა 411
3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის საბოლოობა, სავალდებულობა და საყოველთაობა 415
3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის აღსრულება 418
ბიბლიოგრაფია 421
სამეცნიერო ლიტერატურა 421
სამართლებრივი აქტები 430
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები 431
საოქმო ჩანაწერები 441
განჩინებები 447
დასკვნა 456
განსხვავებული და თანმხვედრი აზრები 457
ანგარიშები 458
კონსტიტუციური სარჩელები 458
კონსტიტუციური წარდგინებები 462
სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები 463
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 463
ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებები 463
ვენეციის კომისიის დასკვნები 464
ანგარიშები, რეკომენდაციები 465
ელექტრონული რესურსები 465
ავტორთა შესახებ 466

თავი I. საკონსტიტუციო კონტროლის ევოლუცია, მოდელები და სახეები

1. საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულება და განვითარება

1.1. საკონსტიტუციო კონტროლის იდეა და სამართლებრივი ბუნება

1.1.1. საკონსტიტუციო კონტროლის დანიშნულება

ყველა სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნული მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში.[1] თუმცა ვინაიდან სახელმწიფოს კეთილი ნებისა თუ ხელისუფალთა სინდისის იმედად ყოფნა უბრალოდ წარმოუდგენელია, საკონსტიტუციო კონტროლი ხშირად ის აუცილებლობაა, რომელიც უმრავლესობის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა ნებას ბოჭავს და გონივრულ ზღვარს უდგენს.[2] ამიტომაც, სრულიად ლოგიკურია, რომ იგი ადამიანის უფლებების დაცვასთან ასოცირდება.[3] თანამედროვე ევროპულ სამართალში საკონსტიტუციო კონტროლის გარეშე ადამიანის უფლებები დაუცველ, დეკლარაციულ უფლებებად იქცევა.[4] სწორედ მისი საშუალებით მმართველობა და ადამიანის უფლებები ერთმანეთთან თავსებადად იქცევა.[5] საკონსტიტუციო კონტროლს შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი დემოკრატიულ პროცესებს სახელმწიფოში,[6] ხოლო მისი განმახორციელებელი ორგანოები,

---

[1] პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2003, 25.

[2] Abraham J., The Judicial Process, An Introductory Analyses of the Courts of the United States, England and France, 6th Ed., Oxford University Press, 1993, 313.

[3] Fiseha A., A New Perpspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 241.

[4] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984, 85.

[5] Murphy W., Fleming J., Barber S., American Constitutional Interpretation, 2nd Ed., New York, 1995, 79.

[6] Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003, 21.

განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლოები, უზრუნველყოფენ საკონსტიტუციო დემოკრატიის კონსოლიდაციას.[7]

საკონსტიტუციო კონტროლი სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების მექანიზმია,[8] რომლის უმთავრესი დანიშნულება, როგორც წესი, სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენაა.[9] საკონსტიტუციო კონტროლი უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას,[10] მის უმაღლეს იურიდიულ ძალას ნებისმიერი სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ.[11] კონსტიტუციის უზენაესობის პრაქტიკული განხორციელება არაა ავტომატური პროცესი.[12] კონსტიტუციის დარღვევა მთლიანად მართლწესრიგს უქმნის საფრთხეს,[13] ამიტომაც, კონსტიტუციას სამართლებრივი დაცვა სჭირდება, რაც შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას გულისხმობს[14] (ეს კი ვერ იქნება მმართველი უმრავლესობისთვის მინდობილი[15]). კონსტიტუციის დაცვა არაა აბსტრაქტული კატეგორია, იგი, იმავდროულად, ადამიანთა დაცვაა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ქმედებებისგან.[16] მეტიც, საკონსტიტუციო დავაში სამართლის უზენაესობა სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოფხვრას გულისხმობს.[17]

---

[7] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 818.

[8] Alexy R., Balancing, Constitutional Review, and Representation, International Journal of Constitutional Law, Vol. 3, No. 4, 2005, 578.

[9] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005, 13; მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი" – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 20.

[10] Safta M., Constitutional Review and the Legislative Procedure, Proceedings of the International Conference of Law, European Studies and International Relations, 7th Ed., Bucharest, 9-11 May 2019, 252.

[11] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006, 39.

[12] იქვე.

[13] ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 136.

[14] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005, 9.

[15] Fiseha A., A New Perpspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 239.

[16] შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003, 9.

[17] Bernard F., Constitutional Review, Individual Rights, and the Transparency Model, Regent Journal of Law and Public Policy, Vol. 4, No. 1, 2012, 142.

კანონმდებლობის მიმართ საკონსტიტუციო კონტროლი როგორც სამართალშემოქმედებაში დაშვებულ შეცდომებზე ზედამხედველობას მოიაზრებს,[18] ისე კონსტიტუციის უზენაესობისა და აღმატების გამოვლინებაა.[19] ამავე მიზეზით იგი საკანონმდებლო სუვერენიტეტის კლასიკურ გაგებას უპირისპირდება.[20] საკონსტიტუციო კონტროლი ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმია უმცირესობის უფლებათა დაცვისთვის, იგი, „დაზღვევის მსგავსად, რისკის შემამცირებელია"[21]. კონტროლი გაცილებით ძლიერია იმ სახელმწიფოებში, სადაც პოლიტიკური პლურალიზმია.[22] მისი ეფექტიანობისა და ქვეყნის სინამდვილის გაწუყოფელ ნაწილად ქცევა გადამწყვეტია იმისთვის, თუ რამდენად შეასრულებს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ფუნქციებს,[23] განსაკუთრებით, უფლების დაცვის მიმართულებით[24].

1.1.2. კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო კონტროლის ზოგადი იურისდიქცია

საკონსტიტუციო კონტროლი არა მხოლოდ ფორმალურად სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შედარებას, არამედ მათი შინაარსის განმარტებას და ხშირად ინტერპრეტაციის კონსტიტუციურობას გულისხმობს.[25] საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლო დისკრეციის გამოყენებით ხშირად განმარტავს ნორმას, რადგან კონსტიტუციის ენა ძალიან ზოგადია, შესაბამისად, მისი დებულებებიც საკმაოდ ფართოა.[26] ინტერპრეტაციის გზით საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციურ ნორმათა ბუნდოვანებისთვის სინათლის მოფენას.[27] კონსტიტუციის ნორმათა განმარტება არა

---

[18] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006, 39.

[19] Alexy R., Balancing, Constitutional Review, and Representation, International Journal of Constitutional Law, Vol. 3, No. 4, 2005, 577.

[20] Connah J., Legislative Sovereignty or Constitutional Supremacy? The Dutch Constitutional Review Conundrum, Cambridge Student Law Review, Vol. 4, No. 2, 2008, 168.

[21] Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003, 32.

[22] იქვე, 25.

[23] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006, 43.

[24] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 822.

[25] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 26.

[26] Bernard F., Constitutional Review, Individual Rights, and the Transparency Model, Regent Journal of Law and Public Policy, Vol. 4, No.1, 2012, 144.

[27] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 22.

მხოლოდ განსხვავდება მიმდინარე კანონთა ნორმის განმარტებისგან, არამედ მნიშვნელოვნად განაპირობებს მთლიანად საკონსტიტუციო წესრიგს.[28] შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სამართალშემოქმედებითაა დაკავებული განმარტების მეშვეობით,[29] ამასთან, განაზოგადებს პრაქტიკას და ადგენს კონსტიტუციის განმარტების სტანდარტს.[30]

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს განსაკუთრებული სტატუსი სწორედ მისი უფლებამოსილების ექსკლუზიურობიდან გამომდინარეობს.[31] თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციური მოქმედება კონკრეტული სახელმწიფოსა და მისთვის არსებული გამოწვევების მიხედვით განსხვავდება.[32] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოებსაც განსხვავებული უფლებამოსილებები აქვთ. ზოგადად, მათ იურისდიქციაში საკონსტიტუციო მნიშვნელობის და კონსტიტუციასთან დაკავშირებული საკითხები ექცევა.[33] გარდა ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადაწყვეტისა, იგი შეიძლება განიხილავდეს ე.წ. კომპეტენციურ დავებს, როცა ხელისუფლების სხვადასხვა შტო უფლებამოსილების თაობაზე დავობს.[34] საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად მონაწილეობს ტერიტორიულ ერთეულებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დავის გადაწყვეტაში[35] (განსაკუთრებით აღსანიშნავია ფედერაციული სახელმწიფოები, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს დამატებითი ფუნქციები აქვს[36] და არაპირდაპირ ტერიტორიულ მოწყობას უკავშირდება).

---

[28] Fiseha A., A New Perpspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 244.

[29] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 827.

[30] ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 46.

[31] ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 136.

[32] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005, 16.

[33] იხ., Safta M., Constitutional Review and the Legislative Procedure, Proceedings of the International Conference of Law, European Studies and International Relations, 7th Ed., Bucharest, 9-11 May 2019, 252.

[34] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 809.

[35] López E.G., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 41, No. 2, 2008, 540.

[36] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005, 18.

1.1.3. საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობა

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის მოქმედებისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ საზოგადოების მზაობასა და დამოკიდებულებას.[37] იგი შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ ისეთ სამართლებრივ სისტემებში, სადაც ძალაუფლების გამიჯვნა სახელმწიფო სისტემის ნაწილია და რეალურად ქმედითია.[38] რამდენადაც ეფექტიანია საკონსტიტუციო კონტროლი, იმდენად ახდენენ გავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები არა მხოლოდ სამართლის, არამედ პოლიტიკის განვითარებაზეც.[39]

პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი, საბოლოო ჯამში, შეიძლება არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი.[40] ამიტომაც, საკონსტიტუციო სასამართლოს ძალაუფლება არა მხოლოდ დეკლარაციული უნდა იყოს, არამედ რეალურად ქმედითი და ინსტიტუციური.[41] საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო ქმედითობისთვის მძლავრი მექანიზმია.[42] თავის მხრივ, მის ქმედითობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადგენილი წესრიგის დაძლევა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებით შეიძლება.[43] ამავე მიზეზით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება თავად საკონსტიტუციო კონტროლის იდეის განუყოფელი ნაწილია,[44] მეტიც, გადაწყვეტილების პრაქტიკული ეფექტისთვის აღსრულება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომაც, თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ აღსრულდება, სახელმწიფოში რეალური საკონსტიტუციო კონტროლი არ მოქმედებს.

---

37 ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 148.

38 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 805.

39 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 825.

40 იხ., Connah J., Legislative Sovereignty or Constitutional Supremacy? The Dutch Constitutional Review Conundrum, Cambridge Student Law Review, Vol. 4, No. 2, 2008, 169.

41 Alexy R., Balancing, Constitutional Review, and Representation, International Journal of Constitutional Law, Vol. 3, No. 4, 2005, 578.

42 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 805.

43 Duranti F., New Models of Constitutional Review, Comparative Law Review, Vol. 5, No. 1, 2014, 2.

44 ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009, 137.

1.1.4. საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ბუნება

საკონსტიტუციო სასამართლო და მისი მოსამართლეები გარკვეულწილად შეერეულ, ჰიბრიდულ პოზიციას იკავებენ მართლმსაჯულებასა და პოლიტიკას შორის.[45] მოსამართლეები იზოლირებულები ვერ იქნებიან[46] და ბუნებრივია, ისინი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორების გავლენას განიცდიან.[47] თანამედროვე დემოკრატიებში საკონსტიტუციო სასამართლოები უფრო და უფრო ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში და სამწუხაროდ, პოლიტიკა შემოაქვთ სამართალწარმოებაში.[48] თუმცა, უამისოდაც, საკონსტიტუციო კონტროლს პოლიტიკურობის ელემენტი ისედაც ჭარბად აქვს და სრულიად ბუნებრივად საკონსტიტუციო დავა ხშირად ბევრ პოლიტიზებულ მხარეს გულისხმობს,[49] საკონსტიტუციო სასამართლოები კი ხშირად ერთვებიან სხვადასხვა პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხში.[50]

საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ პოლიტიკურ ძალაუფლებას იძენს და აქტიურ პოლიტიკაში ერთვება, როდესაც წყვეტს კომპეტენციურ ან პოლიტიკურ ორგანოთა შორის დავებს,[51] რომლებიც ცალსახად პოლიტიკური ხასიათისაა.[52] განსაკუთრებული პოლიტიკური ხასიათით გამოირჩევიან საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციფიკური, არასასამართლო ორგანოები. მაგალითად, საფრანგეთში საკონსტიტუციო საბჭო პრაქტიკულად პარლამენტის ზემდგომ ორგანოდ იქცა.[53] თუმცა, პოლიტიკურობის ჭარბი დოზის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა უზრუნველყოფდეს სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების კონ-

---

[45] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 818.

[46] Fiseha A., A New Perspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 249.

[47] იხ., Abraham J., The Judicial Process, An Introductory Analyses of the Courts of the United States, England and France, 6th Ed., Oxford University Press, 1993, 313-318.

[48] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 5.

[49] Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 631.

[50] Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014, 54.

[51] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 19.

[52] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 809.

[53] კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 59; Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 612.

ტექსტში სამართლის უპირატესობასა და პოლიტიკისთვის სამართლებრივი დღის წესრიგის განსაზღვრას.[54]

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს პერიოდულად აქვთ ერთგვარი „იდენტობის კრიზისი"[55], როდესაც ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით თავიანთი უფლებამოსილებების დემონსტრირება ან ე.წ. წითელი ხაზების გავლება უწევთ. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს მისი შიდა და გარე ავტონომია.[56] სწორედ ამიტომ, ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში, სადაც ისინი წარმატებით საქმიანობენ, თავის დროზე აუცილებლად წამოჭრილა ლეგიტიმაციის საკითხი.[57] პოლიტიკურობის მიუხედავად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ზედამხედველობითი ხასიათისაა[58] და მაინც, უპირველესად, სამართლებრივ ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. საკონსტიტუციო სასამართლოთა გადაწყვეტილებამ არ უნდა შეზღუდოს საკანონმდებლო მოქმედების თავისუფლება,[59] საკონსტიტუციო კონტროლმა უნდა შეაფასოს კანონმდებლობის კონსტიტუციურობა და საკანონმდებლო ორგანოს ქმედებათა პოლიტიკური მხარე თუ მოტივაცია.

1.2. საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების ქრონიკა

1.2.1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების წარმოშობა

საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებს უკავშირდება.[60] მართალია, საუკუნეების განმავლობაში აქტების ურთიერთმიმართებისა და სხვადასხვა მოტივით სპეციალური ორგანოების მიერ მათი გაუქმების უამრავი ფაქტი არსებობს, თუმცა კანონმდებლობასთან მიმართებით, კონსტიტუციის უზენაესობის პრაქტიკის დამკვიდრება მაინც შეერთებულ შტატებთან ასოცირდება.[61] ამას განსაკუთრებით დაწერილმა

---

[54] López E.G., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 41, No. 2, 2008, 560.

[55] იქვე, 557.

[56] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 17.

[57] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 828.

[58] იხ., Elias S., Judicial Review and Constitutional Balance, Address to the New Zealand Centre for Public Law, Victoria University of Wellington, 2019.

[59] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984, 94.

[60] იხ., ბეჟიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 69.

[61] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984, 83.

კონსტიტუციამ შეუწყო ხელი,[62] ვინაიდან საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით ადამიანის უფლებების დაცვისთვის განმსაზღვრელია დაწერილი კონსტიტუცია და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა.[63] შესაბამისად, წერილობითი კონსტიტუციების გარეშე ძნელია საუბარი საკონსტიტუციო კონტროლის არსებობის საჭიროებაზე.[64]

„მარბერი მედისონის წინააღმდეგ"[65] საქმის განხილვისას უმაღლესმა სასამართლომ განმარტა აშშ-ის კონსტიტუცია და როგორც კონსტიტუციის მთავარმა დამცველმა, მიზანშეწონილად მიიჩნია სამართლებრივი აქტი, რომელიც, მისი აზრით, კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა და მას საფრთხეს უქმნიდა, არაკონსტიტუციურად გამოეცხადებინა.[66] მარბერის საქმეზე პრეცედენტით უმაღლესმა სასამართლომ ხელისუფლების სხვა შტოთა ძალაუფლების განხორციელებაზე პრაქტიკული და ქმედითი ზედამხედველობის მექანიზმი დაამკვიდრა.[67] მართალია, 1803 წლამდეც გამოუცხადებია სასამართლოს აქტები არაკონსტიტუციურად, თუმცა გადამწყვეტი და პრეცედენტული მნიშვნელობა არ ჰქონია.[68] ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პერსონალურად ჯონ მარშალის ავტორიტეტმა ითამაშა.[69] მისი გადაწყვეტილება განმანათლებელთა იდეების, ფედერალისტთა სულისკვეთებისა და პრაგმატული ფილოსოფიის გამოვლინების შედეგი იყო.[70] სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციას და ამ გაგებით კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის, უზრუნველყოფას ერთმანეთს ფედერალისტი ჰამილტონი უკავშირებდა,[71] შესა-

---

62 Czeszeijko-Sochacki Z., The Origins of Constitutional Review in Poland, St. Louis-Warsaw Transatlantic Law Journal, 1996, 15.

63 Ackermann L.W.H., Constitutional Protection of Human Rights: Judicial Review, Columbia Human Rights Law Review, Vol. 21, No. 1, 1989, 60.

64 Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol. 6, No. 1, 2002, 51.

65 იხ., Marbury v. Madison, 5 U.S. 137 (1803).

66 Fiseha A., A New Perpspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 243.

67 Bermann G.A., Marbury v. Madison and European Union "Constitutional" Review, The George Washington International Law Journal, Vol. 36, No. 3, 2004, 557.

68 მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 108.

69 იხ., რეინქუისთი უ.ჰ., მარშალი ჯ., გ. გორაძის თარგმანი, წიგნში: გიორგი კვერენჩხილაძე 50, თბილისი, 2022, 163-172.

70 Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984, 83.

71 იხ., ჰამილტონი ა., 78-ე ფედერალისტური წერილი, წიგნში: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიძის თარგმანი, გ. ბარამიძის და მ. გოგატიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2008.

ბამისად ფედერალისტი მარშალისგან საქმის მსგავსი გადაწყვეტილება შესაბამის ლოგიკურ თუ იდეურ წანამძღვრებს ეფუძნებოდა.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესმა სასამართლომ საქმეზე – „ნორტონი შელბის წინააღმდეგ", სადაც დაადგინა, რომ არაკონსტიტუციური აქტი არ არის სამართალი, არ განიხილება მოქმედად და ვერ იქნება რაიმეს სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეული.[72] კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულმა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებმა სამჯერ საკონსტიტუციო ცვლილებები გამოიწვია.[73]

1.2.2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებიდან საკონსტიტუციო კონტროლამდე

„საკონსტიტუციო კონტროლი", როგორც ტერმინი, XX საუკუნის დასაწყისიდან გამოიყენება.[74] მის დამკვიდრებას ევროპაში პარლამენტარიზმის პრაქტიკა უშლიდა ხელს.[75] მართალია, გერმანულ სამართალში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა წლებში არსებობდა საკონსტიტუციო კონტროლის მსგავსი პროექტი,[76] თუმცა მისი ცენტრალიზებული, იგივე ევროპული მოდელი, უკავშირდება ჰანს კელზენს, რომელმაც როგორც ავსტრიის მეორე რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის ავტორმა, ხოლო შემდეგ მკვლევარმა, განსაზღვრა თანამედროვე საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი მიმართულებები.[77] ნორმათა იერარქიის კელზენისეული თეორიის თანახმად, კანონმდებლობის ლეგიტიმაციის საფუძველი კონსტიტუციაა, შესაბამისად, მათ შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს არსებობა, რომელიც კონსტიტუციას დაიცავს.[78] კელზენისთვის ახალი ინსტიტუტის დამკვიდრების

---

72 იხ., Norton v. Shelby County, 118 U.S. 425 (1886).

73 Chisholm v. Georgia, 2 US 419 (1793) – XI დამატება, Dred Scott v. Sandford, 60 U.S. 393 (1857) – XIII დამატება, Pollock v. Farmers' Loan & Trust Company, 157 U.S. 429 (1895) – XVI დამატება.

74 მელქაძე ო., გონაშვილი ე., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 109.

75 Czeszejko-Sochacki Z., The Origins of Constitutional Review in Poland, St. Louis-Warsaw Transatlantic Law Journal, 1996, 16.

76 იხ., შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003.

77 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 817.

78 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 796.

საჭიროება ავსტრიის ახალ, ფედერაციულ მოწყობას უკავშირდებოდა: ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის შესაძლო კონფლიქტის სამართლებრივი გადაწყვეტის მექანიზმები აუცილებელი იყო სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის.[78] საკონსტიტუციო კომისიაში აქტიური პოზიციის გამო მან დიდწილად უზრუნველყო საკონსტიტუციო კონტროლის შესახებ საკუთარი იდეების ავსტრიის კონსტიტუციის პროექტში ასახვა, რითაც საბოლოოდ დაუდო კიდეც სათავე ე.წ. „ავსტრიულ" მოდელს,[80] სადაც სიახლე იყო ხელისუფლების კლასიკურ შტოებს მიღმა არსებული სპეციალური ორგანო, რომელიც თავისი არსითა და უფლებამოსილებით უპირისპირდებოდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საპარლამენტო უზენაესობის ფესვგამდგარ გაგებას.[81]

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი სასამართლო იყენებდა პრაქტიკაში საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებას.[82] ომის შემდეგ კი პროცესები ელვის სისწრაფით განვითარდა – საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა ფაქტობრივად კელზენის ტრიუმფი იყო.[83] თანამედროვე კონსტიტუციონალიზმმა საკონსტიტუციო კონტროლი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეითვისა, როგორც რეაქცია ნაცისტურ რეჟიმსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე.[84] ავსტრიის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოები გერმანიასა და იტალიაში შეიქმნა[85] (გერმანიის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდა, ხოლო კონსტიტუციაში თითქმის 20 წლიანი საქმიანობის შემდეგ აისახა[86]). მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში საკონსტიტუციო კონტროლი ბევრგან დამკვიდრდა, სახელმწიფოთა ნაწილმა (მაგ., გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები) საპარლამენტო სუვერენიტეტის არგუმენტით, მასზე მაინც უარი თქვა.[87]

---

[78] იხ., Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol. 6, No. 1, 2002, 52.

[80] იქვე, 51-52.

[81] იქვე. 53.

[82] Sweet A.S., Constitutional Courts, In: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 816.

[83] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 796.

[84] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 818.

[85] იქვე, 817.

[86] პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2003, 16.

[87] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 797.

მსოფლიოს მასშტაბით საკონსტიტუციო კონტროლის უამრავი სახე და მოდელი შეიქმნა,[88] რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან იგი თითოეულ სახელმწიფოში ადგილობრივი ისტორიული, კულტურული, სამართლებრივი და სოციალური გარემოებების გათვალისწინებით დაინერგა. იქაც კი, სადაც ეს ინსტიტუტი, მისი მიღებული განმარტებით, არ მოქმედებს, სამართალწარმოებითა[89] თუ კანონმდებლობით ისეთი ელემენტები გაჩნდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ავსებენ კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დეფიციტს.[90] საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს არა მხოლოდ დემოკრატიის დიდი გამოცდილების ქვეყნებში, არამედ ისეთ სახელმწიფოებშიც, რომლებიც წარსულში დამოუკიდებელი მართლმსაჯულებით არ გამოირჩეოდნენ[91] (1990-იანი წლებისთვის ევროპულ სივრცეში კონსტიტუციებთან და საკონსტიტუციო სამართალთან დაკავშირებით სამი ძირითადი გარემოება გამოიკვეთა: 1. დაწერილი, სისტემატიზებული კონსტიტუცია; 2. ადამიანის ძირითადი უფლებების თავი კონსტიტუციაში; 3. საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი[92]). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით იგი ჯერაც ახალ ინსტიტუტად რჩება, ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა[93] და დღესდღეობით დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი იარაღია.[94]

2. საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები

საკონსტიტუციო კონტროლში ორი ძირითადი მოდელი გამოიყოფა: დეცენტრალიზებული, იგივე დიფუზიური და კონცენტრირებული, იგივე ცენტრალიზებული.[95] დეცენტრალიზებულ სისტემაში არ არსებობს საკონსტიტუციო

---

[88] Duranti F., New Models of Constitutional Review, Comparative Law Review, Vol. 5, No. 1, 2014, 4.

[89] საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ურთიერთმიმართების შესახებ დანერ. იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2022.

[90] იქვე, 6.

[91] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 1.

[92] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 816.

[93] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 1.

[94] McWhiney E., Federal Supreme Courts and Constitutional Review, La Revue Du Barreau Canadien, Vol. 45, No. 3, 1967, 578.

[95] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 16.

კონტროლის ერთი ორგანო,[96] როცა ცენტრალიზებული მოდელის ძირითადი მახასიათებელი ერთი, გამოკვეთილი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის ექსკლუზივი აქვს.[97] თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში გამოყოფენ მესამე, შერეულ მოდელსაც, რომელიც უნიკალური მახასიათებლებით გამოირჩევა და გარკვეულ ჰიბრიდულ რეჟიმს ქმნის.

2.1. ამერიკული მოდელი

ამერიკული საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საერთო სამართლის სისტემის პროდუქტია, რომლის განვითარება მოსამართლეთა ინტერპრეტაციამ, პრეცედენტებმა და დამკვიდრებულმა სისტემურმა პრაქტიკამ განაპირობა.[98] უმაღლესი სასამართლოს ამერიკული გაგება თავიდანვე ეფუძნებოდა მისი, როგორც უმრავლესობის ტირანიისგან უმცირესობის უფლებების მთავარი დამცველის, იდეას.[99] შედეგად, აშშ-ში ძლიერი საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს[100] და სასამართლო სისტემის უმაღლესი ორგანო საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლესი ინსტანციაცაა[101].

ამერიკული მოდელი, რომელსაც დიფუზიურს უწოდებენ, ორიენტირდება კონკრეტულ კონტროლზე, რომლის შედეგებიც უშუალოდ მხარეთათვისაა მბოჭავი.[102] აღსანიშნავია, რომ ამერიკულ მოდელში მოსარჩელეს შეუძლია იდავოს იმ შემთხვევაშიც, თუკი კონკრეტული აქტი მომავალში იმოქმედებს ან იმოქმედებდა მის კანონიერ ინტერესებზე.[103]

უმაღლესი სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლს ნებისმიერი სამართლებრივი აქტის მიმართ ახორციელებს[104] და კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავებში გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას საერთო სასა-

---

[96] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 813.

[97] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 18.

[98] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 3.

[99] იქვე, 4.

[100] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 37.

[101] იქვე, 18.

[102] Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010, 6.

[103] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 808.

[104] მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 121.

მართლოსთვის დამახასიათებელ პრეცედენტებსა და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს იყენებს.[105] ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე საკონსტიტუციო კონტროლზე პრეტენზია ყველა დონის სასამართლოს ჰქონდა, თუმცა უმაღლესმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით, კონსტიტუციასთან მიმართებით ექსკლუზიურობა და საბოლოობა დაადგინა.[106] მისივე შეფასებით, საკონსტიტუციო სამართლის სფეროში ფედერალური სასამართლოების უფლებამოსილება ექსკლუზიურია,[107] მეტიც, კანონმდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს სასამართლოს მიერ დადგენილი ინტერპრეტაცია,[108] მან შტატის სასამართლოებს აუკრძალა ფედერალური კონსტიტუციის განმარტება,[109] შედეგად, დღეისათვის შტატის უმაღლესი სასამართლოები უშუალოდ შტატის ფარგლებში ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს შტატის კონსტიტუციასთან მიმართებით.[110]

ამერიკული და ევროპული მოდელების პრინციპული განსხვავება ძალაუფლების გამიჯვნის სისტემის გაგებას უკავშირდება.[111] კონსტიტუციურობაზე დავა ამერიკულ სინამდვილეში ხშირად პირდაპირ პოლიტიკური საკითხია. ამას ხაზს უსვამს თავად საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამკვიდრების პირველი ეტაპი. მარბერის საქმემდე უმაღლესი სასამართლო 14 წელი საქმიანობდა და მარშალამდე 3 სხვა თავმჯდომარეც ჰყავდა, თუმცა სასამართლო თავიდან ირიდებდა დიდმნიშვნელოვანი საკონსტიტუციო დავების განხილვას,[112] სწორედ პოლიტიკურობის გამო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავის არიდების ტაქტიკისთვის მას შემდეგშიც მიუმართავს, მაგალითად, ამავე მოტივით თქვა უარი ვიეტნამის ომთან დაკავშირებული საკითხების კონსტიტუციურობის დავების განხილვაზე.[113]

---

[105] Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 609.

[106] მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 125.

[107] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 21.

[108] იხ., Cooper v. Aaron, 358 U.S. 1 (1958).

[109] იხ., Martin v. Hunter's Lessee, 14 US 304 (1816).

[110] მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 122.

[111] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 814.

[112] Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 630.

[113] იქვე, 628.

ინგლისის ყოფილ დომინიონებში ამერიკული სამართლის იდეებმა გავრცელება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.[114] კანადაში, მართალია, ბრიტანული საპარლამენტო უზენაესობის პრინციპი მოქმედებს,[115] თუმცა დაწერილი კონსტიტუციისა და უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის წყალობით განვითარდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულება.[116] ბრიტანული და ამერიკული გავლენის სახელმწიფოებმა ძირითადად დეცენტრალიზებული მოდელი დაამკვიდრეს.[117] იგივე მოხდა აზიაში, სადაც ასევე ამერიკული მოდელი გავრცელდა.[118] დღეისათვის იგი მოქმედებს სკანდინავიაში, არგენტინაში, კანადაში, ინდოეთსა და იაპონიაში.[119] განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სკანდინავიური რეცეფცია, რომელიც *ex ante* საპარლამენტო საკონსტიტუციო კონტროლისა და სასამართლოებისთვის მინდობილი დიფუზიური კონტროლის ბალანსით მიიღეს.[120]

2.2. ევროპული მოდელი

კულტურულ კონტექსტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ძალმოსილების თუ სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტის დამკვიდრების პროცესში.[121] სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულმა მოდელმა გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ორსაუკუნოვან ევროპულ გამოცდილებას დაეყრდნო და ამერიკულისგან მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიძინა.[122] საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ მეორე ტალღის კონსტიტუციებს

---

[114] McWhinney E., Constitutional Review in Canada and The Commonwealth Countries, Ohio State Law Journal, Vol. 35, No. 3, 1974, 905.

[115] Cromwell T.A., Aspects of Constitutional Judicial Review in Canada, South Carolina Law Review, Vol. 46, No. 5, 1995, 1028.

[116] იქვე, 1033.

[117] Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014, 65.

[118] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 819.

[119] Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 813.

[120] Duranti F., New Models of Constitutional Review, Comparative Law Review, Vol. 5, No.1, 2014, 3.

[121] Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014, 71.

[122] იხ., Czeszeijko-Sochacki Z., The Origins of Constitutional Review in Poland, St. Louis-Warsaw Transatlantic Law Journal, 1996, 15-16.

უკავშირდება,[123] როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სრული თუ ნაწილობრივი ფორმით, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებმა და საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულმა ორგანოებმა მიიღეს აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება.[124]

საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული სისტემა სპეციალური მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნას მოიაზრებდა,[125] რომელიც ხელისუფლების შტოთა შორის დავას ნეიტრალური არბიტრის როლში გადაწყვეტდა.[126] ამ მოდელს ცენტრალიზებულს, კონცენტრირებულს უწოდებენ, ვინაიდან აქ საკონსტიტუციო კონტროლი კონცენტრირებულად, როგორც წესი, ცენტრალიზებული სისტემით ხორციელდება, ამისათვის სპეციალური უფლებამოსილების მქონე ორგანოს (უმრავლეს შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოების) მიერ.[127] ცენტრალიზებულ მოდელში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უმაღლესი იურიდიული ძალისაა.[128] ცენტრალიზებული, ევროპული ტიპის საკონსტიტუციო კონტროლი კონტინენტური ევროპისთვისაა დამახასიათებელი,[129] თუმცა კონტინენტური სამართლის ყველა ქვეყანა არ აღიარებს საკონსტიტუციო კონტროლს, მათი ნაწილისთვის იგი არ მოქმედებს ან მოქმედებს შეზღუდულად, კონკრეტული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფორმით.[130]

კონცენტრირებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოების პოლიტიკურ სტაბილურობასაც უზრუნველყოფენ,[131] ასევე აქტიურად იყენებენ აბსტრაქტულ კონტროლს.[132]

---

123 Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol. 6, No. 1, 2002, 49.

124 Stolleis M., Judicial Review, Administrative Review, and Constitutional Review in the Weimar Republic, Ratio Juris, Vol. 16, No. 2, 2003, 272.

125 Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010, 1.

126 Fiseha A., A New Perpspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002, 242.

127 Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 18.

128 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 814.

129 Davis M.C., Constitutionalism and New Democracies, George Washington International Law Review, Vol. 36, No. 3, 2004, 684.

130 Ackermann L.W.H., Constitutional Protection of Human Rights: Judicial Review, Columbia Human Rights Law Review, Vol. 21, No. 1, 1989, 60.

131 López E.G., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 41, No. 2, 2008, 530.

132 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 818.

საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების თვალსაზრისით, სასამართლოები ძირითადად ერთმანეთს ჰგვანან, თუმცა განსხვავდებიან ამ უფლებამოსილების პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით.[133] ისინი ექსპლიციტური ძალაუფლებით არიან აღჭურვილნი, გააუქმონ ნორმა, განმარტონ კონსტიტუცია და ამ კონტექსტში შეაფასონ კანონმდებლობა.[134] საკონსტიტუციო სასამართლოებს ექსკლუზივი აქვთ კონსტიტუციურობაზე დავების გადაწყვეტაზე,[135] სწორედ ამიტომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული დავები არა საკონსტიტუციო, არამედ საერთო სასამართლოების იურისდიქციაა[136] (საერთო სასამართლოების შემთხვევაში კონკრეტული დავა წყდება კანონმდებლობასთან და არა კონსტიტუციასთან მიმართებით[137]). ამ მხრივ გამონაკლისია ავსტრია, სადაც კონსტიტუციის დაცვა როგორც უშუალოდ კონსტიტუციასთან, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენასაც მოიაზრებს.[138] საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე მრავალფეროვანია: დაწყებული ფიზიკური და იურიდიული პირებიდან, პოლიტიკური პარტიებითა და სახელმწიფო ორგანოებით დასრულებული. ევროპულ მოდელში, როგორც წესი, სახალხო დამცველი ასევე აღჭურვილია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებით.[139]

ევროპული მოდელის სახე და შემდგომი პოპულარულობა დიდწილად განაპირობა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც როგორც მართლმსაჯულების, ისე საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა,[140] რომელიც დიდი ხანია შიდასახელმწიფოებრივ მასშტაბს გასცდა. იგი ცდილობს ძირითადი კანო-

---

133 Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014, 75.

134 Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 3.

135 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 817.

136 Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010, 4.

137 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 810.

138 შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003, 9.

139 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 823.

140 ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 15.

ნიდან გამომდინარე „ღირებულებათა ობიექტური იერარქია" დაამკვიდროს.[141] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ევროპაში ყველაზე აქტიური და გავლენიანი საკონსტიტუციო სასამართლოა.[142] სწორედ მან დაამკვიდრა ევროპული სამართლის გავრცელებული მიდგომა ღირსების აბსოლუტურობასთან დაკავშირებით (ღირებულებათა კონკურენციისას).[143] მის საკონსტიტუციო დიზაინზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნაცისტურმა გამოცდილებამ და უფლებათა თეორიამ.[144] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს როგორც კონკრეტულ, ისე აბსტრაქტულ კონტროლს,[145] ასევე უფლებამოსილია სხვა საკონსტიტუციო ორგანოთა უფლება-მოვალეობები განმარტოს.[146] მისი საკონსტიტუციო იურისდიქცია ვრცელდება საჯარო ხელისუფლების ნებისმიერ აქტზე, რომელშიც მოიაზრება ხელისუფლების სამივე შტოს ორგანოთა აქტები.[147] გერმანიაში მოქმედებს ე.წ. „სრული" კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი[148], რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმებაც (რასაც ე.წ. „რეალურ" კონტროლსაც უწოდებენ[149]). „სრული" კონსტიტუციური სარჩელისთვის აუცილებელია სასამართლო ინსტანციების ამოწურვა[150].

ამერიკულ მოდელთან ევროპულის შედარება, ამ უკანასკნელის კონტინენტურევროპულ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციის, ფორმირებისა და სპეციალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის გამო, ფაქტობრივად შეუძ-

---

141 Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 607.

142 Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 627.

143 Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 608.

144 Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003, 54.

145 იქვე.

146 ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 16.

147 პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2003, 18.

148 ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 14.

149 ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, „სამართლის ჟურნალი", N1, 2016, 262-273.

150 პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2003, 18.

ლებელია.[151] თუმცა აღსანიშნავია, რომ აშშ-ის უმაღლესი სასამართლო პოლიტიკურ კრიზისებს უკეთესად უმკლავდება, ვიდრე ევროპული მოდელის საკონსტიტუციო სასამართლოები, რომელთაც გაცილებით განსაზღვრული დღის წესრიგი და მეტი საკანონმდებლო ჩარჩო აქვთ დადგენილი.[152]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკონსტიტუციო პარადიგმა მოიაზრებდა საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებას,[153] შედეგად კი საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე დემოკრატიებში ეტაპობრივად გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ, ამერიკის უმაღლეს სასამართლოსთან შედარებით, გავრცელების თვალსაზრისით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მსოფლიო მასშტაბით უფრო პოპულარული აღმოჩნდა.[154] სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ავტორიტარული სამართლებრივი რეჟიმებისა და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ნგრევის შედეგად სახელმწიფოთა უდიდესმა ნაწილმა არსობრივად საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი მიიღო.[155] ასევე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების შემთხვევაში, რომლებიც, მართალია, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათი პროტოტიპული მოდელისგან, თუმცა ისინი მაინც საერთო გაგებას ეფუძნებიან.[156]

აზიაში საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების ტენდენციაში ევროპული მოდელი დომინირებს, გარდა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ბრიტანული გავლენის სფეროში შედიოდნენ.[157] საკონსტიტუციო კონტროლის გერმანული მოდელი მოქმედებს სამხრეთ კორეაშიც, სადაც კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული ქმედებების კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო კონტროლის იურისდიქციაში ექცევა.[158] თავის მხრივ, სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლო დიზაინმა გავლენა იქონია ინდონეზიაში საკონ-

---

151 Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 3.

152 იხ., López E.G., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 41, No. 2, 2008, 560.

153 Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 38.

154 იქვე, 18.

155 Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol. 6, No. 1, 2002, 50.

156 Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 4.

157 Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014, 65.

158 იქვე, 53.

სტიტუციო კონტროლის ფორმაზე.[159] მონღოლეთში თავდაპირველად ამერიკული მოდელის დამკვიდრებას ფიქრობდნენ, თუმცა საბოლოოდ, ევროპული სამართლის ოჯახიდან გამომდინარე, კორეული ცენტრალიზებული მოდელი ოპტიმალურად მიიჩნიეს.[160] შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის მაგალითი აზიის ქვეყნებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს დიზაინის განმსაზღვრელი გახდა.[161] საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი ასევე გავრცელებულია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში. მექსიკასა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს გერმანული მოდელის მოდიფიცირებული ვერსია – ამპაროს სისტემა.[162]

საკონსტიტუციო სასამართლოებმა არა მხოლოდ განაპირობეს კონსტიტუციის უზენაესობის პრაქტიკული მხარე, არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ევროკავშირის სამართლისა და კონსტიტუციების სამართლებრივი ძალის ურთიერთმიმართების განსაზღვრაში.[163] თანამედროვე საკონსტიტუციო სასამართლოები ევროკავშირში დამატებით, საკონსტიტუციო იდენტობის განსაზღვრისა და შენარჩუნების ფუნქციასაც ითავსებენ,[164] რამაც საკონსტიტუციო კონტროლის ევროპულ მოდელს სრულიად ახალი და საინტერესო განვითარება მისცა.

2.3. შერეული და ჰიბრიდული მოდელები

საკონსტიტუციო კონტროლის თანამედროვე ფორმები, რა თქმა უნდა, არ ჯდება კლასიკურ ამერიკულ-ევროპულ კლასიფიკაციაში და ხშირად ორივე მათგანის მახასიათებლებს მოიცავს.[165] განსაკუთრებით გამოსარჩევია ე.წ. შერეული მოდელი, რომელსაც უწოდებენ იმგვარ სისტემას, რომელშიც საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილია როგორც სპეცია-

---

159 იქვე, 57.

160 იქვე, 65.

161 იქვე, 75.

162 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 811.

163 იხ., Simon S., Constitutional Identity and Ultra Vires Review in Germany, Central European Journal of Comparative Law, Vol. 2, No. 1, 2021, 189.

164 იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისათვის, წიგნში: სერგო ჯორბენაძე 90, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 336-339.

165 Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010, 6.

ლიზებული ორგანო, ისე საერთო სასამართლოები.[166] ასეთ მოდელში კანონმდებლობა განსაზღვრავს თუ რა საკითხების კონსტიტუციურობას რომელი სასამართლო განიხილავს. შერეული მოდელი მოქმედებს პორტუგალიაში,[167] ასევე საბერძნეთში[168].

საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების გარდა, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებსაც სასამართლო ბუნება არ გააჩნიათ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო, რომლის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს. იგი აღიქმება პოლიტიკურ, კვაზი-სასამართლო ორგანოდაც, რომელიც სპეციალური უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი.[169] საკონსტიტუციო საბჭოს დაფუძნების მიზანი სახელისუფლებო ორგანოთა უფლებამოსილების შეზღუდვა იყო: საკონსტიტუციო საბჭო დე გოლმა (მეოთხე რესპუბლიკის გამოცდილებით) ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების უზრუნველსაყოფად შექმნა.[170] საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს 13 წელი დასჭირდა, მკაფიოდ დაეფიქსირებინა, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია საკონსტიტუციო კონტროლს ამკვიდრებდა.[171] იგი მყიფე პოზიტივისტური დამოკიდებულებიდან განვითარდა და საკუთარი პრაქტიკით სასამართლო იურისპრუდენციის მნიშვნელოვან შემოქმედად იქცა.[172]

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს უფლებამოსილებები მრავალფეროვანია:[173] ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე, აგრეთვე მის იურისდიქციაში შედის რეფერენდუმის

---

166 გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 29.

167 de Almeida Ribeiro G., Judicial Review of Legislation in Portugal: Genealogy and Critique, in: Comparative Constitutional History, Vol. I, Edited by F. Biagi, J.O. Frosini and J. Mazzone, Brill, 2020, 205.

168 Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, Collection of Science and Technique of Democracy, European Commission for Democracy through Law, 1993, 17.

169 კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 60.

170 Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003, 49.

171 Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 630.

172 Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 614.

173 Savitri D.N., Constitutional Preview and Review of International Treaties: France and Indonesia Compared, Constitutional Review, Vol. 5, No. 1, 2019, 56-57.

კონსტიტუციურობაზე ზედამხედველობაც.[174] იგი ფაქტობრივად მთავრობასა და პარლამენტის პალატებს შორის საკითხების გადამწყვეტის ფუნქციასაც ასრულებს.[175] დღეისათვის საკონსტიტუციო საბჭოს „დისკურსული სტილი" საკასაციო სასამართლოსა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებათა სტილია.[176] სწორედ მისი 1971 წლის ლეგენდარული გადაწყვეტილებით, კონსტიტუციამდე მიღებული სამართლებრივი აქტის ნაწილი მოქმედი კონსტიტუციის ნაწილად განიმარტა[177].

3. საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეები

3.1. აბსტრაქტული და კონკრეტული

ფორმის მიხედვით, არსებობს აბსტრაქტული და კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი.[178] აბსტრაქტულობა-კონკრეტულობა არა მხოლოდ რიგითი კლასიფიკაციაა, არამედ განაპირობებს საკონსტიტუციო კონტროლის მთელი სისტემის სამართლებრივ ხასიათსა და ბუნებას. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი კონკრეტული გარემოების გარეშე, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს, სუბიექტის ინიციატივით ხორციელდება.[179] ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მოსარჩელე სუბიექტის უშუალო და პირდაპირ კავშირს განსახილველ აქტთან.[180] მას სპეციალური უფლებამოსილი სუბიექტები ჰყავს[181] და ინიციატორები ძირითადად პოლიტიკური ინსტიტუტები არიან.[182] აბსტრაქტული კონტროლი პოლიტი-

---

174 კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 66.

175 იქვე, 59.

176 Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 612.

177 იხ., იქვე, 613.

178 Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 16; Vanberg G., Abstract Judicial Review, Legislative Bargaining and Policy Compromise Journal of Theoretical Politics, Vol. 10, No. 3, 1998.

179 გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 29.

180 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 808.

181 Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 627.

182 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 807.

კური საკითხია[183] და სწორედ ამიტომ მისი განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკაში ჩართვის დიდი რისკი არსებობს.[184] მაგ., გერმანიაში აბსტრაქტულ კონტროლს ყველაზე ხშირად საპარლამენტო ოპოზიცია მიმართავს, რათა პოლიტიკურ საკითხებზე გავლენა სამართლებრივი მექანიზმებით მოახდინოს.[185] აბსტრაქტული კონტროლი ძალიან ჰგავს სახელმწიფო ორგანოთა შორის საკონსტიტუციო დავას, თუმცა მათ შორის პრინციპული განსხვავებაა: ამ უკანასკნელში დავის საგანი არა სამართლებრივი აქტი, არამედ უფლებამოსილებაა.[186]

კონკრეტული კონტროლის შემთხვევაში განიხილება კონკრეტული საქმე, კერძო სამართლებრივი პრობლემა,[187] დავა დაკავშირებულია კონკრეტულ შემთხვევასთან,[188] რომლიდან გამომდინარეც მოწმდება აქტის კონსტიტუციურობა.[189] კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი ამერიკულ სინამდვილეში ყველაზე გავრცელებული ფორმაა.[190] ევროპულ მოდელში, სადაც ინდივიდუალური სარჩელის მექანიზმი არსებობს, კონკრეტული კონტროლი ძალზე აქტუალურია და საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის უდიდეს ნაწილს შეადგენს.

3.2. წინასწარი და შემდგომი

საკონსტიტუციო კონტროლის დროში განხორციელების თვალსაზრისით, არსებობს პრევენციული და შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი.[191] შემდგომი, იგივე რეპრესიული, *Ex post* კონტროლი გულისხმობს აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას თავად ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ.[192] იგი ტიპურად ყველაზე

---

183 Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 822.

184 Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 16.

185 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 808.

186 იქვე, 809.

187 Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011, 627.

188 გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 29.

189 Shapira A., A Proposal for Constitutional Judicial Review in Israel, Tel Aviv University Studies in Law, Vol. 11, 1992, 126.

190 მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999, 112.

191 მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი" – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 21.

192 გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 27.

დამახასიათებელი და გაერცელებული ფორმაა,[193] ვინაიდან საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი, როგორც წესი, ძალაში შესული, ამოქმედებული სამართლებრივი აქტებია.[194] რეპრესიული კონტროლი ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოებისთვისაა დამახასიათებელი.[195]

წინასწარია კონტროლი, როდესაც კონსტიტუციურობის დადგენა აქტის ძალაში შესვლამდე ხდება.[196] მას ასევე მოიხსენიებენ *Ex ante*, იგივე პრევენციულ კონტროლადაც[197] და მისი ობიექტი მხოლოდ ისეთი აქტია, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა, არ ამოქმედებულა.[198] ეს სახე ძირითადად საკონსტიტუციო კონტროლის არასასამართლო ორგანოებისთვისაა დამახასიათებელი[199] და საკმაოდ პრობლემურიცაა, რადგან ხშირად საკანონმდებლო პროცესში ჩარევად აღიქმება.[200] *Ex ante* აბსტრაქტულია თავისი ბუნებით, რადგან წინასწარ, კონკრეტული საქმის გარეშე ხდება კონსტიტუციურობის კონტროლი,[201] სწორედ ამავე მიზეზით მას მოსარჩელეთა საკმაოდ სპეციფიკური წრე ჰყავს და ძირითადად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებით, პოლიტიკური პარტიებითა და პარლამენტის წევრებით შემოიფარგლება.[202] მაგ., საფრანგეთში მოქმედებს *Ex ante*, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი,[203] რასაც ახორციელებს საკონსტიტუციო საბჭო,[204] რომელიც სავალდებულო წესით ამოწმებს ორგანული კანო-

---

193 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 806.

194 იქვე, 807.

195 შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003, 9.

196 გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 27.

197 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 806.

198 იქვე.

199 შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003, 9.

200 გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 27.

201 Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 806.

202 იქვე.

203 Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003, 49.

204 მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი" – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 22.

ნების კონსტიტუციურობას მათ პრომულგაციამდე.[205] საკონსტიტუციო საბჭომ უნდა დაადასტუროს ასევე საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობა მის რატიფიცირებამდე[206].

3.3. ფაკულტატური და სავალდებულო

საკონსტიტუციო კონტროლის ჩატარების პროცედურის მიხედვით, არსებობს სავალდებულო და ფაკულტატური კონტროლი: სავალდებულო საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს, თუკი კონსტიტუციურობის შემოწმება სავალდებულო პროცედურული კომპონენტია, ხოლო ფაკულტატურის შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლი ნებაყოფლობითია.[207] მაგ., საფრანგეთში სავალდებულოა საკონსტიტუციო კონტროლი ორგანულ კანონებზე, ასევე იმ მიმდინარე კანონებზე, რომლებიც ძირითად უფლებებს ეხება.[208]

3.4. საკონსულტაციო და დამდგენი

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, განასხვავებენ საკონსულტაციო და დამდგენ საკონსტიტუციო კონტროლს.[209] მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც წესი, საბოლოოა,[210] თუმცა განსხვავებულია მისი სამართლებრივი შედეგები. საკონსულტაციო კონტროლის შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება მორალურ-ეთიკური ძალისაა[211] და სავალდებულო ძალა არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში კონტროლი სუსტია, რადგან საბოლოო გადაწყვეტილება მინდობილია აღმასრუ-

---

[205] კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 64.

[206] Savitri D.N., Constitutional Preview and Review of International Treaties: France and Indonesia Compared, Constitutional Review, Vol. 5, No. 1, 2019, 58; ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *Ex Post* საკონსტიტუციო კონტროლი, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N1, 2022, 133.

[207] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 28.

[208] კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997, 63.

[209] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 17; გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 28.

[210] Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012, 817.

[211] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 28.

ლებელზე, რომლის გადასაწყვეტია, რა მსვლელობას მისცემს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შეფასებას.[212]

დამდგენი კონტროლი მოიაზრებს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილების სავალდებულოობას.[213] ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მბოჭავია ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირისთვის, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე.[214] სასამართლო ძლიერი საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, როცა მის მიერ დადგენილი საკონსტიტუციო ინტერპრეტაცია და გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა,[215] ასევე თუკი მას შეუძლია პირდაპირი მოქმედების ძალით გააუქმოს ნორმა.[216] მსგავსი გადაწყვეტილებების დაძლევა, როგორც წესი, საკონსტიტუციო ცვლილებებითაა მხოლოდ შესაძლებელია.[217]

3.5. Ex tunc და Ex nunc

გადაწყვეტილებათა მოქმედება მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან პირდაპირ უკავშირდება უფლების დაცვის მექანიზმთა ქმედითობასა და ეფექტიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოებს შეუძლიათ გადაავადონ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი ეფექტი, ასევე ზოგიერთი სასამართლო უფლებამოსილია ნორმა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნოს, მაგრამ არაკონსტიტუციურად არ გამოაცხადოს და ძალაში დატოვოს.[218] მაგ., კანადაში არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ძალას კარგავს, თუმცა სასამართლოს აქვს დისკრეცია გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აამოქმედოს ან ძალაში შესვლა გადაავადოს (კვლავაც კონსტიტუციის დაცვის მოტივით, ვინაიდან დაუყოვნებ-

---

[212] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 23-24.

[213] გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998, 28.

[214] Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984, 89.

[215] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 21.

[216] Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012, 17.

[217] Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008, 33; Bernard F., Constitutional Review, Individual Rights, and the Transparency Model, Regent Journal of Law and Public Policy, Vol. 4, No. 1, 2012, 179.

[218] იხ., Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010, 13.

ლივ ამოქმედებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის უფლებებს ან საკონსტიტუციო მართლწესრიგს).[219]

საკონსტიტუციო კონტროლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების სამართლებრივი ძალისა და ეფექტის მიხედვით განასხვავებენ *ex tunc* და *ex nunc* საკონსტიტუციო კონტროლს.[220] *Ex tunc* საკონსტიტუციო კონტროლის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცნოს აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან, ანუ საკუთარი გადაწყვეტილება წარსულზეც გაავრცელოს.[221] *Ex nunc* საკონსტიტუციო კონტროლი ზღუდავს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს და მათ მიერ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის გადაწყვეტილებას წარსულზე არ ავრცელებს, შესაბამისად, აქტი ძალას კარგავს ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან.[222]

---

219 Cromwell T.A., Aspects of Constitutional Judicial Review in Canada, South Carolina Law Review, Vol. 46, No. 5, 1995, 1040.

220 იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 32.

221 დიური შ.რ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული სისტემების შედარებითი მიმოხილვა, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი", N2, 2017, 350.

222 იქვე.

თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს საქართველოში არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ინსტიტუტთან დაკავშირებული ცალკეული ნიშნების არსებობის მიუხედავად,[223] საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.) არც საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული და საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წელს დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და არც დამფუძნებული კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია ძირითადი კანონის დაცვის სპეციალურ ორგანოს არ ითვალისწინებდა. 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მეორე წინადადების მიხედვით, „კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას" წარმოადგენდა, ხოლო 72-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციის „თვალყურის დევნა და აღსრულება..." მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობა იყო.[224]

კონსტიტუციის დაცვის სპეციალური ინსტიტუტი – საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი – გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის (1990 წლის 14 ნოემბრის რედაქცია) 119-ე მუხლით,[225] თუმცა მოვლენათა დრამატულად განვითარების გამო მან ფუნქციონირება ვერ დაიწყო. გარდამავალი პერიოდის მომდევნო კონსტიტუციური თუ კვაზიკონსტიტუციური აქტები[226] არანაირი სახით

---

[223] ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტები საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013.

[224] დემეტრაშვილი ა., კლდიაშვილი დ., მაცაბერიძე მ., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, წ. II, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2022, 255-274.

[225] იხ., იქვე, 327-389.

[226] იხ., იქვე, 389-412.

კონსტიტუციური კონტროლისა თუ ზედამხედველობის ინსტიტუტს არ ითვალისწინებდნენ.

პირველად საქართველოს სამართლებრივ ისტორიაში კონსტიტუციური კონტროლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში და საქართველოს პარლამენტში მწვავე დებატების შემდეგ დამკვიდრდა 1995 წლის კონსტიტუციით.[227] მისი 2022 წლის რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი კანონის მე-6 თავში („სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა") მითითებულია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ცენტრალური ორგანო, რომელიც საერთო სასამართლოებთან ერთად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას.[228] კონსტიტუციის გადასინჯვის არც ერთი რეფორმის ავტორებმა საკონსტიტუციო სასამართლო „არ გამოიყვანეს" სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან. ძირითადი არგუმენტი იყო და არის ის, რომ იგი „სასამართლო ორგანოა",[229] რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით".[230] შესაბამისად, იგი ზოგჯერ მოიხსენიება „სასამართლო ხელისუფლების დანესებულებად",[231] ხოლო ზოგჯერ – სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად რგოლად.[232] ზოგიერთ ავტორს სადავოდ მიაჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიკუთვნება სასამართლო ხელისუფლებისადმი.[233] ის რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ რეგულაციები კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავშია მოთავსებული „...საკანონმდებლო ტექნიკისა და გემოვნების საკითხი უფროა და არ შეიძლება მას სიღრმისეული აზრობრივი დატვირთვა შევძინოთ".[234] ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს საქართველოს კონსტიტუციის ნორმატიულ არქიტექტურაში არ განსაზღვრავს მისი სამართლებრივი ბუნება, არამედ ამ უკანასკნელს მისი ფუნქციური (კომპეტენციური) სპეციფიკურობა განაპირობებს.

---

[227] გაული ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, თბილისი, 2002, 247-266.

[228] საქართველოს კონსტიტუცია, 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[229] იხ., იქვე, მე-2 პუნქტი.

[230] იხ., იქვე, მე-60 მუხლის პირველი პუნქტი.

[231] ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 80, ს. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 191.

[232] კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბილისი, 2019, 229.

[233] გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, ნ. I, გ. კვერენჩხილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 99.

[234] გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, მე-3 გამოცემა, 2015, 286.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დინამიკური განვითარების გზა განვლო.[235] მისი როლი და კონკრეტული საქმიანობის საკითხები ხშირად მოქცეულა კანონმდებლების, აკადემიური წრეებისა და საზოგადოების ინტერესისა და ყურადღების ცენტრში, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის ევოლუციაც მიჰყვებოდა, როგორც კონსტიტუციის,[236] ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებისა და სასამართლოს რეგლამენტის დონეზე. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელი, თავისუფალი, მოქნილი და შედეგიანი (ეფექტიანი) საქმიანობა უწინარესად დეტერმინირებულია მისი არსებობისა და ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ნორმატიული, (სამართლებრივი) ბაზით, რომელმაც საქართველოს საკონსტიტუციო ისტორიაში გარკვეული ევოლუცია განიცადა.

საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს საკმაოდ ვრცელი საკანონმდებლო ბაზა შეადგენდა. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები სახელმწიფოს ძირითად კანონში, კონსტიტუციაში იყო თავმოყრილი. კონსტიტუციის გარდა ამ საკანონმდებლო საფუძვლებს ქმნიდა საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", საქართველოს კანონები „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ", „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" და „საერთო სასამართლოების შესახებ". აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ ნორმებს შორის ასევე უნდა გამოიყოს ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებდა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

მოგვიანებით, პირვანდელ ტექსტთან შედარებით, კონსტიტუციით გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის მოთხოვნები: გარდა საქართველოს მოქალაქეობისა და უმაღლესი იურიდიული განათლების

---

235 დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2021, 423.

236 განსაკუთრებით 2016-2018 წლის კონსტიტუციური რეფორმის განხორციელებისას.

ცენზებისა, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს ...შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით", ხოლო მე-60 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესებისა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით". ივარაუდება, რომ სწორედ ამ რეგულაციებზე დაყრდნობით[237] (განისაზღვრება ორგანული კანონით) 2018 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ორგანული კანონით გააუქმა კანონები „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" და გარკვეული ცვლილებებით განახორციელა ამ კანონთა ძირითადი რეგულაციების გადატანა 1996 წლის 31 იანვრის ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ". შესაბამისად, თანამედროვე საქართველოში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად სამართლებრივ საფუძველს შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, ასევე, ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ფრაგმენტულად უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობასა და ფუნქციონირებას.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც სხვა საკონსტიტუციო ორგანოების ლეგიტიმაციის ხარისხი და რეალური როლი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში ბევრადაა დამოკიდებული მისი ფორმირების წესზე. რისი გათვალისწინებითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება.[238] საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო

[237] ინკორპორირების ერთ-ერთ მიზეზად იმასაც მიიჩნევენ, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ხშირი იყო ორგანული კანონის დებულებათა დუბლირება. იხ., მაგ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, მე-3 გამოცემა, 2015, 287.

[238] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი.

სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისგან. მათი თანამდებობაზე არჩევა/დანიშვნა ხორციელდება პარიტეტული პრინციპით და ამ პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო თანაბარ საწყისებზე მონაწილეობს – 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3-ს – ირჩევს საქართველოს პარლამენტი და 3-ს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს პრეზიდენტი 3 მოსამართლეს ერთპიროვნულად, პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის გარეშე ნიშნავს, ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას და უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს.[239] წარდგენილი კანდიდატურები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ცალ-ცალკე განიხილება და ფარული კენჭისყრით არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატები, ვისაც მხარი პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა დაუჭირა და ამავდროულად სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღო.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმზე დასანიშნ საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლის კანდიდატურას შეარჩევს და დაასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კანდიდატი მოსამართლედ დანიშნულად ჩაითვლება, თუ კენჭისყრისას მას მხარი დაუჭირა პლენუმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

3.2. მოსამართლის სტატუსი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე[240] შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. კანონმდებლობით დადგენილი წესით განწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავის უფლებამოსილებათა

---

[239] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლი.

[240] 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე საქართველოს კონსტიტუციაში ტერმინები „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი" და „მოსამართლე" (იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე) იდენტური შინაარსის ტერმინებად გამოიყენებოდა. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე კი კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით მხოლოდ ტერმინს „მოსამართლე" იყენებს, თუმცა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში სინონიმური მნიშვნელობით კვლავ ზემოაღნიშნული ორი ტერმინი გამოიყენება. ნაშრომშიც ორივე ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით იქნება გამოყენებული.

განხორციელებას შეუდგებიან ფიცის დადების დღიდან. ფიცის დადების ცერემონიაზე მონვეულ უნდა იქნენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.[241]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების ერთ-ერთი საფუძველი მისი და მოსამართლეთა დამოუკიდებლობაა, რაც განპირობებულია მისი საქმიანობის საჯაროსამართლებრივი ბუნებით და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-არსებობაში მაღალი მნიშვნელობით. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.[242] მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.[243] იმავე სამართლებრივ გარანტიებს განსაზღვრავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონიც.

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.[244]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლითაც გარანტირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობა, მისი შეუცვლელობაა.[245] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით, უფლება-

---

[241] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

[242] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[243] იქვე, 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[244] იხ., იქვე, მე-2 და მე-3 პუნქტები.

[245] გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, მე-3 გამოცემა, 2015, 275; საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

მოსილება ვადამდე შეუწყდება თუ: ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას; ბ) დაიკავა საკონსტუტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა აკრძალულ საქმიანობას;[246] გ) დაარღვია ორგანული კანონის 48-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა;[247] დ) ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერელი საქციელი; ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; ვ) სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ზ) მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი; თ) გარდაიცვალა ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად; ი) გადადგა თანამდებობიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.[248]

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს 9 წევრი და მის სხდომებს წარმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. თითოეულ კოლეგიაში საკონსტიტუციო სასამართლოს 4–4 მოსამართლეა და მის სხდომებს *ex officio* უძღვებიან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები.

პლენუმსა და კოლეგიებს შორის, აგრეთვე, კოლეგიებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობის და მისი ევოლუციის ზოგადი ანალიზიც კი იძლევა რამდენიმე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას:

---

[246] „მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[247] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არა აქვს უფლება გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ დაკავებული პოზიცია.

[248] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლი.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისას პლენუმსა და კოლეგიებს შორის ურთიერთობებში არ მოქმედებს სუბორდინაციის პრინციპი, პლენუმი არ წარმოადგენს კოლეგიის ზემდგომ ინსტანციას;

პლენუმისა და კოლეგიის გადაწყვეტილებებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

თითოეული კოლეგია საქმის განხილვა-გადაწყვეტისას მოქმედებს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;

კოლეგიები თანასწორუფლებიანი არიან.

პლენუმისა და კოლეგიების განსახილველი საკითხები ერთმანეთთან არ გადაიკვეთება, ვინაიდან პლენუმისა და კოლეგიების უფლებამოსილებები გამიჯნულია ერთმანეთისგან.[249] კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია განიხილავს შემდეგ საკითხებს: ა) დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების თაობაზე; ბ) პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობა; გ) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა; დ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა; ე) ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებების ფარგლებში საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

აღნიშნულიდან ერთგვარი გამონაკლისია დადგენილი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, კოლეგია ან კოლეგიის ნევრი ინდივიდუალურად უფლებამოსილნი არიან საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

3.4. თანამდებობის პირები და აპარატი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირები არიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი. 2016 წლამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს ასარჩევად წარედგინებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯ-

[249] იქვე. 21-ე მუხლი.

დომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადების სახით.[250] 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის არსებული წესი „საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას არაკონსტიტუციურად უზღუდავს უფლებას, თავისუფლად აირჩიოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე".[251] მისივე განმარტებით, ამგვარი რეგულაცია წარმოადგენს ხელისუფლების სხვა შტოების გაუმართლებელ არალეგიტიმურ ჩარევას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას და არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით."[252]

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის ინიციირების უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა პრეროგატივა გახდა.[253] კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის პლენუმზე ასარჩევად წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს (სამ მოსამართლეს), მისი როგორც სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მხოლოდ თავმჯდომარეობის ერთი კანდიდატურის წერილობით წარდგენას შეუძლია დაუჭიროს მხარი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ პირი აირჩევა თუ ფარული კენჭისყრის დროს მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 წევრი.[254] სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამარ-

---

250 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 2002 წლის რედაქციის მე-10 მუხლი. ამ წესით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნენ ავთანდილ დემეტრაშვილი (1996-2001 წწ.), ჯონი ხეცურიანი (2001-2006 წწ.), გიორგი პაპუაშვილი ორჯერ (2006-2011წწ. 2011-2016 წწ.).

251 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

252 იხ., იქვე.

253 2018 წლის 21 ივლისის N3265-რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

254 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი.

თლოს პლენუმს წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. წარდგენილი კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული კენჭისყრის დროს მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს 5 მოსამართლე მაინც. საგულისხმოა, რომ 5 წლის ვადით არჩეულ თავმჯდომარის მოადგილეს არ შეუძლია ხელმეორედ დაიკავოს იგივე თანამდებობა, ასევე, 5 წლით არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისთვის ასეთი შეზღუდვა არ არის დადგენილი.

გარდა სამოსამართლო საქმიანობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირი მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც ასრულებს. კერძოდ, ანაწილებს საქმეებს და საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომისთვის ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს; წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურებს; იწვევს პლენუმს, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განჩინებას, დასკვნას, საოქმო ჩანაწერსა და სხდომის ოქმს; საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს და აპარატის დებულებას; საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის ფუნქციონირებას; განკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს საბიუჯეტო ასიგნებებს.[255]

გარდა სამოსამართლო საქმიანობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო თუ ასეთი დავალება არ არსებობს – უხუცესი მოადგილე; უძღვება შესაბამისი კოლეგიის სხდომას; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს.[256]

საკონსტიტუციუო სასამართლოს მდივნის ძირითადი ფუნქცია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფაა[257], შესაბამისად იგი: რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ხელს აწერს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს; ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს, მათი სხდომების ოქმების წარმოებასა და

---

255 იხ., იქვე, მე-12 მუხლი.

256 იხ., იქვე, მე-13 მუხლი.

257 გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 289.

გაფორმებას; ზრუნავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე; ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო სასასმართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.[258]

საკონსტიტუციო სასამართლოს გამართული საქმიანობის ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, სოციალურ და ყოფით უზრუნველყოფას ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი, რომლის თანამშრომლები არ შედიან სასამართლოს შემადგენლობაში. საკონსტიტუციო სასასმართლოს აპარატის სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები, კომპეტენცია და მუშაობის წესი განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პლენუმის დადგენილების საფუძველზე. აპარატი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებია სასამართლოს სამდივნო, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტი, საორგანიზაციო დეპარტამენტი, ეკონომიკური დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, მანდატურის სამსახური.[259]

---

[258] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლი.

[259] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულების მე-13 მუხლი.

თავი III. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები

1. ნეგატიური კანონმდებლიდან პოზიტიურ კანონმდებლამდე

საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის პროცესში, მათ შორის, შეკავება-გაწონასწორებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში.[260] ლიბერალური დემოკრატიის განმტკიცების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვის პროცესში კიდევ უფრო იზრდება. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლომ დაიცვას ზოგჯერ პირობითი, თუმცა ცვალებადი საზღვარი პოლიტიკურ პროცესებსა და კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას შორის.[261]

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი არსით, კელზენის დოქტრინის შესაბამისად, ნეგატიური კანონდებელია.[262] იგი აუქმებს არაკონსტიტუციურ ნორმებს და საკანონმდებლო სივრცეში ქმნის იმგვარ რეალობას, რომელშიც საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონშემოქმედების კომპეტენციაში ერევა იმაზე მითითებით, რომ კონკრეტული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.[263] თუმცა საკონსტიტუციო ტრიბუნალები, განსაკუთრებით კი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, სულ უფრო შორდებიან ნეგატიური კანონმდებლის სტატუსს და ხშირად პოზიტიურ ნორმაშემოქმედებად გარდაიქმნებიან, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ

---

[260] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 9.

[261] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამონვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 140-141.

[262] Brewer-Carias A.R., Constitutional Courts as Positive Legislator, A Comparative Law Study, Cambridge University Press, 2011, 1.

[263] შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 285.

ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების გარდა, ისინი იმ პრინციპებსაც ადგენენ, რომლითაც აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებმა უნდა იხელმძღვანელონ.[284] ამით კი საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად, საჯარო ხელისუფლებას უწესებს საზღვრებს.[285]

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, განსაკუთრებით ბოლო დროინდელი პრაქტიკის გათვალისწინებით, არ შემოიფარგლება ნორმის მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობით ინტერპრეტირებით. იგი ხშირად სცდება ვიწრო პოზიტივისტურ განმარტებას და იყენებს ტელეოლოგიურ, სისტემურ და განმარტების სხვადასხვა მეთოდებს, რითაც უზრუნველყოფს, ადამიანის უფლებათა დაცვას, კონსტიტუციის უზენაესობას,[286] და ზოგადად, ხელს უწყობს სამართალგანვითარების პროცესს. აღნიშნული კი განაპირობებს კონსტიტუციის განმარტების მექანიკურ პროცესად ქცევის პრევენციას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი განმარტებისთვის დამახასიათებელია დინამიკურობა, ექსპრესიულობა, შემოქმედებითობა, რის შემდეგაც მიიღწევა მიზანი, ერთი მხრივ, დარღვეულ უფლებათა აღდგენა, მეორე მხრივ, კი კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვა.[287]

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს მხოლოდ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში ახალი რეგულაციების პირდაპირი სახით ჩაწერის აკრძალვას. აზრს მოკლებული იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის პოზიტიური თვალსაზრისით საკანონმდებლო ფუნქციის მინიჭების აკრძალვა იმ პირობებში, როდესაც საკუთარი, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი აქტით დაადგენდა არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად ახალ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც არ ყოფილა საკანონმდებლო ორგანოს ან კონსტიტუციით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორ-

---

[284] აღსანიშნავია, რომ კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით პარლამენტის უზენაესობის იდეის შებღალვის პრევენციისთვის მაგ., დიდი ბრიტანეთი არ აღიარებს საკონსტიტუციო კონტროლის იდეას. იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 120; იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მ-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 86.

[285] Safta M., Developments in the Constitutional Review, Constitutional Court between the Status of Negative Legislator and the Status of Positive CoLegislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, No. 1, 2012, 2.

[286] იქვე, 17.

[287] Claus L.P., Kay R., Constitutional Courts as "Positive Legislators" in the United States, American Journal of Comparative Law, Vol. 58, 2010, 480.

განოს სამართალშემოქმედების შედეგი.[268] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტების/მისი ნაწილების სამართლებრივი ძალის გაუქმების უფლებამოსილება.[269]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი არსით „ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, რითაც გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე – კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას. საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას (შექმნას) კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას, ხელს უწყობს მის შესრულებას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ"[270]. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, პოზიტიური ნორმაშემოქმედების მნიშვნელობით ან გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის/მისი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში.[271]

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სულ უფრო მეტად აღძრავს ეჭვებს მისი როგორც ნეგატიური კანონმდებლის შესახებ. კანონით გათვალისწინებული ამოწურავი ჩამონათვალის გაფართოების[272], თავისუფლების აღკვეთის, როგორც

---

[268] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

[269] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-21.

[270] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[271] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 31 დეკემბრის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში" და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12.

[272] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-27.

სასჯელის ზომის გაუქმების[273] და საჯარო ხელისუფლების ორგანოთა მიერ ნორმათა განმარტების კონსტიტუციურობის შეფასებით[274] საკონსტიტუციო სასამართლო სულ უფრო მეტად იძენს პოზიტიური კანონმდებლის ნიშნებს და ტრანსფორმირდება როგორც პოზიტიური კანონმდებელი.[275] აღნიშნული კი გარკვეულწილად განაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივის საფუძველზე 2011 წელს ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ[276], რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო კონტროლი გავრცელდა ნორმათა ნორმატიული შინაარსზე და საკონსტიტუციო კონტროლის ახალ პრაქტიკას ჩაეყარა საფუძველი.

2. ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი

ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს არამხოლოდ ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, იგი ყურადღებას ამახვილებს მასში გამოხატულ ნამდვილ არსსა და გამოყენების პრაქტიკაზე.[277] აღნიშნული ნორმატიული მონესრიგება, გარკვეული მოსაზრებით მარტივ სამართლებრივ მოცემულობას ადგენს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებამ[278] სათავე დაუდო საკონსტიტუციო სასამართლოს არასტანდარტულ მიდგომას ნორმის განმარტებასთან მიმართებით, როდესაც მან ფაქტობრივად ერთმანეთისგან განაცალკევა ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი.[279]

---

273 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

274 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

275 ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 125; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 126.

276 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

277 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

278 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-1.

279 გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 126.

ამგვარი მიდგომა კი გარკვეული მოსაზრებით, აიხსნება იმით, რომ ქართული საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა არ იცნობს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.[280]

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კეთილსინდისიერი ნინააღმდეგობის მქონე პირებს ავალდებულებდა სამხედრო სავალდებულო სარეზერვო სამსახურის გავლას. რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემური იყო არა ზოგადად, სამხედრო სარეზერვო სამსახურის იდეა, თავისი არსით, მისი ნორმატიული მოწესრიგება, არამედ დადგენილი პრაქტიკა და მისი გამოყენება.[281] გარდა განხილული საქმისა, საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ნორმისა და მისი ნორმატიული შინაარსის აბსტრაჰირებასთან დაკავშირებით, როცა მოგვიანებით გააუქმა არა ნორმა, არამედ ის შინაარსი, რასაც საერთო სასამართლოები სძენდნენ ამ ნორმას განმარტებისას.[282] ამდენად, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ნორმატიული მოწესრიგება კი არ გააუქმა, არამედ მისი კონსტიტუციასთან თავსებადი ინტერპრეტაცია განსაზღვრა, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა წრე.[283]

ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას იდენტური სამართლებრივი შედეგი აქვს, როგორც ეს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ხდება. მართალია, კლასიკური ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლისგან განსხვავებით ნორმა აგრძელებს მოქმედებას, თუმცა მისი კონკრეტული შინაარსით გამოყენება არაკონსტიტუციურად მიიჩნევა. ორივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მბოჭავი ძალისაა

---

[280] ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2017, 334; შარაშიძე მ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის რეალური კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 203-204; შეად., „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ" [ECtHR], განაცხადი N40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი, 41-ე პუნქტი.

[281] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" III-1.

[282] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამონვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 124.

[283] იქვე, 126.

და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან (ან საამისოდ შერჩეული სხვა დროიდან) იგი მოქმედებს სამართლებრივ სივრცეში პირდაპირი ეფექტით.[284] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ნორმატიული შინაარსის გამოცალკევებით ავალდებულებს ნორმის გამომყენებლებსა და შემფარდებლებს, რომ მის მიერ დადგენილი ნორმის შინაარსით იხელმძღვანელონ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა წრე გააფართოვა, რაზეც მეტყველებს მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილება, როცა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო არა ნორმა, რომელიც უფასო პოლიტიკური რეკლამით სარგებლობის შესაძლებლობას ანიჭებდა მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, არამედ მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ამავე უფლებით საარჩევნო ბლოკის პირველ ნომრად მითითებულ პარტიას აღჭურავდა.[285] მართალია, მას კანონმდებლის როლი არ შეუთავსებია – ახალი ნორმა არ შეუქმნია, თუმცა ნორმის ინტერპრეტირებით, ფაქტობრივად, ნორმისგან მისი ნორმატიული შინაარსის დისტანცირება მოახდინა და ახალი შინაარსი დაადგინა.[286] ერთ-ერთ საქმეზე კი საკოსტიტუციო სასამართლომ, არამხოლოდ გააუქმა 70 გრამამდე მარიხუანას პირადი მოხმარებისთვის განსაზღვრული სანქცია, ასევე, პასუხისმგებლობის სახედ თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად ცნო.[287] აღნიშნული გადაწყვეტილებით კი ანალოგიური შედეგები წარმოშვა, რაც კანონშემოქმედებას მოჰყვებოდა.[288] აღნიშნული კი აჩენს კითხვებს მიღებული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო მანდატთან თავსებადობის თაობაზე.[289]

---

[284] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი – საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და მისი დამკვიდრების პერსპექტივები საქართველოში, „სამართლის ჟურნალი“, N1, თბილისი, 2016, 116-117.

[285] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის N2/3/591 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, III-1.

[286] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 127.

[287] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

[288] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი – საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და მისი დამკვიდრების პერსპექტივები საქართველოში, „სამართლის ჟურნალი“, N1, თბილისი, 2016, 110.

[289] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 120-121.

3. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. იგი სამართლის ზოგადი პრინციპია,[290] რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს კანონის საფუძველზე საქმიანობის განხორციელების ვალდებულებით ბოჭავს. იგი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები მოქმედებდნენ კანონის საფუძველზე და საკუთარ მოქმედებათა დიაპაზონს შეუსაბამებდნენ მას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ახორციელებს კანონიერების პრინციპის დაცვით. გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება კონსტიტუციით განისაზღვრება.[291] აღნიშნული უფლებამოსილებების გაფართოების ან შემცირების შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესი და სამართალწარმოების პროცედურა კი ორგანული კანონით დგინდება.[292] საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.[293] ამდენად, მატერიალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მხოლოდ კონსტიტუციით იბოჭება, ხოლო საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის საქმიანობა პროცესუალური თვალსაზრისით გარდა კონსტიტუციისა, ორგანული კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით განისაზღვრება.

4. კოლეგიალობის პრინციპი

კოლეგიალობის პრინციპი სამართალწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია, რომელიც ხელს უწყობს სასამართლო სისტემის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას. კოლეგიალობის პრინციპზე საუბრისას არ იგულისხმება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეები მეგობრებად განიხილე-

---

[290] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 347-348.

[291] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

[292] იქვე.

[293] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

ბიან,[294] თუმცა მოსამართლეებმა, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად უნდა იზრუნონ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ნდობისა და პატივისცემის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაზე. ეს კი, უპირველესად, კოლეგიალობის პრინციპის განუხრელ დაცვაში ვლინდება.[295]

კოლეგიალობის პრინციპის მთავარი გამოვლინება მოსამართლეთა მიერ ერთმანეთის შეხედულებათა და არგუმენტაციის მიმართ გამოხატული პატივისცემაა.[296] მოსამართლემ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს ის გონივრული ბალანსი კოლეგებსა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელიც ჩრდილს არ მიაყენებს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობასა და პატივისცემას. მათ პატივი უნდა სცენ კოლეგების პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებს. მიუღებელია სხვა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უარყოფითი ხასიათის შეფასებების გამოთქმა. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისას გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეებს შესაძლოა კონკრეტულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ, რისთვისაც გათვალისწინებულია განსხვავებული აზრის ინსტიტუტი, თუმცა განსხვავებული აზრი ყოველთვის იწყება ფრაზით: „გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი პატივისცემას."[297]

კოლეგიალობის პრინციპი აგრეთვე მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას კოლეგიურად, რამდენიმე მოსამართლის მიერ. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა და გადაწყვეტა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ან კოლეგიის მიერ, რომელიც შესაბამისად შედგება საკონსტიტუციო სასამართლოს 9 ან 4 მოსამართლისგან. ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავს როგორც სხდომის ჩატარებისთვის, ასევე საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის კოლეგიისა და პლენუმის სხდომაზე დამსწრე მოსამართლეთა მინიმალურ რაოდენობას, რომელიც არასდროსაა ინდივიდუალურად მოსამართლე. აღნიშნული კი თავისთავად განამტკიცებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში კოლეგიალობის პრინციპის განმტკიცებას.

---

[294] Edwards T.H., The Effects of Collegiality on Judicial Decision Making, Pennsylvania Law Review, Vol. 151, No. 1, 2003, 1645.

[295] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, პრეამბულა, ჰააგა, 2002.

[296] Edwards T.H., The Effects of Collegiality on Judicial Decision Making, Pennsylvania Law Review, Vol. 151, No. 1, 2003, 1644-1645.

[297] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1502,1503 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

5. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს უფლებას მიუკერძოებელ სასამართლოზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მითითებული დებულება არაერთ ელემენტს მოიცავს, პირველი პუნქტი ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს აერთიანებს, რომლებიც არაა ამ მუხლით სხვა დებულებით დაცულ სფეროში. სწორედ მათ შორისაა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები. შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სისხლის სამართლის პროცესის შედარებით ინკვიზიციურ მოდელს ირჩევენ თუ შეჯიბრებითს.[298]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოში სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი საფუძველია, ერთი მხრივ, სამოქალაქო და ადმინისტრაციული, მეორე მხრივ, სისხლისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესისთვის. მნიშვნელოვანია, რომ თანასწორობის პრინციპი, თავისი არსით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებებით აღჭურვას გულისხმობს, როცა არც ერთი მხარე არ სარგებლობს მეორე მხარეზე მეტი საპროცესო გარანტიებით.[299] პირიქით, ისინი თანაბარი საპროცესოსამართლებრივი უფლებებითა და სამართლებრივი სტატუსით სარგებლობენ, საქმეში ერთ-ერთ მხარედ სახელმწიფოს ყოფნის მიუხედავად.[300] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპს მოსამართლის, როგორც სასამართლო პროცესის ნეიტ-

---

[298] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/1/608,609 საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-16.

[299] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-74.

[300] კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნ. II, დ. გეგენავას, გ. გორაძისა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2020, 195.

რალური ფიგურის კონცეფცია უდევს საფუძვლად. ნეიტრალური მოსამართლის ერთადერთი ამოცანა კი პროცესის განმავლობაში მხარეთა სათანადო უზრუნველყოფაა თანაბარი შესაძლებლობებით, რომ წარადგინონ მტკიცებულებები, არგუმენტები.[301]

შეჯიბრებითობის პრინციპი, თავისი არსით, ეფუძნება მხარეთა პოზიციების, სამართლებრივი მსჯელობისა და არგუმენტების, ასევე, მტკიცებულებების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობით მხარეების აღჭურვას. აღნიშნული პრინციპის უპირველესი მიზანი კი განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა.[302] მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი, უპირველესად, მხარეთა შესაძლებლობას გულისხმობს, ერთმანეთს დაუპირისპირონ საკუთარი არგუმენტაცია, მტკიცებულებები. აღნიშნული პრინციპი კი სასამართლომ განაზოგადა სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებით და განმარტა, რომ დაცვის მხარის მიერ აღნიშნული პრინციპით სარგებლობა მოიაზრებს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევასა და ბრალდების მხარის მონმეების დაკითხვის შესაძლებლობას.[303]

საერთო სასამართლოებში მიმდინარე სასამართლოს პროცესების დიდი ნაწილი სწორედ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ფარგლებში წარიმართება, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციაში მითითებული სიტყვათა შეთანხმება – „შეჯიბრებითობის პრინციპი" ტერმინთა ავტონომიურობის პრინციპის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ არსებით ნაწილად განსაზღვრა, აღნიშნული კი თავის თავში მოიცავს მხარის ავტონომიის მაღალ ხარისხს, თავად განსაზღვროს საპროცესო სტრატეგია ისე, რომ ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები.[304] იმავდროულად, ამ

---

[301] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608-609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-16.

[302] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38.

[303] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-75.

[304] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-

პრინციპის უმთავრესი დანიშნულება გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაა. ამ მიზნით კი აღნიშნული პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას.[305]

სამართლის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის კონსტიტუციურსამართლებრივი ვალდებულება და სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც მიიღება გადაწყვეტილება. აღნიშნული, არსებითად გულისხმობს, რომ სასამართლომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის რომელიმე მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან წინასწარი განწყობის გარეშე.[306] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, აგრეთვე, არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს".[307]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს მხარეებისათვის ერთნაირი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით აღჭურვას, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების, სასამართლოს წინაშე წარდგენისა და გამოკვლევის თვალსაზრისით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მხარეებს, თანასწორობის

ცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-16.

[305] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-27.

[306] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-36.

[307] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე, „დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II -16.

პრინციპის ფარგლებში, უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, შუამდგომლობებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს ნამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მტკიცებულებები, მოთხოვნები, შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები.[308]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ პრინციპის რეალური შინაარსი გულისხმობს, რომ პროცესის ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს თანაბარი და გონივრული შესაძლებლობები, სასამართლოში წარადგინოს საკუთარი მტკიცებულებები, გავლენა იქონიოს საქმის მიმდინარეობის პროცესსა და საბოლოო შედეგზე.[309] ამასთან, მიუხედავად მხარეთა თანაბარი შესაძლებლობებისა, წარადგინონ მტკიცებულებები, მოსამართლე არ თავისუფლდება ვალდებულებისგან სწორად იყენებდეს ფუნდამენტურ პრინციპებს პროცესის მსვლელობისას, იმის მიუხედავად, მხარე როგორ ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას.[310]

მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა საპროცესო ქმედებებს, შუამდგომლობებსა და განცხადებებს, საქმის განხილვის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იდენტური სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, განსხვავებულია მხოლოდ სარჩელის ცნობისა და მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას მოპასუხე უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე სრულად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. აღნიშნული ავტომატურად არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.[311] თუმცა ამისგან განსხვავებით, მოსარჩელის მიერ სასარჩელო

---

[308] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[309] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-75.

[310] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-22.

[311] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

მოთხოვნაზე უარის თქმა მომენტალურად იწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას.[312] მოსარჩელეს ასევე უფლება აქვს შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა.

6. ინკვიზიციურობა და დისპოზიციურობა

შეჯიბრებითობა საქართველოში საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ზოგადად შეჯიბრებითობის პრინციპის ფუნდამენტური ნიშანი „მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში, სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა, მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინის არსებობაა“.[313] შეჯიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, მხარეები კი თავად წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ.[314] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოსა და მოსამართლისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ზოგიერთი საპროცესო შესაძლებლობა სცდება შეჯიბრებითობის ზემოაღნიშნულ გაგებას და ინკვიზიციურობის ნიშნებსაც შეიცავს.

შეჯიბრებითობის პრინციპისგან განსხვავებით, ინკვიზიციურობის პრინციპი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით ცალკეული მტკიცებულებების მოძიებისა და პროაქტიული ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას აძლევს. მსგავს შემთხვევაში მოსამართლე აქტიურ ფიგურად იქცევა და იგი უფლებამოსილია, თავად გამოიკვლიოს გარკვეული გარემოებები საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.[315] ამ დროს მოსამართლე უფრო ფართო დისკრე-

---

[312] იქვე, მე-2 პუნქტი.

[313] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-15.

[314] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.“

[315] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-

ციით სარგებლობს საქმის განხილვისას, ვიდრე ეს შეჯიბრებითი პროცესისთვისაა დამახასიათებელი.[316] ინკვიზიციურობის ნიშნების ერთ-ერთ გამოვლინებად სასამართლოს მხრიდან საკუთარი ინიციატივით გარკვეული მტკიცებულებების გამოთხოვა შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილნი არიან საქმის გადაწყვეტისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღონ ყველა სახელმწიფო ორგანოდან, ფიზიკური პირისგან, სამეცნიერო დაწესებულებიდან და საინფორმაციო ცენტრიდან, მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.[317] აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს გამოუთხოვია საკანონმდებლო ორგანოდან – განმარტებითი ბარათები და სტენოგრაფიული ჩანაწერები,[318] საერთო სასამართლოებიდან – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გარკვეული კატეგორიის საქმეებზე საჩივრის განუხილველად დატოვების სტატისტიკა[319] და ა.შ.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში ინკვიზიციურობის ნიშნების არსებობაზე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი კონსტიტუციურ წარდგინებების განხილვასთან მიმართებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, იგი უფლებამოსილია შეცვალოს კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ის კონსტიტუციური საფუძველი, რომელთან მიმართებითაც ნორმატიული აქტის შესაბამისობის დადგენას ითხოვს საერთო სასამართლო და კონსტიტუციის სხვა ნორმასთან მის შესაბამისობაზე იმსჯელოს.[320] საკონსტიტუციო სასამართლოს

ცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-16.

316 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

317 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

318 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1/370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გომია და სხვები და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", I-3.

319 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

320 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-

ამგვარი ფართო დისკრეცია, მართალია ექსკლუზიურად საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტს მიემართება და ნაკარნახევია ამ ტიპის სასამართლო განხილვის ბუნებით (საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მხარის სტატუსი არავის გააჩნია), მაგრამ იგი საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პროცესში აქტიურ ჩართულობაზე მიანიშნებს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ინკვიზიციურობის ნიშნების კიდევ ერთი გამოვლინებაა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობების არსებობის მიუხედავად, მისი განხილვის გაგრძელების შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, აგრეთვე, საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.[321]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელებისას შეჯიბრებითობის პრინციპთან ერთად და ინკვიზიციური პრინციპის სრულყოფილი თანადროული არსებობა ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივია, თუმცა იგი (შეჯიბრებითობა) თავისთავად არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს/მოსამართლის აქტიური საპროცესო მოქმედებებით აღჭურვის შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენილი კომპონენტია, ისევე როგორც

9; დამატ., იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[321] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები; იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ინკვიზიციურობის პრინციპი, რაც გარკვეულ ფარგლებში მათი თანაარსებობის საჭიროებასაც კი განაპირობებს.[322]

დისპოზიციურობის პრინციპი, თავისი არსიდან გამომდინარე, კერძო სამართლისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც მხარის ნების ავტონომიას ეფუძნება. დისპოზიციურობის პრინციპი გამოიხატება მოსარჩელის უფლებაში თავად გადაწყვიტოს, დაიწყოს თუ არა დავა სასამართლოში, დამოუკიდებლად განსაზღვროს მოთხოვნის მოცულობა და ფარგლები.[323] მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ნების ავტონომიის პრინციპის არსებობა ნაკლები მოცულობით ვლინება, მხარის უფლება, დაიწყოს სამართალწარმოება, ყავდეს წარმომადგენელი სასამართლოში,[324] თავად განსაზღვროს ან/და შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე,[325] საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში დისპოზიციურობის ელემენტების არსებობაზე მიანიშნებს. ამასთან, მოსარჩელის უფლებას, თავად განსაზღვროს სასარჩელო დავის ფარგლები, შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულება, მხოლოდ სარჩელში მითითებული მოთხოვნის ფარგლებში განიხილოს და გადაწყვიტოს დავა და არ გასცდეს სასარჩელო მოთხოვნას.[326] აღსანიშნავია, რომ დისპოზიციურობის პრინციპის პრაქტიკული დანიშნულება ვლინდება მხარეთა ავტონომიურობაში – მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, მოპასუხემ ცნოს სარჩელი.[327]

---

322 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608/609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-22.

323 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.

324 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის N1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

325 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის განჩინება N1/4/1368 საქმეზე, „შპს ჯორჯიან ეარვეისი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის N2/13/1460 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/3/1297 განჩინება საქმეზე, „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ააიპ „აპრიორი" და ააიპ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

326 კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 21.

327 იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 11 მაისის

7. საქმის ზეპირი განხილვის პრინციპი

საქმის ზეპირი განხილვის პრინციპი მხარეთა პოზიციების სრულყოფილად წარმოჩენას ისახავს მიზნად. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საქმის არსებითად განსახილველად მიღების, ისე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც. კერძოდ, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით ჩატარებას, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა. აღნიშნულის თაობაზე იგი ვალდებულია, მხარეებს აცნობოს.[328] არსებითი განხილვისთვის კი დადგენილია საქმის ზეპირი განხილვის პრინციპი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეთა შუამდგომლობით ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს სასამართლო საქმეს.[329]

სხვადასხვა ქვეყანაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სამი სხვადასხვა მოდელი არსებობს: ა) ქვეყნები, სადაც საქმის წარმოება მთლიანად ზეპირია; ბ) ქვეყნები, სადაც საქმის წარმოება მთლიანად წერილობით მიმდინარეობს; გ) ქვეყნები, სადაც არსებობს საქმის განხილვის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმა. პრაქტიკაში, საკონსტიტუციო სასამართლოები ხშირად უარს ამბობენ ზეპირ სამართალწარმოებაზე (მაგ., გერმანია[330]). უნგრეთსა და პორტუგალიაში მხოლოდ წერილობითი სამართალწარმოება არსებობს.[331] შვეიცარიაში ზეპირი სამართალწარმოება გამონაკლისია. განხილვა, როგორც წესი, ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ წერილობით არგუმენტებს.[332]

საქმეთა ზეპირი განხილვის პრინციპი მჭიდრო კავშირშია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

N2/3/1488 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

328 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

329 იქვე, მე-5 პუნქტი.

330 Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 38, იხ. ციტირება: R. Jaeger, S. Broß, "Die Beziehungen zwischen den Verfassungsgerichtshöfen und den übrigen einzelstaatlichen Rechtsprechungsorganen, einschließlich der diesbezüglichen Interferenz des Handelns der europäischen Rechtsprechungsorgane", report for the XII Conference of European Constitutional Courts, 22.

331 Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 38.

332 იქვე, 136.

მე-6 მუხლით გარანტირებულია საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება.[333] ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, არაა აუცილებელი საქმეთა ზეპირი განხილვა, თუკი არ არსებობს სადავო მტკიცებულებები და საქმეზე გონივრული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზეც შესაძლებელია.[334] მისივე განმარტებით, ზეპირი განხილვის პრინციპი შესაძლოა გადაწონოს პროცესის ეკონომიურობის პრინციპმა. ზეპირი განხილვა კი დამატებით დროის ფაქტორთანაცაა დაკავშირებული.[335] აღნიშნულის საპირისპიროდ, სხვა საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, ზეპირი მოსმენის ჩატარებზე უარის თქმა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეაფასა, გაიზიარა რა განმცხადებლის პოზიცია, რომ მას სათანადოდ არ მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი პოზიციები დაეფიქსირებინა, ასევე, მოსმენილი ყოფილიყო მოწმეთა ჩვენებები.[336]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და სამართლიანი სასამართლოს უფლება აუცილებლად ამ პრინციპთან სინთეზში უნდა იყოს განხილული.[337] კერძოდ, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი უფლებრივი კომპონენტია. იგი ხელს უწყობს საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურად განხორციელებას.[338] მისივე განმარტებით, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა მხარის მიერ საკუთარი პოზიციების წარმოჩენასა და დასაბუთებას უწყობს ხელს.[339]

საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის უპირატესობები, რაც განაპირობებს კიდეც მისი სამართლიანი სასამართლოს უფლებრივ კომპონენტად მოაზრების

---

333 ბერაია გ., ზედელაშვილი დ., თაქთაქიშვილი ჩ., კოპალეიშვილი მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბილისი, 2021, 67.

334 Döry v. Sweden, [ECtHR], App. No. 28394/95, 12 November, 2002.

335 „მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ", [ECtHR], განაცხადი N30097/03, 2008 წლის 8 იანვარი.

336 „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ", [ECtHR], განაცხადი N37809/08, 2019 წლის 25 ივლისი.

337 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივილისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

338 იხ., იქვე.

339 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-41.

აუცილებლობას, შემდეგ ფაქტორებში გამოიხატება: ა) ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა, პირველ რიგში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს მხარეებისთვის, გავლენა მოახდინონ სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე და ამ გზით, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე; ბ) ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა, იმავდროულად, არის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა თავად სასამართლოსთვის, მხარეებთან უშუალო კომუნიკაციის გზით შეისწავლოს, გაარკვიოს და დაადგინოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მას უტყუარად მისცემს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; გ) ზეპირი განხილვა კანონზომიერად ზრდის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ალბათობას; დ) „საქმის საჯარო, ზეპირი მოსმენა გამორიცხავს რა „საიდუმლო მართლმსაჯულებას", როდესაც კანონზომიერია ეჭვები როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ნორმების არასწორი, თვითნებური გამოყენებისა, აფერმკრთალებს როგორც ცდუნებას სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, ისე ეჭვებს ასეთი თვითნებობის შესახებ. შესაბამისად, საქმის ზეპირი მოსმენა აძლიერებს როგორც მხარეთა, ისე საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი, საბოლოო ჯამში კი, განაპირობებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა მეტ გამჭვირვალობას და ლეგიტიმურობას, ამცირებს შეცდომის დაშვების ალბათობას"[340],[341]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ასევე ცალსახად მიუთითებს ვითარებაზე, როდესაც ზეპირი მოსმენის ჩატარების მომეტებული ინტერესი არსებობს: „უმთავრესი საკითხი, რომელიც მხედველობაში მიიღება ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის უფლების შეზღუდვისას, არის როგორია კონკრეტული საკითხის განმხილველი სასამართლოს კომპეტენცია იმ მოცემულ შემთხვევაში, კერძოდ კი, თვისობრივად რა საკითხების შესწავლა/შეფასება/გამოკვლევა უწევს სასამართლოს. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია, სასამართლო იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, თუ, იმავდროულად, ახდენს ფაქტების (ფაქტობრივი გარემოებების) შეფასება/შესწავლასაც".[342] კერძოდ, „იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „jura novit curia" („სასამართლომ იცის კანონი") და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ

---

[340] იქვე, II-63.

[341] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021, 476-477.

[342] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-74.

დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე – აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას".[343] ამასთან, „მხედველობაშია მისაღები იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის დაცვის შესაძლებლობაც არის შეზღუდული. ცხადია, შეფასების სტანდარტები განსხვავებული იქნება განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი ინტერესების შემთხვევაში".[344]

8. საჯაროობის პრინციპი

დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ხალხს უნდა შეეძლოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციოს და შეაფასოს სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული განმარტება და დადგენილება. საზოგადოებრივი კონტროლი ხელისუფლების იმ შტოს მიმართ, რომელიც სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საზოგადოების ინფორმირების საშუალებით შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული დახურულ კარს მიღმა მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება და სასამართლო, როგორც ხელისუფლების შტო, შესაბამისი კონსტიტუციური ჩარჩოების გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული იყოს საზოგადოების წინაშე. სასამართლოს სხდომების საჯაროდ ჩატარება, სასამართლოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია.[345]

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით განმტკიცებულია სასამართლოში საქმეთა ღია სასამართლო სხდომაზე განხილვის პრინციპი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, ამგვარი

---

[343] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-42.

[344] იხ., იქვე, II-10.

[345] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-46, II-48.

მონესრიგება მართლმსაჯულების გამჭვირვალობის პრინციპს ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს და თან სასამართლო ხელისუფლებას სწორედ საქმეთა ღია სხდომაზე განხილვის გზით მეტად გამჭვირვალე და განჭვრეტადი გადაწყვეტილებების მიღებისკენ მოუწოდებს.[346] საქმეთა საჯარო განხილვა სამართლიანი სასამართლო განხილვასთან იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციას.[347]

სასამართლო სხდომის საჯაროობა უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, ჰქონდეს მის მიმართ მიმდინარე სასამართლო პროცესის საზოგადოებისთვის გაცნობის, საზოგადოების მიერ მის საქმეზე ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი, გარდა სასამართლო ხელისუფლების კონტროლისა, უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობას, მის ანგარიშვალდებულებას, უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას/განმტკიცებას. საზოგადოებისაგან სასამართლოს კონტროლი კი ხელს უწყობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, თვითნებობის ან/და შეცდომის რისკების მინიმალიზებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები .... უნდა იწვევდნენ სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის".[348]

მიუხედავად პროცესის საჯაროობისა, სხდომა შეიძლება ნაწილობრივ ან სრულად დაიხუროს სასამართლოს განჩინებით. სხდომის დახურვა, ერთი მხრივ, სასამართლოს ინიციატივით, მეორე მხრივ, კი მხარეთა შუამდგომლობითაა შესაძლებელი.[349] მისი დახურვის მიზეზი კი შეიძლება იყოს პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აღმატებული ინტერესი.[350] თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპზე და-

---

[346] იქვე, II-44.

[347] Malhous v. The Chech Rebublic [ECtHR], App. No. 33071/96, 13 December, 2000.

[348] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-59.

[349] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[350] იქვე.

ყრდნობით. მაგალითად, კომერციული საიდუმლო *a priori* არ გულისხმობს მისი გასაიდუმლოების სავალდებულოობას, რადგან შესაძლოა სხდომის დახურვის ინტერესი გადაწონოს საჯარო ინტერესმა.[351] საჯაროობის პრინციპი რომ სასამართლო ხელისუფლების ძირითადი სამოქმედო პრინციპია, ამაზე მეტყველებს კონსტიტუციის ჩანაწერიც, რომელიც სასამართლო პროცესების საჯაროობის პრინციპს განამტკიცებს.[352] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების ინსტრუმენტადაც განიხილავს საჯაროობის პრინციპს, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას.[353]

მაშასადამე, სასამართლო პროცესის საჯაროობა არის შესაძლებლობა: ა) საზოგადოებისთვის – სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლის გზით, ხელისუფლებისადმი ნდობის განსავითარებლად/შესანარჩუნებლად; ბ) მხარეებისთვის – საქმის ღია განხილვა იცავს რა მხარეებს მართლმსაჯულების ფარულად, საიდუმლოდ, საზოგადოების მხრიდან კონტროლის და კრიტიკული ანალიზის გარეშე განხორციელებისაგან, ქმნის დამატებით შანსს სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად; გ) თავად სასამართლოსთვის – მეტი დამოუკიდებლობის და სამართლიანობის მისაღწევად, რადგან საზოგადოების ეფექტური კონტროლის ქვეშ საქმის განხილვა/გადაწყვეტა ზრდის მოსამართლეთა თვითკონტროლს, შედეგად, შესაძლებლობას ხარისხიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად.[354] ამდენად, მნიშვნელოვანია, სასამართლოში პროცესი საჯაროდ მიმდინარეობდეს.[355]

9. გადაწყვეტილების საქვეყნოობა

დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს აქტების როლის და მათში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დანესებულებაში არსებულ

---

351 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

352 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-44.

353 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-66.

354 ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021, 466.

355 Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 135.

იმ ტიპის ინფორმაციას, რომლის ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს. მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებული აქტები თავისთავად არის საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი.[356] ზემოაღნიშნული ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები: გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა ქვეყნდება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, ასევე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე".[357] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სრული ტექსტის გამოქვეყნება ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლის საჯაროობისა და საზოგადოებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.[358] ამდენად, საქმის სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება საჯაროობის პრინციპის ერთგვარ გაგრძელებად და მის უფლებრივ კომპონენტად უნდა იქნეს განხილული.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი შესაძლოა შეიცავდეს პირის პირადი ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან დეტალებს. შესაბამისად, აუცილებელი გახდეს სასამართლო აქტში პირის პერსონალური მონაცემების დაფარვა. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი აქტის დეპერსონალიზებული ფორმით გამოქვეყნების მექანიზმს პირველად 2017 წლის 12 ოქტომბერს მიმართა[359] და სასამართლო აქტში დაფარა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სრულწლოვანი პირის პერსონალური მონაცემები. დასახელებულ პერიოდში, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასამართლო აქტების დეპერსონალიზებული ფორმით გამოქვეყნებას. თუმცა, დეპერსონალიზაციისას სასამართლო დაეყრდნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლომ ამ მექანიზმს მიმართა

---

[356] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-51.

[357] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი, მე-10-მე-13 პუნქტები.

[358] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N1/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-30.

[359] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის N1/2/864 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე სრულწლოვან პირს ამგვარი მოთხოვნა/შუამდგომლობა არ დაუყენებია.

აღნიშნულის შემდგომ, ერთ-ერთ საქმეზე, მოსარჩელე მხარე შუამდგომლობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოსაქვეყნებელ სასამართლო აქტებში მისი პერსონალური მონაცემების დაფარვის თაობაზე. კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა, დაფარულიყო მისი სახელი და გვარი და სასამართლო აქტები ასეთი ფორმით გამოქვეყნებულიყო.[360] ამჯერად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიღებული აქტი დეპერსონალიზებული ფორმით გამოაქვეყნა, რის სამართლებრივ საფუძვლადაც კონსტიტუციაზე მიუთითა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად".[361]

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 6 მარტს ამოქმედდა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი რეგლამენტი, რომელიც, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, *expressis verbis* მიუთითებს პერსონალური მონაცემების/პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის საფუძვლით სასამართლოს აქტებში მონაცემების დაფარვის თაობაზე. კერძოდ, საქმის განმხილველი სასამართლო ან/და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პირის მაიდენტიფიცირებელი/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დოკუმენტები ქვეყნდება იმგვარი ფორმით, რომ არ გამჟღავნდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული შესაბამისი ინფორმაცია.[362]

---

[360] იხ., 2018 წლის 3 ოქტომბრის კონსტიტუციური სარჩელი N1354 საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[361] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N1/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31; შეად., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1/1743 განჩინება საქმეზე, „ა. დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

[362] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საქვეყნოობა ემსახურება სამართალწარმოების პროცესის საჯაროობის მიზანს.

10. მოსამართლის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა, მოსამართლის შეუცვლელობა

მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის პრინციპები ეფექტური საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელების ქვაკუთხედს ქმნის.[363] მოსამართლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია.[364] ამასთან, სახელმწიფოს აქვს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულება, ერთი მხრივ, უზრუნველყოს სახელმწიფოში იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობას, ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას საფრთხის არ შეუქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, თავად არ ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბოროტად.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

კონსტიტუცია ასევე განამტკიცებს მოსამართლის ხელშეუხებლობის გარანტიებსაც, რომლითაც იკრძალება მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო

---

[363] კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წ. II, დ. გეგენავას, გ. გორაძისა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2020, 195.

[364] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები.

გადაწყვეტილების მიღებამდე. გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.[365]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციები,[366] რომელთა მიხედვითაც, დაუშვებელია დანიშნულ მოსამართლეთა უფლებამოსილების დასრულებამდე ისე გადაყენება, როდესაც ამის საფუძველი არ არსებობს. ასეთი საფუძვლები კი კანონით ზუსტად უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა მოსამართლეებს ჰქონდეთ დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის მყარი გარანტიები.[367]

საქართველოსში საკონსტიტუციო სამართალწარმოება მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება.[368] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე 10 წლის ვადით ირჩევა/ინიშნება და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინაპირობები კანონით მკაცრადაა რეგლამენტირებული.[369]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შეუცვლელობის პრინციპი, ერთი მხრივ, უკავშირდება მოსამართლის უფლებამოსილების ვადას, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ საქმეებში მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეუცვლელად ჩართვასაც გულისხმობს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, რომელიც კოლეგიის/პლენუმის შემადგენლობაშია, დავის დასრულებამდე იღებს მონაწილეობას მის გადაწყვეტაში. საგამონაკლისო შემთხვევებში კი, როდესაც საქმის განხილვის მიმდინარეობისას მოსამართლე სხვა მოსამართლით იცვლება, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მოითხოვოს საქმის განხილვის თავიდან დაწყება.[370]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ათწლიანი ვადის ამოწურვისთანავე უწყდება უფლებამოსილება, თუმცა, საკონსტიტუციო სასამარ-

---

365 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

366 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის N1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", I-3.

367 სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის სტანდარტის შესახებ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) NR(94)12 რეკომენდაცია, სტრასბურგი, 2001 წლის 23 ნოემბერი.

368 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

369 იქვე, მე-16 მუხლი.

370 იქვე, 21-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

თლოს დადგენილი პრაქტიკით, იმ შემთხვევაში, როდესაც ამოიწურება აღნიშნული ვადა და არ ხდება სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მისი ჩანაცვლება და საქმის განხილვის კვორუმის არარსებობის გამო ეს ინვევს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებას, აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა ვიდრე მისი ჩანაცვლება არ მოხდება. სხვაგვარად, ეჭვქვეშ დგება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის არსებობა, ილუზორული გახდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვის შესაძლებლობა და, შესაბამისად, დაირღვევა კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.[371]

აღნიშნული განმარტებით საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, ახლებურად განმარტა კონსტიტუციით განსაზღვრული მოსამართლის უფლებამოსილების ვადის შესახებ ჩანაწერი და უპირატესობა სწორედ უფლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმით პირების აღჭურვას მიანიჭა. სასამართლოს შეფასებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მოთხოვნას ვერ გადაწონის კონსტიტუციაში არსებული ექსპლიციტური მითითება უფლებამოსილების ათწლიან ვადასთან დაკავშირებით.[372]

11. სამართალწარმოების ენისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპი

საკონსტიტუციო სამართალწარმოების დროს პროცესის ეკონომიურობის პრინციპი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დიდ დროით და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული პროცესის ეკონომიურობის პრინციპი. თუკი სასამართლო გადატვირთულობისგან პრევენციას, საქმეთა დროულ განხილვას ვერ ახერხებს, ეს, საბოლოოდ, მართლმსაჯულების

[371] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-77.

[372] იქვე.

ხარისხზეც აისახება.[373] მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეკონომიურობის პრინციპის უგულებელყოფა მართლმსაჯულების დაბალ კულტურაზე მეტყველებს.[374] საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ეკონომიურობის პრინციპის გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული საკანონმდებლო შესაძლებლობა, თუ საკანონმდებლო ცვლილებები არაკონსტიტუციურად ცნობილ, იდენტური შინაარსის ნორმებს შეიცავს, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ მსჯელობს მასზე არსებითად და განჩინების საფუძველზე მოსარჩელეს უარს ეუბნება კონსტიტუციური სარჩელის არსებით განხილვაზე.[375] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიურობის პრინციპს არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხზე, რისი გათვალისწინებითაც მნიშვნელოვანია ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ენის პრინციპი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით პირდაპირაა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ქართული ენა გამოიყენება როგორც სამართალწარმოების ენა და საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები გამოიცემა ქართულად, საქართველოს სახელით. პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას, სასამართლო მიუჩენს თარჯიმანს, რომელსაც, მათ შორის, შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროს არასწორი თარგმანისთვის.

---

[373] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/19/1610 განჩინება საქმეზე, „შპს ემ.ჯი. ალიანსი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[374] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-69.

[375] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას პუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/2/1647 განჩინება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის", ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

თავი IV. კონსტიტუციური სარჩელი

1. კონსტიტუციური სარჩელის ძირითადი მახასიათებლები

1.1. კონსტიტუციური სარჩელი, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების საფუძველი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კონსტიტუციური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობით შეტანა". ამავე ორგანულ კანონში ჩამოთვლილია კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტები.[376] აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალში არაა თავად საკონსტიტუციო სასამართლო. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების თვითინიციირების უფლება და მის მიერ ამა თუ იმ საკითხის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის დაწყება ყოველთვის დამოკიდებულია გარეშე სუბიექტების მიერ კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით სასამართლოსთვის მიმართვაზე.

1.1.1. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წესი

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეაქვს თავად მოსარჩელეს ან მოსარჩელის წარმომადგენელს. სათანადოდ შედგენილი კონსტიტუციური სარჩელი, ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელის/მოსარჩელეთა მიერ (იურიდიული პირის შემთხვევაში, კონსტიტუციურ სარჩელს მოსარჩელის ნაცვლად შესაძლოა ხელს აწერდეს მისი წარმომადგენელი).[377] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები შეიტანება მატერიალური ფორმით, ფოსტის მეშვეობით ან ადგილზე მიტანით ბარდება საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო

[376] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე-42-ე მუხლები.

[377] იქვე, 31[1] მუხლის პირველი პუნქტი. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1623 განჩინება საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

დეპარტამენტს.[378] კონსტიტუციური სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მატერიალური სახით შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოადგენს კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის აუცილებელ წინაპირობას.[379]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს იმ სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც თან უნდა ერთოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში ნარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელს.[380] ასეთ დოკუმენტებს, როგორც წესი, განეკუთვნება: ა) სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი;[381] ბ) მოსარჩელის/მოსარჩელეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი; დ) საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ და ე) კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე,[382] კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ კონსტიტუციური სარჩელი და მასზე დართული საბუთებიც ქართულ ენაზე იყოს შედგენილი.[383]

1.1.2. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა

როგორც წესი, სამართლის ესა თუ ის დარგი შესაბამისი პირებისთვის თუ ორგანოებისთვის ადგენს საპროცესო სამართალწარმოების დაწყების და, შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის კონკრეტულ ვადას.[384] ამ მხრივ საკონ-

---

[378] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

[379] იხ., 2023 წლის 20 იანვრის N1763 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ირაკლი მარგველაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[380] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 პუნქტები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.

[381] პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის შესახებ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტის ნაცვლად, სარჩელს თან უნდა ერთოდეს იმ პოლიტიკური პარტიის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომლის შექმნის ან/და საქმიანობის კონსტიტუციურობაზეც დავობს მოსარჩელე. იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[382] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლი.

[383] იქვე, 31[1] მუხლის მე-15 პუნქტი.

[384] მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, „დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის

სტიტუციო სამართალწარმოებაში განსხვავებული სტანდარტია დადგენილი. მართალია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის შეტანისთვის კანონით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევა სარჩელის განსახილველად არმიღების ერთ-ერთი საფუძველია, თუმცა ამ მიმართულებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა ნამდვილად არ მოეპოვება. ეს განპირობებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ უმეტეს შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის კონკრეტულ ვადას. მთავარია მოსარჩელემ დაასაბუთოს, რომ მას გააჩნია დავის წამოწყების რეალური ინტერესი.[385]

კონსტიტუციური სარჩელის წარდგენისთვის კონკრეტული ვადა განსაზღვრულია მხოლოდ სამ შემთხვევაში: ა) არჩევნებთან/რეფერენდუმთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის შეტანისას;[386] ბ) რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიმართებით წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში;[387] გ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის დროს.[388] დასახელებულ სამივე შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის დროულად, შემჭიდროებულ ვადებში შეტანის ვალდებულება ნაკარნახევია თავად ამ სარჩელების ბუნებით და პოტენციური ეფექტიდან გამომდინარე, მათ ფარგლებში განსახილველი საკითხების კონსტიტუციურობის

სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ"; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

385 რეალური ინტერესის წარმოსაჩენად, მოსარჩელეს, როგორც წესი, მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ სადავო ნორმა ზღუდავს ან განჭვრეტად მომავალში დიდი ალბათობით შეზღუდავს მის უფლებებს, იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/2/1447 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-2, II-4.

386 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

387 იქვე, 38-ე მუხლის 2[1] პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

388 იქვე, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

დროულად შეფასების აუცილებლობით.[389] სხვა შემთხვევებში, მათ შორის, როდესაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების საფუძველია კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კანონმდებლობით არ განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ვადა.

უშუალოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, კონსტიტუციური სარჩელის შეტანისათვის დაწესებული ვადის გაშვების გამო კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების თაობაზე ამოიწურება მხოლოდ ერთი შემთხვევით. კერძოდ, N1581 კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს პარლამენტის დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობას მისთვის, როგორც პარლამენტის წევრისთვის, უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტის შესახებ.[390] მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა გასაჩივრების ორკვირიანი ვადა. ამასთან, კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი რაიმე არგუმენტაცია, რაც გასაჩივრების ვადის დარღვევის საპატიო გარემოების არსებობაზე მიუთითებდა.[391] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

ზემოთ მოხმობილ განჩინებაში აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმამდე, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გასაჩივრების ვადის დარღვევის საპატიო გარემოების არარსებობის ფაქტზე, თუმცა არ განუმარტავს, რა შეიძლება ჩაითვალოს ამგვარ საპატიო გარემოებად. თავის მხრივ, არც საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობა ითვალისწინებს საპატიო გარემოებების ჩამონათვალს ან მისი განმარტებისთვის სახელმძღვანელო რაიმე კრიტერიუმებს. საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში, ივარაუდება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შეაფასებს სახეზეა თუ არა საპატიო გარემოებით სარჩელის შეტანისათვის დაწესებული ვადის დარღვევა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, საინტერესოა ასევე იმის გარკვევაც, მსგავსი ტიპის სარჩელებზე განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ვადის გაშვების საპატიო გარემოების დადგენის ფაქტი, იქნება თუ არა ყოველთვის საკმარისი საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელებისთვის.

---

[389] არჩევნების მომწესრიგებელ ნორმასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენის ვადების თაობაზე დამატ. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/6/1392 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[390] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/1/1581 განჩინება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[391] იხ., იქვე, II-2.

1.2. კონსტიტუციური სარჩელის კატეგორიები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა საკმაოდ ფართო სპექტრი გააჩნია, რაც მრავალფეროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. ამასთან, მდიდარი სასამართლო პრაქტიკის წარმოქმნა და განვითარება დამოკიდებულია პოტენციურ მოსარჩელეთა აქტიურობაზე და სასამართლოსათვის სხვადასხვა კატეგორიის კონსტიტუციური სარჩელებით მიმართვიანობაზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებიდან დღემდე არსებობენ კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი ისეთი სუბიექტები, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლოსათვის არასოდეს მიუმართავთ.[392]

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის საერთო მახასიათებელი ისაა, რომ ნებისმიერი გასაჩივრებული აქტი თუ ქმედება[393] მოწმდება საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით, თუმცა თავად კონსტიტუციური სარჩელები, გარდა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობისა, თემატურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმის გასარკვევად, თუ რა კატეგორიის კონსტიტუციური სარჩელების წარდგენაა საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელი საკმარისია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მომწესრიგებელი ნორმების გაცნობა.[394] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი, შესაძლოა შეეხებოდეს: ა) აბსტრაქტულ კონსტიტუციურ კონტროლს;[395] ბ) დავას სახელმწიფო ორგანოთა შორის მათი უფლებამოსილების შესახებ;[396] გ) პოლიტიკური პარტიის შექმნის,

---

[392] მაგ., არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ნორმატიული აქტის კონსტიტუციის მე-9 თავთან შესაბამისობის დადგენას, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელით არასოდეს მიუმართავს.

[393] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე დაზუსტდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ე.წ. „კომპეტენციური დავების" ფარგლებში შეაფასოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ორგანოების არა მხოლოდ მოქმედების, არამედ უმოქმედობის კონსტიტუციურობა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/1-1/1711 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

[394] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

[395] იხ., 2016 წლის 12 ივლისის N792 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[396] იხ., 2015 წლის 22 სექტემბრის N668 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე

საქმიანობის და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის კონსტიტუციურობას;[397] დ) რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;[398] ე) საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;[399] ვ) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;[400] ზ) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას;[401] თ) დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;[402] ი) ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას, ადგილობრივი თვითმმართველობის მომწესრიგებელ კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებით.[403]

და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2022 წლის 16 აგვისტოს N1723 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

397 იხ., 2016 წლის 26 სექტემბრის N850 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების" და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ".

398 იხ., 2016 წლის 1 ივნისის N763 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 27 მაისის N761 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/3/761 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

399 აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არავის მიუმართავს.

400 იხ., 2017 წლის 17 მარტის N877 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს ალტა", „შპს ოქეი", „შპს ზუმერი ჯორჯია", „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი" და „შპს სმაილი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2014 წლის 7 ივლისის N603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"; 2014 წლის 5 მაისის N592 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

401 იხ., 2021 წლის 10 თებერვლის N1565 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და შესაბამისი საოქმო ჩანაწერი (N3/5/1565,1568,1568); 2019 წლის 23 დეკემბრის N1473 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

402 აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არავის მიუმართავს.

403 აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არავის მიუმართავს.

1.3. კონსტიტუციური სარჩელის ფორმა

კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ კონსტიტუციური სარჩელი შედგენილი იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცებული, შესაბამისი სასარჩელო სააპლიკაციო ფორმის მიხედვით.[404] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე[405] განთავსებულია კონსტიტუციური სარჩელის ორი ტიპის სააპლიკაციო ფორმა:

სააპლიკაციო ფორმა N1 სახელწოდებით „კონსტიტუციური სარჩელის ფორმა", რომელიც არის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის შესახებ, ფიზიკური და იურიდიული პირებისა და სახალხო დამცველის მიერ შესატანი კონსტიტუციური სარჩელის ფორმა.

სააპლიკაციო ფორმა N3 სახელწოდებით „საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ან/და პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ის მიერ წარსადგენი კონსტიტუციური სარჩელის ფორმა", რომელიც არის დასახელებულ სუბიექტთა მიერ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში შესატანი კონსტიტუციური სარჩელის ფორმა.

წარმოდგენილ ორ სააპლიკაციო ფორმას შორის, მოსარჩელე სუბიექტის გათვალისწინებით არსებობს რამდენიმე ფორმალური განსხვავება, მაგალითისათვის, N1 სააპლიკაციო ფორმის თანახმად, მოსარჩელე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითონ, შესაბამისად, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი და მოქალაქეობა/რეგისტრაციის ადგილი, მაშინ, როდესაც მსგავსი მონაცემების მითითება N3 სააპლიკაციო ფორმის მიხედვით შედგენილი კონსტიტუციური სარჩელის ავტორებს არ მოეთხოვებათ. გარდა ამისა, დასახელებულ ორ სააპლიკაციო ფორმაში განსხვავებულია აგრეთვე შუამდგომლობებისა და სავალდებულო დანართების ჩამონათვალი.

საგულისხმოა, რომ მოცემული ორი სააპლიკაციო ფორმა მიემართება მხოლოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტებით

---

[404] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და 31[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[405] <https://constcourt.ge/ka/court/app-forms> [05.06.2024]

განსაზღვრულ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებს და შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტებს. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა არსენალი მხოლოდ დასახელებული ქვეპუნქტებით არ შემოიფარგლება, შესაბამისად, არსებობს კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი არაერთი სხვა სუბიექტი, რომლისთვისაც კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცებული არ არის. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი, რომელიც არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, განიხილოს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხი. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს, მათ შორის, მოქალაქე, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.[406] აღნიშნული ხარვეზის არსებობის პირობებში, მოსარჩელე იძულებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმით შედგენილი სარჩელის გარეშე[407] ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისარგებლოს სხვა კატეგორიის სარჩელებისათვის განკუთვნილი სააპლიკაციო ფორმით.[408] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი ცალკეული უფლებამოსილებების თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმების დაუმტკიცებლობა შესაძლოა ხელისშემშლელი აღმოჩნდეს მოსარჩელე სუბიექტისთვის.

2. კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტები

ნებისმიერ კონსტიტუციურ სარჩელს ჰყავს შესაბამისი ავტორი – კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა ფართო სპექტრის გათვალისწინებით, კონ-

---

406 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

407 იხ. მაგ., 2019 წლის 23 დეკემბრის N1473 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; ე.წ. „კომპეტენციურ დავებზე" არსებულ კონსტიტუციურ სარჩელებთან მიმართებით, ანალოგიური ხარვეზის საილუსტრაციოდ იხ., 2022 წლის 10 ივნისის N1711 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

408 იხ., 2022 წლის 11 მარტის N1688 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

სტიტუციური სარჩელი თვისობრივად სხვადასხვა ტიპის სამართლებრივ საკითხს შესაძლოა შეეხებოდეს. შესაბამისად, განსხვავებული ტიპის კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტების ჩამონათვალიც სხვადასხვაა და ამომწურავადაა განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით.[409] არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანა წარმოადგენს სარჩელის განხილვაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს.[410]

2.1. ფიზიკური და იურიდიული პირები

საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი კონსტიტუციური სარჩელების აბსოლუტური უმრავლესობის ავტორები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან.[411] კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილ ფიზიკურ და იურიდიულ პირებში მოიაზრებიან საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი პირები – საქართველოს მოქალაქეები, უცხოელები, აპატრიდები და იურიდიული პირები, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, ითვლებიან თუ არა ისინი საქართველოს იურიდიულ პირებად.[412]

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართვის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით. ამდენად, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების

---

[409] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა", „ბ", „დ"-„ი" ქვეპუნქტები; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე-მე-40, 41[1] და 41[3] მუხლები.

[410] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/6/1536 განჩინება საქმეზე, „ლაშა შუკაკიძე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წინააღმდეგ", II-1-3.

[411] მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში შესული სარჩელების 79% ფიზიკური პირების მიერ იყო წარდგენილი, ხოლო 19% – იურიდიული პირების მიერ. იხ., ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 106.

412 [412] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16, II-21.

დაცვის მოტივით წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელებით ამოიწურება. მათ არ შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოში დავის წამოწყება, რომელიმე სხვა კომპეტენციის ფარგლებში,[413] ისევე, როგორც არ შეუძლიათ მოითხოვონ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება საქართველოს კონსტიტუციის სხვა დებულებებთან მიმართებით, გარდა მეორე თავში მოცემული ნორმებისა.[414] გამონაკლისს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იმ პირის მიმართვა, რომლის უფლებამოსილება არ ცნო ან ვადაზე ადრე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.

2.2. სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ორგანოა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. შესაბამისად, შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს კონსტიტუციის დებულება, რომელიც ამ ინსტიტუტის კონსტიტუციურ საფუძველს აყალიბებს, სწორედ ადამიანის ძირითადი უფლებების მომწესრიგებელ მეორე თავშია მოქცეული.[415]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დადგენილია სახალხო დამცველის საერთო კონსტიტუციური მანდატი, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა. ამ თვალსაზრისით, სახალხო დამცველი კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული ყველა უფლებისა და თავისუფლების დაცვას უწევს ზედამხედველობას, ახდენს დარღვევების იდენტიფიცირებას, მათ კონსტატაციას და მიმართავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო დამცველის ინსტიტუტისათვის კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში".[416] ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ისევე, როგორც თავად სახალხო დამცველის ინსტიტუტის დამოუკიდებლობისა და მის კომპეტენციაში სხვა სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლობის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შესაძლებლობაა.

---

413 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის N16/455 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ", II-1-5.

414 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/4/1400 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2-5.

415 საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი.

416 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის N1/1/1441 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

საქართველოს სახალხო დამცველს, კონსტიტუციური სარჩელით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მიმართოს შემდეგ შემთხვევებში:[417] ა) ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას, კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;[418] ბ) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შემოწმებისას;[419] გ) სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ სახალხო დამცველის ინსტიტუტის უფლებამოსილების კონსტიტუციური ფარგლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის განხილვისას.[420]

2.3. სხვა სუბიექტები

2.3.1. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვაზე უფლებამოსილ პირებს, გარდა ფიზიკური, იურიდიული პირებისა და სახალხო დამცველისა ასევე წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, საქართველოს მთავრობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გენერალური პროკურორი, ეროვნული ბანკის საბჭო, გენერალური აუდიტორი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის მიზანი „ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობის, ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების მიღწევის (უზრუნველყოფის) მცდელობაა. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მათი მიმართვა ხელისუფლების შტოთა ურთიერთკონტროლისა და გაწონასწო-

---

[417] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა", „დ" და „თ" ქვეპუნქტები.

[418] იხ., 2016 წლის 17 ივნისის N770 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[419] აღნიშნული უფლებამოსილებით საქართველოს სახალხო დამცველს არ უსარგებლია. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 2019 წლის 29 იანვრის N1392 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და შესაბამისი განჩინება.

[420] იხ., მაგ., 2019 წლის 15 აგვისტოს N1441 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

რების სამართლებრივ შესაძლებლობას წარმოადგენს. ამ პროცესის შედეგად არსებული ნორმების ძალადაკარგულად ცნობა და ახალი ნორმების მიღების მოტივირება (სტიმულირება) კონსტიტუციის უპირობოდ დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება და ზუსტად იმის დემონსტრირებაა, რომ ხელისუფლების არც ერთი შტო არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს კონსტიტუციით გათვალისწინებული წესრიგის საწინააღმდეგო წესები."[421]

მიუხედავად ზემოთ დასახელებული ორგანოების ხელში არსებული ამ უმნიშვნელოვანესი ბერკეტისა, უნდა ითქვას, რომ მათი სასამართლოსადმი მიმართვიანობა ძალიან დაბალია. მეტიც, ამ სუბიექტთა უმრავლესობას საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთოდ არ მიუმართავს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით ძალზე მწირია[422] და შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი სარჩელების არარსებობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ნეიტრალური არბიტრისა და მათი უფლებამოსილებების კონსტიტუციის ფარგლებში განხორციელების მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციას ფაქტობრივად ვერ ასრულებს.

2.3.2. პირი, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა

საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსის გათვალისწინებით და მისი მნიშვნელოვანი ფუნქციების ეფექტურად და შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს თითოეული პარლამენტის წევრისათვის „მყარი კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიების შექმნის აუცილებლობას".[423] მეტიც,

---

[421] იხ., *mutatis mutandis*, იქვე, II-18. ამასთან, კონსტიტუციური სარჩელების ამგვარად დაყოფა არ გამორიცხავს იმ მოცემულობას, რომ ნებისმიერი ტიპის კონსტიტუციურ სარჩელს, მისი ბუნების მიუხედავად, აქვს პოტენციალი, ფართო გაგებით, გავლენა მოახდინოს ან გარკვეული ეფექტი ჰქონდეს პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვასა და გაუმჯობესებაზე, რადგან, საბოლოო ჯამში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფო.

[422] კომპეტენციური დავის თაობაზე იხ. მაგ., საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1711 და 2022 წლის 16 აგვისტოს N1723 კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ და სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტები; ასევე, 2015 წლის 22 სექტემბრის N668 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[423] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

კონსტიტუცია თავად განსაზღვრავს პარლამენტის წევრთა უფლებების დაცვის კონკრეტულ საშუალებებს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტია პირი, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა.[424] საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია ექსკლუზიურად და ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობაც იწვევს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას,[425] რითაც მინიმუმამდე ამცირებს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დისკრეციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ დრომდე, მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ისეთ საფუძვლებთან მიმართებით, როგორიცაა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის განხორციელება,[426] კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით პარლამენტის წევრის დამნაშავედ ცნობა[427] და მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით მორიგი სხდომების ნახევარზე მეტზე არდასწრება, რაც განპირობებული იყო პარლამენტის წევრის მუდმივი საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმში ყოფნით.[428]

განსახილველი კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტია არა მხოლოდ ის პირი, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა, არამედ ასევე პარლამენტის წევრი, რომელსაც პირადი განცხადებით პარლამენტისათვის უფლებამოსილების შეწყვეტით მიმართვის საფუძველზე (რომელიც, თავის მხრივ, პარლამენტის

---

[424] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

[425] საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[426] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[427] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[428] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს), პარლამენტმა უფლებამოსილება არ შეუწყვიტა.[429]

3. კონსტიტუციური სარჩელის სტრუქტურა

კონსტიტუციური სარჩელის შედგენისას მნიშვნელოვანია სასარჩელო სააპლიკაციო ფორმაში არსებული სტრუქტურის დაცვა იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იყოს სარჩელის რეგისტრაციისთვის და არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელი ყველა ფორმალური მოთხოვნა.

სასარჩელო სააპლიკაციო ფორმა ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1) ფორმალური ნაწილი; 2) კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება; 3) შუამდგომლობები და 4) თანდართული დოკუმენტები.

3.1. ფორმალური ნაწილი

ფორმალური ნაწილის შესაბამის სააპლიკაციო გრაფებში, როგორც წესი, მიეთითება:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
  მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელები, მისამართები და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე, მოპასუხის დასახელება და მისამართი. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციურ სარჩელში მოპასუხის არასწორად იდენტიფიცირება შესაძლოა გახდეს ამ სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე მხარის მითითება წარმოადგენს კანონით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნას. კონსტიტუციურ სარჩელში მოპასუხის მიუთითებლობა ან არასწორად მითითება განაპირობებს მის ფორმალურ შეუსაბამობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.[430] რეალურად, მოპასუხის იდენტიფიცირება საკმაოდ მარტივ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან,

---

[429] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის N3/5/1565/1568/1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელები.

[430] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/6/723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მერი ბიგვავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინააღმდეგ", II-1-3.

როგორც წესი, მოპასუხედ უნდა მიეთითოს ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმა, მოქმედებამ ან უმოქმედობამ, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია კონსტიტუციის დარღვევა.[431]

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, მოპასუხე შეიძლება იყოს არა უშუალოდ სადავო აქტის მიმღები/გამომცემი ორგანო/თანამდებობის პირი, არამედ, სხვა სუბიექტი. მაგალითად, თუ კონსტიტუციური სარჩელი ეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს, მოპასუხეა ამ აქტის მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო.[432] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლი ამა თუ იმ ტიპის სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტის განსაზღვრასთან ერთად ყოველთვის მიუთითებს პოტენციურ მოპასუხეთა ვინაობაზეც.

სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი. აღნიშნული რეკვიზიტები თავად სადავო სამართლებრივ აქტშია მითითებული;

სადავო ნორმატიული აქტი/გასაჩივრებული დებულება და საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო სამართლებრივი აქტი ან რომელთა დარღვევითაც იქნა მიღებული/გამოცემული, ხელმოწერილი, გამოქვეყნებული ან ამოქმედებული საქართველოს საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს პარლამენტის დადგენილება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფორმალური გამართულობის თვალსაზრისით, ამ კომპონენტში მოსარჩელეს ევალება მხოლოდ იმ სადავო ნორმისა და კონსტიტუციური დებულების ტექსტობრივად ზუსტად ფორმულირება, რომელზეც იგი კონსტიტუციურ სარჩელში საუბრობს. რაც შეეხება იმის გარკვევას, რამდენად სწორად შეძლო მოსარჩელემ უფლების მზღუდავი ნორმის იდენტიფიცირება ან კონსტიტუციის რელევანტური დებულების დასახელება, აღნიშნული საკითხების შეფასება ხდება სარჩელში კანონმდებლობის არა ფორმალური, არამედ შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვის შემოწმებისას, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობის ამ ფორმალური მოთხოვნის შეუსრულებლობა, შესაძლოა გახდეს კონ-

[431] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[432] იქვე, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

სტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე ვალდებულია „მიუთითოს იმ ნორმებზე, რომლებიც შინაარსობრივ შემხებლობაშია მოთხოვნის არსთან და აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ კომპეტენციასთან".[433] კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს განსახილველად არ მიიღება.[434]

3.2. კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

აღნიშნული ნაწილი წარმოადგენს კონსტიტუციური სარჩელის საკვანძო ნაწილს და მასში მიეთითება:

განმარტებები კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით – ამ გრაფაში მოსარჩელეს ევალება დაასაბუთოს, რომ იგი არის კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი და არ არსებობს კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად არმიღების „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძველი;

კონსტიტუციური სარჩელის არსი და დასაბუთება – აღნიშნულ გრაფაში მოსარჩელე ვალდებულია ჩამოაყალიბოს მოთხოვნის არსი, არგუმენტებით დაასაბუთოს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან მიმართებით და მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას.[435]

3.3. შუამდგომლობები

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმაში სპეციალურ გრაფებადაა გამოყოფილი ის შუამდგომლობები, რომ-

---

[433] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის N16/455 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ", II-6.

[434] კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის 31^1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

[435] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის N2/6/475 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

ლითაც, როგორც წესი, მოსარჩელეები ხშირად მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს. იმავდროულად, აღნიშნული შუამდგომლობების ცალკე გამოყოფის მიზანი საქმის განხილვის დაწყებამდე, მათ შესახებ მოსარჩელის პოზიციის გაგებაა, რაც მნიშვნელოვანია თავად სასამართლოსთვისაც, სხდომების კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართვისათვის. კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმაში სახელდებით გამოყოფილ შუამდგომლობებს განეკუთვნება შუამდგომლობა მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე; შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე; შუამდგომლობა პერსონალურ მონაცემთა დაფარვის თაობაზე; შუამდგომლობა/მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ.

შუამდგომლობების ნაწილში არსებობს ასევე გრაფა „სხვა შუამდგომლობები", სადაც მოსარჩელეს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი შემთხვევისგან განსხვავებული შუამდგომლობის თაობაზე. მოსარჩელეთა მიერ, ამ გრაფაში დაყენებულ შუამდგომლობებს შორის, აღსანიშნავია, მაგალითად, შუამდგომლობა საქმის პრიორიტეტულად განხილვის შესახებ,[436] შუამდგომლობა სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღების გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე,[437] ასევე შუამდგომლობა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ.[438] აღსანიშნავია ისიც, რომ მოსარჩელეთა მხრიდან შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა მათი სარჩელში მითითებით არ ამოიწურება და ეს უფლება ვრცელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე.[439]

3.4. თანდართული დოკუმენტები

კონსტიტუციური სარჩელის მეოთხე ნაწილი ეთმობა თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს. თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, მოსარჩელემ, კონ-

---

[436] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი. იხ., მაგ., 2021 წლის 24 ნოემბრის N1661 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „უზბეკეთის მოქალაქე ინომჯონ ბუვამირზაევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[437] იხ., 2013 წლის 17 სექტემბრის N563 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და შესაბამისი სასამართლო აქტები; 2021 წლის 16 დეკემბრის N1666 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N3/17/1583 განჩინება საქმეზე, „ირაკლი მაჭუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი.

[438] იხ., 2021 წლის 8 დეკემბრის N1664 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[439] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 27^1 მუხლის მე-6 პუნქტი, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი და 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სტიტუციურ სარჩელში უნდა მიუთითოს აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მისი აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ.[440] კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმა ორი სახის დანართებს ითვალისწინებს: კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დანართები და სხვა დანართები, სადაც მოსარჩელე უთითებს, სავალდებულო დანართების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციურ სარჩელთან ერთად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის დასახელებას და მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმის დასკვნით გრაფებში მიეთითება მოსარჩელის ხელმოწერა, ხელმოწერის ავტორი და კონსტიტუციური სარჩელის შედგენის თარიღი.

4. კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაცია

კონსტიტუციური სარჩელის დარეგისტრირება დამოკიდებულია სარჩელის ფორმალურ გამართულობაზე, რომელსაც ამოწმებს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტი.[441] რეგისტრაციის ეტაპზე, ცხადია, არ მონმდება სარჩელის შინაარსობრივი მხარე, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის შინაარსობრივი ნაწილის შეფასება წარმოადგენს უშუალოდ სასამართლოს კომპეტენციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტი კონსტიტუციური სარჩელის შეტანიდან სამი დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი მასალების ფორმალურ შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. აღნიშნული შემოწმება შესაძლოა დასრულდეს სამი შედეგით:

- კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციით – თუ შემოწმების შედეგად საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ სარჩელში ფორმალური უზუსტობები არ აღმოჩნდება ან რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ სამდღიან ვადაში არსებული უზუსტობები გამოსწორდება მოსარჩელესთან კომუნიკაციის შედეგად;

  კონსტიტუციური სარჩელის პირობითი რეგისტრაციით – იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციურ სარჩელში აღმოჩნდება ისეთი ფორმალური უზუსტობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია სარჩელის არსებითად შეცვლის გარეშე, თუმცა სარჩელის შეტანიდან რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ სამი დღის ვადაში მოსარჩელე ხარვეზს არ გამოასწორებს, საორგანიზაციო დეპარტამენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით, არეგისტრირებს კონსტიტუციურ

---

440 იქვე, 31[1] მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

441 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-12 მუხლი.

სარჩელს და მოსარჩელეს განუსაზღვრავს 15 დღიან ვადას არსებული ფორმალური უზუსტობის აღმოსაფხვრელად. თუ 15 დღის ვადაში ფორმალური უზუსტობა არ გამოსწორდა, საორგანიზაციო დეპარტამენტი აუქმებს სარჩელის რეგისტრაციას;

კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმით – თუ კონსტიტუციურ სარჩელში აღმოჩნდება ფორმალური უზუსტობა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია სარჩელის არსებითად შეცვლის გარეშე, საორგანიზაციო დეპარტამენტი არ დაარეგისტრირებს კონსტიტუციურ სარჩელს, რის შესახებაც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

პრაქტიკაში, ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო დეპარტამენტი მოსარჩელე მხარეს უკავშირდება სარჩელის სააპლიკაციო ფორმის ნებისმიერი ველის შეუვსებლობის ან არასწორად შევსების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელს არ ერთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტები ან, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებული თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი არ ემთხვევა კონსტიტუციურ სარჩელთან ერთად რეალურად წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციისას, საყურადღებოა, აგრეთვე, კონსტიტუციური სარჩელის ხელმოწერის საკითხი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საერთო სასამართლოებში შეტანილი სარჩელისაგან განსხვავებით, კონსტიტუციურ სარჩელს აუცილებლად ხელს უნდა აწერდეს მოსარჩელე და არა მისი წარმომადგენელი. ამ მოთხოვნის დაუცველად, სარჩელის ფორმა არ იქნება სრულყოფილი".[442] მეტიც, პრაქტიკაში, თუკი კონსტიტუციური სარჩელის ავტორი ფიზიკური პირია, ხოლო სარჩელს ხელს აწერს მისი წარმომადგენელი, ხსენებული უზუსტობა მიიჩნევა ფორმალური მოთხოვნების არსებით დარღვევად და წარმოადგენს საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს, მოსარჩელისათვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოსარჩელე იურიდიულ პირთან მიმართებაში, მსგავსი შემთხვევა (კონსტიტუციური სარჩელის ხელმოწერა არა მოსარჩელის, არამედ მისი წარმომადგენლის მიერ) არ არის სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამარ-

[442] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

თლოს განმარტებით, მოსარჩელე ფიზიკური და იურიდიული პირები ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს.[443]

კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საორგანიზაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანთან, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი მიმართვიდან 15 დღის ვადაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.[444]

4.1. კონსტიტუციური სარჩელების განაწილება

რეგისტრირებულ სარჩელს, თანდართულ მასალებთან ერთად, საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი დაუყოვნებლივ წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რის შემდეგაც იწყება კონსტიტუციური სარჩელის განაწილება კოლეგიასა და პლენუმს შორის.[445]

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, კონსტიტუციური სარჩელის წარდგენიდან 7 დღის ვადაში, კოლეგიის განსჯად საქმეს რეზოლუციით გადასცემს ერთ-ერთ კოლეგიას, ხოლო თუ საქმე პლენუმის განსჯადია, გადასცემს პლენუმს და ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს.[446] კოლეგიებისა და პლენუმის მიერ განსჯადი საქმეების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ".[447] თავად კოლეგიებს შორის საქმეების გადანაწილება კი ხდება რიგითობის წესის დაცვით.[448] ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საქმეს, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ისე კოლეგიის განსჯად საკითხებს, განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.[449]

---

[443] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1623 განჩინება საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[444] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^2 მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

[445] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

[446] იქვე, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

[447] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[448] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

[449] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

კოლეგიებს შორის, ან კოლეგიასა და პლენუმს შორის საქმეების გადანაწილების საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. კერძოდ, თუ რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი იმავე შინაარსისაა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიისთვის/პლენუმისათვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქმეების განაწილების ეტაპზე, ეს კონსტიტუციური სარჩელი ერთ წარმოებად გასაერთიანებლად, განსახილველად გადასცეს შესაბამის კოლეგიას/პლენუმს.[450]

თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შემოსული კონსტიტუციური სარჩელის დადგენილი წესით საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის განაწილებისას მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, იგი მისთვის კონსტიტუციური სარჩელის გადაცემიდან 7 დღის ვადაში მიმართავს პლენუმს წერილობით დასაბუთებული წინადადებით, საქმის პლენუმის მიერ განხილვის შესახებ.[451] აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს კოლეგიის განსახილველი საქმის პლენუმისათვის გადაცემის შესაძლებლობას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან კოლეგიის შუამდგომლობით იმ საფუძვლით, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული

---

[450] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები. ასეთი შემთხვევა, კოლეგიებთან მიმართებით, დაფიქსირდა, მაგალითად, 2019 წლის 11 დეკემბრის N1466 კონსტიტუციურ სარჩელზე, კერძოდ, ვინაიდან აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანი იყო მეორე კოლეგიისათვის უკვე გადაცემული 2019 წლის პირველი აგვისტოს N1434 კონსტიტუციური სარჩელის დავის საგნის მსგავსი და იმავდროულად, ეს სარჩელები სამართლებრივად არსებითად უკავშირდებოდა ერთსა და იმავე საკითხს, N1466 კონსტიტუციური სარჩელი, რიგითობის წესის დაცვის გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის რეზოლუციით, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას. პლენუმთან მიმართებით, მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგალითად, 2018 წლის 10 მაისის N1315 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც განაწილების დროს განსახილველად გადაეცა პლენუმს, ვინაიდან გადასაწყვეტი საკითხი ემთხვეოდა კოლეგიის მიერ 2016 წლის 15 აპრილის N2-3/1/648 განჩინებით პლენუმისათვის მანამდე გადაცემულ 2015 წლის 8 მაისის N648 კონსტიტუციურ სარჩელში გადასაწყვეტ საკითხს.

[451] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის N3/1-3/1524 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", I-11, II-12.

სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

4.2. მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებსა და პლენუმს შორის კონსტიტუციური სარჩელის განაწილების შემდეგ საქმეზე ინიშნება მომხსენებელი მოსამართლე. მომხსენებელი მოსამართლე საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმდინარეობისას აღჭურვილია მნიშვნელოვანი ფუნქციებით. კერძოდ, იგი ხელმძღვანელობს საქმის განსახილველად მომზადების პროცესს.[452] მასვე ევალება განმწესრიგებელი სხდომის დოკუმენტის პროექტის, ისევე როგორც გადაწყვეტილების/დასკვნის პროექტის მომზადება და შესაბამისი კოლეგიისათვის/პლენუმისათვის წარდგენა.[453]

მომხსენებელი მოსამართლე შეირჩევა ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის საშუალებით,[454] რომელიც კოლეგიის/პლენუმის საქმეებზე მომხსენებლად შეარჩევს სასამართლოს წევრს ანბანური თანმიმდევრობით.[455] ავტომატური სისტემის მიერ შერჩეული კანდიდატი მომხსენებელ მოსამართლედ ინიშნება რეზოლუციის მიღებით. თუ საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, რეზოლუციას იღებს და, შესაბამისად, მომხსენებელ მოსამართლეს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო, კოლეგიის შემთხვევაში – შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე.[456]

მომხსენებელი მოსამართლის ანბანური თანმიმდევრობით შერჩევის წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, პლენუმის/კოლეგიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მომხსენებლად დანიშნოს ავტომატური სისტემის მიერ შეთავაზებული წევრისგან განსხვავებული წევრი იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური სარჩელი იმავე შინაარსისაა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისათვის/კოლეგიისათვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი და მიზანშეწონილია ხსენებულ სარჩელებზე მომხსენებლად ერთი და იმავე მოსამართლის დანიშვნა.[457]

---

452 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

453 იქვე, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

454 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[2] მუხლის მე-6 პუნქტი.

455 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

456 იქვე, მე-2 პუნქტი.

457 იქვე, მე-3 პუნქტი. მსგავსი საფუძვლით მოხდა მომხსენებელი მოსამართლის დანიშ-

გარდა მომხსენებელი მოსამართლის ავტომატური შერჩევის წესიდან არსებული გამონაკლისისა, საკონსტიტუციო სამართალწარმოება ასევე იცნობს შემთხვევებს, როდესაც ხდება მომხსენებელი მოსამართლის შეცვლა.[458] მომხსენებელი მოსამართლე შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ:

> საქმის განხილვას (მის რომელიმე ეტაპს) ან გადაწყვეტას ჩამოცილდა წევრი, რომელიც დანიშნული იყო მომხსენებელ მოსამართლედ. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, რომელიც მომხსენებელ მოსამართლედაა დანიშნული კონკრეტულ საქმეზე, ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება ან უფლებამოსილების ვადა ამოეწურება; მოხდება მისი გადანიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო საქმე განიხილება კოლეგიის მიერ ან როდესაც სასამართლოს კოლეგიების გადახალისების შედეგად მომხსენებელი მოსამართლე შეიცვლის კოლეგიას. მსგავსი შემთხვევა შესაძლოა დაფიქსირდეს ასევე, როდესაც პლენუმი საქმეს განსახილველად გადასცემს კოლეგიას.[459]
>
> პლენუმის/კოლეგიის საოქმო ჩანაწერით მოხდა სხვადასხვა საქმეების ერთ საქმედ გაერთიანება და მათზე მომხსენებელ მოსამართლედ დანიშნული იყვნენ სასამართლოს სხვადასხვა წევრები. ასეთ შემთხვევაში ერთ საქმედ გაერთიანებულ ყველა კონსტიტუციურ სარჩელზე მომხსენებელ მოსამართლედ ინიშნება ის წევრი, რომელიც დანიშნული იყო მომხსენებელ მოსამართლედ ყველაზე ადრე რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე.[460]

ვნა 2019 წლის 7 მაისის N1421 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც იმეორებდა 2018 წლის 4 დეკემბრის N1376 კონსტიტუციური სარჩელის დავის საგანს. მაშასადამე, N1421 კონსტიტუციური სარჩელის განანილების შემდეგ საქმეზე, მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, რომელიც უკვე იყო დანიშნული მომხსენებელ მოსამართლედ N1376 კონსტიტუციურ სარჩელზე.

[458] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი.

[459] შეად., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/8/1288 და 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1288 განჩინებები საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[460] ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა მაგ., 2018 წლის 9 ოქტომბრის N1355 და 2019 წლის 23 იანვრის N1389 კონსტიტუციური სარჩელების გაერთიანებისას. კერძოდ, გაერთიანებული სარჩელების მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა N1355 კონსტიტუციურ სარჩელზე დანიშნული მომხსენებელი მოსამართლე, ვინაიდან ეს სარჩელი, N1389 კონსტიტუციურ სარჩელთან შედარებით, უფრო ადრე იყო რეგისტრირებული.

5. კონსტიტუციური სარჩელის მოპასუხისათვის გაგზავნა და გამოქვეყნება

მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის შემდეგ კონსტიტუციური სარჩელი, საქმის მასალებთან ერთად, ელექტრონული ფორმით ეგზავნება მოპასუხე მხარეს.[461] რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი იტვირთება საკონსტიტუციო სამართალწარმოების ელექტრონულ სისტემაში და ქვეყნდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. კონსტიტუციური სარჩელის გამოქვეყნება ხდება მოსარჩელე მხარის პერსონალურ მონაცემთა განუხრელი დაცვით.[462] არსებობს ასევე გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სახეზეა „პირის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მომეტებული ინტერესი," თუ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ინტიმური დეტალის შესახებ, იზრდება მსგავსი „ინფორმაციის დაცვის ხარისხი და საჭიროება", რაც შესაძლოა გახდეს გამოქვეყნებულ კონსტიტუციურ სარჩელში, მოსარჩელის მაიდენტიფიცირებელი და პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების სრულად დაფარვის საფუძველი.[463] ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დოკუმენტები, მათ შორის, კონსტიტუციური სარჩელი ქვეყნდება იმგვარი ფორმით, რომ არ გამჟღავნდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული შესაბამისი ინფორმაცია.[464]

კონსტიტუციური სარჩელის საორგანიზაციო დეპარტამენტისთვის ჩაბარებიდან მის განაწილებამდე პერიოდში პერსონალური/პირადი ცხოვრების

---

[461] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

[462] ამ მიზნით, სარჩელის გამოსაქვეყნებელ ვერსიაში მიეთითება მხოლოდ მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის სახელი და გვარი (დასახელება), ხოლო იშლება ისეთი პირადი მონაცემები, როგორიცაა: მოსარჩელის პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, მოქალაქეობა, რეგისტრაციის ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

[463] იხ., *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-56-57; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29-33.

[464] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი. იხ., მაგ., 2018 წლის 3 ოქტომბრის N1354 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1/1743 განჩინება საქმეზე, „ა.დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და 2022 წლის 2 ნოემბრის N1743 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ა.დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. კონსტიტუციური სარჩელის განაწილების შემდეგ, სამართალწარმოების დასრულებამდე პერსონალური/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო.[485]

[485] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თავი V. კონსტიტუციური წარდგინება

1. კონსტიტუციური წარდგინების არსი და დანიშნულება

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების[466] განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებაში. კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებისა და დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმია.[467] იგი არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენების პრევენციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია,[468] რომელიც მიზნად ისახავს საერთო სასამართლოებში არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე საქმის გადაწყვეტის თავიდან არიდებას.[469]

საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა საკონსტიტუციო კონტროლის იმ სახეს განეკუთვნება, რომელსაც ნორმათა კონკრეტული კონტროლის სახელწოდებით მოიხსენიებენ.[470] იგი დაკავშირებულია კონკრეტულ საქმესთან, რომლის გადა-

---

[466] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის რამდენიმე შემთხვევას ითვალისწინებს. წინამდებარე თავში განხილული იქნება მხოლოდ საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებების ძირითადი თავისებურებები.

[467] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-11.

[468] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავასა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017.

[469] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/7/1286 განჩინება საქმეზე, „აკაკი წერეთელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

[470] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 206.

წყვეტისთვისაც მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ საერთო სასამართლოს წარმოებაშია აღნიშნული საქმე.[471] კონსტიტუციური წარდგინება საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციის დაცულობა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტებისგან.[472] ამავდროულად, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის განვითარება ხელს უწყობს თვითკონტროლის ზრდას საერთო სასამართლოების სისტემაში და მართლმსაჯულების განმტკიცებას, რის გამოც, ამ ინსტიტუტის გავლენა უმნიშვნელოვანესია კანონის უზენაესობის, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის.

კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებაში საერთო სასამართლოების ინტეგრაციას განაპირობებს.[473] მიუხედავად ამისა, იგი ძირითადი უფლებების დაცვის ირიბი ფორმაა.[474] კონსტიტუციური წარდგინება უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას ნორმატიული კონტროლის განხორციელებისას, თუმცა ფაკულტატურად, საერთო სასამართლოს მოსამართლის (მოსამართლეთა) ინიციატივის საფუძველზე.[475] კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიმარტება როგორც კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმი, საერთო სასამართლოები კი ისევე არიან შებოჭილი კონსტიტუციური წესრიგით, მისი ღირებულებების დაცვისა და ერთგულების ვალდებულებით,[476] როგორც სხვა პირები და ორგანოები.

---

[471] იხ., იქვე.

[472] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 86.

[473] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავასა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 99.

[474] კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, რედ. ავ. დემეტრაშვილი, თბილისი, 2005, 461.

[475] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 86.

[476] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-11.

კონსტიტუციური წარდგინება საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმაა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კი ერთადერთი, რაც საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმანეთთან აკავშირებს, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტია.[477] საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის უმთავრესი მისია კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფაა, საკუთარი გადაწყვეტილებით ბოჭავს საერთო სასამართლოებს, რითაც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესში საკონსტიტუციო პრინციპების დანერგვას. თავის მხრივ, საერთო სასამართლოებიც ჩართულნი არიან კონსტიტუციური კანონიერების დაცვის პროცესში, რითაც სამართლებრივი დიალოგი ყალიბდება ამ ორგანოებს შორის.[478] საერთო სასამართლოები ნორმათა კონკრეტული კონტროლის ფარგლებში მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე, რომლის საფუძველზეც კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.[479]

კონსტიტუციური წარდგინება, როგორც კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი საპროცესო საშუალება, ევროპული სამართლის წიაღში ჩამოყალიბდა.[480] ამ ინსტიტუტის დამკვიდრება ესპანეთში განაპირობა იმ მოსაზრებამ, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეებს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ კონსტიტუციის დაცვის საკითხში, მიმდინარე კანონების კონსტიტუციურობის თაობაზე, საკითხის აღძვრის თვალსაზრისით.[481] ამ ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი ეკავა გერმანიაშიც და დღესაც, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში Richtervorlage ერთ-ერთი გავრცელებული სამართალწარმოების საფუძველია,[482] თუმცა აღნიშნული გარემოება, ბოლო პერიოდში სულ უფრო იცვლება, რისი მიზეზიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ „საკონსტიტუციო ცნობიერების ამაღლება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

---

477 ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 188.

478 დავითური გ., დავითაშვილი გ., საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 25-27.

479 ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 50.

480 ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 84.

481 Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, Vol. 3, No. 2. 2008, 29.

482 Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997, 37.

ინდივიდთა მიმართვის ფართო შესაძლებლობის არსებობაა."[483] მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა მიერ გამოსაყენებელი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგენა საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული სისტემის მახასიათებელია, რომელიც კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.[484] საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების განხილვის უფლებამოსილებით საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მიღებისთანავე აღიჭურვა, რითაც განისაზღვრა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობის ბუნებაც. მართალია, კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების პრაქტიკა არც ისე მდიდარია,[485] თუმცა საინტერესო და მრავალფეროვანი ასპექტებით ხასიათდება იმ საკითხთა წრე, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს საერთო სასამართლოებმა.[486]

კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ნორმატიული მოწესრიგების თავისებურებებზე მსჯელობისას, მისი რეალიზების სამ მთავარ წინაპირობას გამოყოფენ: ა) კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საქმე თავად საერთო სასამართლოს განხილვაშია; ბ) კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება კონკრეტული საერთო სასამართლოს სახელით; გ) კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას საერთო სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.[487] კონსტიტუციური წარდგინების აღნიშნული ელემენტების გარდა, პრაქტიკაში შესაძლებელია გამოიყოს საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებისათვის დამახასიათებელი სხვა რამდენიმე ნიშანიც, რომელთა არსი განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას.

---

[483] იხ., იქვე, 36.

[484] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2022, 10.

[485] დავითური გ., დავითაშვილი გ., საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021.

[486] აღსანიშნავია, საკონსტიტუციო სასამართლოში წარსულში გასაჩივრებულა საერთო სასამართლოების უფლებამოსილება კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ. იხ., ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 634-635.

[487] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 205.

2. კონსტიტუციური წარდგინების ნორმატიული თავისებურებები

საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ორგანული კანონები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" და „საერთო სასამართლოების შესახებ". საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც, მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.[488]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი უფრო კონკრეტულ მოწესრიგებას განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.[489] არსებითად იდენტური ნორმაა მოცემული „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში, რაც იმით აიხსნება, რომ იგი არამხოლოდ განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, არამედ ადგენს საერთო სასამართლოების უფლებასაც, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.[490]

კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის

---

[488] საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

[489] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

[490] აღნიშნული ნორმის შინაარსი პრობლემურია პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან რთულად წარმოსადგენია პრაქტიკაში არსებობდეს ნორმატიული აქტი, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას და საკონსტიტუციო სასამართლო მასზე კონტროლს ვერ ახორციელებდეს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, აღნიშნული დებულება კი ერთგვარად საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე მიუთითებს. იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 51.

მე-4 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.[491] აღნიშნული საკანონმდებლო საფუძვლები მიზნად ისახავს ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებას და კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონიერების პრინციპების საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების პროცესში დანერგვას.

2.1. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. თუმცა ტერმინის – „საერთო სასამართლო" ცნებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ ვის აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება – მოსამართლეს, ინდივიდუალურად, თუ საერთო სასამართლოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების ორგანოს.

საერთო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში დადგენილი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ სასამართლოს, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემის ნაწილია. ამდენად, აღნიშნული საპროცესო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა შეუზღუდავად გააჩნია ნებისმიერი ინსტანციის საერთო სასამართლოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციურ წარდგინებას, რომელიც იმ საერთო სასამართლოს მიერ შეიტანება, სადაც მართლმსაჯულება ინდივიდუალურად ერთი მოსამართლის მიერ ხორციელდება, ხელს ანერს სწორედ აღნიშნული მოსამართლე. თუმცა კონსტიტუციური წარდგინების ავტორად მიიჩნევა არა თავად მოსამართლე, არამედ სასამართლო, რომლის მოსამართლეცაა აღნიშნული პირი.[492] რაც შეეხება იმ საერთო სასამართლოებს, სადაც მართლმსაჯულება მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის მიერ ხორციელდება, კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება, კოლეგიურად, აღნიშნულ მოსამართლეთა ხელმოწერით.[493]

---

[491] იხ., იქვე, 52.

[492] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 210.

[493] აღნიშნული განპირობებულია როგორც საკანონმდებლო ჩანაწერით (სასამართლო

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა შესაძლებელია როგორც თავად საერთო სასამართლოს ინიციატივით, აგრეთვე არ გამოირიცხება მხარის უფლება, შესთავაზოს სასამართლოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საერთო სასამართლო არ იბოჭება მხარის შუამდგომლობით. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თავად სასამართლოს ჩამოუყალიბდეს ვარაუდი გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რისი წინაპირობაც სწორედ მხარის მიმართვა შეიძლება იყოს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საერთო სასამართლოს გააჩნია კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთების ვალდებულება.

2.2. კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა – უფლება თუ ვალდებულება?

ნორმის საკანონმდებლო მოწესრიგების შესაბამისად, გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით სასამართლო (საერთო სასამართლო) შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული ნორმა სვამს ერთ პრობლემურ საკითხს: საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა მოსამართლის უფლებაა თუ ვალდებულება? კერძოდ, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი და მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია აკისრებს თუ არა საერთო სასამართლოს მოსამართლეს ვალდებულებას, თუ გამოსაყენებელ ნორმასთან მიმართებით გაუჩნდება ეჭვი, აუცილებლად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა საერთო სასამართლოს მოვალეობად უნდა იქნეს განხილული თუ ამას სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარე მოითხოვს.[494] სხვა მოსაზრებით, კი, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსადმი მიმართვა ნებისმიერი სუბიექტის უფლებაა და არა ვალდებულება, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვაც საერთო სასამართლოს უფლებად უნდა განიმარტოს, როდესაც იგი დარწმუნდება, რომ მის მიერ გამოსაყენებელი ნორმა სავარაუდოდ არაკონსტიტუციურია.[495] ზოგიერთი ავტორი კი გერმანიის მაგალითზე მიიჩნევს, რომ „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნებისმი-

მიმართავს), ისე ლოგიკური არგუმენტით – თუ კოლეგია ვერ შეთანხმდა მიმართვაზე, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა ვერ მოხდება.

494 ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2000, 213.

495 ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 64-65.

ერი სასამართლო ორგანო უფლებამოსილია და ვალდებულია შეამოწმოს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[496]

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება, რომლის შესაბამისადაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია არა ნორმის აბსტრაქტული, ზოგადი არგუმენტებით განმარტება, არამედ თავად მოსამართლის დამოკიდებულება გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობასთან მიმართებით: „იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მივა დასკვნამდე, რომ ნორმა, რომელიც უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმის გამოყენება განეკუთვნება არა მის უფლებამოსილებას, არამედ ვალდებულებას."[497] მისივე განმარტებით, კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მოსამართლის მიერ მიმართვის ვალდებულებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც „მოსამართლეს გააჩნია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საქმის განხილვისას გამოსაყენებელი კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებში მოსამართლემ არ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეში გამოსაყენებელი ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების თაობაზე, ივარაუდება, რომ მას არ გასჩენია საფუძვლიანი ვარაუდი ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ."[498]

საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გამიჯნულია საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები, თუმცა როგორც საერთო სასამართლოების, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი ემსახურება კონსტიტუციის უზენაესობის იდეის პრაქტიკულ და რეალურ უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს კონსტიტუციისა და მასში ასახული ღირებულებების განმარტებას, გამოყენებასა და დაცვას.[499] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კი ნორმის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც მოსამართლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ვალდებულებას აწესებს განსაზღვრულ პირობებში „გამომდინარეობს თავად

---

[496] ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 32.

[497] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/7/1286 განჩინება საქმეზე, „აკაკი ნერეთელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-15.

[498] იქვე, II-16.

[499] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-10.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპიდან და კონსტიტუციით დადგენილი სასამართლო ხელისუფლების არქიტექტურიდან, რომელიც განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელია საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებისა – საერთო სასამართლოები.[500]

2.3. მოთხოვნის არსი

საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება იმ ნორმატიული აქტების[501] კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას უნდა იქნეს გამოყენებული. ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლის ქვეშ ექცევა მხოლოდ ნორმატიული აქტები. აღსანიშნავია, რომ დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, საკონსტიტუციო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა მხოლოდ კანონები და საკანონმდებლო აქტები, ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე კონტროლი განეხორციელებინათ საერთო სასამართლოებს.[502] თუმცა ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული კანონმდებლის მიერ და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ყველა ნორმატიული აქტზე გავრცელდა. მეტიც, აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში მოექცა არამხოლოდ ნორმატიული აქტები, არამედ ინდივიდუალური აქტებიც, რომელთაც ნორმატიული შინაარსი გააჩნია.[503] სავარაუდოა, რომ ამ

---

[500] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/7/1286 განჩინება საქმეზე, „აკაკი წერეთელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-15.

[501] საქართველოს კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი კონსტიტუციური წარდგინების შეტანას ითვალისწინებენ „ნორმატიული აქტების" თაობაზე, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში კონტროლის ობიექტად მითითებულია „კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი".

[502] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 83.

[503] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის N1/7/436 განჩინება საქმეზე, „შპს „კავკასუს ონლაინი" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „შპს კასტელ ჯორჯია" და სს „წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/4/1691 განჩინება საქმეზე, „გიორგი გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ".

ტიპის ინდივიდუალური აქტების კონსტიტუციურობის შეფასების საკითხი საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების მეშვეობითაც შეიძლება დადგეს საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგში.

საერთო სასამართლო უფლებამოსილია, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ საქმის გადაწყვეტისას გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლეს (მოსამართლეებს) უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწყებული აქვთ კონკრეტული საქმის განხილვა. საპირისპირო შემთხვევაში – როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში მითითებულ ნორმაზე გადაწყვეტილების მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვაზე, საერთო სასამართლომ არ უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აუცილებელია ნორმატიულ აქტს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის გადაწყვეტისათვის, ანუ არსებობდეს ვარაუდი, რომ საეჭვო ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში საერთო სასამართლო სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა საქმეზე.[504] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ წარდგინებას არ მიიღებს წარმოებაში, თუ მასში მითითებული სადავოდ გამხდარი ნორმა არ წარმოადგენს გამოსაყენებელ სამართალს საერთო სასამართლოში მიმდინარე საქმეზე.[505]

2.4. საქმის განხილვის შეჩერება

საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა განაპირობებს საერთო სასამართლოში საქმის განხილვის შეჩერებას. უფრო ზუსტად, საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვისას საქმის განხილვის შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონ-

---

[504] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 2013.

[505] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N3/2/1520 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[63], 21[64], 21[65] მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ საკითხის შუამდგომლობის სახით განხილვას", II-17; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-10.

სტიტუციური წარდგინების წარმოებაში მიღების წინაპირობაა. აღნიშნული მიდგომა ლოგიკურია და გამომდინარეობს საერთო სასამართლოების მიერ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენების პრევენციით. გარდა ამისა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმა ითვალისწინებს საერთო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლოს აქტის კონსტიტუციური წარდგინებისადმი დართვის ვალდებულებას.[506]

საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვისას საქმის განხილვა ჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუმცა დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საერთო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა, თუ კონსტიტუციური წარდგინებით არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმა აღარ წარმოადგენს შეჩერებულ საქმეზე გამოსაყენებელ კანონს.[507] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე კონსტიტუციურ კონტროლს დაქვემდებარებული ნორმა, ვითარებისა და გარემოებების შეცვლის გამო, აღარ წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელ კანონს, ამ საქმეზე კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ვადით საერთო სასამართლოში სამართალწარმოების შეჩერების ინტერესი, უბრალოდ, ქრება, აღარ არსებობს, რის გამოც, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საერთო სასამართლოში შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შეუძლებლობა – თვითმიზნურ ხასიათს იღებს, აღარ ემსახურება ლეგიტიმური მიზნების მიღწევას და გაუმართლებლად არღვევს საქმის დროული განხილვისა და გადაწყვეტის უფლებას."[508]

მნიშვნელოვანია განისაზღვროს ზღვარი საერთო სასამართლოს მიერ საკითხის კონსტიტუციის შესაბამისად განხილვა/გადაწყვეტასა და შეჩერება/საკონსტიტუციო სასამართოსათვის მიმართვის ალტერნატივებს შორის. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ საერთო სასამართლოებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ისარგებლონ კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედებით და კონკრეტული საკითხის

---

[506] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მე-14 პუნქტი.

[507] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-20, II-21.

[508] იხ., იქვე.

გადასაწყვეტად მისი ნორმების გამოყენების შესაძლებლობით, თუ არ არსებობს სადავო საკითხის მომწესრიგებელი ნორმა, ხოლო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა ისეა ფორმულირებული, რომ მისი შეფარდება პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია.[509] თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით კი, თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.[510] თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე რთულია შემთხვევის განსაზღვრა, როცა ნორმა არ შეესაბამება კონსტიტუციას, თუმცა მისი განხილვა არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კონპეტენციას.

3. კონსტიტუციური წარდგინების სტრუქტურა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, კონსტიტუციური წარდგინების რეკვიზიტებს მიეკუთვნება: ა) საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება; ბ) კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს და მოსამართლის/სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა დასახელება და მისამართები; გ) ნორმატიული აქტის დასახელება, რომლის კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი, ხოლო თუ ეს აქტი საერთაშორისო ხელშეკრულებაა – მისი ხელმომწერის დასახელება და ხელმოწერის თარიღი; დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს ნორმატიული აქტი; ე) მტკიცებულებანი, რომლებიც, წარდგინების შემტანი სასამართლოს აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას; ვ) საქართველოს კონსტიტუციის და ამ კანონის დებულებანი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების შემტან სასამართლოს აძლევს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას; ზ) კონსტიტუციური წარდგინებისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი.

---

[509] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 57-58.

[510] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/7/1286 განჩინება საქმეზე, „აკაკი წერეთელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12.

აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მტკიცდება კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმა,[511] რომელიც 4 ძირითადი ნაწილისგან შედგება:

- ფორმალური ნაწილი – კონსტიტუციური წარდგინების პირველი ნაწილია, რომელშიც მითითებულია კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია. კონსტიტუციური წარდგინების ეს ნაწილი მოიცავს ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, მის მისამართსა და ტელეფონის ნომერს; ინფორმაციას წარდგინების შემტანი მოსამართლის ან სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ (მოსამართლის/მოსამართლეების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და მისამართი); ნორმატიული აქტ(ებ)ის დასახელებას, რომელთა კონსტიტუციურობის დადგენასაც ითხოვს საერთო სასამართლო. აქტ(ებ)ის მიღების/გამოცემის დასახელებას და მიღების/გამოცემის თარიღს; ნორმის/ნორმების მოქმედ რედაქციას, აგრეთვე, კონსტიტუციურ დებულებას/დებულებებს, რომლებთან მიმართებითაც მოთხოვნილია ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება; საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველია;

  კონსტიტუციური წარდგინების არსი და დასაბუთება. კონსტიტუციური წარდგინების ამ ნაწილში მიეთითება განმარტებები კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით,[512] ასევე, წარდგინების არსი და დასაბუთება;

  შუამდგომლობები (მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ შუამდგომლობას);

  თანდართული დოკუმენტები. კონსტიტუციური წარდგინების ეს ნაწილი მოიცავს სხვა, მათ შორის, შემდეგ სავალდებულო დანართებს: ნორმატიული აქტის ტექსტი, რომლის კონსტიტუციურობის შემოწმებაც მოთხოვნილია კონსტიტუციური წარდგინებით; სასამართლოს აქტი საქმის განხილვის შეჩერების შესახებ; კონსტიტუციური წარდგინების ელექტრონული ვერსია.

კონსტიტუციური წარდგინების ბოლოს მიეთითება მისი ავტორის/ავტორების ხელმოწერა და ხელმოწერის თარიღი.

---

[511] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[512] კონსტიტუციური წარდგინების შემტანმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კონსტიტუციურის წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძვლების არარსებობა.

4. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთების სტანდარტი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. მასში მოყვანილი უნდა იყოს ის მტკიცებულებები, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას. სხვა მტკიცებულებებთან ერთად კონსტიტუციურ წარდგინებაში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები.[513] საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებების დასაბუთების სტანდარტის შეფასებისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი, რომელიც ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი ბუნებისა და განხილვის თავისებურების განმატების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება, სადაც მსჯელობის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს არ თმევდა შესაძლებლობას, გასცდენოდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს მაშინ, როდესაც ამას მოითხოვდა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენებისა და ორმაგი მსჯავრდების აკრძალვის საკონსტიტუციო პრინციპები.[514] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რამდენადაც საერთო სასამართლოები კონსტიტუციური წარდგინების ფარგლებში მოქმედებენ საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით და არ წარმოადგენენ პროცესის დამოუკიდებელ მხარეებს, მათ არ გააჩნიათ საკუთარი ინტერესები. მათი მიზანი სამართალწარმოების მონაწილე პირებისა და ინსტიტუტების კონსტიტუციური გარანტიების დაცვაა.[515] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ თვალსაზრისით არსებითად გამიჯნა კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი კონსტიტუციური სარჩელისგან, რომლის განხილვისას ერთმანეთს უპირისპირდება მხარეთა ინტერესები.

---

[513] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[514] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[515] იხ., იქვე, II-6.

ამავე გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობისა და მისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით შეცვალა მანამდელი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღებოდა, თუ სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი ვერ იქნებოდა განხილული წარდგინების ავტორის მიერ დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით.[516] კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური წარდგინების შემტან სასამართლოს აკისრია კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთების და, შესაბამისად, კონსტიტუციური საფუძვლების დამოუკიდებლად განსაზღვრის ვალდებულება, რომელთან მიმართებითაც შესაბამისი ნორმა უნდა შემოწმდეს, საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა წარდგინებაში მითითებული კონსტიტუციური ნორმა და დასაბუთების ახალ სტანდარტს ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის (მაშინდელი რედაქციის) მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად (როგორც ეს კონსტიტუციურ წარდგინებაში იყო მითითებული), საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით.[517]

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, საკმარისია წარდგინებაში იკვეთებოდეს კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც წარდგინე-

[516] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე, „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის N2/88/1 განჩინება საქმეზე, „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება".

[517] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-9; დამატ., იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

ბის ავტორს სურს. საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს წარდგინების ავტორის მოსაზრებით, თუ რა შეუსაბამობას იწვევს კონსტიტუციასთან სადავო ნორმატიული აქტის გამოყენება, თუმცა იგი ვერ უგულებელყოფს წარდგინებაში დასმულ პრობლემას, კონსტიტუციური ნორმის არასწორად იდენტიფიკაციის ფორმალური მიზეზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობა კვლავ ეჭვქვეშ დადგება და რამდენადაც ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაა, ეს საერთო სასამართლოში საქმის გაჭიანურებას გამოიწვევს. აღნიშნული უფლების დარღვევის დამატებით რისკს შექმნის არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმეში, არამედ ყველა სამართალწარმოებაში, სადაც იმავე სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად იმავე ნორმის გამოყენების საჭიროება წარმოიქმნება, რამაც შესაძლოა წარდგინების ინსტიტუტი არსებითად არაეფექტური გახადოს.[518]

ამ გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა კანონის ვიწრო, ფორმალურ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს აკისრია იმ კონსტიტუციური ნორმის იდენტიფიცირების მოვალეობა, რომელთან შესაბამისობის შემოწმებაცაა საჭირო და მაღალი საკონსტიტუციო სტანდარტი დაადგინა უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი ღირებულებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით,[519] რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციურ წარდგინებაში სადავო ნორმასა და კონსტიტუციურ დებულებას შორის არასწორი შინაარსობრივი მიმართების გამოკვეთა კონსტიტუციური წარდგინების დაუშვებლად ცნობას არ განაპირობებს.

მოთხოვნის არსის განხილვის თავისებურების გათვალისწინებით ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციური წარდგინება შესაძლოა ითვალისწინებდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4^1 პუნქტის საფუძველზე, ე.წ. „გამარტივებული წარმოებით" საკონსტიტუციო სასამართლოსგან განმწესრიგებელ სხდომაზე „იმავე ნორმების" კონსტიტუციურობის შეფასებას, რაზეც მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამარ-

---

[518] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-7-8.

[519] ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავასა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 101.

თლოს განმარტებით, ვინაიდან „..შეუძლებელია, განმწესრიგებელი განხილვის ფორმატში დადგინდეს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხი. კონსტიტუციურობის საკითხი საჭიროებს ცალკე გამოკვლევას საქმის არსებითი განხილვის ფორმატში."[520] ამასთან, ვინაიდან შესაბამის სასამართლოს N1239, N1642 და N1674 კონსტიტუციური წარდგინებებით იდენტური მოთხოვნები ჰქონდა წარდგენილი,[521] საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული კონსტიტუციური წარდგინებები ერთ საქმედ გააერთიანა[522] და არაკონსტიტუციურად ცნო შესაბამისი ნორმა.[523]

---

[520] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N3/2/1642 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო."

[521] განსხვავება მხოლოდ გამომშრალი მარიხუანის ოდენობაში იყო. იხ., „ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის N1239 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 70 გრამამდე (მოცემულ შემთხვევაში 6,7 გრამი) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის" პირადი მოხმარების მიზნებისთვის საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის N1642 წარდგინება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის პირველი თებერვლის N1674 კონსტიტუციური წარდგინება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო".

[522] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N3/5/1674 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო", III-3.

[523] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/1/1239,1642,1674 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის, 6,7 გრამის და 9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო".

ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების წესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება[524] თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების თაობაზე.[525] კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული გამოსაყენებელი ნორმის შესაბამისად, დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე ყველა შემთხვევაში იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას, წარდგინებების ავტორთა მოსაზრებით კი სასამართლოს უნდა შეძლებოდა, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გადაეწყვიტა, საჭირო იყო თუ არა პირის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის ღონისძიების გამოყენება.

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა რამდენად წარმოადგენდა სადავო რეგულირება გამოძიებისთვის ხელშეშლის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა გირაოს გადახდის უზრუნველსაყოფად, გამონაკლის შემთხვევაში, პირის პატიმრობაში დატოვების ობიექტური საჭიროება.[526] თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო რეგულირებით, ცალკეულ შემთხვევებში, ინდივიდის ფიზიკური თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება თვითნებურად იზღუდებოდა, რამდენადაც მის საფუძველზე პირი თავისუფლების აღკვეთის/საპატიმრო დაწესებულებაში განაგრძობდა ყოფნას იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობდა თავად თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი, საგამონაკლისო საფუძველი.[527] აღნიშნულის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა წარდგინების ავტორთა მოსაზრება და არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული ნორმის ამგვარი განმარტება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებთან მიმართებით ერთ-

---

[524] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე".

[525] იხ., თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს N1341 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის N1660 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

[526] იქვე, II-35.

[527] იქვე, II-34.

ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ N601 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი,[528] რომელიც უგულებელყოფდა გამართლებულის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.[529] სადავო ნორმა ამომწურავად განსაზღვრავდა სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირთა წრეს და მათ შორის არ იყო სისხლის სამართლის საქმეზე გამართლებული პირი. არადა, წარდგინების ავტორის განმარტებით, გამართლებულ პირებსაც შესაძლოა ჰქონოდათ გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების კანონიერი ინტერესი.[530]

ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა უფრო მაღალი საკონსტიტუციო სტანდარტით და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდის გამოყენებით, სადავო ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე იმ პირებზეც გაავრცელა, რომლებიც ნორმის გრამატიკულ ფორმულირებაში ამ სიკეთის დაცვის ობიექტებად არ მოიაზრებოდნენ. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთოდ გასცდა წარდგინებაში მითითებული ნორმის გრამატიკულ ფორმულირებას და სრულიად ახლებური მოწესრიგება დაადგინა.[531]

სისხლის სამართლის პროცესში საერთო სასამართლოს მოსამართლის აქტიური მონაწილეობის ფარგლებთან მიმართებით საინტერესოა კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობის დადგენას, რომელიც მხარეებთან შეთანხმების გარეშე მოსამართლეს კითხვის დასმის შესაძლებლობას უზღუდავდა.[532] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მტკიცებუ-

---

528 ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე დაწვრ. იხ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2017.

529 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-27.

530 იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის N601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

531 ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 97.

532 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის N1478 კონ-

ლებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობამ არ უნდა შექმნას სასამართლოს მიკერძოებულობის განცდა. მან არ უნდა შეითავსოს მხარის ფუნქცია, კითხვის დასმა არ უნდა განხორციელდეს იმგვარი ენითა და ტერმინოლოგიით, ტონით, ჟესტიკულაციით, ქცევით ან ფორმითა და ინტენსივობით, რომ წარმოშვას მოსამართლის მიკერძოებულობის გონივრული ეჭვი.[533] თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლება სახელმწიფოს აკისრებს სამართალწარმოების სისტემის იმგვარად ფორმირების ვალდებულებას, რომელშიც მოსამართლე აღჭურვილი იქნება საქმეზე ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის სათანადო პროცედურული მექანიზმებით.[534] ამ მიზნით საჭიროა, მოსამართლეს გააჩნდეს შესაძლებლობა, სხდომაზე ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რომელიც აუცილებელია შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და საქმეზე ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, რისი ერთერთი საშუალებაც მოსამართლის მიერ კითხვების დასმა შეიძლება იყოს.[535] აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მოსამართლის მიერ კითხვის დასმა აღნიშნული ფორმით სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნია და გაიზიარა კონსტიტუციური წარდგინების ავტორის პოზიცია.

ამავე გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა ბრალდებულის მიერ ფიცის დადების, მის მიერ მოწმის სტატუსისა და უფლებამოსილებების შეძენის საფუძვლებისა და ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განმარტების საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მიზნად ისახავს ბრალდებულის არასათანადო იძულებისაგან დაცვას, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების ხელშეწყობას, შეცდომების დაშვებისა და უდანაშაულო პირის მსჯავრდების პრევენციას, რისი გათვალისწინებითაც, მისი დანიშნულება არაა დამნაშავეს შე-

---

სტატუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

[533] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-43.

[534] იქვე, II-32.

[535] იქვე, II-48.

უქმნას ხელოვნური ბერკეტები პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.[536] სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ბრალდებულს ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს სასამართლოსთვის ფაქტების არასწორად მიწოდების ინტერესი. ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ბრალდებულის ჩვენების სანდოობის უზრუნველყოფის უმთავრესი მექანიზმია. პასუხიმგებლობის საფრთხის გარეშე ჩვენების მიცემის შესაძლებლობა კი შეამცირებს მის სანდოობას, რაც არც მართლმსაჯულების განხორციელებას დაეხმარება და, ამავე დროს, მნიშვნელოვნად დააზარალებს უდანაშაულო ბრალდებულის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობას.[537] აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცრუ ჩვენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ ეწინააღმდეგება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის კონსტიტუციურ გარანტიას.

საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციურ წარდგინებაში შესაძლოა დაისვას კონკრეტული კონსტიტუციური პრობლემა, რომელიც შინაარსობრივად სცდება მხოლოდ მართლმსაჯულების კონსტიტუციურობის საფუძვლებს და მოიცავს მაგალითად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციური იურისდიქციის საკითხებსაც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც შეეხებოდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას.[538] კონსტიტუციური წარდგინების ავტორის პოზიციით, სადავო ნორმა შეეხებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებით სარგებლობის საკითხებს. „სამოქალაქო სამართლისა" და „საპროცესო" კანონმდებლობის საკითხებს და, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ერთ-ერთ სამართლებრივ ურთიერთობას – უსაფუძვლო გამდიდრებას. აღნიშნული საკითხების მოწესრიგება კი, საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა, მოცემულ შემთხვევაში კი – საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა კონსტიტუციური წარდგინების ავტორის პოზიცია და მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს პარლამენტის

---

536 იქვე, II-9-10.

537 იქვე, II-11.

538 იხ., ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის N641 კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.

გამგებლობას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, იმ პირობებში, როდესაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირებაც კი.[539]

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების მოთხოვნის ფარგლებთან მიმართებითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას არ იბოჭებიან გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის მხოლოდ მე-2 თავთან შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნის ფარგლებით და კონსტიტუციური წარდგინება შეიძლება უკავშირდებოდეს საერთო სასამართლოების მიერ გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის ნებისმიერ დებულებასთან შესაბამისობის მოთხოვნას.[540] ამდენად, საერთო სასამართლოები კონსტიტუციურ წარდგინებაში არ იბოჭებიან მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ფარგლებით და ეს მექანიზმი ზოგადად კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცების იდეას ემსახურება. ამასთან, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი გამოიყენება სამართლის ყველა დარგსა და სფეროში, განურჩევლად იმისა, თუ რა საკითხზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.[541]

საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის კომპეტენციური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის განჩინება, რომელიც უკავშირდება უზენაესი სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი სამართლის სტანდარტის დადგენას და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების აღქმას. აღნიშნულ საქმეზე კონ-

---

[539] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-39.

[540] II-23.

[541] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-2.

სტიტუციური წარდგინებით მოთხოვნილი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავდა საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმისწარმოების განახლების თაობაზე. მათი განმარტებით, მსჯავრდება მოხდა ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით, რომლის გამოყენებაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს გადასაწყვეტი ჰქონდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოების გამო, უნდა გადაესინჯა თუ არა კანონიერ ძალაში შესული განაჩენები.[542]

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად რომელი სამართლებრივი ნორმის გამოყენება სჭირდება მას. თუმცა, ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს მისი კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლები."[543] მისივე განმარტებით, „მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი კანონის არასწორად იდენტიფიცირება, არამედ წარდგინების ავტორის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის კანონით განსაზღვრული ფარგლების არასწორი აღქმა."[544] უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციიის არასწორი აღქმის გათვალისწინებით კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღო წარმოებაში არსებითად განსახილველად.

და ბოლოს, კვლავაც პრობლემურია საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინებების დასაბუთების საკითხი, რაზეც მიანიშნებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც განჩინებების ისე საოქმო ჩანაწერების სახით. მაგ., ერთ-ერთ საოქმო ჩანაწერში კონსტიტუციური წარდგინება ნაწილობრივ არ იქნა წარმოებაში მიღებული, ვინაიდან

---

[542] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[543] იხ., იქვე, II-10.

[544] იქვე.

სასამართლოს, უბრალოდ არ ჰქონდა მსჯელობა წარმოდგენილი მის მოთხოვნასთან დაკავშირებით.[545] ამდენად, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების მხრიდან მოხდეს კონსტიტუციური წარდგინებების სათანადო დასაბუთება და მასში მოყვანილი მოსაზრებების სამართლებრივი არგუმენტირება.

5. კონსტიტუციური წარდგინების სამართალწარმოების თავისებურებები[546]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, კონსტიტუციური წარდგინების მიმართ, ძირითადად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების იმავე პროცედურებს განსაზღვრავს, რაც კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებითაა დადგენილი. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისა და კონსტიტუციური წარდგინების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებს.[547] კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განხილვის საერთო ვადა 9 თვეა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მისი განხილვის 2 თვით გაგრძელების შესაძლებლობით, თუმცა აღნიშნული ვადა მოიცავს კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სათათბირო ოთახში გასვლამდე პერიოდს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება იწყება საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის პროცედურით, რაც გულისხმობს კონსტიტუციური წარდგინების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ფორმალური (და არა შინაარსობრივი) შესაბამისობის შემოწმებას საკონ-

---

[545] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1715 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის და 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-4, II-10.

[546] ქვეთავში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22, 27^3, 31^2, 31^3 და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-11-მე-14 მუხლებს.

[547] კონსტიტუციური სარჩელების მსგავსად, კონსტიტუციურ წარდგინებებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხშირად ჭიანურდება. მაგ., თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 23 ოქტომბრის N1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 26 თებერვალს მიიღო წარმოებაში, თუმცა გადაწყვეტილება დღემდე არ გამოტანილა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N3/3/1543 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე".

სტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.[548] აღნიშნულის შედეგად შესაძლოა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის ან მის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარდგინების ავტორს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც მიმართვიდან 15 დღის ვადაში წყვეტს წარდგინების რეგისტრაციის საკითხს. კონსტიტუციურ წარდგინებაში არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და წარდგინების ავტორს ეძლევა 15 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაცია უქმდება.

რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინება დაუყოვნებლივ გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც, იმის გათვალისწინებით, რომ საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსახილველია, 7 დღის ვადაში ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს პლენუმის სხდომისთვის მოსამზადებლად და საქმეს მას გადასცემს. მომხსენებელი მოსამართლე შეირჩევა ავტომატური, ელექტრონული წესით შერჩევის სისტემის საშუალებით. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინება, კონსტიტუციური სარჩელის მსგავსად, არსებითად განსახილველად მიიღება თუ არ არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლით განსაზღვრული გარემოებები, რის თაობაზეც საკონსტიტუციო სასამართლო გამოსცემს შესაბამისად, საოქმო ჩანაწერს ან დასაბუთებულ განჩინებას. განმწესრიგებელ სხდომაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად მიიღოს, ნაწილობრივ მიიღოს ან უარი თქვას მის განსახილველად მიღებაზე.

კონსტიტუციური სარჩელისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას არსებითად განიხილავს, წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც

---

[548] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-11-მე-13 მუხლების შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მიზნებისთვის „უფლებამოსილი თანამშრომელი" გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტს.

არის კონკრეტულ საქმეზე სადავოდ გამხდარი. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს წარდგინების ავტორი, აგრეთვე შესაბამისი ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის მიერ გამოცემული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებასაც ითხოვს წარდგინების ავტორი და მოისმინოს მათი განმარტებები, თუმცა ამ პირებს იგი მხარედ არ აღიარებს. კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით გადის სათათბირო ოთახში.

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის შედეგად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც სრულად[549] ან ნაწილობრივ[550] იზიარებს, ან არ იზიარებს კონსტიტუციური წარდგინების ავტორის პოზიციას და არაკონსტიტუციურად ცნობს შესაბამის ნორმატიულ აქტ(ებ)ს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ ეთანხმება კონსტიტუციურ წარდგინებას, დადასტურებულად არ ჩაითვლება იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობა, რომლის კონსტიტუციურობაც სადავოდ მიიჩნია საერთო სასამართლომ.[551] არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.[552]

---

[549] მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[550] მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე".

[551] მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 3 დეკემბრის N11/203/2 გადაწყვეტილება საქმეზე, „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის N8/177/2 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება".

[552] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

თავი VI. განსჯადობა და დასაშვებობა

1. საკონსტიტუციო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა

1.1. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების იურისდიქციის გამიჯვნა

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციათა დანაწილებისა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე.[553] შეზღუდული ძალაუფლების იდეის უზრუნველსაყოფად საჭიროა არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სახელისუფლებო შტოებად, არამედ აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ძალაუფლების ინსტიტუციური გამიჯვნის, ფუნქციონალური გამიჯვნისა და შეკავება-გაწონასწორების მექანიზმების თანაარსებობა.[554] სწორედ აღნიშნული პრინციპის მხედველობაში მიღებით, საქართველოს კონსტიტუცია თავად განსაზღვრავს საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ფორმებს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს როლსა და დანიშნულებას, ისევე, როგორც კომპეტენციურ არსენალსა და სამოქმედო არეალს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები.[555] ამასთან, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ მოაზრებულია საკონსტი-

---

[553] საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

[554] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6, II-7; Loughlin M., The Contemporary Crisis of Constitutional Democracy, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 39, No. 2, 2019, 438; შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 89-90; Madison J., Federalist No. 51, in: Hamilton A., Madison J., Jay J., The Federalist Papers, Hackett Publishing Company, 2005.

[555] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელება საერთო სასამართლოების პრეროგატივად მიიჩნევა.[556] ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია განასხვავებს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ორ ძირითად ფორმას – საკონსტიტუციო კონტროლსა და მართლმსაჯულებას და მათ შორის ფარგლებს მიჯნავს ერთმანეთისგან.

საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო კონტროლის ცნების განმარტებას. აღნიშნული არც საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, მის შესახებ წარმოდგენებს ქმნის, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციები, ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციურ დატვირთვასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ზოგადად, ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებებში არათანაზომიერი ჩარევისაგან დაცვას ემსახურება.[557] საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს ძალაუფლებას, საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება საკუთარი ფუნქციების აღსრულების მიზნით.

საპირისპიროდ, კანონმდებლობით განსაზღვრულია მართლმსაჯულების დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.[558] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ნებისმიერი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაზე, რომელიც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ინტერპრეტაციას, დაცვასა და აღსრულებას. საერთო სასამართლოების კომპეტენცია კი ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს და მისი წარმომადგენლების აქტების კანონიერების საკითხის შემონმებით შემოიფარგლება.[559] გარდა ამისა, გადაწყვეტი-

---

[556] იქვე, 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

[557] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[558] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[559] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის N2/10/1378 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზვიად დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

ლების მიღების პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის შეფასების მასშტაბი საქართველოს კონსტიტუციაა, ხოლო საერთო სასამართლოები დავას მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველზე წყვეტენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უცხო არ არის კანონიერების კონტროლის კომპეტენციაც. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი 2018 წლის 16 დეკემბრამდე ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, შეემოწმებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების, მათ შორის, საქართველოს კანონებთან შესაბამისობა. დღესდღეობით საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება აღარ გააჩნია.[560] საკონსტიტუციო სასამართლოს, გარკვეული თვალსაზრისით, ფაქტების დადგენის უფლებამოსილებაც აქვს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრისას, ამოწმებს აღნიშნული პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას.[561]

კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებაში არ გამოირიცხება საერთო სასამართლოების მონაწილეობის შესაძლებლობაც. საერთო სასამართლოები, რომლებიც შებოჭილნი არიან კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგით, განმარტავენ საქართველოს კონსტიტუციას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებით, სადაც არსებობს საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების პირდაპირი მოქმედების სიერცე.[562] ამრიგად, საერთო სასამართლოები, ერთი მხრივ, განმარტავენ და იყენებენ მიმდინარე კანონმდებლობას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში[563], და ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუციას

---

[560] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2018 წლის 21 ივლისის N3265-რს საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

[561] საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[562] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[563] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ორდინალურ კანონმდებლობას არ გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განმარტების რესურსი და საქართველოს კონსტიტუციასთან საკანონმდებლო აქტის პოტენციური კონფლიქტის გადასაწყვეტად საჭირო ხდება საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა. ამასთან, ბუნებრივია, კანონმდებლობის განმარტება ყოველთვის არ არის კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხი, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია გამოიყენება კანონმდებლობის განმარტების პრო-

აფუძნებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.[564] მიუხედავად საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კონსტიტუციის თანაინტერპრეტაციის შესაძლებლობისა, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა ის ორგანო, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის სავალდებულო ძალით და საბოლოოდ განმარტების ექსკლუზიური კომპეტენცია გააჩნია.[565]

საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის დადგენა და შეუსაბამობის გამო მათი გაუქმება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს კომპეტენციაა.[566] საერთო სასამართლოები სამართლის აღსრულებისას ხელმძღვანელობენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ სამართლის ნორმისათვის მინიჭებული შინაარსით. მართალია, საერთო სასამართლოებს გააჩნიათ საქართველოს კონსტიტუციის დაცვისა და სამართლის ნორმის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განმარტების ვალდებულება, თუმცა აღნიშნული თვისობრივად განსხვავდება საკონსტიტუციო კონტროლისაგან. სამართალშეფარდების პროცესში, საერთო სასამართლოები შეზღუდული არიან კანონის ნებით, მისი რეალური შინაარსით. საერთო სასამართლოები მოკლებული არიან შესაძლებლობას, თუნდაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კეთილშობილური მოტივით, გასცდნენ კანონის რეალურ შინაარსს და მას სხვა, ისეთი შინაარსი შესძინონ, რომელიც კანონმდებელს არ მოუაზრებია.[567] ამგვარად, საერთო სასამართლოების მიერ სამართლის ნორმის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებისა და დებულებების შესაბამისად განმარტების ვალდებულება უსაზღვროდ ვერ გავრცელდება.

ცესში. იხ., Plessis M.D., Penfold G., Brickhill J., Constitutional Litigation, Law Society of South Africa, 2014, 20.

[564] მაგ., იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ საკითხის პირდაპირი სამართლებრივი მოწესრიგება, საკანონმდებლო გადაწყვეტა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირდაპირი მოქმედების რესურსი გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს. კერძოდ, პირი უფლებამოსილია, პირდაპირ საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს თუ არ არსებობს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შემზღუდველი საკანონმდებლო მოწესრიგება. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[565] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 73.

[566] ქსოვრელი ი., საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება – უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2019, 41. ციტ. Kelsen H., Judicial Review of Legislation: A Comparative Study of the Austrian and the American Constitution, The Journal of Politics Vol. 4, No. 2, 1942, 185-186.

[567] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/8/1613 განჩინება საქმეზე, „დავით გამყრელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-19, II-20.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საერთო სასამართლოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით.[568] შესაბამისად, სწორედ საერთო სასამართლოები არიან აღჭურვილნი კანონგანმარტებითი უფლებამოსილებით. საკონსტიტუციო სასამართლო კი კანონის განმარტებას, როგორც მისი შინაარსის დადგენის მეთოდს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში იყენებს. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და განიხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს. აღნიშნული წესისგან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო, არ მიიღებს საკანონმდებლო ნორმის ნორმატიული შინაარსის თაობაზე საერთო სასამართლოების განმარტებას, თუ ის აშკარად არაგონივრულია.[569]

1.2. საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კონკურენცია

საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით, ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების აქტების სასამართლო კონტროლს. საჯარო ხელისუფლების აქტების კონტროლის საერთო მიზნის მიუხედავად, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სასამართლოების უწყებრივი ქვემდებარეობა განსხვავებულია და, ცალკეულ შემთხვევებში, კონკურენტულიც კი.

საქართველოს კონსტიტუცია მკაფიოდ განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას,[570] რაც, გარკვეულწილად, იძლევა შესაძლებლო-

---

[568] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

[569] იქვე.

[570] „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს პარლამენტი მიზნად ისახავდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი კომპეტენციების მიღმა, რაიმე საკითხზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის გამორიცხვას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა, მათ შორის, ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია კი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ამომწურავ ჩამონათვალს. პრაქტიკაში, აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა, თუმცა სამეცნიერო საზოგადოებაში გამოთქმულია ეჭვები საკანონმდებლო აქტით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების

ბას, გამორიცხვის მეთოდით განისაზღვროს ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებიც. გარდა ამისა, საჯარო ურთიერთობებიდან მომდინარე, ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეებს განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს, მათ შორის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.[571] ამ მხრივ, ადმინისტრაციული სასამართლოს შეფასების საგანი შესაძლებელია, იყოს როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე, ნორმატიული სამართლებრივი აქტი.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სასამართლო კონტროლზე განსჯადობის საკითხთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს შემუშავებული აქვს საკმაოდ ხანგრძლივი, მყარად ჩამოყალიბებული და ერთგვაროვანი მიდგომა. კერძოდ, იმისათვის, რომ კონკრეტული სამართლებრივი აქტი გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, აუცილებელია, აღნიშნულ აქტს ნორმატიული ბუნება გააჩნდეს. ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე სასამართლო კონტროლის განხორციელება, კონსტიტუციურობის შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.[572] შესაბამისად, როგორც წესი, ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე სასამართლო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტი სწორედ ადმინისტრაციული სასამართლოა და, ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კონკურენციის პრობლემები ნაკლებია.

პრაქტიკაში, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ განსჯადობას შორის ბუნდოვანებას შესაძლებელია წარმოშობდეს კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებული შემთხვევები. არც

კონსტიტუციურობის თაობაზე. იხ. ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 72.

[571] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

[572] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის N2/16/1617 განჩინება საქმეზე, „იზოლდა შანიძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N1/12/782,783 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ზაქარაია და ხათუნა გადელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის N2/9/612 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ქურასბედიანი და ნელი გოგიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის N1/4/495 განჩინება საქმეზე, „შპს „ჰორიზონტი" ქ. ბათუმის მერის და თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის N1/7/436 განჩინება საქმეზე, „შპს „კავკასუს ონლაინი" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ".

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა და არც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სახელდებით არ მიუთითებს იმ კონკრეტულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე, რომლებზე სასამართლო კონტროლსაც ახორციელებენ საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. შესაბამისად, ერთი და იგივე კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი, პოტენციურად, შესაძლებელია, გახდეს როგორც საკონსტიტუციო, აგრეთვე ადმინისტრაციული სასამართლოების მსჯელობის საგანი. მაგალითად, ამგვარი კონკურენცია შესაძლებელია, არსებობდეს დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების კონტექსტში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოში მოქმედებს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა[573].

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში იყო საქმეთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა ჰომოსექსუალი და მსმ პირებისათვის სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.[574] აღნიშნულ საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა შეაფასა, მათ შორის, სამართლის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით. თეორიულად, აღნიშნული საქმე, თანაბარი წარმატებით, შეიძლებოდა გამხდარიყო ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონთან შეუსაბამობის მოტივით. მოსარჩელეს შეეძლო მიემართა ადმინისტრაციული სასამართლოსათვის და, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე მოეთხოვა აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გაუქმება, ზემდგომ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის საფუძვლით.

სამართლის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა არა მხოლოდ კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხია, არამედ საკანონმდებლო დონეზე არსებულ და აღსასრულებელ გარანტიასაც წარმოადგენს

---

[573] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი.

[574] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ".

საქართველოში. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დასახელებული საკითხი უპირატესად ან პირველ რიგში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება, იმ პირობით, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს მოქმედი კანონმდებლობა წარმოადგენს. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ფარგლებში დავის გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ არ ხდება საქართველოს კონსტიტუციის სავალდებულო განმარტება ან/და კონსტიტუციური უფლების ფარგლების განსაზღვრა, არამედ მხოლოდ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კანონიერების შეფასებისას, ადმინისტრაციული სასამართლო, გარკვეულწილად, განმარტავს ან საკუთარ გადაწყვეტილებას დააფუძნებს საქართველოს კონსტიტუციას[575], ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ მსგავსი საკითხების გადაწყვეტა არ ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას და არ გამორიცხავს მის შესაძლებლობას, მიმართვის შემთხვევაში, შეაფასოს და დაადგინოს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ საკითხებთან დაკავშირებით კონსტიტუციური სტანდარტები.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ე. წ. „რეალური კონტროლის"[576] უფლებამოსილებით აღჭურვილი და არ აქვს შესაძლებლობა, ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა შეამოწმოს, თუმცა კვლავ რჩება ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში სადავოდ გამხდარი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების და აღნიშნული აქტის ან მისი ცალკეული ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტა არ გამორიცხავს მოსარჩელის შესაძლებლობას, არსობრივად მსგავსი მოთხოვნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[577]

---

[575] მაგ., როდესაც სადავო საკითხი კანონით არ არის მოწესრიგებული და არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი. შდრ., ქსოვრელი ი., საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება – უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2019, 44; იხ., აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[576] იხ., ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 13-15.

[577] ბუნებრივია, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას და სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი განაგრძობს მოქმედებას, რამდენადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, მხოლოდ მოქმედი საკანონმდებლო აქტი შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკებს.

საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამორიცხავს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ შესაბამისი კონსტიტუციური დებულების სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას,[578] თუმცა კანონიერების შემოწმების კომპეტენცია კვლავ ადმინისტრაციულ სასამართლოებს რჩება.[579] შესაბამისად, ამგვარ შემთხვევებში, სწორედ მოსარჩელის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის რომელ მექანიზმსა თუ სტრატეგიას აირჩევს და რომელი სასამართლოსთვის და რა მიმდევრობით მიმართვა იქნება საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მისთვის უფრო ეფექტიანი.

2. განმწესრიგებელი სხდომა და მისი დანიშნულება

კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ან კოლეგია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და განსჯადობის წესების დაცვით, იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის თაობაზე. საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი წყდება განმწესრიგებელი სხდომაზე.[580] განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში საქმის განხილვა მიზნად ისახავს იმ ფორმალური და მატერიალური წინაპირობების შემოწმებას, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული კონსტიტუციური სარჩელი ან/და კონსტიტუციური წარდგინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფორმალურად გაუმართავი ან აშკარად დაუსაბუთებელი და უპერსპექტივო საქმეების საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არ-

---

[578] მსგავსად, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე და აღნიშნული აქტი განაგრძობს მოქმედებას.

[579] საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. შესაძლებელია, კანონმდებლობით აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უფრო მაღალი გარანტიები დადგინდეს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, კონკრეტული კანონქვემდებარე აქტი შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად იქნეს მიჩნეული, მაგრამ მაინც ენინააღმდეგებოდეს სხვა ზემდგომ საკანონმდებლო აქტებს.

[580] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^5 მუხლის მე-2 პუნქტი.

სებითად განსახილველად მიღების წინაპირობებს. განმწესრიგებელ სხდომაზე მონმდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისეთი საკითხები, როგორებიცაა კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის ფორმალური ან/და შინაარსობრივი წინაპირობები. განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში აგრეთვე განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობა და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება[581]. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის მიმართ წაყენებული თითოეული მოთხოვნა, მისი შინაარსის გათვალისწინებით, აგრეთვე ვრცელდება საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებაზეც.

ზოგადი წესის მიხედვით, საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება.[582] საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენითაც, თუ საქმის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევა სხვაგვარად შეუძლებელია.[583] განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენის გამართვა პირობადებულია, ერთი შეხედვით, მკაცრი საკანონმდებლო ფორმულირებით, თუმცა განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საკონსტიტუციო სასამართლო სარგებლობს თავისუფალი შეფასების ფარგლებით. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილება სრულიად დამოკიდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებაზე, დაადგინოს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი საკითხები და მნიშვნელობა არ ენიჭება საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეების ან/და სხვა მონაწილეების შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, რეალურად, რამდენად შესაძლებელია საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სხვაგვარად გამორკვევა. როგორც წესი, საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე, ზეპირი მოსმენით, განიხილება და შეისწავ-

---

[581] საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში განიხილება თუ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება მოთხოვნილია კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში შუამდგომლობის შესაბამის გრაფაში ან წარმოდგენილია განცალკევებით, წერილობითი შუამდგომლობის სახით, საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე. იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4[1] პუნქტი, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 31[3] მუხლი, 31[6] მუხლი.

[582] იქვე, 27[1] მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, 31[2] მუხლის მე-7 პუნქტი.

[583] იქვე, 27[1] მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

ლება ისეთი ბუნდოვანი საკითხები, როგორებიცაა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება, ფარგლები, სადავო ნორმისა და კონსტიტუციური დებულების შინაარსი და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვა ემსახურება არა მოსარჩელე მხარისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევას, მაგალითად, კონსტიტუციურ სარჩელში არასწორად მითითებული სადავო ნორმის ან/და კონსტიტუციური დებულების სხვა, სწორი ნორმით/დებულებით ჩანაცვლების გზით, არამედ კონსტიტუციურ სარჩელში/კონსტიტუციურ წარდგინებაში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრას, რაც აუცილებელია კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის გარემოებების გამორკვევის სხვა, ალტერნატიულ მექანიზმსაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოსგან, იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სამეცნიერო დაწესებულებისგან და საინფორმაციო ცენტრისგან.[584] ამასთანავე, მომხსენებელ მოსამართლეს, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შესწავლისა და იმ საკითხების გამორკვევისთვის, რამდენად არსებობს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ან მათში სადავოდ გამხდარი რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, ენიჭება შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან დააზუსტოს საქმესთან დაკავშირებული საკითხები.[585] ბუნებრივია, ბუნდოვანების აღმოფხვრისათვის რომელი მექანიზმი იქნება მეტად ეფექტიანი და, შესაბამისად, გამოყენებული, დამოკიდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამგვარ მექანიზმთა შორის არჩევანზე ზეგავლენას ახდენს ბუნდოვანი საკითხების რაოდენობა და მოცულობა, ამა თუ იმ საკითხის შინაარსი, კომპლექსურობა და ა.შ.

განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო სხდომაზე მოიწვევს ყველა შესაბამის პირს, რომელთა სხდომაში მონაწილეობაც აუცილებელია საქმის დასაშვებობასთან დაკავშირებული ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ, ზო-

---

[584] იქვე, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[585] იქვე, 31[2] მუხლის მე-10 პუნქტი.

გადად, საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს ვინ მოიწვიოს განმწესრიგებელ სხდომაზე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა იცნობს გამონაკლის შემთხვევებსაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების საფუძველზე ვალდებულია ზეპირი მოსმენით გამართულ განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მათი წარმომადგენლები და ინტერესების დამცველები და მოისმინოს მათი განმარტებები კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით.[586] ამასთანავე, მსგავს შემთხვევაში, განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოპასუხე მხარის, მისი წარმომადგენლისა და ინტერესების დამცველის მოწვევა და განმარტებების მოსმენა საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე სავალდებულო მონაწილეობა მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლების წერილობითი განცხადების შედეგია.[587]

ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით, მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებს ორგანული კანონი იმ შემთხვევებთან მიმართებითაც, როდესაც საკითხი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე. წ. „გამარტივებული სამართალწარმოების" გზით სადავო ნორმის/ნორმების ძალადაკარგულად ცნობას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის საფუძველი, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.[588] საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხი, განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში, ზეპირი მოსმენით განიხილოს.[589] ამ საკითხის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტების მოთხოვნის საფუძველზე – ვალდებულია, განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, წარდგინების ავტორი, მოპასუხე, მათი წარმომად-

---

[586] იქვე, 31[4] მუხლის მე-2 პუნქტი.

[587] იქვე, 31[4] მუხლის მე-3 პუნქტი.

[588] იქვე, 25-ე მუხლის 4[1] პუნქტი.

[589] საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ე. წ. „გამარტივებული სამართალწარმოების" ფარგლებში დავის გადაწყვეტისას, განმწესრიგებელ სხდომას, როგორც წესი, საკუთარი ინიციატივით, ზეპირი მოსმენით მართავს.

გენლები, ინტერესების დამცველები და მოისმინოს მათი განმარტებები.[590] შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, ე. წ. „გამარტივებულ სამართალწარმოებასთან" დაკავშირებული განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით გამართოს შესაბამისი პირების მონაწილეობით.

მოცემულ შემთხვევაში ზეპირი მოსმენით განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის ინიციატორია არა მოსარჩელე, არამედ მხარეები[591] ანუ პირები, რომლებიც, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის საფუძველზე, მიიჩნევიან მოსარჩელეებად და მოპასუხეებად. ამ ინიციატივის ფარგლებში, განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი განხილვის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოპასუხე მხარის, მისი წარმომადგენლისა და ინტერესების დამცველის მოწვევისა და განმარტებების მოსმენის ვალდებულება.[592]

რაც შეეხება განმწესრიგებელი სხდომის პროცედურულ მხარეს, მისი ზეპირი მოსმენით გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განისაზღვრება სხდომის ჩატარების თარიღი. ამდენად, თუ მიღებულია საოქმო ჩანაწერი ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ, იმართება განმწესრიგებელი სხდომა.[593] პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის თარიღს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომისას – შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე.[594] ამგვარ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარ ატყობინებს მოსარჩელეს, კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენლებს განმწესრიგებელი სხდომის გამართვის თარიღს,[595] რომელიც უნდა იყოს გონივრული, რათა საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეებმა და სხვა მონაწილეებმა, შეძლონ საქმისათვის სათანადოდ მომზადება.

---

590 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^4 მუხლის მე-4 პუნქტი.

591 იქვე, 27^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

592 იქვე, 31^4 მუხლის მე-4 პუნქტი.

593 იქვე, 31^2 მუხლის მე-7 პუნქტის მე-2 წინადადება.

594 იქვე, 31^2 მუხლის მე-7 პუნქტის მე-3 წინადადება.

595 იქვე, 31^4 მუხლის პირველი პუნქტი.

3. კონსტიტუციური სარჩელის[596] დასაშვებობის წინაპირობების შემოწმება

3.1. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის წინაპირობების დადგენის მიზნები და შედეგები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ ფორმალურ თუ მატერიალურ წინაპირობებს, რომლებსაც აუცილებელია, აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური სარჩელი, რათა არსებითად განსახილველად იქნეს მიღებული.[597] კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ; გ) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.

ფილტრაციის მსგავსი მეთოდის დადგენით, კანონმდებლობა მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს დროითი, ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურულ-ორგანიზაციული რესურსის დაზოგვას, ისევე, როგორც სამართალწარმოების პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფას.[598] აღნიშნული, საბოლოოდ, ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს ხელოვნური გადატ-

---

[596] აღნიშნული ქვეთავი თანაბრად მიემართება, როგორც კონსტიტუციურ სარჩელთან, ისე კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოების საკითხებს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი უშუალოდ კონსტიტუციურ სარჩელს უკავშირდება, რაც იდენტიფიცირებადია მხოლოდ „კონსტიტუციურ სარჩელზე" მითითებით.

[597] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტი.

[598] *mutatis mutandis* იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-27.

ვირთვისგან დაცვას[599] და ანიჭებს მას შესაძლებლობას, ორიენტირდეს მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც მიმართულია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ან საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციურ კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხების რეალური განხილვა-გადაწყვეტისაკენ.[600]

თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური მანდატის აღსრულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტიანი და დროული განხორციელებისათვის.[601] ამ წინაპირობების ზედმიწევნითი შემოწმება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს იმ პირობებში, როდესაც პირებს გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა[602] და გაზრდილია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელებით მიმართვიანობა[603], რაც სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს საკონსტიტუციო კონტროლის დროულობასა და ეფექტიანობას. ამასთან, პროცედურული ფილტრების მნიშვნელობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელმა კანონმდებლობამ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მოტივით, არსებითად არ უნდა შეაფერხოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე პირის ხელმისაწვდომობა. საჭიროა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის რისკი დაბალანსებული იყოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე ეფექტიანი ინდივიდუალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობით.[604]

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის წინაპირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იგი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და არ მიიღება არსებითად გა-

---

599 Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session, Venice, 17-18 December, 2010, CDL-AD (2010)039rev, §110.

600 Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Georgia on the Effects of Constitutional Court Decision on Final Judgments in Civil and Administrative Cases, European Commission for Democracy Through Law, CDL-AD (2018)012, §29.

601 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 20.

602 Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan, Adopted by the Venice Commission at its 50th Plenary Session, CDL-AD(2002)005, Venice, 8-9 March, 2002, §8.

603 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანგარიში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2020, 88; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 102; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2018, 78; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017, 129-130.

604 Revised Report on individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, §71, §74.

ნსახილველად. ამასთანავე, ზემოხსენებული საფუძვლებით კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა არ გამორიცხავს მოსარჩელის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში იმავე დავის საგანზე ახალი კონსტიტუციური სარჩლის/კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შესაძლებლობას.[605] შესაბამისად, დაუსაბუთებლობის მოტივით ან საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის და ფორმალური ხარვეზების გასწორების შემთხვევაში, ხელახლა იდავოს ნორმატიული აქტის იმავე დებულებების კონსტიტუციურობის თაობაზე.

3.2. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის ფორმალური წინაპირობები

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ფორმალური გაუმართაობაა. როგორც აღინიშნა, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების კანონმდებლობის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობა, როგორც წესი, რეგისტრაციის ეტაპზე მოწმდება და მოქმედი პროცედურული წესების შესაბამისად, ან მიიღება გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე ან არაარსებითი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რეგისტრაციაში ტარდება პირობითად, იმ დათქმით, რომ ამგვარი უზუსტობა 15 დღის ვადაში გამოსწორდება.[606] მიუხედავად ამისა, ვინაიდან, ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით, არ გამოირიცხება შეცდომების დაშვების შესაძლებლობა, კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებით ფილტრს, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არ მოხდეს ფორმალურად გაუმართავი კონსტიტუციური სარჩელების/კონსტიტუციური წარდგინებების განხილვა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური

---

[605] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/9/664 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „ქართული ღია წრე" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-21; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის N2/7/812 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე პაატა ბაკურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/6/723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მერი ბიგვავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინააღმდეგ", II-13.

[606] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის პირველი პუნქტი.

წარდგინების მიმართ წაყენებულ როგორც ზოგად ფორმალურ მოთხოვნებს, აგრეთვე განსაზღვრავს სპეციფიკურ კრიტერიუმებს კონკრეტული უფლებამოსილებების ფარგლებში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების მიმართ,[607] რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღება არსებითად განსახილველად.

კონსტიტუციური სარჩელების მიმართ ამგვარი ფორმალური მოთხოვნების დაწესება მიზნად ისახავს დასაბუთებულობის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას, რათა შეიზღუდოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი იმ პირების მიმართვიანობა, რომელთაც დასაბუთებული, სერიოზული და კეთილსინდისიერი ინტერესი არ გააჩნიათ ან ბოროტად იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებას. ამავე დროს, ცალკეული ფორმალური მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელებები, სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება, მიღების/გამოცემის თარიღი და სხვ., ემსახურება დავის საგნისა და მოსარჩელის მოთხოვნის სწორად იდენტიფიცირებას, ისევე, როგორც საქმეზე სათანადო მოპასუხის განსაზღვრას. აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის გამართულობასა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელებას, რამდენადაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, დავის საგნის არასწორი იდენტიფიცირება, ისევე, როგორც არასათანადო მოპასუხის განსაზღვრა ვერც მოსარჩელის ძირითადი უფლებების დაცვას მოემსახურება და ვერც კონსტიტუციურ წესრიგს უზრუნველყოფს.

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი სამართალწარმოების პრაქტიკაში არაერთი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე გაანაცხადა უარი იმ მოტივით, რომ ისინი არ აკმაყოფილებდა კონსტიტუციური სარჩელის მიმართ წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლომ მაგალითად, არ მიიღო არსებითად განსახილველად საქმეები, რომლებშიც:

- კონსტიტუციური სარჩელი, რომელშიც მოსარჩელე სუბიექტს იურიდიული პირი წარმოადგენდა, ხელმოწერილი არ იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ. ამასთანავე, კონსტიტუციურ სარჩელს თან არ ერთოდა მოსარჩელის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;[608]

---

[607] იქვე, 31[1] მუხლის მე-3–მე-14 პუნქტები.

[608] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის N1/2/313 განჩინება საქმეზე, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ეარვეისი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის წინააღმდეგ".

მოპასუხედ მითითებული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, მაშინ, როდესაც საქმეზე სადავო იყო საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები.[609] კონსტიტუციურ სარჩელში, რომელშიც დავის საგანს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი წარმოადგენდა, მოპასუხედ, საქართველოს პარლამენტის ნაცვლად, მითითებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;[610]

მოსარჩელემ არასწორად მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის არსთან შინაარსობრივ შემხებლობაში მყოფი საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი დებულებები, რომლებიც მას კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენის უფლებამოსილებას ანიჭებდა. კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებდა იმ ნორმებზე, რომლებიც არ ადგენდა ფიზიკური პირის უფლებას, იდავოს სადავო აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულ საკითხებთან მიმართებით;[611]

კონსტიტუციურ სარჩელს თან არ ერთოდა სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი.[612]

3.3. კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის მატერიალური წინაპირობები

კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება აუცილებელია აკმაყოფილებდეს მისი დასაშვებობის მატერიალურ წინაპირობებს. კონსტიტუ-

---

[609] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/6/723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მერი ბიგვავა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინააღმდეგ", II-3.

[610] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის N1/7/662 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე სტეფანე კვირკვაია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ", II-3, II-4.

[611] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N1/6/748 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალადინ მამედოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის N16/455 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ", II-6. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ორივე განჩინებაში არასათანადო საფუძვლების მითითება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობის ერთადერთი არგუმენტი არ ყოფილა. ორივე განჩინებაში კონსტიტუციური სარჩელების დასაბუთებულობაზე მსჯელობა განვითარებულია სხვა წინაპირობებზე დაყრდნობით.

[612] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/7/727 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი სეხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

ციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული რომ იყოს საჭიროა კონსტიტუციურ სარჩელში/კონსტიტუციურ წარდგინებაში, მათ შორის, მიეთითოს ის მტკიცებულებები, რომლებიც, მოსარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას.[613] ამრიგად, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის მატერიალურ წინაპირობათაგან ერთ-ერთი მათი დასაბუთების ვალდებულებაა.[614] წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღება არსებითად განსახილველად.[615]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულად მიჩნევისათვის, აუცილებელია:

- კონსტიტუციურ სარჩელში/კონსტიტუციურ წარდგინებაში მოცემული არგუმენტაცია შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას;[616] კონსტიტუციურ სარჩელში/კონსტიტუციურ წარდგინებაში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან მიმართებითაც მოსარჩელე მხარე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ითხოვს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.[617]

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციირების უფლების არარსებობის გათვალისწინებით[618], კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის შინაარსობრივი წინაპირობების და-

---

[613] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 3^1 მუხლის მე-2 პუნქტი და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

[614] აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთების ვალდებულება გულისხმობს, რომ ამგვარ დასაბუთებას უნდა შეიცავდეს უშუალოდ კონსტიტუციური სარჩელი. მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი მიუთითოს შესაბამისი არგუმენტაციის მოგვიანებით, განმწესრიგებელი ან არსებითი სხდომის ფორმატში წარმოდგენის შესახებ. ამგვარ სარჩელებს საკონსტიტუციო სასამართლო დაუსაბუთებლობის მოტივით, არ იღებს არსებითად განსახილველად. იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის N1/12/1310 განჩინება საქმეზე, „შპს „ნავთლუღი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[615] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[616] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის N2/3/412 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9.

[617] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/469 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[618] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საბუთების მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ეკისრება. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გაცდეს მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელოს იმ ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც მოსარჩელე მხარეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს სადავოდ არ გაუხდია.[619] შესაბამისად, სწორედ მოსარჩელეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს ეკისრება უფლებაშემზღუდველი ნორმის იდენტიფიცირების, უფლების შეზღუდვისა და შესაბამის კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართების დასაბუთების ვალდებულება.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძვლებთან მიმართებით ვრცელი და თანმიმდევრული პრაქტიკა განავითარა. აღნიშნული პრაქტიკის მიხედვით, იმისათვის, რომ კონსტიტუციურ სარჩელში/კონსტიტუციურ წარდგინებაში მოცემული არგუმენტაცია შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას, საჭიროა:

- მოსარჩელეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს სწორად ესმოდეს უფლებაშემზღუდველი რეგულაციის შინაარსი, რომელიც მის (ადამიანის) ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ზღუდავს;
  მოსარჩელე არ ითხოვდეს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლების გაფართოებას;
  მოსარჩელე მხარე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი ითხოვდეს არა აღმჭურველი, არამედ უფლებაშემზღუდველი წესის არაკონსტიტუციურად ცნობას;
  პირდაპირ ამკრძალავი უფლებაშემზღუდველი წესის არარსებობის პირობებში, სწორად იქნეს განსაზღვრული სადავო ნორმა (ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმა");

---

[619] სპეციფიკურობით ხასიათდება საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების დროს კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართების მტკიცების სტანდარტი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ამგვარ შემთხვევებში დასაშვებია სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაცია, რაც გამომდინარეობს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს ურთიერთთანამშრომლობის ფორმატიდან. იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

არ გასაჩივდეს ე. წ. „მიმთითებელი ნორმა“;
არ გასაჩივრდეს ცალკეული სიტყვები, გრამატიკული ერთეულები და განმარტებითი ტერმინები.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის ნორმასთან შინაარსობრივი მიმართების დასაბუთებისთვის კი აუცილებელია:

- კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს სწორად იდენტიფიცირება;
- არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა მხოლოდ კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების დამდგენ ნორმასთან მიმართებით;
  კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება და მისი არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება;
  კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გვერდითი ეფექტის გამიჯვნა აღნიშნული უფლების შეზღუდვისაგან;
  ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით დასაშვებობის სტანდარტების დაკმაყოფილება.

3.3.1. კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა

3.3.1.1. სადავო ნორმის შინაარსის პრობლემა

3.3.1.1.1. უფლებაშემზღუდველი სადავო ნორმის იდენტიფიცირება

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მისაღებად საჭიროა, სადავო ნორმას რეალურად გააჩნდეს მოსარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მიერ მითითებული ნორმატიული შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს და შეაფასოს ნორმატიული აქტის მხოლოდ რეალური შინაარსის კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმაში უნდა ამოიკითხოს ის პრობლემა, რომელზეც მხარე მიუთითებს. შესაბამისად, საჭიროა, მოსარჩელე სწორად აღიქვამდეს გასაჩივრებული ნორმის შინაარსს. თავის მხრივ, იმისათვის, რომ ესა თუ ის რეგულაცია მხარის მიერ მითითებული შინაარსით განიმარტოს აუცილებელია, ამგვარი შინაარსი ან უშუალოდ სადავო ნორმის ტექსტიდან გამომდინარეობდეს[620] ან/და ამას ადასტურებდეს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტება.[621]

---

[620] ტექსტზე დაყრდნობით სადავო ნორმის რეგულირების ფარგლების განსაზღვრისა და სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის შინაარსის დადგენისას, მოსარჩელე უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს არა მხოლოდ კანონის ტექსტუალური მოცემულობით, არამედ სადავო ნორმის უფლებაშემზღუდველი შინაარსის წარმოსაჩენად, შეუძლია, დაეყრდნოს კანონის გონივრული და დასაშვები განმარტების მეთოდებსაც. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N1/23/824 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

[621] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/4/858

საკანონმდებლო ნორმის განმარტებასა და აღსრულებას, პრაქტიკაში, როგორც წესი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა დონეზე, ხელისუფლების სხვდასხვა შტო ახორციელებს, მაგალითად, ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, საერთო სასამართლოები, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები და სხვა. ამ მხრივ, უშუალოდ, რა იგულისხმება სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მკაფიო განმარტება არ აქვს გაკეთებული, თუმცა, სულ მცირე, აღნიშნულ ცნებაში მოიაზრება საკანონმდებლო აქტის განმარტება/გამოყენება საერთო სასამართლოების მხრიდან. სწორედ საერთო სასამართლოები, სამართლის აღსრულების პროცესში, სამართლის კონკრეტულ ნორმას მიუსადაგებენ ინდივიდუალურ გარემოებებს და ამ გზით განსაზღვრავენ მის შინაარსს. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმის შინაარსის დადგენისას, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას საერთო სასამართლოების მიერ.[622] უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, საერთო სასამართლოები შეიძლება თავადვე სძენდნენ კონკრეტულ ნორმას არაკონსტიტუციურ შინაარსს.[623]

ამგვარად, ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საერთო სასამართლოს პრაქტიკა სადავო ნორმის შინაარსთან და გამოყენებასთან დაკავშირებით ურყევი მოცემულობაა. საკონსტიტუციო სასამართლო იღებს და განიხილავს ნორმას იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.[624] აღნიშნული წესისაგან არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს საერთო სასამართლოების განმარტებაზე, თუ არსებობს ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს წინააღმდეგობრივი პრაქტიკა ან საერთო სასამართლოს მიერ განმარტება აშკარად არაგონივრულია (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებისა[625]).

განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II-4.

[622] იქვე.

[623] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 31.

[624] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

[625] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის სავალდებულოობის გამო, შეუძლებელია, არსებობდეს კანონის სხვადასხვა შინაარსით გამოყენების კანონიერი შესაძლებლობა. ამასთანავე, კანონის განმარტების თვალსაზრისით, არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაზე უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ორგანო. სწორედ ამიტომ, არაგონი-

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ გამორიცხავს არც იმის შესაძლებლობას, რომ, საერთო სასამართლოების პრაქტიკის არარსებობის შემთხვევაში, სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტების ცნების ქვეშ მოექცნენ ხელისუფლების სხვა ორგანოებიც.[626] ამისათვის აუცილებელია, აღნიშნული ორგანოები უშუალოდ ახორციელებდნენ სამართლის ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას.[627] საპირისპიროდ, ამა თუ იმ სამინისტროს პოზიცია, სადავო ნორმის შინაარსთან დაკავშირებით, ვერ იქნება მიჩნეული სადავო ნორმის ავტორიტეტულ განმარტებად, როდესაც აღნიშნული სამინისტრო არ არის მისი პრაქტიკაში გამომყენებელი ორგანო.[628] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, სადავო ნორმის ავტორიტეტულ განმარტებად არ მიიჩნევს აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამომყენებელი ორგანოს ცალკეულ პოზიციებს, მათ შორის, წერილობითი ფორმით არსებულს, როდესაც განსხვავებულია საერთო სასამართლოებისა და თავად ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია კონკრეტული აკრძალვის შინაარსთან დაკავშირებით.[629]

3.3.1.1.2. აღმჭურველი წესის გასაჩივრება

უფლებაშემზღუდველი წესის იდენტიფიცირების პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, უფლებააღმჭურველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებასთან დაკავშირებით: რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შემზღუდველი ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას, სადავო ნორმის უფლებააღმჭურველად კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევებში, გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის არსები-

---

ერულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნაწილის შინაარსის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელეები უფლების დაცვის გარეშე დარჩებოდნენ. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[626] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 32.

[627] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 იელისის N2/10/1540 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[628] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/4/858 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II-6.

[629] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1360 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12.

თად განსახილველად მიღებას.[630] საკონსტიტუციო სასამართლო არ მსჯელობს სადავოდ მიჩნეულ უფლებააღმჭურველი შინაარსის მქონე ნორმაზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმით დადგენილი წესი, მისი ავტონომიური შინაარსი, უფლების შეზღუდვისაკენ არ არის მიმართული და პირის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვას არ ინვევს.[631] საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, გაუმართლებელია საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის დაყენება ყველა ისეთ საკანონმდებლო ნორმასთან მიმართებით, რომელიც უფლებით სარგებლობის რეგლამენტირებას ახდენს, ადამიანს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს და ამდენად, ქცევის სავალდებულო წესს განსაზღვრავს. ფორმალურად, უფლებააღმჭურველი ნორმის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განიხილოს, როდესაც კონსტიტუციური უფლების (საქართველოს კონსტიტუციით დაცული სფეროს) შეზღუდვის რისკი სადავო ნორმას არსებითად უკავშირდება.[632]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განმარტებული არ არის აღმჭურველი ნორმის ცნების მკაფიო და ცალსახა შინაარსი, ისევე, როგორც გამოკვეთილი განმასხვავებელი მახასიათებლები უფლებაშემზღუდველი ნორმისაგან, თუმცა, ზოგადი სტანდარტების მიხედვით, უფლებაშემზღუდველი რეგულაცია ამცირებს ადამიანის თავისუფალი მოქმედების ფარგლებს[633], უფლებააღმჭურველი ნორმის შინაარსი კი იმ სამართლებრივ მოწესრიგებაში ვლინდება, რომელსაც იგი მოქმედ სამართლებრივ სივრცეს ამატებს.[634] ამრიგად, უფლებააღმჭურველი რეგულაცია მიმართულია პირის უფლების რეალიზაციისაკენ. საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ამგვარი პრაქტიკის შემუშავებას საფუძვლად უდევს ის რეალობა, სადაც უფლებააღმჭურველი წესის პარალელურად, კანონმდებლობაში არსებობს ნეგატიური ჩანაწერი, რომელიც ზღუდავს პირის მიერ ამა თუ იმ უფლებით სარგებლობას. ამ პირობებში, უფლებააღმჭურველი წესის

---

[630] გამონაკლის შემთხვევას განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებააღმჭურველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების დამდგენ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოში განცალკევებით იქნება განხილული.

[631] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის N1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13.

[632] იქვე, II-11.

[633] იხ., mutatis mutantis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[634] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის N1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი ხდება მოსარჩელის უფლების დარღვევის პრევენცია ან უფლებებში აღდგენა.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებააღმჭურველად მიიჩნია, მათ შორის, ის რეგულაციები და არ მიიღო არსებითად განსახილველად, რომლებიც:

- ქალ მსჯავრდებულს საოჯახო პაემნის უფლებით აღჭურავდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავისთავად ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო მოწესრიგება მსჯავრდებულ ქალებს რაიმე უფლებით/შესაძლებლობით აღჭურავს, არ იძლევა კონსტიტუციურად დასაბუთებულ საფუძველს, რომ ამ მოწესრიგებიდან ამოკითხვადი იყოს სხვა პირთა წრის – ბრალდებული ქალებისა და ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცების ოჯახური უფლებების მზღუდავი შინაარსი;[635]

  აწესრიგებდა ავთვისებიანი სიმსივნის შედეგად გამოწვეული ტკივილების ნარკოტიკული საშუალებების მეშვეობით მართვის წესს, პირთა გარკვეული წრისათვის – ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფებისათვის, რომელთაც უდგინდებოდათ დაავადების IV კლინიკური ჯგუფი და დაწყებული ჰქონდათ ნარკოტიკული საშუალებებით სიმპტომური მკურნალობა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული წესი არ მიიჩნია I კლინიკური ჯგუფის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირებისათვის ნარკოტიკული საშუალებებით მკურნალობის შესაძლებლობის გამომრიცხავ რეგულირებად;[636]

  გამონაკლისი წესით უშვებდა პენიტენციურ დაწესებულებაში არაუმეტეს 100-ფურცლიანი ოფიციალური დოკუმენტის ფლობას;[637]

  ადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, ადმინისტრაციული საქმის განხილვა განეხორციელებინა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვით;[638]

---

[635] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/3/1737 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[636] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/21/1626 განჩინება საქმეზე, „თენგიზ მესხი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაღმდეგ".

[637] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[638] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N1/11/1361 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

კონკრეტული პერიოდის განმავლობაში გამორიცხავდა მერისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიციირების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას;[639]

გარკვეულ შემთხვევებში, 14 წელს მიღწეულ პირს ანიჭებდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, იმ პირობებში, როდესაც, ზოგადი წესის შესაბამისად, დასახელებულ პირს აღნიშნული უფლება არ გააჩნდა;[640]

პირთა გარკვეულ კატეგორიას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებდა და, ამავდროულად, არ განსაზღვრავდა ვალდებულებას, ვის, რომელ სარჩელებზე და რა მოცულობის სახელმწიფო ბაჟი უნდა გადაეხადა.[641]

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს იმ რეგულაციების კონსტიტუციურობის შეფასებას, რომლებსაც მართალია, ერთი შეხედვით აღმჭურველი ბუნება გააჩნიათ, თუმცა ამავდროულად შემზღუდველ წესსაც შეიცავენ.[642]

3.3.1.1.3. ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმის" გასაჩივრება

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევს ე. წ. „საკანონმდებლო უმოქმედობას", რაც წარმოშობს სადავო ნორმის იდენტიფიცირების პრობლემას. „საკანონმდებლო უმოქმედობა" გულისხმობს შემთხვევას, როცა საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებულია ნაწილობრივი, არასრულყოფილი ან ნაკლოვანი კანონმდებლობა[643], ხოლო მოსარჩელე მხარისათვის არაკონსტიტუციურია სწორედ ამა თუ იმ სამართლებრივ აქტში შესაბამისი უფლების ან/და უფლებრივი გარანტიის გაუთვალისწინებლობა.

აღნიშნული რეალობა არ არის ქართული საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის ნოვაცია. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარების პა-

---

[639] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/5/1313 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[640] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/17/1301 განჩინება საქმეზე, „მზია ტურაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[641] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისს N1/11/1232 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ივანე პეტრიაშვილი და ელენე მახარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[642] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[643] Brewer-Carias R. A., Constitutional Courts as Positive Legislators, a Comparative Law Study, Cambridge University Press, 2011, 125-126.

რალელურად, ე. წ. „მესამე ტალღის“ ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოები, სხვდასხვა სახელწოდებითა და სხვდასხვა სამართლებრივი ტექნიკის გამოყენებით, აიძულებენ საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელ ორგანოებს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული შინაარსით შეიმუშაონ კანონმდებლობა. ამ გზით, საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოს არაკონსტიტუციური უმოქმედობის შესახებ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ამგვარ მექანიზმს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები იყენებენ მაშინ, როდესაც კანონმდებელი არ ასრულებს კონსტიტუციით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, შეიმუშაოს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ან როდესაც მის მიერ შემუშავებული კანონმდებლობა არასრულყოფილი ან დისკრიმინაციულია.[644]

ამგვარ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოები იყენებენ სხვდასხვა გზას, რათა შეავსონ საკანონმდებლო უმოქმედობით გამოწვეული ნაპრალები. ქართულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ამგვარ მექანიზმად ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმის“ გასაჩივრების პრაქტიკა მიიჩნევა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოქმედი უფლებაშემზღუდველი ნორმატიული წესი, ისეთ ვითარებაში, როდესაც რაიმე სამართლებრივი აქტი უფლებრივ გარანტიას არ ადგენს, მოსარჩელე მხარემ უნდა გაასაჩივროს ნორმა, რომელიც პირდაპირ აკრძალვას შეიცავს, ხოლო ამგვარი ნორმის არარსებობისას – ნორმა, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უფლების დაცვის სათანადო (პროცესუალური) გარანტიების არსებობის გარეშე (ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმა“[645]).[646] მიუხედავად ხსენებულისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება შემთხვევები, როდესაც ე. წ. „ინსტიტუტის დამდგენი ნორმის“ ნაცვლად, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებაარმჭურველი რეგულაციაში შემზღუდველი შინაარსი ამოიკითხა და არსებითად განსახილველად მიიღო. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა რეგულაციას, რომელიც დაზარალებულს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას ანიჭებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ

---

644 იქვე, 125.

645 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 37.

646 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N1/11/1361 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

სწორედ აღნიშნულ ნორმაში ამოიკითხა დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემის შესაძლებლობის შეზღუდვა.[647]

3.3.1.1.4. ე. წ. „მიმთითებელი ნორმის" გასაჩივრება

საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს სადავო ნორმას, რომელიც დამოუკიდებლად არ ადგენს ქცევის რაიმე წესს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ქცევის წესის დამდგენად არ მიიჩნევა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც, შინაარსობრივად, თავად კი არ განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, არამედ ნორმის ადრესატს მიუთითებს სხვა ნორმაზე, რომელიც შინაარსობრივად წყვეტს ამა თუ იმ ურთიერთობას.[648] ამგვარ რეგულაციებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ე. წ. „მიმთითებელი ნორმების" სახელით იცნობს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მიმთითებელ ნორმას, როგორც წესი, დამოუკიდებლად არ გააჩნია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის რესურსი.[649] ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე მხარისათვის პრობლემურია არა მიმთითებელი ნორმა, არამედ ის რეგულაცია, რომელიც შინაარსობრივად აწესრიგებს კონკრეტულ საკითხს, მოსარჩელე მხარემ სწორედ მითითებული ნორმით გათვალისწინებული წესის კონსტიტუციურობის თაობაზე უნდა იდავოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას არსებითად განსახილველად.[650]

3.3.1.1.5. ცალკეული სიტყვების, გრამატიკული ერთეულებისა და განმარტებითი ტერმინების გასაჩივრება

საკონსტიტუციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს იმ კონსტიტუციურ სარჩელებს, რომლებშიც სადავოდ არის გამხდარი სამართლის ნორმის ცალკეული სიტყვების, გრამატიკული ერთეულების, ისევე, როგორც განმარტებითი ტერმინების კონსტიტუციურობა.

---

[647] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N1/1/1312 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[648] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/6/755 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თამარ პაპაშვილი და ანა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4-6.

[649] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/4/1225 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4. დასახელებული წესი არ ვრცელდება მიმთითებელი ნორმის საფუძველზე დელეგირების შემთხვევებზე.

[650] იხ., იქვე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ცალკეული სიტყვებისა და გრამატიკული ერთეულების კონსტიტუციურობის შეფასებაზე უარის თქმა საფუძველს იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც, სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მისგან მომდინარეობდეს უფლების შემზღუდველი წესი. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, იგი დამოუკიდებლად უნდა ადგენდეს ქცევის წესს და გააჩნდეს რესურსი, რომ მიჩნეულ იქნეს ავტონომიური შინაარსის მქონე უფლებაშემზღუდველ ნორმატიულ აქტად.[651] საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს მხოლოდ იმ ცალკეულ სიტყვებს, რომლებიც ქმნიან გრამატიკულ ერთეულს და შინაარსს იძენენ მხოლოდ სხვა სიტყვებთან კავშირში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სადავო რეგულაციის რომელიმე კონკრეტული სიტყვა/სიტყვათა ჯგუფი ქმნის დამოუკიდებელ, ავტონომიურ ნორმატიულ შინაარსს, საკონსტიტუციო სასამართლო მათი არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნას იღებს შესაფასებელ მოცემულობად და წყვეტს შესაბამისი ქცევის წესის კონსტიტუციურობის საკითხს. ამრიგად, მოსარჩელე მხარემ კონკრეტული სამართლის ნორმა ან მთლიანად უნდა გაასაჩივროს ან ნაწილობრივ, იმ ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს სადავო ნორმიდან გარკვეული ნორმატიული წესის ამოკითხვა, მისი შინაარსის იდენტიფიცირება და საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე მსჯელობა.[652]

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე[653] საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვებს „მხედველობის გამო“ დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნდა, არამედ აღნიშნული სიტყვები გარკვეული ქცევის წესს ქმნიდნენ მხოლოდ სხვა სიტყვებთან ერთობლიობით – როგორიცაა „მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“. საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ ამგვარი სიტყვების ერთობლიობით მიიჩნია შესაძლებლად პირთა გარკვეული ჯგუფის გამოკვეთა, რომელთათვისაც საჯარო საქმიანობის განხორციელება არ გამორიცხავდა სოციალური დახმარების მიღებას. საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ სხვა საქმეში ქცევის წესის დამდგენად მიიჩნია რეგულაცია, რომელიც ადგენდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მარიხუ-

---

[651] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის N2/8/881 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ანა მაისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7.

[652] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 43.

[653] N881 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმის სრული ფორმულირება ამგვარად გამოიყურებოდა: „სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა“.

ანას უკანონო მოხმარებისათვის და რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე სადავოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების – „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება"[654], კონსტიტუციურობას ხდიდა.[655]

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამორიცხავს იმ საქმეების არსებითად განსახილველად მიღებას, რომლებშიც სადავოდ არის გამხდარი ის ცალკეული სიტყვები და გრამატიკული ერთეულები, რომლებიც დამოუკიდებლად არ ადგენენ ქცევის წესს. ამ კონტექსტში, კონსტიტუციური სარჩელის სათანადო დასაბუთებად არ მიიჩნევა არც იმ გარემოებაზე მითითება, რომ კონკრეტული სიტყვების მექანიკური ამოღებით მოსარჩელის პრობლემა გადაიჭრება და მისთვის სასურველი შედეგი დადგება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს, რომელიც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას ახორციელებს ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, ძალადაკარგულად ცნობის გზით. დაუსაბუთებლად მიიჩნევა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, რომელიც მიმართულია არა არსებული ნორმატიული რეალობის არაკონსტიტუციურობის მტკიცებისაკენ, არამედ სადავო ნორმიდან შესაბამისი სიტყვების ამოღების გზით ახალი შინაარსის ნორმის მიღებისკენ.[656] ამგვარად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადავო ნორმის ცალკეული სიტყვა/სიტყვები განსაზღვრული ქცევის წესის დამდგენად მიიჩნევა, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად, აუცილებელია, მოსარჩელე არ ითხოვდეს აღნიშნული სიტყვის/სიტყვების მექანიკურად ამოღებას სადავო ნორმიდან, არამედ ასაბუთებდეს მისგან მომდინარე პრობლემას.

---

[654] მაგ., ერთ-ერთ კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმის სრული ფორმულირებაა: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის N2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები" 73-ე გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალების – მცენარე კანაფის ან 92-ე გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალების – მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება – გამოინვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 თვიდან 6 თვემდე ვადით". იხ., 2017 წლის 13 დეკემბრის N1282 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[655] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის N1/5/1282 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[656] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის N3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც წესი, შეიცავს განმარტებით ტერმინებს, რომლებიც მიზნად ისახავს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, ამა თუ იმ ცნების შინაარსის განსაზღვრებას. განმარტებითი ტერმინები კანონის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საშუალებაა და წარმოადგენს საკანონმდებლო კონკრეტული სამართლებრივი ტერმინის განმარტების მექანიზმს. შესაბამისად, განმარტებითი ტერმინების მიზანი საკანონმდებლო აქტის სხვადასხვა ნორმაში გამოყენებული ცნებების შინაარსის დადგენაა. ამგვარი ნორმები, როგორც წესი, არ აწესრიგებს და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს მატერიალური ნორმის განხორციელებისათვის და, ამ თვალსაზრისით, არ ქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა თუ თავისუფლებებში ჩარევის დამოუკიდებელ, თვითმყოფად საფუძველს.[657] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განმარტებითი ტერმინები, სათანადო, უფლებაშემზღუდველი იურიდიული შედეგის თანხლების გარეშე, არ იწვევს მოსარჩელის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. ამგვარ შემთხვევებში, მოსარჩელემ სადავოდ უნდა გახადოს არა საკანონმდებლო აქტში გამოყენებულ ტერმინთა დეფინიცია, არამედ ის შინაარსობრივი რეგულაცია, რომელიც ანესებს კონკრეტულ შეზღუდვა/აკრძალვას.

მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, რეგულაციას, რომელიც განსაზღვრავდა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დაუშვებელი პროდუქციის ცნებას. კერძოდ, სადავო ნორმის მიხედვით, დაუშვებელი პროდუქცია განიმარტებოდა როგორც „ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია." საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, არ მიიღო არსებითად განსახილველად და მიუთითა, რომ სადავო ნორმის მოწესრიგების სფერო ამოიწურებოდა მხოლოდ დაუშვებელი პროდუქციის ცნების განსაზღვრებით. სადავო ნორმა არ აწესრიგებდა დაუშვებლად მიჩნეული პროდუქციის გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ ამიტომ,

[657] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/15/1423 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ანი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის N2/21/1305 განჩინება საქმეზე, „კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

სადავო ნორმას არც მოსარჩელის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის პოტენციალი გააჩნდა.[658]

მსგავს შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ კანონის განმარტებით ტერმინებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიული სივრცის მართებულად აღქმისათვის, აუცილებელია, მოსარჩელე მხარემ სადავოდ გახადოს არა განმარტებითი ტერმინები, არამედ რეგულაციები, რომლებიც უშუალოდ ზღუდავს პირის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგალითისათვის, ზემოთ განხილულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს სადავოდ უნდა გაეხადა არა დაუშვებელი პროდუქციის ცნების განმარტებითი ნორმა, არამედ რეგულაცია, რომელიც, პირობითად, ზღუდავდა თავად დაუშვებელი პროდუქციის გავრცელებას ან/და ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ამგვარი პროდუქციის გავრცელებისათვის. ბუნებრივია, თუ დაუშვებელი პროდუქციის გავრცელებისათვის პირი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული ან/და სხვაგვარად პოზიტიურ შედეგს მიიღებს, შეუძლებელია, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაზე საუბარი.[659]

3.3.1.1.6. სადავო ნორმის განუსაზღვრელობის მტკიცების სტანდარტი

სამართლის განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლის უზენაესობის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კანონიერების, ისევე, როგორც ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების პრინციპების ერთ-ერთი ფუნდამენტია.[660] კანონის განსაზღვრულობის პრინციპი სახელმწიფო

---

[658] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის N1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II-6, II-7.

[659] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკა იცნობს განმარტებით ტერმინებში უფლებაშემზღუდველი წესის ამოკითხვის შემთხვევებსაც. მაგალითისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არსებითად განსახილველად მიიღო რეგულაციები, რომლებიც განმარტავდა პირთა წრეს, რომლებიც შესაძლებელია მიჩნეულ ყოფილიყვნენ თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფ პირებად და რომელთაც ეზღუდებოდათ შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღების უფლება. სავარაუდოა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები მიიჩნია არა მხოლოდ განმარტებითი დანიშნულების მქონე, არამედ პირთა წრის შემოფარგვლის გზით, სავალდებულო ქცევის წესის დამდგენ ნორმად, რომელიც ზღუდავდა პირთა კონკრეტული კატეგორიის უფლებას, მონაწილეობა მიეღოთ შეკრებებსა და მანიფესტაციებში. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/9/1572 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[660] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბერის N3/4/641

ხელისუფლებას ავალდებულებს, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა, რათა კანონის ადრესატმა შეძლოს მისი შინაარსის, რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების სათანადოდ აღქმა, საკუთარი ქცევის მის შესაბამისად განხორციელება და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა.[661] მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული კანონმდებლობის პირობებში აქვს პირს შესაძლებლობა, საკუთარი ქცევა შეუსაბამოს კანონის მოთხოვნებს, არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედება და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა.[662] ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისათვის. შესაბამისად, განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს იმგვარი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რომელიც პირს იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან.[663]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განსაზღვრულობის მასშტაბი ზოგად დადგენას არ ექვემდებარება, არამედ დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე. საკანონმდებლო მოწესრიგებისას, რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერ იქნება აცილებული ყველა გაურკვევლობა და ეჭვი, მაგრამ საჭიროა, რომ კანონმდებელმა, სულ მცირე, ძირითადი იდეა, საკანონმდებლო ნება და მიზანი გარკვევით ჩამოაყალიბოს.[664] ამასთანავე, კონკრეტული შემთხვევის თავისებურების ანალიზისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული იმ ურთიერთობის სპეციფიკა, რომელსაც არეგულირებს შესაფასებელი ნორმატიული აქტი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია, განსხვავებული იყოს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნები, იმის მიხედვით, რა ტიპის ურთიერთობას აწესრიგებს საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტი.[665]

გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-2, II-6;

[661] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-36; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე — ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[662] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[663] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29.

[664] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-37.

[665] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ერთმანეთისგან განასხვავებს პასუხისმგებლობის დამდგენი, საჯაროსამართლებრივი ნორმებისა და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განუსაზღვრელობის მტკიცების კონსტიტუციურ სტანდარტებს.[666]

პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ბუნდოვანება, თავისთავად, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსისაგან დამოუკიდებლად, შესაძლებელია იყოს მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი, იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა.[667] ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით მოწმდება მხოლოდ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი.[668] საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, ამა თუ იმ ქმედების დასჯადად მიჩნევა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ფორმაა. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო კი დგას პირთა თავისუფლების იდეაზე, როდესაც ქმედების აკრძალვა, მით უფრო, ამ ქმედების ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, გამოიყენება როგორც *ultima ratio* ღონისძიება.

სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახელმწიფოს პასუხი, უმეტესწილად, რეპრესიული მექანიზმების ამოქმედებაა, ამდენად, აუცილებელია, რომ პირის ქცევის კორექტირება, აკრძალვის დაწესება და პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდეს მხოლოდ სათანადო კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად შე-

---

გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-30.

[666] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[667] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-37.

[668] საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

მუშავებული კანონის საფუძველზე.[669] ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი მოითხოვს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა[670] და შესაბამისი პასუხისმგებლობის დამდგენი საკანონმდებლო ნორმები საკმარისი სიცხადით იყოს ფორმულირებული და მაღალი ხარისხით აკმაყოფილებდეს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნებს. სწორედ ამგვარად ჩამოყალიბებული ნორმების პირობებშია შესაძლებელი, კანონმა შეასრულოს საგარანტიო ფუნქცია, რათა პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შესახებ გადაწყვეტილება არსებითად მიიღოს საკანონმდებლო ორგანომ და თავიდან იქნეს აცილებული სამართალშემფარდებელთა თვითნებობა.

პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების კონსტიტუციურობის სამტკიცებლად, მოსარჩელე ვალდებულია, ერთი მხრივ, დაასაბუთოს, რომ სადავოდ ხდის პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმას და იგი არის ბუნდოვანი, განუსაზღვრელი, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება მოითხოვოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.[671]

აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზეც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკა არ გამორიცხავს პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში ზოგადი ტერმინების გამოყენების დასაშვებობას. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, თანამედროვე სამყაროში პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები გამოიყენება ურთიერთობათა საკმაოდ ფართო, მუდმივად ცვალებადი, დინამიკური და წინასწარ არაიდენტიფიცირებადი სპექტრის მოსაწესრიგებლად. შესაბამისად, ამგვარ ნორმებში ზოგადი, ინტერპრეტირებადი ტერმინების გამოყენება ავტომატურად მათ არაკონსტიტუციურობაზე არ მიუთითებს. კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ნორმის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით.[672] ამასთანავე, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში გამოყენე-

---

[669] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[670] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, საკუთარ თავში, გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც სახელმწიფოს სანქციის გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებს, იმისგან დამოუკიდებლად, სისხლისსამართლებრივად წესრიგდება აკრძალული ქმედება, თუ ადმინისტრაციულსამართლებრივად. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[671] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-24.

[672] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/1/1289

ბული ტერმინების განმარტების/ინტერპრეტირების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო სასამართლოს პრაქტიკას. ამდენად, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში, ზოგადი ტერმინების გამოყენების გამო, განსაზღვრულობის პრობლემა გამოიკვეთება ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

> სადავო ნორმის შინაარსთან/გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს საერთო სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა;
>
> საერთო სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის შედეგად ნორმის ახლადიდენტიფიცირებული ნორმატიული შინაარსის გავრცელება ხდება ამ განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე;
>
> პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სადავო ნორმის ზედმეტად ფართო, ნინასწარ განუსაზღვრელი განმარტების შედეგია.[673]

საპირისპიროდ, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განსაზღვრულობის შემოწმების კონსტიტუციური სტანდარტისაგან განსხვავებით, იმ ნორმის ბუნდოვანების სამტკიცებლად, რომელიც არ ადგენს პასუხისმგებლობას, საკმარისი არ არის მხოლოდ მის ზოგად ხასიათსა და განუსაზღვრელობაზე მითითება. იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა რამდენიმე წესის წაკითხვის ან ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ან რამდენიმე არაკონსტიტუციურია, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს და, სათანადო პირობების არსებობისას, არაკონსტიტუციურად ცნობს მხოლოდ სადავო ნორმის კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსს, მთლიანი ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების გარეშე. ამგვარი მიდგომა ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ დაშვებას, რომ ვერ გამოირიცხება ზოგადი ნორმების საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს თითოეული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას და, ამ გზით, უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს არაკონსტიტუციური შინაარსის ნორმების გამოყენება. სწორედ ასე მიიღწევა, ერთი მხრივ, ურთიერთობათა მეტ-ნაკლებად ამომწურავი სამართლებრივი მოწესრიგება, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ნორმის საფუძველზე გაკეთებული თითოეული სამართლებრივი განმარტება არ დარჩება კონსტიტუციური კონტროლის მიღმა.[674] ამგვარად, იმ ნორმის განუსაზღვრელობის მტკიცებისას, რომელიც არ ადგენს პასუხისმგებლობას, მოსარჩელემ უნდა მოითხოვოს ნორმის იმ კო-

---

გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10, II-13.

673 იქვე, 14-21.

674 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-73.

ნკრეტული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასება, რომელიც მისთვის არის პრობლემატური.

3.3.1.2. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების პრობლემა

3.3.1.2.1. კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს სწორად იდენტიფიცირება

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი აწესრიგებს ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელთაც განსხვავებული მოწესრიგების სფერო და მიზანი გააჩნია, ვრცელდება პირთა სხვადასხვა წრეზე, განსხვავებულია კონსტიტუციური უფლებებით დაცვის ფარგლები, ჩარევის საფუძვლები და დაცვის სტანდარტები, ისევე, როგორც მათი შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების მასშტაბები. საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება კი მოითხოვს, რომ თითოეული უფლების დაცული სფერო შესაბამის კონსტიტუციურ დებულებებში იქნეს ამოკითხული.[675]

საკონსტიტუციო სასამართლო, პრაქტიკაში, თითოეული კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრას მათი მიზანმიმართულებისა და ღირებულებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს. ამასთანავე, ბუნებრივია, ცალკეულ შემთხვევებში, საკმაოდ მკაფიოა ზღვარი კონსტიტუციური დებულებებით დაცულ უფლებრივ სფეროებს შორის, სხვა შემთხვევებში კი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულების შერჩევა სიფრთხილეს მოითხოვს, რამდენადაც ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა, საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცულ სფეროში მოექცეს, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცული სფეროები გარკვეულწილად ფარავდეს ერთმანეთს. ნინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის განსხვავებული ნორმებით დაცული უფლებების ფარგლების ხელოვნური გაფართოება, უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის წაშლა, ვერც უფლების დაცვას მოემსახურება და ვერც საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს. [676]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანია, მოსარჩელე მხარეს სწორად ესმოდეს

---

[675] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12.

[676] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის N1/7/561,568 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

კონსტიტუციური დებულების შინაარსი და სწორად ახდენდეს კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროს იდენტიფიცირებას. აღნიშნული გულისხმობს როგორც იმის დასაბუთებას, რომ ესა თუ ის საკითხი, რომელზეც მოსარჩელე მხარე მიუთითებს, კონსტიტუციურად დაცული უფლების ნაწილია, აგრეთვე, იმ სათანადო კონსტიტუციურ დებულებაზე მითითებას, რომლის შემადგენელ ელემენტადაც მოსარჩელე აღნიშნულ უფლებას მიიჩნევს. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, ესა თუ ის უფლება, რომელზეც მოსარჩელე მხარე კონსტიტუციურ სარჩელში აქცენტირებს, არ განეკუთვნებოდეს კონსტიტუციური უფლების ნაწილს.[677] განსხვავებულია მიმართებაც საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს შორის. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებას სუბსიდიური ბუნება გააჩნდეს[678], სხვადასხვა ნორმას ჰქონდეს ერთი და იმავე ფაქტობრივი ურთიერთობის მოწესრიგების რესურსი და საქართველოს კონსტიტუციის ერთი მუხლით დაცული უფლება მეორე მუხლით დაცული უფლების *lex specialis* იქნეს მიჩნეული[679] ან აწესრიგებდეს მსგავსი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს[680]. შესაბამისად, პირმა, აღნიშნული

---

[677] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-89.

[678] მაგ., საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II-57.

[679] მაგ., საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლების გამიჯვნის შესახებ. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-25.

[680] მაგ., საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლების პირველი პუნქტებით დაცული სფეროებისა და საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადებების დაცული სფეროების შესახებ და სხვ. შესაბამისად, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კეცლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

გარემოებების გათვალისწინებით, სწორად უნდა შეარჩიოს შესაბამისი უფლების დამდგენი კონსტიტუციური დებულება. ამ პროცესში, საქართველოს კონსტიტუციის ნორმასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად მოსარჩელე მხარე შესაძლებელია, დაეყრდნოს როგორც საქართველოს კონსტიტუციის ტექსტუალურ ანალიზს, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

კონსტიტუციურ უფლებათა შინაარსის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ კონსტიტუციური ტერმინები თვითმყოფადია და ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებული ტერმინების შინაარსი არ არის დამოკიდებული და არ გამომდინარეობს ქვემდგომ კანონმდებლობაში არსებული დეფინიციებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის შინაარსი და მთელი კონსტიტუციური წესრიგი კანონმდებლობაზე დამოკიდებული გახდებოდა და ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნებოდა თვითნებობისათვის.[681] ამდენად, აუცილებელია, საქართველოს კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებასთან სადავო ნორმის მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელე მხარემ იხელმძღვანელოს კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსით.

3.3.1.2.2. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და მისი გვერდითი ეფექტის გამიჯვნა

კონსტიტუცია კომპლექსური ხასიათის მრავალფუნქციური დოკუმენტია, რომელიც აწესრიგებს, მათ შორის, სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობათა საკმაოდ მრავალფეროვან და, ამავდროულად, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ სპექტრს. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სხვადასხვა ფორმითა და ინტენსიობით, მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ერთი უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფაზე ხშირად არის დამოკიდებული სხვა უფლებებითა თუ თავისუფლებებით სარგებლობაც ამგვარად, ხშირად, ერთი უფლების შეზღუდვა ინვევს სხვა უფლებაზე ზემოქმედებასაც, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ხსენებული არ გულისხმობს, რომ სადავო ნორმა ერთდროულად სხვადასხვა უფლებას ზღუდავს. ზოგადად, ძირითადი უფლებებით ზღუდვის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას სხვადასხვა სფეროში.[682]

---

[681] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

[682] ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2023, 28-29.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასა და კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისგან მომდინარე გვერდით ეფექტს. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს აფასებს იმ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, რომლის შეზღუდვისკენაც არის იგი უშუალოდ მიმართული, და არა იმ უფლებასთან, რომლის შეზღუდვაც გვერდითი ეფექტის სახით მოჰყვება მას.[683] საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, არაერთი საქმის არსებითად განსახილველად მიღებასა და დაკმაყოფილებაზე განაცხადა უარი. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ:

- რეგულაცია, რომელიც ზღუდავს ფიზიკური პირების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის შესაძლებლობას, შემხებლობაშია სასამართლოსადმი მიმართვის და არა დაცვის უფლებასთან. ბუნებრივია, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, თავისთავად, გამოირიცხება პირის მიერ მთელი რიგი საპროცესო უფლებებით, მათ შორის, დაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობა, თუმცა აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნეს არა დაცვის უფლების შეზღუდვად, არამედ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის გვერდით ეფექტად;[684]

  კორონავირუსის პანდემიის პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მძღოლის გვერდით სავარძელზე განთავსების აკრძალვას, გვერდითი ეფექტის სახით შესაძლოა მოჰყოლოდა, პირთა ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილების გართულება, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავდა სადავო ნორმით დადგენილი წესით საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვას;[685]

  რეგულაცია, რომელიც ღია საჯარო სივრცეში ყოფნისას/გადაადგილებისას ადგენდა პირბადის გამოყენების ვალდებულებას, არ მიანიშნებდა პირთა მიმოსვლის შეზღუდვაზე, არამედ, რიგ შემთხვევებში, ეს

---

[683] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/21/872 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სოფიკო ვერძეული, გურამ იმნაძე და გიორგი გვიმრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[684] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1623 განჩინება საქმეზე, „ვასილ უიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13.

[685] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის N1/9/1505 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-21; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის N3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-30.

შედეგი წარმოადგენდა სხვა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გვერდით ეფექტს;[686]

სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით ბაჟის დაწესების საკითხი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ნაწილია და არ გააჩნია საკუთრების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავა საკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს;[687]

პირის მიმართ შემოწმების და დათვალიერების საპოლიციო მოქმედების განხორციელება, როგორც ზედაპირული შემოწმება, აგრეთვე ნივთის, სატრანსპორტო საშუალების და მისი საბარგულის დათვალიერება, შეიძლება, ზღუდავდეს პირადი ცხოვრების რომელიმე უფლებრივ კომპონენტს, თუმცა ისინი არ არის მიმართული პირის ფიზიკური თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისკენ;[688]

მშობლის მიერ შვილის საზღვარგარეთ გაყვანის უფლების შეზღუდვას მიმართება გააჩნია თავისუფალი მიმოსვლის უფლებასთან და არა იმ უფლებებთან (პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრებისა თუ განათლების მიღების უფლება), რომელთა რეალიზაციის წინაპირობასაც წარმოადგენს პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.[689]

3.3.1.2.3. არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა მხოლოდ კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმასთან მიმართებით

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი გულისხმობს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.[690] ამდენად, მოსარჩელე უფლებამოსილია, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრულ კონსტიტუციურ

---

[686] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/5/1558 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი ლაშხი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-20, II-21.

[687] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/5/1249 განჩინება საქმეზე, „ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები – შეჰაბ აჰმედ ჰამუდი ჰამუდი და აჰმედ შეჰაბ აჰმედ აჰმედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[688] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/21/872 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სოფიკო ვერძეული, გურამ იმნაძე და გიორგი გვიმრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[689] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/16/1212 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[690] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

დებულებებთან მიმართებით. აუცილებელია, რომ ის კონსტიტუციური დებულება, რომელთანაც მიმართებითაც მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული ყველა დებულება კონსტიტუციური უფლების დამდგენი არ არის. მაგალითად, ამგვარ დებულებას განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი,[691] რომელიც არ ახდენს რომელიმე უფლების დეკლარირებას, არ განსაზღვრავს ამა თუ იმ უფლების ნორმატიულ შინაარსსა და ფარგლებს, არამედ მისი მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დამატებითი სუბიექტის განსაზღვრა,[692] ისევე, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპების დადგენა.[693] მაგალითისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნებით ბოჭვის ვალდებულება, თავისთავად მომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული თითოეული უფლებისგან და წარმოადგენს ძირითად კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვითმყოფად საშუალებას. შესაბამისად, დასახელებული კონსტიტუციური ჩანაწერები წარმოადგენს უფლების დაცვის ძირითად მსაზღვრელ პრინციპებს და არა თავად უფლებებს, რომლებთანაც მიმართებითაც საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს.[694] ამდენად, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება ამ და მსგავს კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით ვერ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

3.3.1.2.4. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება

საკონსტიტუციო სასამართლომ, საკუთარი პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ და წარდგენილი ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების მა-

---

[691] საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

[692] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის N1/1/564 განჩინება საქმეზე, „შპს „მაგთიკომი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

[693] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/8/1470 განჩინება საქმეზე, „ფრიდონ ბასილაია და აკაკი თორიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

[694] იქვე, 14.

ტებასთან ერთად, გაამკაცრა კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა დასაშვებობის ეტაპზე.[695] კერძოდ, კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ან/და სადავო ნორმის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართების წარმოჩენა საკმარისი აღარ არის კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მომწესრიგებელი ნორმები არ გამორიცხავს აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. მოქმედი კონსტიტუციური სისტემა თავადვე განსაზღვრავს დასახელებული უფლებების შეზღუდვის საფუძვლებს, უფრო მეტიც, ამგვარი ხასიათის შეზღუდვები, ხშირ შემთხვევაში, აუცდენელი და გარდაუვალია, ღირებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და ინტერესთა სამართლიანი დაბალანსებისათვის. შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია, კონსტიტუციურ სარჩელში წარმოადგინოს არგუმენტაცია, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ უფლების შეზღუდვის ფაქტის მტკიცებისკენ, არამედ თავად შეზღუდვის არაგონივრულობის, არაპროპორციულობის და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურობის წარმოჩენისკენაც.[696] ამგვარი არგუმენტაციის წარმოდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც სადავო რეგულაცია აშკარად თვითმიზნური არ არის.[697] გარდა ამისა, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის მტკიცებისაკენ მიმართული არგუმენტაცია უნდა იყოს არა აბსტრაქტული ხასიათის, არამედ ნათლად და კონკრეტულად წარმოაჩენდეს, რატომ არის დადგენილი შეზღუდვა მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალება.

3.3.1.2.5. სადავო ნორმის ფორმალური არაკონსტიტუციურობის მტკიცების სტანდარტი

ძალაუფლების ფუნქციური გამიჯვნის[698] ამოსავალი წერტილი შეკავებისა და გაწონასწორების იმგვარი მექანიზმის არსებობაა, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლების თითოეული შტო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, სა-

---

[695] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 52.

[696] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სვეტი დეველოპმენტი", „შპს სვეტი ჯგუფი", „შპს სვეტი", „შპს სვეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6, II-7.

[697] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/8/1496 განჩინება საქმეზე, „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-13, II-14.

[698] კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 68-69.

ფუძველი გამოაცალოს ხელისუფლების სხვა შტოს არსებით კონსტიტუციურ ძალაუფლებას და აღნიშნული ძალაუფლება, ძირეულად, საკუთარ უფლებამოსილებას დაუქვემდებაროს.[699] სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური კომპეტენციები და ამოცანები შესაბამისი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით აღჭურვილმა სახელისუფლებო შტომ უნდა განახორციელოს.[700] საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ხელისუფლების შტოების სამოქმედო ფარგლები და განსაზღვრულია ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები და მათი საქმიანობის მიმართულებები. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია, საქართველოს პარლამენტმა ურთიერთობათა ესა თუ ის სპექტრი რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე უნდა მოაწესრიგოს. თუმცა, ნორმატიული ბუნების მთელი რიგი აქტები მიღებულია ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ავტორობით, რომელიც ამ უფლებამოსილებას დელეგირების საფუძველზე ახორციელებს, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმების და საკანონმდებლო დელეგირების სტანდარტებისა და ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრის საჭიროებას.

გარკვეული მოსაზრებით, საკანონმდებლო დელეგირების მექანიზმი აფერხებს ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნას, დემოკრატიული ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა[701] და სამართლის უზენაესობის პრინციპების უზრუნველყოფას.[702] თუმცა ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოშობს საკანონმდებლო ორგანოს გადატვირთვის რისკს.[703] უფლებამოსილე-

---

699 Huq A.Z., Libertarian Separation of Powers, New York University Journal of Law and Liberty Vol. 8, No. 3, 2014, 1033.

700 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-6.

701 იხ., აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-35.

702 Carolan E., "Democratic Accountability and the Non-Delegation Doctrine", Dublin University Law Journal Vol. 33, 2011, 223-227.

703 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-38.

ბის დელეგირების მექანიზმი კი მნიშვნელოვნად ამარტივებს კანონშემოქმედებით საქმიანობას და საკანონმდებლო ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილებები პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო მათი იმპლემენტაციისათვის საჭირო დეტალების – პროცედურულ-ტექნიკურ საკითხთა მონესრიგება სხვა სახელმწიფო ორგანოებს გადაანდოს.[704] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით არ გამოირიცხება დელეგირება, თუმცა დელეგირების საკონსტიტუციოსამართლებრივ ფარგლებთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს შემდეგ სტანდარტებს:[705]

- სამართლებრივი ურთიერთობის ცალკეულ კატეგორიებთან მიმართებით იკრძალება უფლების შეზღუდვის მონესრიგების დელეგირება საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოზე; იმ ურთიერთობასთან მიმართებით, სადაც დელეგირება დასაშვებია, დაცული უნდა იქნეს საკანონმდებლო დელეგირების ცალკეული წინაპირობები, რათა დელეგირება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ჩაითვალოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს პარლამენტისათვის ექსკლუზიურ კომპეტენციას მიკუთვნებული რიგი იმანენტური უფლებამოსილებების ხელისუფლების აღმასრულებელ შტოზე დელეგირება. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების, ან განაკვეთის ფარგლების დადგენა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, რაც გამორიცხავს საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირებას.[706] სწორედ ამიტომ, საკანონმდებლო დელეგირება დაუშვებელია, როდესაც:

- საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს დელეგირებას; როდესაც მიიჩნევა, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით საქართველოს პარლამენტი ამბობს უარს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე.[707]

---

[704] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-30.

[705] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 52.

[706] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-13.

[707] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე,

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტი საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებაზე უარს ამბობს, როდესაც:

- საქართველოს კონსტიტუცია აკეთებს კონკრეტულ მითითებას საკითხის მოწესრიგებასთან მიმართებით. მაგალითად, როდესაც იგი პირდაპირ მიუთითებს კონკრეტული საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგებაზე[708]; საქართველოს პარლამენტი ახდენს თავისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას (მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების დელეგირება განიხილება საქართველოს პარლამენტის მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელებაზე უარის თქმად, რის გამოც მსგავსი რამ აკრძალულია).[709]

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკანონმდებლო დელეგირება ფუნდამენტურ დონეზე დასაშვებად მიიჩნევა, ამგვარი დელეგირების კონსტიტუციურობისათვის აუცილებელია:

სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-78.

[708] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამორიცხავს საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების საქართველოს კანონით მოწესრიგების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციურ ლოგიკას სრულად მოკლებულია პარლამენტის მიერ ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების შედარებით დაბალი ლეგიტიმაციის აქტით მოწესრიგების უფლებამოსილების „საკუთარ თავზე" დელეგირება. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-28; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ამა თუ იმ საკითხის ორგანული კანონით ან კანონით მოწესრიგებაზე მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს პარლამენტის შესაძლებლობას, მოახდინოს საკითხის რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება სხვა ორგანოზე. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-95-101; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საყვარია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-71; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-75-78.

[709] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", შპს „კასტელ ჯორჯია" და „სს წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ", II-13.

არსებობდეს მადელეგირებელი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმა, რომელიც საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილებას სხვა ორგანოს გადაანდობს;

უფლებამოსილების მიმნიჭებელი აქტი მკაფიოდ განსაზღვრავდეს დელეგირების მიზნებს, შინაარსსა და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვებ ფარგლებს.[710]

ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დაასაბუთებისას, ფორმალური არაკონსტიტუციურობის მტკიცების ნაწილში, ყოველივე ზემოხსენებული საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმებისათვის, თავდაპირველად, აუცილებელია, მოსარჩელე მხარემ დაასაბუთოს სადავო ნორმის საფუძველზე უფლების შეზღუდვის ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსარჩელემ იდავოს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფორმალური მოთხოვნების დარღვევაზე, აუცილებელია, მოსარჩელე მხარემ შეძლოს სადავო ნორმით უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება. მოსარჩელე ვერ მოითხოვს, თუნდაც საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ფორმის დარღვევით მიღებული ისეთი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც არ ზღუდავს მის ძირითად უფლებებსა თუ თავისუფლებებს.[711]

3.3.1.2.6. ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით დასაშვებობის სტანდარტები

3.3.1.2.6.1. სადავო ნორმის დისკრიმინაციულობის მტკიცების სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მითითების მიხედვით, ხსენებული კონსტიტუციური დებულება კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერ შემთხვევას, დისკრიმინციის ფორ-

---

[710] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-48, II-53; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-42.

[711] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/17/1493 განჩინება საქმეზე, „აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და სულხან სალაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-3.

მისაგან, ხერხისაგან თუ ნიშნისაგან დამოუკიდებლად,[712] აგრეთვე, ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, კანონით გარანტირებული ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას.[713] დისკრიმინაციის აკრძალვის მიზანია გამორიცხოს, სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების გარეშე, ანალოგიურ გარემოებებში მყოფი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა და პირიქით – არ დაუშვას არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა.[714] სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების მიზანია, პირები აღჭურვოს მსგავსი უფლებებითა და ვალდებულებებით, ხოლო, რიგ შემთხვევებში, დააბალანსოს მათი ბუნებიდან მომდინარე ფაქტობრივი უთანასწორობა და არსებითად უთანასწორო პირებს დაუდგინოს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.[715]

2023 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", რომელიც, გარკვეული დოზით, აჯამებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ პერიოდამდე ჩამოყალიბებულ სტანდარტებს/ტესტებს დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციურ გარანტიასთან მიმართებით.[716] მოცემული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების არსის განმარტების შედეგად, დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, შეფასებას ექვემდებარება სამი განსხვავებული შემთხვევა: ა) სახელმწიფო არსებითად თანასწორ პირებს, ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე, ეპყრობა განსხვავებულად; ბ) სახელმწიფოს მიერ დადგენილი, ფორმალურად თანასწორი მოპყრობა ფაქტობრივად იწვევს პირთან მყარად დაკავშირებული, კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი ნიშნით იდენტიფიცირებადი რომელიმე ჯგუფის (არაპირდაპირ) დიფერენცირებას; გ) არსებობს პირთან მყარად დაკავშირებული ნიშანი, რომ-

---

[712] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

[713] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[714] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-2.

[715] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 71.

[716] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის N2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე, „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ლის გამოც ისინი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, მიჩნეული უნდა იქნენ არსებითად არათანასწორად და წარმოეშობათ განსხვავებული მოპყრობის მოთხოვნის უფლება.[717]

პირდაპირი დისკრიმინაციის ფარგლებში, სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით სადავო ნორმის არსებითად განსახილველად მისაღებად, საჭიროა მოსარჩელე მხარემ სწორად შეარჩიოს სადავო ნორმა და გამოკვეთოს:

- სადავო ნორმის მიმართება პირთა (იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად) წრესთან, რათა გამოირიცხოს სადავო ნორმის პირთა წრის მიმართ ნეიტრალობა;[718]

  შესადარებელ პირთა კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით არსებითად თანასწორობა (აუცილებელია, ისინი განეკუთვნებოდნენ შედარებად კატეგორიას);

  დიფერენცირებული მოპყრობა არსებითად თანასწორი პირების მიმართ;[719]

  დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობა, არაკონსტიტუციურობა.[720]

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შემზღუდველი შეიძლება იყოს როგორც ნორმა, რომელიც მოსარჩელეს უზღუდავს რაიმე უფლებით სარგებლობას ან სხვა პირს აღჭურავს მისგან განსხვავებული უფლებრივი რეჟიმით, რის საფუძველზეც იგი ექცევა უთანასწორო მდგომარეობაში.[721] ნებისმიერ შემთხვევაში, მოსარჩელემ, რომელიც სადავოდ მიიჩნევს სხვა, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებააღმჭურველ რეგულაციას, სასარჩელო ფორმულირება იმგვარად უნდა ჩამოაყალიბოს, რომ ითხო-

---

[717] იქვე, II-15.

[718] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/4/1292 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/6/1253 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და ააიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[719] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/469 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[720] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სეტი დეველოპმენტი“, „შპს სეტი ჯგუფი“, „შპს სეტი“, „შპს სეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-7.

[721] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის N2/6/623 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

ვდეს სადავო წესის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირების აღმოფხვრას ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს დიფერენცირების აღმოფხვრა მხოლოდ ერთი საშუალებით, როგორიცაა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება და უკეთესი სამართლებრივი რეჟიმის მასზე გავრცელება.[722] ამასთანავე, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდის საკუთარი უფლებების შემზღუდველ რეგულაციას, იგი უფლებამოსილია, დიფერენცირებული მოპყრობის აღმოფხვრა მოითხოვოს უფლებაშემზღდველი რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობით.[723] მოსარჩელე მხარე სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ვერ მოითხოვს იმგვარი განსხვავების აღმოფხვრას, რომელიც მას აყენებს არა უარეს, არამედ პრივილეგირებულ მდგომარეობაში.[724]

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობისათვის, აუცილებელია, გამოირიცხოს სადავო ნორმის ნეიტრალური ბუნება. ნეიტრალურია ნორმა, რომლისგანაც მომდინარე განსხვავებული მოპყრობა მიემართება არა პირთა იდენტიფიცირებულ/იდენტიფიცირებად ჯგუფებს, არამედ ფაქტობრივ გარემოებებს. ნეიტრალური ნორმა არ ადგენს განსხვავებულ მოპყრობას პირთა მიმართ მათსავე კუთვნილებასთან დაკავშირებული რაიმე ნიშნით[725]. შესაბამისად, ამ მხრივ, მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა წარუდგინოს არგუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ, სადავო ნორმის საფუძველზე, განსხვავებული მოპყრობა მიმართულია გარკვეული კატეგორიის პირების დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებისკენ. ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული ქმედება სამართლის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში შეფასებულია იმ შემთხვევაში, როდესაც დადასტურდება, რომ მოსარჩელის განსხვავებულ უფლებრივ რეჟიმში მოხვედრა მოსარჩელის ნების ავტონომიის მიღმაა და არ არის დამოკიდებული მის არჩევანზე.[726]

---

[722] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/12/1456 განჩინება საქმეზე, „ეახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[723] ბარამაშვილი თ.; მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 73.

[724] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/11/1279 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-14.

[725] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის N1/10/1437 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ეპიცენტრი" საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-17.

[726] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის N1/1/1535 განჩინება საქმეზე, „თორნიკე კუბლაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-

პირდაპირი დისკრიმინაციის მტკიცებისას, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებლად, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, წარმოაჩინოს შესადარებელ სუბიექტთა არსებითად თანასწორობა. პირთა არსებითად თანასწორობა ფასდება არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, რამდენადაც ერთი და იგივე პირები, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, არსებითად თანასწორებად იქნენ განხილული, სხვა შემთხვევებში კი – არა. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, პრეზუმირებულად მიიჩნევს, რომ პირები იმყოფებიან მსგავს ვითარებაში, წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იკვეთება გარემოება, რომელიც მიუთითებს მათი განსხვავებულად განხილვის საჭიროებაზე.[727]

მაგალითისათვის, სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის[728], 112-ის მომსახურების[729] გადახდის ვალდებულების დაკისრების ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად თანასწორებად მიიჩნია ფიზიკური და იურიდიული პირები. საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად საქმე, სადაც მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისას, იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, ფიზიკური პირებისათვის კონსტიტუციური სარჩელის უშუალოდ მოსარჩელის მიერ ხელმოწერის ვალდებულებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციური სარჩელის ხელმოწერის კონტექსტში, ნების უშუალოდ გაცხადების ობიექტური შეუძლებლობა, განასხვავებს იურიდიულ პირებს ფიზიკური პირებისაგან და გამორიცხავს მათ არსებითად თანასწორ სუბიექტებად მიჩნევას, სადავო ნორმით მოწესრიგებული სამართალურთიერთობის ფარგლებში.[730] საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა არსებითად თანა-

---

12, II-15; შდრ., აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/18/1234,1235 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

727 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/5/1558 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი ლაშხი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-4-13.

728 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

729 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის N2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

730 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1623 განჩინება საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

სწორ სუბიექტებად არ განიხილავს, ერთი მხრივ, პირებს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს/სახელმწიფო ორგანოებს.[731]

2023 წლის 9 ივნისის N2/4/1351 გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა არაპირდაპირი დისკრიმინაციული მოპყრობის მტკიცების სტანდარტები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირდაპირი დისკრიმინაციისაგან განსხვავებით, არაპირდაპირი დისკრიმინაციის აკრძალვას არ გააჩნია თანასწორობის უნივერსალური ნორმა-პრინციპის ხასიათი. მიუხედავად ამისა, არაპირდაპირ დისკრიმინაციას შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც მიღებულია ფორმით ნეიტრალური რეგულირება, რომელიც პრაქტიკაში იწვევს განსხვავებულ მოპყრობას, ფაქტობრივად განსხვავებულ შედეგებს არსებითად თანასწორი სუბიექტების მიმართ და რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, არის დისკრიმინაციული.[732] ამ პროცესში, ფორმით ნეიტრალური ნორმის საფუძველზე დიფერენცირებისა და შესადარებელ პირთა არსებითად თანასწორობის წარმოჩენის მიღმა, დამატებით, პირი ვალდებულია, გამოკვეთოს, რომ:

> არსებობს პიროვნებასთან მყარად დაკავშირებული, კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი ნიშნით იდენტიფიცირებულ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ფაქტობრივად ხორციელდება განსხვავებული მოპყრობა (კონკრეტული ჯგუფის შესადარებელ სუბიექტად მიჩნევისთვის, არაპირდაპირი დისკრიმინაციის დასასაბუთებლად ვერ გამოდგება, ცალადი ფაქტობრივი გარემოებების გავლენით ჩამოყალიბებულ პირთა განსხვავებულ მდგომარეობაზე მითითება);[733]
>
> მოსარჩელე უნდა ითხოვდეს ფაქტობრივად არსებული არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და არა პოზიტიური ღონისძიებების (ე. წ. "Affirmative Actions") განხორციელებას და პირთა შედეგებში გათანაბრებას.[734]

---

[731] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის N2/5/1654 განჩინება საქმეზე, „ალექსანდრე კობაიძე და მირანდა შალამბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის N2/2/822 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-19.

[732] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის N2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე, „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10, II-11.

[733] იქვე, II-11, II-13; მაგ., საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს სამსახურში მიღებისათვის სამუშაოს შესრულებასთან დაუკავშირებელი, არარელევანტური მოთხოვნის დაწესებამ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი რეგულაციის შედეგად მომეტებულად შეიზღუდება რომელიმე რასობრივი, ეთნიკური ან სხვა კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი ნიშნით იდენტიფიცირებადი ჯგუფის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა. იხ., იქვე, II-11.

[734] იქვე, II-12.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით მკაფიოდ არ განსაზღვრა რას გულისხმობს პირთან მყარად დაკავშირებული, კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი დიფერენცირების ნიშანი, თუმცა, სულ მცირე, აღნიშნული ცნება გარდაუვალად უნდა მოიცავდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში სახელდებით ჩამოთვლილ ნიშნებს. იმავდროულად, დიდი ალბათობით, იგი, საკუთარ თავში, აერთიანებს ინდივიდთან მყარად დაკავშირებულ ისეთ ნიშნებს, როგორებიც არის სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და სხვ..

სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების მესამე შემთხვევა კი მიემართება ისეთ საქმეებს, სადაც, პირთა შორის არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, თანასწორი მოთხოვნის დაწესება, შესაძლოა, განაპირობებდეს უსამართლო, დისკრიმინაციული რეჟიმის შექმნას. სწორედ ამგვარი შემთხვევების თანასწორობის უფლების სფეროში მოქცევას ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, დისკრიმინაციად მიიჩნევა არსებითად უთანასწორო პირთა მიმართ თანასწორი მოპყრობის დაწესება სათანადო გამართლების გარეშე.[735] არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო მოპყრობა ხორციელდება ფორმით ნეიტრალური რეგულირების საფუძველზე, არ არის გათვალისწინებული განსხვავებული მოპყრობა, თუმცა ნორმის ადრესატს, სწორედ პირთან მყარად დაკავშირებული ნიშნიდან გამომდინარე, გააჩნია განსხვავებული მოპყრობის მოთხოვნის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი პრაქტიკით, დისკრიმინაციის აკრძალვის ეს შემთხვევა, აგრეთვე არ გულისხმობს რაიმე სახის პოზიტიური ქმედებების განხორციელების ვალდებულებას. სწორედ ამიტომ, მოცემულ შემთხვევაშიც, პირებს გააჩნიათ განსხვავებულად მოპყრობის მოთხოვნის უფლება შესაძლებლობებში და არა შედეგებში გათანაბრების მიზნით.[736]

ზემოაღნიშნულთან ერთად, იმისაგან დამოუკიდებლად დისკრიმინაციის რომელ შემთხვევაზე დავობს მოსარჩელე, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად, მას ეკისრება არა მხოლოდ დიფერენცირებული მოპყრობის წარმოჩენა შესადარებელ სუბიექტებს შორის, არამედ სავარაუდო დიფერენცირების არაკონსტიტუციურობის მტკიცებაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დიფერენცირებული მოპყრობა აშკარად თვითმიზნური არ არის. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაცია

---

[735] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-64-70.

[736] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის N2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე, „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

გულისხმობს არსებითად თანასწორ პირებს შორის იმგვარ განსხვავებულ მოპყრობას (და – პირიქით), რომელიც არ ეფუძნება ობიექტურ გარემოებებს და არ გააჩნია შესაბამისი კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება. გონივრული დასაბუთების, მიზანშეწონილობის წარმოჩენისა და დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დაცვის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა შესაძლებელია, გამართლებული იყოს,[737] ცალკეულ შემთხვევებში კი – აუცილებელი, რაციონალური და გარდაუვალიც კი.[738] სწორედ ამიტომ, სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის, თავისთავად, საკმარისი არ არის სამართლებრივი ურთიერთობების განსხვავებული მოწესრიგებისა და არსებითად თანასწორ სუბიექტებს შორის დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტის წარმოჩენა, არამედ აუცილებელია, გამოიკვეთოს თავად განსხვავებული მოპყრობის არაგონივრულობა, არაკონსტიტუციურობა.[739]

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებასთან კონსტიტუციურობის შემოწმებას განცალკევებით ექვემდებარება ხელისუფლების აღმასრულებელი/ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული ფართო/განუსაზღვრელი დისკრეციული უფლებამოსილების დამდგენი ნორმები.[740]

3.3.1.2.6.2. საპროცესოსამართლებრივი გარანტიების დამდგენ დებულებებთან სადავო ნორმის მიმართების წარმოჩენის სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე ყველას უფლებას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი შეეხება სამართლი-

---

[737] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-2.

[738] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-2.

[739] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სვეტი დეველოპმენტი", „შპს სვეტი ჯგუფი", „შპს სვეტი", „შპს სვეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5-7.

[740] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ტელენეტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის N1/9/740 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ანი სასამართლო განხილვის გარანტიას.[741] აღნიშნული უფლებებით დაცული სფეროს შინაარსის მიუხედავად, მათ საერთო მახასიათებელი გააჩნია, რომლის მხედველობაში მიღებაც მნიშვნელოვანია კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის. კერძოდ, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებები ინსტრუმენტული ბუნებისაა, რაც გულისხმობს იმას, რომ დასახელებული უფლებების რეალიზებითა და სათანადო საპროცესო მექანიზმებით, პირები იცავენ ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე სასამართლოს წინაშე.[742] შესაბამისად, ისინი სხვა უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, მექანიზმია. სწორედ ამიტომ, საჭიროა დამატებითი მტკიცება იმისა, რომ მათი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პირის უფლების ხელყოფას, რაც, თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი და 31-ე მუხლის პირველი პუნქტებით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის საფუძველია.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, აღნიშნული კონსტიტუციური გარანტიები გულისხმობს არა საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით მატერიალური უფლებებისა და თავისუფლებების შექმნის ან/და გაფართოების შესაძლებლობას, არამედ ისინი უკვე არსებული უფლებებისა თუ თავისუფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით გამოიყენება.[743] ამრიგად, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებების შეზღუდვის წარმოსაჩენად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მას აქვს უფლება/კანონიერი ინტერესი, რომლის დასაცავად ადმინისტრაციული ორგანოსათვის/სასამართლოსთვის მიმართვაც ეზღუდება სადავო ნორმით.[744] იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმა ზღუდავს პირის მატერიალურ უფლებას ან კანონიერ ინტერესს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს არა საქართველოს კონსტიტუციის მე-

---

[741] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი და 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[742] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის N3/6/1502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-17; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/6/1450 განჩინება საქმეზე, „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8-9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[743] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის N2/2/630 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[744] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/6/1450 განჩინება საქმეზე, „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8-9;

18 და 31-ე მუხლის რომელიმე უფლებრივ გარანტიასთან, არამედ თავად შინაარსობრივად ამ უფლების დამდგენ ნორმასთან მიმართებით.[745]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების პირდაპირი მოქმედების ეფექტს.[746] კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამა თუ იმ საკითხის საერთო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას ან ამგვარი შესაძლებლობის პირდაპირ შემზღუდველ ნორმას, პირი უფლებამოსილია, უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით მიმართოს სასამართლოს.[747] აღნიშნული მიდგომა ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები არსებობს და მოქმედებას განაგრძობს კანონის მიერ მათი აღიარების, დეკლარირების გარეშეც, მაშინ, როდესაც კანონმდებლობით აღნიშნული უფლებისა და თავისუფლებების რეალიზაციის საფუძვლები არ არის განსაზღვრული.[748] სხვაგვარად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით, კონსტიტუციური სარჩელის დასასაბუთებლად,

---

[745] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N2/14/1730 განჩინება საქმეზე, „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად კონკურირებადი უფლებები, დაცული სფეროს გამიჯვნის პრობლემის მხრივ, გასაჩივრებისა და საკუთრების კონსტიტუციური უფლებებია. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას შედეგად მოჰყვეს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების, დარღვევაც, თუმცა, აღნიშნული თავისთავად არ ბიანიშნებს იმაზე, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების კონსტიტუციურობა შეფასებადია ყველა იმ უფლებასთან, რომელთა დასაცავადაც პირს სასამართლოსადმი მიმართვა ესაჭიროება. სწორედ ამიტომ, სადავო ნორმას, რომელიც განსაზღვრავს საკუთრების შეძენის, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის წესებს, მიმართება გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან, ხოლო ნორმა, რომელიც ადგენს საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო დავების გადაწყვეტის საპროცესო წესრიგს, შეფასებადია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1448 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი და ვახტანგ კობეშავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[746] მართალია, სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი განმარტება ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა დასახელებულ ორ უფლებას შორის შინაარსობრივი და მიზნობრივი მსგავსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, აღნიშნული სტანდარტის გავრცელება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებითაც.

[747] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[748] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

მოსარჩელე მხარე ვალდებულია, მიუთითოს უფლებაშემზღუდველ რეგულაციაზე, რომელიც მას უზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვისა და, სასამართლოს გზით, მატერიალური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის კანონიერების შემოწმებას. უფლებაშემზღუდველი ნორმატიული აქტის არარსებობის პირობებში კი პირს შეუძლია, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს.[749] ამგვარი ნორმატიული აქტის არარსებობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ სადავო ნორმას არ გააჩნია შინაარსობრივი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან და არ იღებს კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად.

3.3.2. სუბიექტობა

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის კიდევ ერთი წინაპირობა საპროცესო სუბიექტობაა. კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღება არსებითად განსახილველად თუ იგი საკონსტიტუციო სასამართლოში არ არის შეტანილი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ.[750] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი, ისევე, როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ უფლებამოსილ სუბიექტთა წრეს, რომელთაც, თითოეული კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებამოსილება გააჩნია. საქმის არსებითად განსახილველად მისაღებად, აუცილებელია, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნეს სწორედ ამ უფლებამოსილი სუბიექტების მიერ.

ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს ან სახალხო დამცველს.[751] ფიზიკური და იურიდიული პი-

---

[749] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

[750] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[751] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

რები ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვილნი არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უშუალოდ მათი უფლებანი და თავისუფლებანი.[752] სახალხო დამცველი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს, თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.[753]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკაში ჩამოყალიბდა სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფიზიკური და იურიდიული პირის ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი, რათა პასუხობდეს სათანადო სუბიექტობის წინაპირობას. კერძოდ, აუცილებელია:

- პირი დავობდეს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე, რათა გამოირიცხოს *actio popularis* შემთხვევა;
  უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უნდა გააჩნდეს რეალური ხასიათი;
  პირი უნდა ექცეოდეს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში;
  პირი სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას უნდა მოითხოვდეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;[754]
  პირი უნდა იყოს ძირითადი უფლების სუბიექტი.

ზოგადად, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები და იურისდიქციები, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებში, კონკრეტული კანონებისა და რეგულაციების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, ითვალისწინებს ერთგვარი აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლებლობას, რომლებიც *actio popularis* ფორმით ხორციელდება. აბსტრაქტული განხილვა მიმდინარეობს კონკრეტული შემთხვევაზე ან საქმის წარმოებაზე მითითების გარეშე, რაც თითოეულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივროს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, საკუთარ ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებზე უშუალო ზემოქმედების დადასტურების გარეშე.[755]

---

[752] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[753] იქვე, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი

[754] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 134.

[755] Revised Report on individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, §§38-39.

საპირისპიროდ, საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, დაუშვებლად მიიჩნევს ნორმათა აბსტრაქტულ კონტროლს, რაც გამორიცხავს მოსარჩელე ფიზიკური/იურიდიული პირების შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ სხვათა უფლებების დასაცავად.[756] ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს მართლმსაჯულების ინტერესებისგან, მიმართულია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისაკენ და ემსახურება აშკარად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არაპერსპექტიული სარჩელების შემცირებას, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ეფექტიანად ორიენტირება, რომლებსაც შესაძლებელია, რეალურად ერღვევათ ისინი.[757] ამ მიზეზების გამო, *actio popularis* დასაშვებ პრაქტიკად არ მიიჩნევა სახელმწიფოთა უმრავლესობაში. ვენეციის კომისია გასცემს რეკომენდაციას საკონსტიტუციო კონტროლის ინიციირების შესაძლებლობის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მინიჭების წინააღმდეგ და მოუწოდებს სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყონ, რომ მხოლოდ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მსხვერპლ პირებს ექნებათ საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების ინიციირების შესაძლებლობა.[758]

საყურადღებოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, *actio popularis* განიხილება ქმედუუნარო[759] და არასრულწლოვანი პირების ნაცვლად მეურვის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევებიც. კერძოდ, ერთ-ერთი ადრეული საქმე, რომლის არსებითად განსახილველად მიღებაზეც, ამ საფუძვლით, უარი განაცხადა საკონსტიტუციო სასამართლომ, შეეხებოდა ქმედუუნარო პირის მეურვის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

---

[756] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 134.

[757] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4; Revised Report on individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, §40; ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 134.

[758] Revised Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, §§40-41.

[759] დასახელებული საქმის განხილვისას ქმედუუნაროდ მოიხსენიებოდნენ, მათ შორის, მხარდაჭერის მიმღები პირები, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილების საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", შემდეგ შეიცვალა.

მიმართვას, საკუთარი შვილის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცავად.[760] საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისათვის საპროცესო ქმედუნარიანობის ინსტიტუტი საერთოდ უცნობი ფენომენია. საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ითვლებიან. შესაბამისად, რამდენადაც მოსარჩელე დავობდა საკუთარი შვილის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის ქმედუუნაროდ აღიარებული პირის, უფლებების დარღვევაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნია, როგორც *actio popularis* და არ მიიღო არსებითად განსახილველად. არსებითად მსგავს არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ *actio popularis* მიიჩნია ასევე შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვისას პირი, არასრულწლოვანი პირების ინტერესების დასაცავად, ასაჩივრებდა იმ რეგულაციების კონსტიტუციურობას, რომლებიც კრძალავდა ცალკეული ფარმაცევტული პროდუქტების არასრულწლოვანისთვის მიყიდვას.[761]

საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ შემთხვევა, რომლის ფარგლებშიც მშობელი დავობდა არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) შვილის ინტერესების დასაცავად, არ დააკვალიფიცირა, როგორც *actio popularis*. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ *actio popularis* აკრძალვის მიზანი არ არის იმ პირთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის შეფერხება, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლოსათვის დამოუკიდებლად მიმართვის უნარი არ გააჩნიათ. მცირეწლოვანი ბავშვების შესაძლებლობები საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. შესაბამისად, მცირეწლოვანი ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით, მშობლის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა ვერ იქნება აღქმული როგორც ქმედება, რომელიც არ არის მიმართული პირის უფლების დაცვისკენ. მსგავს შემთხვევებში,

---

[760] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/3/514 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3-4.

[761] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის N1/3/606 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

მშობელი წარმოჩნდება მცირეწლოვანი შვილის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განმახორციელებლად და ეხმარება მას კონსტიტუციური უფლების რეალიზებაში.[762]

საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკით, *actio popularis* არ მიიჩნევა, პროფესიული კავშირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა მასში გაწევრიანებულ დასაქმებულთა უფლებების დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პროფესიული კავშირი, რომელიც დასაქმებულთა ინტერესებს იცავს, როგორც მოსარჩელე სუბიექტი, თავისი კონსტიტუციური ფუნქციისა და როლის გათვალისწინებით, განსხვავდება სხვა არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირებისგან, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ მათი დამფუძნებლებისა თუ წევრი პირების ინტერესების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუცია პროფესიულ კავშირს მოიაზრებს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სუბიექტად, რომელიც იქმნება დასაქმებულთა უფლებების დასაცავად, რაც, მათ შორის, გულისხმობს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების გზით, დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვას.[763]

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს არ მიიღებს არსებითად განსახილველად, თუ არ დადასტურდება აგრეთვე ის გარემოება, რომ სადავო ნორმის საფუძველზე პირს უკვე დაერღვა ან, დიდი ალბათობით, განჭვრეტად მომავალში დაერღვევა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, პირმა წარმოაჩინოს, რომ ექცევა სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში, არის ან განჭვრეტად მომავალში იქნება სადავო ნორმით განსაზღვრული სამართალურთიერთობის სუბიექტი.[764] იმ საკითხის შეფასებისას, ექცევა თუ არა პირი სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ეყრდნობა იმას, საერთოდ ვრცელდება თუ არა ან განჭვრეტად მომავალში რამდენად გავრცელდება სადავო ნორმის მოქმედება პირზე.

---

[762] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[763] „იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 29 ივნისის N1/4/1462 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „ერთობა 2013" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

[764] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის N1/5/424 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა სუბიექტობის დასაბუთების სტანდარტთან მიმართებით არ არის ერთგვაროვანი და განსხვავდება იმის მიხედვით, სამართლის რომელი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობაა გასაჩივრებული. კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გასაჩივრებისას, მოსარჩელეს მკაცრად მოეთხოვება, დაასაბუთოს, რომ კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენისას სადავო ნორმები უშუალოდ ვრცელდება მასზე ან განჭვრეტად მომავალში გავრცელდება.[765] სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით კი მატერიალურ ნორმებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლო მოსარჩელისაგან არ ითხოვს იმის დადასტურებას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული ან ახლო მომავალში გეგმავს/აპირებს მის ჩადენას. მსგავს შემთხვევებთან მიმართებით შედარებით მაღალია აბსტრაქციის დასაშვები ფარგლები.[766] აღნიშნული მოთხოვნის მოსარჩელეებისათვის წაყენება, სულ მცირე, არარაციონალური და უფლების ეფექტიანი დაცვის საწინააღმდეგო იქნებოდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ მრავალ დანაშაულს ითვალისწინებს. შესაბამისად, ზედმიწევნითი სიზუსტით მოსარჩელისათვისაც საკმაოდ ძნელია იმის მტკიცება, როდის და რა პერსპექტივაში გავრცელდება მასზე სისხლის სამართლის მატერიალური ნორმები ან/და როდის და რა პერსპექტივაში დადგება იგი ცალკეული სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიებით სარგებლობის საჭიროების წინაშე.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სათანადო სამართალსუბიექტობის დასადასტურებლად აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუცია თავადვე განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული უფლებითა თუ თავისუფლებით აღჭურვილ პირთა წრეს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული უფლებით აღჭურვილია ნებისმიერი ადამიანი[767], ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამგვარ კატეგორიას განეკუთვნება. სხვა შემთხვევაში, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე.[768] ამასთა-

---

[765] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[766] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 139.

[767] მაგ., ღირსების ხელშეუვალობის, უფლება, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების უფლება და სხვ..

[768] მაგ., პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება და სხვ..

ნავე, რიგი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა მოსარჩელის კონკრეტულ სტატუსთან არის დაკავშირებული[769].

და ბოლოს, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.[770] ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლებისა თუ თავისუფლების იურიდიულ პირზე გავრცელება კი დამოკიდებულია თავად უფლების არსსა და შინაარსზე. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად შესაძლებელია, იურიდიული პირი იყოს ამ უფლების მქონე.[771] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, მაგალითად, იურიდიული პირი ვერ იქნება მიჩნეული ჯანმრთელობის უფლებით მოსარგებლე სუბიექტად[772], ისევე, როგორც სიცოცხლის უფლებითა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებით აღჭურვილ სუბიექტად.[773] საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს პირადი ცხოვრების უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტებით დადგენილი გარანტიების იურიდიულ პირებზე გავრცელების შესაძლებლობას (პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება).[774] შესაბამისად, სათანადო სუბიექტობის დადასტურებისათვის, აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს იმ პირმა, რომელზეც, საკუთარი შინაარსისა და მიზანმიმართულების გათვალისწინებით, ვრცელდება ესა თუ ის ძირითადი უფლება.

3.3.3. განსჯადობა

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დასაშვებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მიიღოს კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად, თუ მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის

---

[768] მაგ., საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილი გარანტიით სარგებლობა მხოლოდ მეწარმე სუბიექტებს შეუძლიათ.

[770] საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[771] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N2/1/522 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „სპს „გრიშა აშორდია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9.

[772] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/3/511 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მწვანეთა პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[773] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5-9.

[774] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს ალტა", „შპს ოქეი", „შპს ზუმერი ჯორჯია", „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი" და „შპს სმაილი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-93-95.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.[775] საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის ფარგლებს სცდება:

- ძალადაკარგული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასება;
- ნეგატიური კანონმდებლის მანდატის ფარგლებს მიღმა გადაწყვეტილების მიღება და ნაცვლად არსებული ნორმატიული წესრიგის გაუქმებისა, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი, ახალი სამართლებრივი წესრიგის შექმნა;

  კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება;

  ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება;

  ნორმატიული აქტების კანონიერების შემოწმება (ე. წ. „კანონიერების კონტროლი");

  ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება;

  ე. წ. „რეალური", „სრული" საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება.

საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი შესაძლებელია იყოს და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკს შესაძლებელია წარმოშობდეს მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტი.[776] ამდენად, საქმეები, რომლებშიც სადავოდ არის გამხდარი რეგულაციები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოში შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის მომენტისათვის ძალადაკარგულია, არ მიიღება არსებითად განსახილველად, სწორედ განსჯადობის პრობლემის გამო.[777]

საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის დადგენილ წესრიგში. საქართველოს პარლამენტი აღჭურვილია საკანონმდებლო

---

[775] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[776] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9

[777] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა წევრმა არ გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული პრაქტიკა და კონკრეტული საქმე პლენუმს გადასცა განსახილველად. მოსამართლის პოზიციით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი არ გამორიცხავს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი იყოს ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რამდენადაც პირის უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც სარჩელის შეტანის დროს მოქმედმა, ასევე სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანამდე ძალადაკარგულმა ნორმატიულმა აქტმაც. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3. საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პლენუმს ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

უფლებამოსილებით, სახელმწიფოს სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება ცალკეული, ნორმატიული შინაარსის მქონე სამართლებრივი აქტების მიღების უფლებამოსილება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ნეგატიური კანონმდებლის მანდატით შემოიფარგლება.[778] საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გაელენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე და, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა კარგავს იურიდიულ ძალას. სწორედ ამგვარად უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობასა და ქმედითობას და ხელს უწყობს მის შესრულებას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ.[779] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციის მინიჭება არ გულისხმობს მხოლოდ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში ახალი რეგულაციების პირდაპირი სახით ჩაწერის აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი აქტით როგორც ფორმალურად, აგრეთვე შინაარსობრივად დაადგინოს ახალი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც არ ყოფილა საკანონმდებლო ორგანოს ან საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს სამართალშემოქმედების შედეგი.[780] ამრიგად, პირმა სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება იმგვარად უნდა მოახდინოს, რომ ითხოვდეს არსებული უფლებაშემზღუდველი რეგულაციის გაუქმებას და არა მისი შინაარსის გაფართოებას და ახალი სამართლებრივი წესრიგის შექმნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას სცდება აგრეთვე კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება. საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი პრაქტიკის ადრეული ეტაპიდანვე უარს აცხადებდა კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის განხორციელებაზე.[781] საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მიდგომა მისი ფუნქციური

---

[778] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

[779] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[780] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-19-22.

[781] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/523 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ";

დატვირთვიდან გამომდინარეობს. საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისაგან იცავს. ამ ფუნქციის წარმატებით შესრულება თანაბრად შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების როგორც სრულად გამოუყენებლობის, ასევე მისი გადამეტების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებელია, დარჩეს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, რადგან მისი საქმიანობის საფუძველი და კომპეტენციის ზღვარი სწორედ საქართველოს კონსტიტუციაა.[782] საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მიდგომა დააფუძნა არგუმენტს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციური კანონი, როგორც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი და ორგანული ნაწილი, თავად ქმნის კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგს. შესაბამისად, მას ისეთივე იურიდიული ძალა გააჩნია, როგორიც ძირითადი კანონის სხვა ნორმებს, რის გამოც, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ის ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი.[783] თუმცა აღნიშნულ საკითხზე სამართლის დოქტრინაში არსებობს განსხვავებული პოზიციაც.[784]

ამ მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლოს ზემოაღნიშნული მიდგომა 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინებაში დაადასტურა, რომელიც დააფუძნა 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედ საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ვენეციის კომისიის შეფასებები[785], რომ შედარებით კონსტიტუციურ სამართალში არ არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, როგორი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესზე სასამართლო კონტროლის განხორციელება შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს და, როგორც წესი, გამოიხატება პრევენციულ,

---

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის N2/2/486 განჩინება საქმეზე, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[782] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[783] იხ., ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018, 383-388.

[784] Gegenava D., Unconstitutional Constitutional Amendment: Three Judgments from the Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, No. 5, 2014.

[785] Report on Constitutional Amendments, Adopted by the Venice Commission at its 81st Plenary Session, CDL-AD(2010)001, Venice, 11-12 December, 2009.

ფორმალურ, ან/და „უცვლელ", „მუდმივ" ნორმებთან მიმართებით შემდგომი შინაარსობრივი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში.[786] შესაბამისად, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუცია არ უთითებს „მუდმივობის", „უცვლელობის" პრინციპზე დაფუძნებულ ნორმებზე და არც იურიდიული ძალის მიხედვით ადგენს კონსტიტუციურ ნორმებს შორის ფორმალურ იერარქიას, საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ თვალსაზრისითაც, გამორიცხა კონსტიტუციური ნორმების კონსტიტუციურობის კონტროლის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობა.[787]

ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის კონტროლის კომპეტენციით აიხსნება საკონსტიტუციო სასამართლოს ის მიდგომები, რომლებიც გამორიცხავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმებასა და ნორმატიული აქტების ე. წ. „კანონიერების კონტროლის" განხორციელების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა მაქსიმალური პატივისცემითა და მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით[788], თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს საქართველოს ნორმატიული აქტების მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, რაც გამორიცხავს სადავო ნორმის კონვენციურობის შემოწმების შესაძლებლობას.[789] არსე-

---

[786] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

[787] იქვე, II-11. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ხელისუფლების მითვისების დაუშვებლობას და გამორიცხავს საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირების ან გაზრდის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის განმარტება არ არის გაკეთებული, დასახელებული კონსტიტუციური დებულება აჩენს რესურსს იმისა, რომ იგი აღქმულ იქნეს ე. წ. „მუდმივ", „უცვლელ" კონსტიტუციურ ნორმად და, შესაბამისად, წარმოშობდეს სივრცეს, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ცვლილებისათვის. შდრ., ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 162.

[788] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის N2/6/465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

[789] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სვეტი დეველოპმენტი", „შპს სვეტი ჯგუფი", „შპს სვეტი", „შპს სვეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

ბითად მსგავსი არგუმენტაცია განავითარა საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმატიული აქტების კანონიერების კონტროლის საკითხთან დაკავშირებითაც.[790]

საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის სფეროს არ მიეკუთვნება, აგრეთვე ნორმატიული ბუნების არმქონე სამართლებრივი აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო არ აფასებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობას.[791] ამასთანავე, სადავო აქტის სამართლებრივი ბუნების დადგენისათვის მნიშვნელოვანია არა ფორმალური გამოვლინება, არამედ გადამწყვეტია მისი შინაარსობრივი მხარე. კერძოდ, ფორმით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შესაძლებელია იყოს ნორმატიულ ბუნების, რაც დგინდება აქტის ადრესატთა წრისა და მოწესრიგების ობიექტის გათვალისწინებით და წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მათზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.[792]

ე. წ. „რეალური საკონსტიტუციო კონტროლის" განხორციელების კომპეტენციის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ მოიძებნება მრავალი საქმე, თუმცა საკუთარი სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზევე გამოირიცხა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობას უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოში, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო. აღნიშნულ ორგანოთა კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია და საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი არ მოიაზრებს საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე ზედამხედველობას.[793]

---

[790] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/2/506 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კობა გოგუა საქართველოს კონტროლის პალატის წინააღმდეგ".

[791] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის N1/7/436 განჩინება საქმეზე, „შპს „კავკასუს ონლაინი" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II-1.

[792] იქვე, II-5.

[793] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 7 ოქტომბრის N2/8/302 განჩინება საქმეზე, „მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატის შემადგენლობის წინააღმდეგ", II-1; დანურ., იხ., ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022.

3.3.4. ხელახალი განხილვის დაუშვებლობა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[794] აღნიშნული მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გამარტივებულად უარი განაცხადოს იმ საქმეების განხილვაზე, რომლებიც არ საჭიროებენ ხელახლა არსებით შესწავლას და დაზოგოს როგორც საკუთარი, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეებისა და სხვა მონაწილეების დროითი თუ სხვა რესურსები. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს იმ კონსტიტუციურ სარჩელებსა და წარდგინებებს, რომლებშიც სადავოდ გამხდარი საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და, ამავდროულად, სათანადოდ დასაბუთებული არ არის უკვე დადგენილი სტანდარტებისა და გადაწყვეტილი საკითხების შეცვლის აუცილებლობა.[795]

იმის გათვალისწინებით, რომ სხვა მრავალი სამართლებრივი სისტემების კონსტიტუციების მსგავსად, საქართველოს კონსტიტუცია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება დროთა განმავლობაში და წარმოიქმნება ახალ გარემოებებთან ადაპტირების საჭიროება,[796] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შეცვლის შესაძლებლობას. ამგვარ გადაწყვეტამდე მისვლის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო არ იყენებს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაშვებობაზე უარის თქმის დასახელებულ საფუძველს და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქმეს გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს პრაქტიკის შეცვლის მოტივით.[797]

---

[794] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[795] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის N3/1/707 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16; მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მართალია საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულზე პირდაპირ არასდროს მიუთითებია, თუმცა სიტყვებში – „ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ" – იგულისხმება საქმის არსებითად გადაწყვეტა და არა განმწესრიგებელ სხდომაზე მისი დაუშვებლად მიჩნევა.

[796] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-40.

[797] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21[1] მუხლი.

აღნიშნულთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტა არ გამორიცხავს ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ხელახლა მიღებას, იდენტური ან მსგავსი შინაარსით გამეორებას. სწორედ მსგავს შემთხვევებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ანიჭებს ე. წ. „გამარტივებული სამართალწარმოების მექანიზმს", რომლის გამოყენებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესის იდენტური შინაარსის მქონე ნორმა გააუქმოს არსებითი განხილვის გარეშე.[798]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.[799] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია *res judicata* ხასიათი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საბოლოობა წარმოშობს სამართლებრივ ბარიერებს დასრულებული საქმის ხელახალი განხილვისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუქცევადობა, უპირველეს ყოვლისა და მნიშვნელოვნად, მიემართება თავად გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს. საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გააუქმოს ან შეცვალოს შესაბამისი გადაწყვეტილება მისი გამოტანის შემდგომ.[800]

გადაწყვეტილების საბოლოობა აგრეთვე ნიშნავს, რომ არ არსებობს მხარეების მიერ მისი გასაჩივრების ან ზემდგომი ორგანოს მიერ გადასინჯვის და საქმის თავიდან განხილვისა და გადაწყვეტილების შედეგების შეცვლის სამართლებრივი შესაძლებლობა.[801] გადაწყვეტილების საბოლოობას გააჩნია არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი ბუნებაც, რაც გულისხმობს, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების გადასინჯვის პროცედურულ შესაძლებლობას, მეორე მხრივ, კი გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებით

---

798 იქვე, 25-ე მუხლის 4[1] პუნქტი.

799 საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

800 The Binding Effect of Federal Constitutional Court Decisions Upon Political Institutions, Report by Ms Anke Eilers, Seminar on "The effects of Constitutional Court decisions", CDL-JU(2003)18, Tirana, 28-29 April, 2003, 7.

801 ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N6, 2013, 4.

დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფას ან/და ხელახლა, განსხვავებულად შეფასებას.[802] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობა და მისთვის პრეცედენტული ძალის მინიჭება ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ფუძემდებლური ელემენტების დაცვას, როგორებიც არის სამართლის განჭვრეტადობა და სიცხადე, სტაბილურობა, ეფექტიანობა, ლეგიტიმურობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.[803]

3.3.5. საკითხი არ არის საქართველოს კონსტიტუციით გადაწყვეტილი

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის ერთ-ერთი საფუძველია ის გარემოება, რომ სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით.[804] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საფუძვლით კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები, ფაქტობრივად, არ არსებობს.[805]

3.3.6. ხანდაზმულობის ვადები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ცალკეულ კონსტიტუციურ სარჩელებთან მიმართებით განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძველია.[806] მაგალითად, ჩატარებული რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული რეფერენდუმის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში, ხოლო ჩატარებული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის თა-

---

802 The Binding Effect of Federal Constitutional Court Decisions Upon Political Institutions, Report by Ms Anke Eilers, Seminar on "The effects of Constitutional Court decisions", CDL-JU(2003)18, Tirana, 28-29 April, 2003, 8.

803 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 166.

804 იქვე, 31[3] მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

805 ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 174.

806 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

ობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში;[807] მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში ან რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირების ან გაუქმების საკითხის საქართველოს პარლამენტის წინაშე დასმიდან არაუადრეს 31-ე დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა, თუ საქართველოს პარლამენტმა 30 დღეში არ გადაწყვიტა საკითხი;[808] საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან.[809] ზემოხსენებული ვადების დარღვევით შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს არსებითად განსახილველად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში გამოკვეთს გარემოებას, რაც გასაჩივრების ვადის დარღვევის საპატიო გარემოების არსებობაზე მიუთითებს.[810]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში საპროცესო ვადების გამოთვლას აწესრიგებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი. კერძოდ, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს. ამასთანავე, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე. მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი

---

[807] იქვე, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[808] იქვე, 38-ე მუხლის 2[1] პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

[809] იქვე, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

[810] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/1/1581 განჩინება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ შესაბამისი დოკუმენტაცია ფოსტას ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.[811]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საპროცესო ვადებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ისევე, როგორც სახალხო დამცველს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა გააჩნიათ ნებისმიერ დროს.

3.3.7. სუბსიდიარობა

კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.[812] ამრიგად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობაზე სრულყოფილი მსჯელობა შესაძლებელი უნდა იყოს ზემდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე.[813] აღნიშნული საფუძვლით კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების დაუშვებლად ცნობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მრავალფეროვანი პრაქტიკა, თუმცა, როგორც წესი, იგი მაშინ გამოიყენება, როდესაც გასაჩივრებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული აქტების იერარქიაში უფრო მაღლა მდგომ აქტში გათვალისწინებული მოწესრიგების შინაარსობრივად იდენტურ ან მსგავს აკრძალვას.[814]

---

[811] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლი, 2020.

[812] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი.

[813] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N1/4/607 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა" საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ", II-6.

[814] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/9/1531 განჩინება საქმეზე, „შპს „ახალი ქსელები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის N1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II-19-23; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის N2/10/604 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თენგიზი ლატარია საქართველოს პარლამენტისა

საგულისხმოა, რომ პირმა, რომელიც არ ასაჩივრებს ზემდგომ ნორმატიულ აქტში არსებულ შეზღუდვას, კონსტიტუციურ სარჩელში უნდა წარმოადგინოს არგუმენტაცია იმის თაობაზე, რატომ მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა ზემდგომი აქტისაგან დამოუკიდებლად. პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ადგენს იერარქიულად ზემდგომი ნორმატიული აქტისაგან განსხვავებულ, დამატებით შეზღუდვას ან მასთან ერთად სადავოდ გახადოს შესაბამისი ზემდგომი ნორმატიული აქტის დებულების კონსტიტუციურობა.[815]

4. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების კომპეტენციით, მოსარჩელე მხარეს კი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ამგვარი შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობით.[816] ზოგადად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ქმედითობის უზრუნველყოფის პროცედურული მექანიზმია და მიზნად ისახავს შენარჩუნებულ იქნეს ერთგვარი ***status quo*** საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე.[817] საკონსტიტუციო კონტროლის ქართული სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი, როგორც წესი, არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტრუმენტი, ხშირად, ერთადერთი საშუალებაა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე რეაგირებისათვის ან გარდაუვალი და შეუქცევადი დარღვევის პრევენციისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის

და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-11-17; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N1/4/607 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა" საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ", II-9-10.

[815] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის N1/19/1685 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „განათლების დამცველთა ასოციაცია" და მაკა გიორგაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-7; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/8/1496 განჩინება საქმეზე, „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-19.

[816] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[817] Plessis M.D., Penfold G., Brickhill J., Constitutional Litigation, Law Society of South Africa, 2014, 121.

ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და, ამ თვალსაზრისით, პირის სამართლიანი სასამართლო განხილვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისათვის.[818]

ქართულ სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას უშუალოდ მოსარჩელე აყენებს, აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საყოველთაო ეფექტი გააჩნია. სადავო ნორმის მოქმედება ჩერდება არა მხოლოდ უშუალოდ შუამდგომლობის ავტორის, არამედ სადავო ნორმის ყველა შესაძლო, პოტენციური ადრესატის მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში, დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა ის სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქმე, რათა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს *ex officio* ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.[819] აღსანიშნავია, რომ არც საკანონმდებლო დონეზე და არც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით შეზღუდული არ არის სფეროები, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ღონისძიება.[820] ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის, მთავარია დაკმაყოფილებულ იქნეს გარკვეული კუმულაციური წინაპირობები.[821] საკონსტიტუციო სასამართლო შეაჩერებს სადავო ნორმის ან/და მისი სათანადო ნაწილის მოქმედებას, თუ:

- არსებობს მხარის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ან/და საჯარო ინტერესისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რეალური და მყისიერი საფრთხე;

---

[818] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31, II-32.

[819] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[820] შდრ., მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 39-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიებები, როგორც წესი, გამოიყენება გაძევებისა და ექსტრადიციის საქმეებზე, როდესაც საფრთხე ემუქრება მოსარჩელის სიცოცხლის უფლებას ან არსებობს რისკი, რომ იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას. უფრო გამონაკლის შემთხვევებში, დროებითი ღონისძიებები გამოიყენება, აგრეთვე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის გარანტიებთან მიმართებითაც, იხ., <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/fs_interim_measures_eng> [05.06.2024]

[821] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31-35.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას გააჩნია მოსარჩელისათვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილების პოტენციალი; სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ წარმოშობს მესამე პირთა უფლებების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მოსარჩელის ძირითადი უფლებებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე გულისხმობს იმგვარი ვითარების დადგომის შესაძლებლობას, როდესაც სადავო ნორმის მოქმედებამ შესაძლებელია, გამოიწვიოს მხარისათვის აუცდენელი და შეუქცევადი ზიანის მიყენების აშკარა, რეალური და მყისიერი საფრთხე, რომლის პრევენცია ან აღმოფხვრა ვერ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები იმთავითვე და უპირობოდ არ გულისხმობს უშუალოდ მოდავე სუბიექტისთვის, მისი პირადი ინტერესებისთვის ნეგატიური შედეგის დადგომას.

ხსენებული ტერმინის განმარტება დამოკიდებულია იმ კომპეტენციის თვისობრიობაზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება დავა. სახელმწიფო ორგანოებს, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისას, ამოძრავებთ საჯარო მიზანი – ხელი შეუწყონ ხელისუფლების კონსტიტუციის ფარგლებში ფუნქციონირებას. მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი სწორედ გულისხმობს სადავო ნორმის მოქმედების გამო, მოსარჩელის საჯარო ფუნქციის განხორციელებით მისაღწევი მიზნებისთვის საფრთხის შექმნას, შედეგად, ყველა იმ სუბიექტისთვის, პირისთვის, გამოუსწორებელი ზიანის გამოწვევას, რომლებზეც უშუალოდ ვრცელდება კონკრეტული საჯარო ფუნქციის რეალიზაციის შედეგები.[822] მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენისას მოქმედებს სხვა პირთა კონსტიტუციური უფლებების ან/და მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვის მოტივით. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში, სწორედ მსგავსი ინტერესების შეუქცევად დარღვევაზე მითითებებით შეიძლება ითხოვდეს მოსარჩელე სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელე

[822] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის N2/10/402,405 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ანზორ მანძულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შუამდგომლობაში, უშუალოდ მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკებზე უნდა მიუთითებდეს.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება დაინტერესებული მხარის გამოუსწორებელი ზიანისაგან დაცვის ერთადერთი საშუალება უნდა იყოს. სადავო ნორმის მოქმედება შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს ამგვარი გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილების სხვა, ალტერნატიული სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია.[823] თავის მხრივ, გამოუსწორებელი შედეგის დადგომის გარდაუვალი საფრთხის არსებობას საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს case-by-case პრინციპზე დაყრდნობით, ყოველი შემდგომი საქმის ფაქტობრივი გარემოებების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, უფლებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხის არსებობის დასასაბუთებლად არ გამოდგება მარტოოდენ უფლების შეზღუდვის ფაქტზე მითითება, რამდენადაც, უფლების შესაძლო შეზღუდვა, როგორც წესი, ყველა იმ საქმეზე არსებობს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს.[824] ამდენად, აუცილებელია, დადასტურდეს რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება დამდგარი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა.

გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხის ფაქტის დადგენისას, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს თავად აღნიშნული საფრთხის რეალურობასა და მყისიერებას. სადავო ნორმის მოქმედების შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, მისი კონსტიტუციური უფლების შეუქცევადად დარღვევის რისკის არსებობა არა აბსტრაქტულად, არამედ ახლო მომავალში.[825] საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე

---

[823] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-28; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ტელეკომპანია „საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

[824] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 დეკემბრის N2/8/665,683 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ", II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

[825] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

განაცხადა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, როდესაც მოსარჩელეები გამოუსწორებელი შედეგის დადგომას ასაბუთებდნენ საკონსტიტუციო სამართალწარმოების გახანგრძლივებულ ვადებზე მითითებით.[826] სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საჭიროება, შესაძლებელია, არ არსებობდეს კონსტიტუციური სარჩელის განხილვის კონკრეტულ ეტაპზე, როდესაც განიხილება ამგვარი შუამდგომლობა.[827] თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს *ex officio* შესაძლებლობას, თავად შეაფასოს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საჭიროება საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შემდგომ ეტაპებზე, როდესაც გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე მყისიერად და რეალურად იარსებებს.[828] საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა შუამდგომლობის ხელახლა დაყენების შესაძლებლობას არც მხარისათვის გამორიცხავს. შესაბამისად, როგორც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადასინჯოს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებული საკუთარი გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს ხსენებული მექანიზმის დროში მოქმედებისა და ეფექტიანობის საკითხებს.[829] კერძოდ, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება საფუძველს მოკლებულად და მესამე პირთა უფლებების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების შეზღუდვა დაუსაბუთებლად მიიჩნევა თუ შეჩერების შედეგად შეუძლებელი იქნება ფაქტობრივი სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა და მოსარჩელისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების პრევენცია.[830] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მოტივით აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე უარი განაცხადა იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა უკვე გამოყენებული იყო მოსარჩელის მიმართ და კანონმდებლობა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაშიც კი, არ ითვალისწინებდა სადავო ნორმის საფუძველზე გადაწყვეტილი ურთიერთობების გადასინჯვის შესაძლებლობას.[831]

---

826 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/5/1313 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

827 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/5/1491 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-15.

828 იქვე.

829 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/2/1337 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

830 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ტელეკომპანია „საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-34.

831 იქვე.

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტის გამოყენება წარმოშობს რისკებს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სტაბილურობისათვის, რისი გათვალისწინებითაც საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შედეგად, სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ან/და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების შეზღუდვის საფრთხესა და ამგვარი საფრთხის ინტენსივობას.[832] სხვაგვარად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინტერესი გადაწონის, მისი მოქმედების შეჩერებით, სხვა პირთა უფლებების ან/და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეს.[833]

საკონსტიტუციო სასამართლომ, საკუთარი სამართალწარმოების პრაქტიკაში, შეაჩერა იმ სადავო ნორმების მოქმედება, რომლებიც:

- გამორიცხავდა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემას, რელიგიური შეხედულებების საფუძველზე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებზე;[834]
  უშვებდა მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირის წილის იძულებით აუქციონზე იმ პირის მიერ შეძენას, რომლის მიერ წილის ფლობაც იწვევდა მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირისათვის ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმებას;[835]
  ცოცხალ დონორთა წრიდან, რომელთაგან დაშვებულია ღვიძლის აღება, გამორიცხავდა რეციპიენტთან ემოციურ კავშირში მყოფ პირს და რეალურ და შეუქცევად საფრთხეს უქმნიდა მოსარჩელის სიცოცხლეს;[836]

---

[832] სწორედ სამართლებრივი განსაზღვრულობისა და უსაფრთხოების პრინციპების სასარგებლოდ, არ ითვალისწინებს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას (მაგ., ანდორა, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, საფრანგეთი, მოლდოვა, პორტუგალია და სხვ.). იხ., Revised Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, §146.

[833] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს „სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-30.

[834] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ".

[835] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს „სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[836] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

- გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითვალისწინებდა იურიდიული პირის – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების ხელმძღვანელობის, მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების დროებითი მმართველისთვის მინიჭებას და მკაფიოდ არ განსაზღვრავდა დროებითი მმართველის უფლებამოსილებების ფარგლებს;[837]
- უშვებდა სამაუწყებლო კომპანიასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების შესაძლებლობას;[838]
- საფინანსო სექტორის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილებას, საქართველოს ეროვნული ბანკის ნაცვლად, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს აკისრებდა და აღჭურავდა მას უფლებამოსილების განხორციელებისათვის სათანადო კომპეტენციებით;[839]
- ინვევდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა მოსარჩელეების მიერ საჯარო თანამდებობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციურ უფლებას;[840]
- მაჟორიტარ (სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტის მფლობელს) აქციონერს ანიჭებდა მინორიტარი აქციონერების აქციების სამართლიან ფასად გამოსყიდვის უფლებამოსილებას;[841]
- გამორიცხავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო დაპატიმრების თაობაზე მიღებული განკარგულების გასაჩივრების შესაძლებლობას.[842]

---

[837] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[838] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის N1/6/675 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[839] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[840] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[841] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის N2/10/402,405 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ანზორ მანძულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[842] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის N1\4\393,397 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

თავი VII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები, შესაგებელი

1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი

სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში ჩართული პირები, ფართო გაგებით, შეიძლება იყვნენ როგორც ძირითადი მონაწილეები, რომლებიც თავიანთი აქტიური მოქმედებებით განაპირობებენ პროცესის მიმართულებასა და მის შედეგებს, აგრეთვე, სხვა მონაწილეები, რომლებსაც აქვთ შედარებით ნომინალური მნიშვნელობა და რომელთა მონაწილეობა პროცესის მიმდინარეობაში, როგორც წესი, ფაკულტატიური ხასიათისაა.[843] სხვადასხვა კატეგორიისა და დანიშნულების სასამართლო პროცესში მეტწილად განსხვავებულია სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა შემადგენლობები. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაშიც ელინდება მონაწილეთა უნიკალური წრე, რომელთა უფლებამოვალეობების გაანალიზების გარეშე, შეუძლებელია, განსახილველი პროცესის სპეციფიკის სრულყოფილად გააზრება.

მნიშვნელოვანია, რომ ყოველ ცალკეულ სამართალწარმოებაში მონაწილის დეფინიცია განიმარტოს არა მხოლოდ ვიწროდ და ფორმალურად, არამედ შესაბამისი სამართალწარმოების ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27[3] მუხლი ადგენს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილედ. კერძოდ, კანონმდებლობა უთითებს სამი კატეგორიის პირზე. ესენი არიან: მხარეები, ანუ მოსარჩელე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი და მოპასუხე; მხარეთა წარმომადგენლები – ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებსაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით გადასცეს თავიანთი უფლებამოსილება და ბოლოს, მხარეთა ინტერესების დამცველები. თუმცა ამ დეფინიციის მიღმა, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესში მონაწილეობა, ფაქტობრივად, ბევრად ფართო ცნებაა, ვიდრე ეს მითითებული საკანონმდებლო დებულებით არის დადგენილი, რომელიც შეზღუდულად განიხილავს სამართალ-

[843] იხ., Black's Law Dictionary, 8th ed. By Garner A. B., Thomson West Publishing, 2004, 3548-3549.

წარმოებაში მონაწილეობას და ამდენად, საკმარისი არ არის თემატიკის სრულყოფილი მიმოხილვისთვის. შესაბამისად, ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მხოლოდ მხარეებზე, მათ წარმომადგენლებსა და ინტერესის დამცველებზე ორიენტირება არ იქნება მიზანშეწონილი და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილედ ასევე უნდა იქნენ მიჩნეულნი საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები, სპეციალისტები, ექსპერტები, მოწმეები და თარჯიმნები.[844]

1.1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი მონაწილეები

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითად მონაწილეებად როგორც კანონმდებლობის, ისე თეორიული მსჯელობის მიზნებისთვის, მიჩნეულ უნდა იქნენ მხარეები, მოსარჩელე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი და მოპასუხე, რომელთა გარეშეც პროცესის მიმდინარეობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, შეუძლებელია. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოსარჩელე მხარე, თავის მხრივ, სხვადასხვა უფლებამოსილების ფარგლებში წარმოებულ საქმეზე, შეიძლება იყოს განსხვავებულ პირთა ჯგუფი. ხოლო მოპასუხეთა იდენტიფიკაცია ხდება, ძირითადად, იმის მიხედვით, თუ ვინ არის იმ სამართლებრივი აქტის (ქმედება/უმოქმედობის) ავტორი ორგანო/თანამდებობის პირი, რომელსაც მოსარჩელე მხარე ხდის სადავოდ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ყველაზე ხშირად წარმოებული დავის ფარგლებში, რაც გულისხმობს ნორმატიული აქტების კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის დადგენას, მოსარჩელე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი[845] ან სახალხო დამცველი. სწორედ მითითებული სამი სუბიექტი არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელების აბსოლუტური უმრავლესობის ავტორი. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირებისგან განსხვავებით, რომლებიც ე.წ. „ინციდენტური

---

[844] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 27^2 მუხლის მე-2 პუნქტი, 28-ე მუხლი.

[845] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქციის (1996 წლის 31 იანვარი) 39-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებდა იურიდიულ პირთა შესაძლებლობას, დავა ეწარმოებინათ ძირითადი უფლებების დარღვევის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უკვე ადგენდა, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიძლება აგრეთვე გავრცელებულიყო იურიდიულ პირებზეც. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდა 2002 წლის 12 თებერვალს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანით, ვრცლად იხ., ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, ა. ფირცხალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 125.

საკონსტიტუციო კონტროლის" ფარგლებში მოქმედებენ, სახალხო დამცველი სამართალწარმოების პროცესში ჩართულია, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი საკონსტიტუციო ორგანო.[846]

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელე მხარედ რეგისტრირებული ფიზიკური პირი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.[847] განსხვავებულად წესრიგდებოდა აღნიშნული საკითხი წარსულში, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (აპატრიდი) პირებს ორგანული კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა შესაძლებლობას ედავათ ძირითადი უფლებების დარღვევაზე, თუ ისინი ცხოვრობდნენ საქართველოში. მოულოდნელი არ ყოფილა, როდესაც მითითებული დებულება გაასაჩივრა საქართველოს სახალხო დამცველმა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რაც, მათ შორის, გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოში ძირითადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, უნდა სარგებლობდეს „ყველა", მიუხედავად მათი ადგილსამყოფლისა და მოქალაქეობისა.[848] შესაბამისად, დღესდღეობით, ფიზიკური პირის მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ერთადერთი კატეგორიული[849] შეზღუდვა შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ძირითადი უფლების მდგენელი დებულება არის ორიენტირებული მოქალაქეობაზე,[850] ხოლო მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან აპატრიდია.

იურიდიული პირის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა არ ზღუდავს ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმით დაარსებულ იურიდიულ პირს,

---

[846] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

[847] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[848] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-21.

[849] თავის მხრივ, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელე ფიზიკურმა პირმა შეიძლება მაინც ვერ განახორციელოს სამართალწარმოება სრულყოფილად, თუ იგი ვერ ახდენს უფლების მზღუდავი ნორმის სათანადოდ იდენტიფიკაციას, არ არის კონკრეტული უფლებით დაცული სუბიექტი, ვლინდება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის პრობლემა და ა.შ., იხ., ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 20-178.

[850] მაგ., იხ., საქართველოს კონსტიტუციის 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლები.

წარადგინოს კონსტიტუციური სარჩელი.[851] შეზღუდვა აგრეთვე არ არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, არის თუ არა იურიდიული პირი საქართველოში რეგისტრირებული, თუ ეს პირი ექცევა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ, ანუ როდესაც, მაგალითად, ცალკეული იურიდიული პირი არ არის რეგისტრირებული საქართველოში, მაგრამ მისი საქმიანობის ან/და მართვის ორგანოების განთავსების ადგილი საქართველოა.[852] იურიდიული პირის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, იდავოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების დარღვევაზე, ერთადერთი რელევანტური დებულებაა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე". მითითებული კონსტიტუციური დებულება, ერთი მხრივ, გამორიცხავს ისეთი უფლებების დარღვევის შესახებ დავას, რომელთა იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი არ არის თავისთავად ცხადი[853] და, მეორე მხრივ, გონივრულია ვარაუდი, რომ ასევე გამორიცხავს უშუალოდ საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი იურიდიული პირების[854] შესაძლებლობას განსახილველი კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ სასამართლოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმატიული აქტებით კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ძირითადი უფლებების შეზღუდვაზე კონტროლის გარდა, სხვადასხვა კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია შეამოწმოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების კონსტიტუციურობა.[855] თითოეული კომპეტენციის ფარგლებში კი, როგორც უკვე აღინიშნა, ორგანული კანონითა და საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია მოსარჩელეთა და

---

[851] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[852] იხ., იქვე, II-13

[853] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/17/1216 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი" და საქართველოს მოქალაქეები – მარინა მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3-5.

[854] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საჯარო სამართლის იურიდიული პირები, როგორც წესი, არ არიან მიჩნეულნი ძირითადი უფლებებით დაცულ სუბიექტებად, რადგან მათ მიერ ძირითადი უფლებებით (ანუ თავისი არსით სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული უფლებებით) სარგებლობა საკუთარი თავისგან დაცვას გაუტოლდებოდა. თუმცა როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში არსებობს გამონაკლისები, როდესაც ფორმალურ-სამართლებრივად საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებული ორგანიზაციები არიან სახელმწიფო ხელისუფლებისგან მეტად დისტანცირებულები, მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციები ან საჯარო უმაღლესი სასწავლებლები, იხ., Becker U., Grundrechtsberechtigung juristicher Personen (Art. 19 Abs. 3GG), Juristische Ausbildgung, 2019 (5), 496-511.

[855] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

მოპასუხეთა განსხვავებულ პირთა წრე. მაგალითად, შესაბამის ორგანოთა შორის უფლებამოსილების თაობაზე დავის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება შეიტანოს საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტმა, ასევე მთავრობამ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, გენერალურმა პროკურორმა, ეროვნული ბანკის საბჭომ, გენერალურმა აუდიტორმა, სახალხო დამცველმა ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ან აღმასრულებელმა ორგანომ, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ რომელიმე მათგანის სამართლებრივი აქტით, მოქმედებით ან უმოქმედობით სრულად ან ნაწილობრივ ხელყოფილ იქნა რომელიმეს კონსტიტუციური უფლებამოსილება.[856] მითითებული კომპეტენციის ფარგლებში მოპასუხე მხარე უნდა იყოს ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოქმედებამ ან უმოქმედობამ მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების სრულად ან ნაწილობრივ დარღვევა.[857]

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტის ერთი მეხუთედია მოსარჩელე საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობისა და პოლიტიკური პარტიის, ასევე პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში.[858] რაც შეეხება მოპასუხეებს, პირველი კომპეტენციის მიზნებისთვის მოპასუხე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება არ საჭიროებს რატიფიცირებას, იქნება ხელშეკრულების დამდები ორგანო/თანამდებობის პირი ან მისი უფლებამონაცვლე, ხოლო რატიფიცირებული ხელშეკრულების შემთხვევაში მოპასუხე უნდა იყოს საქართველოს პარლამენტი.[859] თავის მხრივ, თუ საერ-

---

[856] უკანასკნელი ცვლილებების შედეგად, საქართველოს ორგანულ კანონში პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ნაცვლად, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მსგავსად, მოსარჩელე მხარედ განისაზღვრა საქართველოს პარლამენტი, იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი. მეორე მხრივ კი, პარლამენტის რეგლამენტში მითითებულ კომპეტენციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დადგენილია, რომ პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს შეუძლია იდავოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლების დარღვევაზე, იხ., საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 200-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[857] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის N3/2/1723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის N3/1/1711 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

[858] შეად., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/6/1536 განჩინება საქმეზე, „ლაშა შუკაიძე ააიპ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წინააღმდეგ". II-2.

[859] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის 2^1 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ საკონ-

თაშორისო ხელშეკრულება ან მისი ცალკეული დებულება ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული, კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. ამ უკანასკნელი სამართალწარმოების ფარგლებში არ ხდება მოპასუხის იდენტიფიცირება და საკონსტიტუციო სასამართლო ინკვიზიციური პროცესის ფარგლებში განიხილავს სადავო საკითხს, ხოლო თავად წარდგინების ავტორის პროცესის ფარგლებში მიწვევა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს სურვილზეა დამოკიდებული. რაც შეეხება პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ დავას, ამ შემთხვევაში, მოპასუხე არის პოლიტიკური პარტია, თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას, ხოლო როდესაც კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობას, მოპასუხეებად მოწვეულ უნდა იქნენ პოლიტიკური პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო.[860]

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ დავის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან იმ მოქალაქეს,[861] რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა. კანონმდებლობის შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში მოპასუხე, ცხადია, შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი. სხვადასხვა უფლებამოსილების ფარგლებში მოსარჩელეები ასევე შეიძლება იყვნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანო და ა.შ.

სტატუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე, აუცილებელი პირობაა სადავო ხელშეკრულების, ასევე მისი ნაწილის დენონსირების ან გაუქმების შესახებ პარლამენტის წინაშე საკითხის დაყენება, რისი უფლებამოსილებაც „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მხოლოდ მთავრობას აქვს. შესაბამისად, პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედსა და პრეზიდენტს, პრაქტიკულად, არ ეძლევათ შესაძლებლობა, წარადგინონ სარჩელი, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებულია, თუ მთავრობა ამის წინააღმდეგია, იხ., ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, ა. ფირცხალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 230-231.

[860] იხ., 2016 წლის 26 სექტემბრის N850 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ“.

[861] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის N2/2/394 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართალწარმოების ინიციატორებთან, მოპასუხეებთან და მათ ჩართულობასთან დაკავშირებით ასევე კლასიკური შეჯიბრებითი პროცესის მოდელისგან განსხვავებული სპეციფიკა არსებობს, როდესაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების საფუძველი ხდება კონსტიტუციური წარდგინება, რომლითაც საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, საქმის განმხილველი სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს, რადგან უჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის ნორმატიული აქტი, რომელიც საერთო სასამართლომ უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება იყოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო.[862] ასეთ შემთხვევებში, კანონმდებლობით დადგენილია ზოგადი წესი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო არსებით განხილვას ატარებს კონსტიტუციური წარდგინების ავტორებისა და მათი წარმომადგენლების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს კონსტიტუციური წარდგინების ავტორები, თუმცა ამ პირებს იგი მხარედ არ აღიარებს. აღნიშნული მოწესრიგება ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა კონსტიტუციურ წარდგინებებსაც შეეხება.

1.2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა მონაწილეები

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში იმ სუბიექტთა გარდა, რომელთა ჩართულობის გარეშე, როგორც წესი, შეუძლებელია პროცესის ინიციირება ან/და წარმართვა, სამართალწარმოებაში ჩართულნი შეიძლება იყვნენ სხვა პირებიც. კერძოდ, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში შესაძლოა მონაწილეობდეს მხარის წარმომადგენელი, კანონიერი ინტერესების დამცველი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი. აღნიშნული პირები როგორც წესი, ფაკულტატურად არიან ჩართულნი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში და აღიჭურვებიან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებებით.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების პროცესი მხარემ შეასაძლოა წარმართოს დამოუკიდებლად, თუმცა ასევე შესაძლებელია, ხშირად მიზანშეწონილია და ზოგჯერ სავალდებულოა წარმომადგენლის ან/და კანონიერი ინტერესების დამცველის დახმარებით სარგებლობა. ისინი არიან ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებსაც მოსარჩელემ ან მოპასუხემ, კანონით დადგენილი წესით, გადასცა თავისი უფლებამოსილება.

მხარეთა წარმომადგენლები შეიძლება მიჩნეულ იქნენ საკონსტიტუციო სამართალწარმოების როგორც ძირითად, ისე ფაკულტატურ მონაწილეებად, რა-

[862] იხ., დავითური გ., დავითაშვილი გ., საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021.

დგან შესაძლოა, მათი პროცესში მონაწილეობა გავლენას არ ახდენდეს განხილვის მიმდინარეობაზე, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელიც კი იყოს მხარეთა წარმომადგენლების ჩართულობა. ამგვარ აუცილებლობას შეიძლება განაპირობებდეს კონკრეტული თავისთავადი გარემოება ან კანონისმიერი მოთხოვნა. მაგალითად, ორგანული კანონი ადგენს, რომ მოსარჩელეთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, როდესაც კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირთა რაოდენობა ორზე მეტია[863] ან კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში.[864]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხარეთა ინტერესების დაცვა ასევე შეუძლიათ მხარეთა ინტერესების დამცველებს – ადვოკატებს, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა; მხარის ინტერესების დამცველი ასევე შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირი. ადვოკატი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი შეიძლება დანიშნოს როგორც მხარემ, ისე მისმა წარმომადგენელმა. მითითებული პირები უნდა ჩაითვალონ სამართალწარმოების დამატებით მონაწილეებად, რომელთა სამართალწარმოებაში ჩართულობა მხოლოდ ფაკულტატიური ხასიათისაა. ისინი სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად. თუმცა პროცესში მათი მონაწილეობის დამხმარე ბუნება თავისთავად არ აკნინებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატების სამართალწარმოებაში მონაწილეობა მიზანშეწონილია. ამ მხრივ, განსაკუთრებით სასურველი იქნება, თუ მხარე/მისი წარმომადგენელი შეარჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესის სპეციფიკასთან დაახლოებულ/გამოცდილ პირს.[865]

საკონსტიტუციო სამართალწარმოება, თავისი ბუნების გათვალისწინებით, არის კვაზიინკვიზიციური პროცესი, რაც, მათ შორის, დასტურდება სასამარ-

---

[863] მაგ., იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/4/885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[864] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის N2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[865] ამ საკითხთან დაკავშირებით, მომავალში საკონსტიტუციო სამართალწარმოების კულტურისა და გამოცდილების ზრდასთან ერთად, შეიძლება სასურველი გახდეს ადვოკატებისთვის სპეციალური ასოციაციის შექმნა, რომელში გაერთიანებულ პირებსაც გარანტირებულად ექნებათ იმის სპეციალიზება, რომ სამართალწარმოების მიმდინარეობას წარმატებულად გაართვან თავი, აღნიშნული პოზიტიურად იმოქმედებს არა მხოლოდ მხარეთა ინტერესების დაცვის, არამედ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის ხარისხზეც.

თლოს შესაძლებლობით, გარდა მხარეთა შუამდგომლობისა, საკუთარი ინიციატივითაც, *ex officio* მოიწვიოს მოწმეები, სპეციალისტები, ექსპერტები,[866] საჯარო დანესებულების წარმომადგენლები და დამატებით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ ჩაითვლება, რომ საჭიროა საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევა.[867] აღნიშნული სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ამომწურავად მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, რაც შეიძლება მხარეებმა სასამართლოს არ ან ვერ წარუდგინონ. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, რომ გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, ხოლო სასურველი პირების მოწვევის შემდეგ, სამართალწარმოება გააგრძელოს მისი შეჩერების მომენტიდან. მითითებული პირები, ცხადია, ვერ ჩაითვლებიან მხარეებად ან მათ წარმომადგენლებად/ინტერესის დამცველებად, თუმცა სამართალწარმოებაში მათი მონაწილეობა არა მხოლოდ კანონმდებლობითაა ნებადართული, არამედ, მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლო დაარსებიდან დღემდე ხშირად სარგებლობს მითითებული უფლებამოსილებით.[868]

თავის მხრივ, მოწმე, სპეციალისტი, ექსპერტი და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ჩაითვლებიან სამართალწარმოების ძირითად მონაწილეებად. პროცესში მათი როლის ფაკულტატურ ხასიათზე, პირველ რიგში, მიუთითებს თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, რომლის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მათი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს მხარეების პოზიციას მითითებულ პირთა დაუსწრებლად სხდომის ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე და ადგილზე წყვეტს საკითხს სხდომის გადადების ან გაგრძელების შესახებ. შესაბამისად, მითითებული პირების არყოფნა, შეიძლება და პრაქტიკულადაც, მეტად სავარაუდოა, რომ არ დააბრკოლებს პროცესის მიმდინარეობას.

საინტერესოა, რომ უშუალოდ ორგანული კანონი არ აკეთებს მითითებას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მოწმედ, ექსპერტად, სპეცი-

---

[866] საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დებს ხელშეკრულებას სასამართლო სხდომაზე მოწვეულ სპეციალისტებთან/ექსპერტებთან და საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს მათი ანაზღაურების ოდენობას, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტი.

[867] სამეცნიერო ლიტერატურაში საკონსტიტუციო სამართალწარმოების კვაზიინკვიზიციურ ბუნებაზე მსჯელობას ნაკლები ყურადღება ეთმობა, შეად., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 303.

[868] აღნიშნულს, პირველ რიგში, ადასტურებს სხვადასხვა დროს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებში, კერძოდ, შესავალ (აღწერილობით) ნაწილში მოწვეული მონმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ", I-37-42.

ალისტად და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლად. მითითებულ პირებს შორის განსხვავება არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიურ-ფორმალური, არამედ მათი პროცესში ჩართულობა სხვადასხვა შედეგთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ზოგჯერ განსახილველ პირებს შორის განსხვავება მკაფიო შეიძლება არც სამართალწარმოებაში გამოცდილი მონაწილეებისთვის იყოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მითითებული პირების დეფინიციები განისაზღვროს მთლიანად საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და ასევე მომიჯნავე კანონმდებლობების[869] განმარტების შეჯერებით.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გაცხადებული ფიცის ქვეშ და სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე სათანადოდ გაფრთხილების შემდეგ, სასამართლოს აწვდის კონკრეტულად მისთვის ცნობილ ინფორმაციას, ძირითადად, საქმისთვის რელევანტურ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ამ მხრივ, მოწმის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ინფორმაციის რეალური მნიშვნელობა მეტწილად დამოკიდებულია პიროვნულ თვისებებზე და არა მის სამსახურებრივ სტატუსზე, რამდენადაც მოწმის ჩვენება არის გამყარებული უპირველესად ინდივიდის უნარებით, დაიმახსოვროს, სწორად აღიქვას ან/და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები და სამართალწარმოების მიმდინარეობისას მისცეს შესაბამისი ჩვენება.[870]

ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, მოპასუხე მხარე ითხოვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების, განმწესრიგებელი სხდომის ფარგლებში, მოწმის სტატუსით დაკითხვას. მისი განმარტებით, საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭირო იყო შსს-დან ისეთი პირების მონაწილეობა, რომელთაც ჰქონდათ რელევანტური გამოცდილება სადავოდ გამხდარ ნორმებთან დაკავშირებით და გონივრული იქნებოდა საჯარო უწყების რიგითი თანამშრომლების ხედვის გაცნობა გასაჩივრებული ნორმის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით. ზეპირი განხილვისას საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლის განმარტებით, როდესაც მხარე ითხოვს მოწმის სტატუსით პირების პროცესში ჩართვას, მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს, რატომ შეიძლება იყოს კონკრეტული პიროვნებისთვის ცნობილი ინფორმაცია სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი, ამასთან, მოწმის სტატუსით ჩართული პირი უნდა განიხილებოდეს, როგორც კონკრეტული ინფორმაციის მფლობელი

[869] ამ მხრივ, მიზანშეწონილია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილისა და იმავე მუხლის 21-ე ნაწილის გაანალიზება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე-153-ე მუხლების განხილვა.

[870] შეად., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 206.

ერთ-ერთი ინდივიდი და არა საჯარო უწყების წარმომადგენელი. ამდენად, მოწმის სტატუსით პირის სამართალწარმოებაში ჩასართავად საკმარისი არ არის, მხოლოდ მხარის მითითება, რომ საჭიროა ერთ-ერთი უწყების წარმომადგენლის პოზიციის მოსმენა ცალკეულ სადავო საკითხზე, არამედ მხარემ სასამართლოს უნდა დაანახვოს, რომ მხოლოდ იდენტიფიცირებულ პირს შეიძლება ჰქონდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული ინფორმაცია.[871]

სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული მიუკერძოებელი ინფორმაცია არის კონკრეტულ სფეროში დაგროვებული პირადი ცოდნისა და გამოცდილების შედეგი.[872] ხოლო ექსპერტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, თუკი მას აქვს სპეციალური ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება, რათა ჩაატაროს მოკვლევა, ექსპერიმენტი, მათ შორის, მტკიცებულებების მოკვლევასთან დაკავშირებით და გასცეს დასკვნა, რომელიც სასარგებლო იქნება სასამართლოსთვის.[873] იმის მიხედვით, ექსპერტს, მოწმეს ან/და სპეციალისტს საკუთარი ინიციატივით იწვევს სასამართლო თუ შუამდგომლობით რომელიმე მხარე, თავისთავად არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციის სანდოობასთან დაკავშირებით. თუმცა თუ მხარეს დამატებით სურს, მოიწვიოს ექსპერტი, მოწმე ან სპეციალისტი, გონივრულია, რომ მასვე მოეთხოვება ამტკიცოს მოწვეული პირის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღოს ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოსგან, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-19 მუხლი აკონკრეტებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოითხოვოს ნებისმიერი საჯარო დაწესებულების პოზიციის წარმოდგენა. მითითებულ უფლებამოსილებას სასამართლო არსებითი ან/და განმწესრიგებელი სხდომის მიზნებისთვის ხშირად იყენებს და ზეპირი განხილვის ფორმატში იწვევს ამა თუ იმ საჯარო დაწესებულების წარმომადგენელს.[874] ასეთ შემთხვევაში გონივრული დროით ადრე, მომხსენე-

---

[871] იხ., განმწესრიგებელი სხდომა N1582 კონსტიტუციურ სარჩელზე საქმეზე, „ბექა ქებაზე და გიორგი ბეჟანიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". იხ., <https://www.youtube.com/watch?v=uLaH7BE2U_k&t=793s> [25.06.2024]

[872] შეად., ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 1989, 600.

[873] შეად., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 213.

[874] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის N2/1/1434,1466 გადაწყვეტილება საქმეზე, „ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ბელი მოსამართლე ან სხდომის თავმჯდომარე წერილით მიმართავს კონკრეტულ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელ პირს, აწვდის სათანადო ინფორმაციას და იწვევს სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. სასამართლო ასევე უფლებამოსილია, მოსაზრების წარმოდგენა მოითხოვოს წერილობითი ფორმით, თუმცა ძირითადად სასამართლო საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა ზეპირ განხილვაში მონაწილეობას ამჯობინებს. აქვე საინტერესოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როდესაც მას სურს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ბევრად უფრო ხშირად იყენებს სპეციალისტის დახმარებას, ვიდრე, მაგალითად, მოწმის დაკითხვას.[875] ამ მხრივ, განსაკუთრებით ხშირია სპეციალისტის მოწვევის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განიხილავს ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების ოდენობას, მათ ბუნებასა და შესაძლო ნეგატიური გაელენის ხარისხს, რათა, მათ შორის, მოკვლეულ იყოს ამ მონაცემების მიმართება დანესებული სასჯელის პროპორციულობასთან.[876]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესის ფარგლებში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს კიდეე ერთმა მონაწილემ, თარჯიმანმა,[877] რომლის საქმიანობა თავისთავად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს პროცესის მიმდინარეობისთვის. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია მიუჩინოს თარჯიმანი პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას, რათა უზრუნველყოფილ იყოს სამართალწარმოების მიზნები.

2. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები სარგებლობენ კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და მოვალეობებით, თუმცა ყოველ მათგანს აკისრია უზოგადესი ვალდებულება, კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებები. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლება საკონ-

---

[875] ანალოგიური გამოცდილება არსებობს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, შეად., Barczak T., ed. BVerfGG: Mitarbeiterkommentar zum Bundesverfassungsgerichtsgesetz. Walter de Gruyter GmbH & Co KG, 2017, 452.

[876] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/5/1408 განჩინება საქმეზე, „ირაკლი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[877] მაგ., იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 30 აპრილის N1/2/204 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გრიგოლ კარგინი საქართველოს პრეზიდენტისა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ".

სტიტუციო სასამართლოს წარუდგინონ განმარტებები. კერძოდ, განმწესრიგებელ ან არსებით სხდომაზე მას შემდეგ, რაც მომხსენებელი მოსამართლე წარადგენს საკუთარ მოხსენებას საქმესთან დაკავშირებით, ჯერ მოსარჩელე მხარეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს, შემდეგ მოპასუხე მხარეს შეუძლია გააკეთოს საქმესთან დაკავშირებით ძირითადი განმარტებები. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 28-ე მუხლი დამატებით მიუთითებს, რომ ზეპირი ახსნა-განმარტების მიცემის ძირითადი მიზანი არის მხარეთა მიერ სასამართლოსთვის წერილობითი მასალებისგან განსხვავებული, მათი შემავსებელი, ინფორმაციის/მოსაზრებების მიწოდება.

სასამართლო უფლებამოსილია, არ მოისმინოს ერთხელ უკვე როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით მიწოდებული ინფორმაცია. სხდომის თავმჯდომარე კი უფლებამოსილია, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს განუსაზღვროს გონივრული დრო ზეპირი ახსნა-განმარტების/დასკვნითი სიტყვის წარსადგენად. პრაქტიკულად, სასამართლო ნაკლებად მკაცრია ამ მხრივ და ხშირად გონივრულზე დიდ თავისუფლებას აძლევს მხარეებს გამოიყენონ განმარტებების ეტაპი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევევა, როდესაც მოსარჩელე მხარე ამ უფლების გამოყენების დროს ძირითადად იმეორებს იმ ინფორმაციას, რაც მან კონსტიტუციურ სარჩელშიც მიუთითა. ამგვარი გამეორება, პრაქტიკულად, შეიძლება იყოს სასამართლოსა და სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების რესურსების ფუჭი კარგვა. განსაკუთრებით პროცესის სტრუქტურის გათვალისწინებით, რომლის თანახმად, მოსამართლის მოხსენება, რომელიც წინ უსწრებს მხარის განმარტებებს, ფაქტობრივად, აჯამებს სარჩელში წერილობით წარმოდგენილ ძირითად არგუმენტაციას. შესაბამისად, მხარე განმარტებებისთვის მიცემულ დროს უნდა იყენებდეს დამატებითი მტკიცებულებების წარმოსადგენად ან/და იმ არგუმენტაციის გასამყარებლად, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს დამატებით დასაბუთებას.

მხარეებს აგრეთვე გააჩნიათ თანაბარი უფლება, ერთმანეთს დაუსვან საქმის გარემოებებთან დაკავშირებით რელევანტური შეკითხვები მას შემდეგ, როცა სასამართლო თავად მოიკვლევს საქმისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას,[878] რაც, ძირითადად, ხორციელდება მხარეებისთვის, მოწვეული მონმეებისთვის, ექსპერტებისთვის, სპეციალისტებისა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის შეკითხვების დასმით. შესაბამისად, შეკითხვების პირველ ეტაპზე,

[878] ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მტკიცებულებების მოკვლევის ეტაპზე პირველი სვამს შეკითხვებს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ შესაძლებლობა მხარეებს დასვან შემავსებელი შეკითხვები, დამატებით მიუთითებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინკვიზიციურ ბუნებაზე, შად., Eser A., Adversatorisch Versus Inquisitorisch: auf der Suche nach OptimalenVerfahrensstrukturen, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift, No. 3, 2019, 63.

სასამართლოს ინიციატივით, მხარეებს უკვე გამოთქმული აქვთ პირველადი პოზიციები საქმისთვის ყველაზე რელევანტურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, მხარეებს აქვთ მონაწილეობა მიღებული მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, რაც მოსამართლეთა შეკითხვებზე პასუხის გარდა, შეიძლება გულისხმობდეს მოწმეებისთვის, ექსპერტებისთვის, სპეციალისტებისთვის და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის შეკითხვების დასმას და სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხზე თავიანთი დასკვნების წარდგენას. რაც შეეხება უშუალოდ მხარეების შესაძლებლობას, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, ეს არის პროცესის დამოუკიდებელი ეტაპი, როდესაც სხდომის თავმჯდომარე ჯერ მოსარჩელე მხარეს/კონსტიტუციური წარდგინების ავტორს და შემდგომ – მოპასუხე მხარეს დამატებით აძლევს უფლებას, გაცვალონ შეკითხვები და მოისმინონ პასუხები.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეები ზედამხედველობენ, რომ უკვე მოკვლეული საკითხები კვლავ არ გახდეს შეკითხვების (გარდა დამაზუსტებლისა) საგანი. ფაქტობრივად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები მოსამართლეთა მიერ გაჟღერებულ შეკითხვებისადმი არ იჩენენ სათანადო ყურადღებასა და ინტერესს. რეალურად კი, პროცესის ძირითადი მიმართულება და პერსპექტიულობა ზუსტად მოსამართლეთა მიერ დასმულ შეკითხვებიდან შეიძლება იყოს ამოკითხული, რაც სტრატეგიულად შეიძლება იყოს გამოყენებული მოგვიანებით მხარეების მიერ, ერთი მხრივ, დამატებითი კითხვა-პასუხის დროს და საბოლოოდ, დასკვნით სიტყვების წარმოდგენის შემთხვევაში. მხარეთა უფლება წარადგინონ დასკვნითი სიტყვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომლის დროსაც მხარეებმა არა მხოლოდ უნდა შეაჯამონ საკუთარი პოზიციები, არამედ შეუძლიათ, რომ გამოკვეთონ ის საკითხები, რის გამოც, მათი აზრით, უარყოფილ ან გაქარწყლებულ იქნა მეორე მხარის არგუმენტაცია.

პროცესში მონაწილე მხარეებს ასევე აქვთ უფლება, იყვნენ ინფორმირებულები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, უპირველესად, რა მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ვინ არიან პროცესში მონაწილეები და რა შუამდგომლობებია დაყენებული, რათა შეძლონ საკუთარი ინტერესების სათანადოდ დაცვა. მითითებული უფლება ვრცელდება როგორც მიმდინარე, ისე დასრულებულ სამართალწარმოებაზე. ამ მხრივ, პროცესში მონაწილე ძირითად სუბიექტებს კანონმდებლობით აქვთ უფლება, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები ან/და გადაიღონ ასლები. კანონმდებლობა აგრეთვე აკონკრეტებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების/საოქმო ჩანაწერის მიღების (გამოცხადების) შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მხარეებს. როგორც უკვე აღინიშნა, მხარეებს აგრეთვე აქვთ უფლება საქმის

განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება მიანდონ ნდობით აღჭურვილ პირებს, წარმომადგენლებს, ხოლო ინტერესების დაცვა – ადვოკატებს ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეებს ასევე თანაბარი უფლება აქვთ სხვადასხვა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წარადგინონ შუამდგომლობები სხდომის მიმდინარეობისას ან მითითებულ სხდომებამდე. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმის ზეპირი განხილვის დროს დაყენებული მხარეთა შუამდგომლობები გადაწყვიტოს სხდომათა დარბაზში, რაც გულისხმობს ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებას. სასამართლოს სხდომამდე დაყენებულ მხარეთა შუამდგომლობებს კი სასამართლო წყვეტს სხდომის დაწყებამდე, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, ხსენებულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილება მიიღოს სხდომის დაწყების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მხარეთა მოსმენა.

სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე არსებითად განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე.[879] ზეპირი მოსმენით ჩატარებული არსებითი განხილვის ძირითადი მიზანია მეტად სიღრმისეული პროფესიული ხასიათის დისკუსიის წარმართვა, სადაც გამოკვლეული იქნება სხვადასხვა მტკიცებულება, შესაბამისად, მხარეები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ არსებითი განხილვის მიმართ. კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს პირადი ინიციატივის ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს გადაწყვეტილება პირის მაიდენტიფიცირებელი/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ. რა შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ დოკუმენტები ქვეყნდება იმგვარი ფორმით, რომ არ გამჟღავნდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები[880] ან/და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული შესაბამისი ინფორმაცია.

იმ საკითხებს შორის, რომელთა შესახებაც შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობა ეძლევათ მხარეებს, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება. ამ შემთხვევაში, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შუამდგომლობის დაყენების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამარ-

---

[879] აღნიშნული უფლებამოსილება განისაზღვრა 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, იხ., 2006 წლის 29 დეკემბრის N4215–რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე".

[880] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

თლო ამონმებს, ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია თუ არა ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის მიყენება და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში რა საფრთხე არსებობს მესამე პირების უფლებებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის მხრივ.[881] ხოლო გადაწყვეტილებას იღებს და აქვეყნებს შესაბამის საოქმო ჩანაწერთან ერთად. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით ან კვლავ მხარეთა შუამდგომლობით გადასინჯოს გადაწყვეტილება სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილე მხარის კიდევ ერთი ქმედითი უფლებაა, სასამართლოს წინაშე შუამდგომლობით დააყენოს დავის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების საკითხი. მოსამართლის მიმართ უნდობლობის შესახებ მხარემ შეიძლება იდავოს ორი მიმართულებით, თუ სასამართლოს წევრი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია; ან თუ მოსამართლე პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ასევე თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.[882] ამ საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლადაც შეუძლია განერიდოს საქმის განხილვაში მონაწილეობას, რა შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეები განიხილავენ კონკრეტული მოსამართლის თვითგანრიდების შესახებ განცხადებას.[883] თავის მხრივ, ანალოგიური მოწესრიგება არსებობს, თუ მხარე ითხოვს საქმის განხილვაში მონაწილე მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის აცილებას. აღნიშნული საფუძვლების არსებობისას საქმისგან განრიდების უფლება აქვთ მოწმეს, სპეციალისტს და თარჯიმანსაც.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების გარდა, რომლებზეც მხარეებს თანაბარი წვდომა აქვთ, კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია ცალკეული უფლებები, რომლითაც მხოლოდ მოსარჩელე ან მოპასუხე სარგებლობს.

---

[881] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფიაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-46, II-67.

[882] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ".

[883] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის N3/1/740, 764 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით ნიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მაგალითად, მოსარჩელეს აქვს უფლება, შუამდგომლობით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და, შესაბამისად, შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა ან საერთოდ უარი თქვას ასეთ მოთხოვნაზე. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმეზე წარმოებას.[884] სამართალწარმოების შეწყვეტა ასევე შეუძლია მოითხოვოს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში მოთხოვნილია იმპიჩმენტის შესახებ დასკვნის მომზადება, რადგან აღნიშნული კომპეტენცია სამართლებრივზე მეტად, პოლიტიკური პროცესის ნაწილია, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მომზადებული დასკვნის ამბივალენტური ხასიათიც მეტყველებს.[885] პარლამენტარების შესაბამის ჯგუფს შეუძლია წერილობით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და უარი თქვას კონსტიტუციურ წარდგინებაზე, თავის მხრივ, სასამართლო ვალდებული იქნება ამგვარი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ანალოგიური რეგულაცია არსებობს, როდესაც ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის ფარგლებში სადავოდაა გამხდარი აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან და აჭარის რესპუბლიკის შესახებ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან. თუმცა, მეორე მხრივ, სამართალწარმოების შეწყვეტას ვერ მოითხოვს, მაგალითად, კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თავის მხრივ, მოპასუხე უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი, თუ მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა არის საფუძვლიანი. თუმცა სარჩელის ცნობა არ იწვევს სასამართლოში საქმის შეწყვეტას, რადგან სასამართლო ავტომატურად ვერ დააკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას. საკონსტიტუციო სამართალწარმოების განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, გააგრძელოს სადავო საკითხის შეფასების პროცესი და საბოლოოდ, გადაწყვიტოს გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.[886]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა უფლებების გარდა, კანონმდებლობა ასევე ადგენს ცალკეულ ვალდებულებებს. პირველ რიგში,

---

[884] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 8 ოქტომბრის N1/1/3 განჩინება საქმეზე, „მოქალაქე ლუდმილა ბელიაევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ".

[885] შეად., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება იმპიჩმენტის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2/3(45/46) 15, 2015, 52-53.

[886] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/505 განჩინება საქმეზე, „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მიერ სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემამდე სხდომის თავმჯდომარე მითითებულ პირებს აფრთხილებს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, წინასწარ შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისთვის ან ექსპერტის და სპეციალისტის მიერ ყალბი დასკვნის, ჩვენების მიცემის, განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისთვის ან თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნისთვის პასუხისმგებლობის მდგენელი ნორმები ორგანულ კანონში არ არსებობს. თუმცა იმავე კანონის 27[6] მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ წესზე.[887]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა მიმართ არსებული ერთ-ერთი უზოგადესი ვალდებულება ეხება პროცესზე გამოცხადებას. კერძოდ, პირს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად ჩაბარდა უწყება, ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოს სხდომაზე და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე ან/და მოპასუხე მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადადოს სხდომა. თავის მხრივ, თუ სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს საქმის განხილვის რომელიმე მხარის გამოუცხადებლობას, იგი სხდომას ატარებს გამოუცხადებელი მხარის დაუსწრებლად. თუმცა ამგვარ შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია, გადადოს სხდომა, თუ იგი საქმის გამოკვლევისთვის აუცილებლად მიიჩნევს გამოუცხადებელი მხარის პოზიციის მოსმენას. მოსარჩელის მიერ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, შესაძლოა, სასამართლოს მიერ განხილულ იქნეს მოსარჩელის მიერ დავის მიმართ ინტერესის დაკარგვად და კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმად. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეწყვიტოს საქმე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

საქმის განხილვაში მონაწილე პირის კიდევ ერთი ზოგადი ვალდებულებაა დაიცვას წესრიგი, რომლის დარღვევის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე პირს აძლევს გაფრთხილებას. წესრიგის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოვლენის შემთხვევაში კი დამრღვევი პირი სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება გაძევებულ იქნეს სხდომათა დარბაზიდან, რაც არ აბრკოლებს საქმის განხილვა-გადაწყვე-

[887] ამ მხრივ, გამოსაყენებელი ნორმა შეიძლება იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი.

ტას, ხოლო პირი სხდომიდან გაძევებულად ითვლება სასამართლო განხილვის დასრულებამდე. თუმცა მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა. ხოლო თუკი მხარე იქნება გაძევებული, მას თავად შეუძლია შუამდგომლობით მოითხოვოს სხდომაზე დაბრუნება.

3. შესაგებლის არსი, ფორმა და თავისებურებები

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კომპეტენციის ფარგლებში, პრაქტიკულად, საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით წარმართავდეს კვაზიინკვიზიციურ პროცესს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საქმიანობას ახორციელებს, მათ შორის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საწყისებზე,[888] რაც თავისთავად მიუთითებს მოსარჩელისა/კონსტიტუციური წარდგინების ავტორისა და მოპასუხის იმპულსების, პროცესში მათი ჩართულობის გარდაუვალ ურთიერთწინააღმდეგობაზე.[889]

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ავტორები არიან, როგორც უკვე აღინიშნა, სამართალწარმოების ინიციატორები, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ პროცესში მოპასუხე მხარემ შეიძლება აქტიურად მიიღოს მონაწილეობა, დაიცვას საკუთარი ინტერესები ორი ფორმით, რაშიც იგულისხმება ზეპირი ან/და წერილობითი შესაგებლით სასამართლოსთვის მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პოზიციების წინააღმდეგ საპირისპირო არგუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ნიშანდობლივია, რომ ორგანული კანონი რაიმე ფორმის, სავალდებულო ან სარეკომენდაციო ხასიათის მონესრიგებას არ ადგენს როგორც წერილობით, ისე ზეპირი შესაგებლის წარდგენასთან დაკავშირებით. თუმცა სხვა კატეგორიების საპროცესო მოწესრიგების ანალოგიურად, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაშიც შესაგებლის მთავარი ფუნქცია ცალსახად უნდა იყოს პროცესის ინიციატორი მხარის მიერ

---

[888] სამართალწარმოების შეჯიბრებითი მოდელისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპის გამიჯვნის შესახებ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-14-19.

[889] შეად., Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, No. 3, 1983, 714.

წარდგენილი ფაქტებისა და გარემოებებისგან თავდაცვა.[890] კონკრეტული პოზიციის სისწორეში სასამართლოს დარწმუნების გარდა, წერილობითი შესაგებლის დამატებითი ფუნქციაა სასამართლოს დაეხმაროს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. თავის მხრივ, მხარეების მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტები თავისთავად ქმნიან პირველად შთაბეჭდილებას კონკრეტული სადავო საკითხის შესახებ. შესაბამისად, სარჩელისა და შესაგებლის მნიშვნელობა შეიძლება ხშირად ზეპირი მოსმენის ფორმატში, თუნდაც სხდომის ოქმში დაფიქსირებულ პოზიციაზე მეტად გავლენიანი აღმოჩნდეს.[891]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოპასუხის შესაგებლის შესახებ ერთადერთი რელევანტური ნორმატიული მოწესრიგება დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-15 მუხლით, რომლის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის და შესაბამისი მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის შემდეგ,[892] კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება, საქმის მასალებთან ერთად, ელექტრონული ფორმით ეგზავნება იდენტიფიცირებულ მოპასუხე მხარეს. თავის მხრივ, მოპასუხე მხარე ვალდებულია, წარმოადგინოს წერილობითი შესაგებელი არა უგვიანეს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ხოლო მოპასუხის შესაგებელი წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება მოსარჩელე მხარეს. ამავდროულად, მომხსენებელი მოსამართლე უფლებამოსილია, მოპასუხე მხარეს განუსაზღვროს შესაგებლის წარმოდგენის სხვა ვადა. თუმცა რეგლამენტი აგრეთვე მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობა არ აფერხებს საქმის განხილვას.

ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის შემდეგ, მოსარჩელეს მიერ იდენტიფიცირებულ მოპასუხე მხარეს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნოს სამართალწარმოების ინიციატორი მხარის პოზიციასა და ძირითად არგუმენტებს. მაშინ, როდესაც პრაქტიკულად, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენა პროცესამდე არის არა ზოგადი წესი, არამედ იშვიათი გამონაკლისი, რადგან ზემოაღნიშნული ნორმატიული რეგულირება, ფაქტობრივად, შესაგებლის წინასწარ წარუდგენლობას არ უკავშირებს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სამართალწარმოების ინიციატორი მხარის მიერ იდენტიფიცირებული მოპასუხე, ანუ სადავო აქტის ავტორი ორგანო, პრაქტიკულად, კიდევ უფრო იშვიათად წარადგენს წერილობით პოზიციას,

---

[890] შეად., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი.

[891] შეად., Corley P.C., The Supreme Court and Opinion Content. Political Research Quarterly, Vol. 61, No. 3, 2007, 468.

[892] მომხსენებელი მოსამართლე, პრაქტიკულად, სარჩელის რეგისტრაციიდან მალევე ინიშნება, საშუალოდ 2-5 დღემდე ვადაში.

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთო სასამართლოს მიერ შეტანილ წარდგინებას. ასეთ შემთხვევაში, ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო საკითხს განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გამხდარია სადავოდ. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის აცნობებს „მოპასუხეს" და ითხოვს, რომ წერილობით წარმოადგინოს სამართლებრივი პოზიცია იმ ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომლის მიმართ საქმის განმხილველ მოსამართლეს უჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიძლება ჰქონდეს კონსტიტუციურობის პრობლემა.

დაბოლოს, მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი წერილობითი შესაგებელი არაა საჯაროდ ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის, როგორც ეს კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემთხვევაშია. ამდენად, გონივრულია ვარაუდი, რომ, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, მოსარჩელე მხარის უფლება, გაეცნოს საქმის მასალებს პროცესის მიმდინარეობისას და შესაბამისად, ზეპირი განხილვის ფორმატში განსაზღვროს კონკრეტული სტრატეგია, არაეფექტიანად არის რეალიზებული, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს სამართალწარმოების მხარეებს შორის თანასწორობის პრინციპთან მიმართებით. გარდა ამისა, ფართო აუდიტორიისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოპასუხე მხარის პირველადი[893] პოზიციები და არგუმენტაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებლობას საზოგადოებაში და შეამციროს სასამართლოს მეგობრის მიერ წერილობითი მოსაზრების ფორმირებისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საქმის მრავალასპექტიანი აღქმა.

[893] ამ მხრივ, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო თავისი დოკუმენტების შესავალ (აღწერილობით) ნაწილში აჯამებს მხარეთა ძირითად პოზიციებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება პერიფრაზირებისა და შემოკლების მეთოდები, შესაბამისად, შეიძლება დაიკარგოს ცალკეული ინფორმაცია და არგუმენტები.

თავი VIII. სასამართლოს მეგობარი

1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსი და დახასიათება

სასამართლოს მეგობარი, იგივე Amicus Curiae ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში მყოფი ინტერესთა ჯგუფების აქტიურ ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელებაში.[894] დღესდღეობით Amicus Curiae არის ფართოდ გავრცელებული ინსტიტუტი როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემებში და, შესაბამისად, იგი მრავალი განსხვავებული ფორმით არსებობს სხვადასხვა იურისდიქციაში. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია ძირითადი დეფინიციური მახასიათებლების გამორჩევა, რომლებიც ყველა დონეზე საერთოა განსახილველი სამართლებრივი მექანიზმისთვის: სასამართლოს მეგობარი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფორმალურად არ არის პროცესის მხარე, თუმცა აქვს გარკვეული სოციო-პოლიტიკური დაინტერესება საბოლოო გადაწყვეტილებისადმი, მის მიერ წარდგენილ მოსაზრებას კი სასამართლოსთვის არ აქვს სავალდებულო ხასიათი.[895]

სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი სხვა სამართლებრივი მექანიზმების მსგავსად, მეცნიერთა ნაწილის აზრით, რომაულ სამართალთან ერთად განვითარდა.[896] თუმცა თანამედროვე შინაარსით, Amicus Curiae ცალსახად ჩამოყალიბდა და ყველაზე გავლენიანი ფორმით ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებული შტატების იურისპრუდენციაში,[897] ხოლო გასული საუკუნის მიწურულს, იგი პოპულარული გახდა აგრეთვე კონტინენტური ევროპის სამეცნიერო და საკანონმდებლო სფეროებში.[898] საინტერესოა, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი დღეს არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ სასამართლოში, არამედ ისეთ გავ-

---

[894] Garcia J.R., A Democratic Theory of Amicus Advocacy, Florida State University Law Review, Vol. 35, No. 2, 2008, 347.

[895] Black's Law Dictionary, 8th ed. By Garner A. B., Thomson West Publishing, 2004, 263.

[896] Krislov S., The Amicus Curiae Brief: From Friendship to Advocacy, The Yale Law Journal, Vol. 72, No. 4, 1963, 684.

[897] Izarova I., Szolc-Nartowski B., Kovtun A., Amicus Curiae: Origin, Worldwide Experience and Suggestions for East European Countries, Hungarian Journal of Legal Studies, Vol. 60, No. 1, 2019, 26.

[898] Kochevar S., Amici Curiae in Civil Law Jurisdictions, Yale Law Journal, Vol. 122, No. 6, 2013, 1659.

ლენიან საერთაშორისო ტრიბუნალებშიც არსებობს, როგორებიცაა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[899]

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც Amicus Curiae-ს სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ თანამედროვე სამყაროში არსებობს განსაკუთრებით მზარდი დაინტერესება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, დაკავშირებულია მე-20 საუკუნეში სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების ექსპანსიასთან. მათ შორის, იმგვარი საკითხების ფართო სპექტრზე (როგორებიცაა, მაგალითად, საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები, გარემოს დაცვა, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და სხვა), რომელთა მიმართ მანამდე არსებობდა ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების აბსოლუტური სუვერენიტეტი. სასამართლოს უფლებამოსილებისთვის ფუნდამენტური საკითხების მიკუთვნების აღნიშნულმა ტენდენციამ, ინტერესთა ჯგუფთათვის სასამართლო ხელისუფლება და განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლო აქცია გავლენის მოხდენისთვის ერთ-ერთ მთავარ ფორუმად, ხოლო Amicus Curiae – დასახელებული მიზნის მიღწევისთვის ეფექტიან საშუალებად, ერთგვარ იარაღად.[900]

სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების კლასიკურ გადანაწილებაში, ამგვარი პარადიგმული ცვლილებების ფონზე, საზოგადოებაში არსებულ დაინტერესებულ პირთა გაცხადებულ მიზნად იქცა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებაში აქტიური ჩართულობა, რათა თავიანთი პოლიტიკური პრეფერენციებით გავლენა მოახდინონ სამართალწარმოების შედეგებსა და, შესაბამისად, სახელმწიფოს უზენაესი კანონის ცალკეული დებულებების პრაქტიკულ განმარტებებზე.[901] თავის მხრივ, Amicus Curiae-ს მიმართ კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოების განსაკუთრებული მიმღებლობა უნდა აიხსნას იმით, რომ თანამედროვე სამყაროში კლასიკური სამართალწარმოება (მოსარჩელითა და მოპასუხით) არასაკმარისი აღმოჩნდა ფუნდამენტური სადავო საკითხების შესახებ საზოგადოებაში არსებული მრავალწახნაგოვანი პოზიციების სრულყოფილად გამოსარკვევად. შესაბამისად, სასამართლოებს დასჭირდათ დამატებითი ინსტრუმენტი უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად იმის შესახებ, რა გავლენას ახ-

[899] Shelton D., The Participation of Nongovernmental Organizations in International Judicial Proceedings, The American Journal of International Law, Vol. 88, No. 4, 1994, 611.

[900] Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019, 20-22.

[901] Collins M.P., Jr., Lobbyists before the U.S. Supreme Court: Investigating the Influence of Amicus Curiae Briefs, Political Research Quarterly, Vol. 60, No. 1, 2007, 57.

დენს სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებაში არსებული გავლენიანი ჯგუფების ინტერესებზე.[902]

1.1. სასამართლოს მეგობრის ფუნქცია

ტრადიციული გაგებით, ხელისუფლების არქიტექტურაში სასამართლო ის შტოა, რომელიც პოლიტიკისგან ყველაზე შორს უნდა იდგეს და მხოლოდ კონკრეტული დავის ფარგლებში მხარეების სამართლებრივი არგუმენტაციის შეჯერებაზე იყოს ორიენტირებული, ხოლო სოციუმში არსებული ზოგადი პოლიტიკური ინტერესები კი უშუალოდ საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის შედეგებში უნდა ირეკლებოდეს.[903] ამ მოსაზრების შესაბამისად, სასამართლოში მიმდინარე პროცესი, თეორიული პერსპექტივის ჭრილში, წინდაწინ ვიწროდაა დანახული და მარტოოდენ გულისხმობს ორ მხარეს შორის დავის გადაწყვეტას. თუმცა ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ სადავო საკითხის მოგვარება თავისთავად ახდენს გავლენას საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ჯგუფის მიმდინარე თუ მომავალ ცხოვრებაზე. ხშირად ასეთ ჯგუფებს ფორმალურად არ ეძლევათ უშუალო და სათანადო შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინონ სამართალწარმოების შედეგებზე. ხელისუფლების შტოებს შორის ამგვარ კლასიკურ და მკაცრ დელიმიტაციას კი, მათ შორის, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი არღვევს. თანამედროვე ფორმით არსებული Amicus Curiae-ს სამართლებრივი მექანიზმის უპირველესი ფუნქცია სწორედ საზოგადოებაში არსებული ინტერესთა ჯგუფების სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში ინტეგრირებაა.[904]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში კიდევ უფრო იზრდება სასამართლოს მეგობრის დასახელებული ფუნქციის მნიშვნელობა, რადგან კონსტიტუციური დავა მეტწილად მოითხოვს ზოგად, ქვეყნის განვითარებისთვის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებზე მსჯელობას, ხოლო გადაწყვეტილებას ხშირად პრეცედენტული ხასიათი ეძლევა, შესაბამისად, ცალკეული გასაჩივრებული საკითხის გადაწყვეტისადმი არა მხოლოდ კონკრეტული პროცესის მონაწილე მხარეებს, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული სამართლებრივი, მორალური, სოციალური ან/

---

902 Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019, 54.

903 Hamilton A., Federalist No. 78, in: Hamilton A., Madison J., Jay J., The Federalist Papers, Hackett Publishing Company, 2005, 412.

904 Daly N., Amicus Curiae and the Public Interest: A Search for a Standard, Law & Policy, Vol. 12, No. 4, 1990, 389.

და ეკონომიკური ინტერესი. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოში დავა თავისთავად კერძო და საჯარო ინტერესთა დაბალანსების მწვავე საჭიროებას წარმოაჩენს.[905]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ამგვარი ბუნების გათვალისწინებით, Amicus Curiae-ს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია რელევანტურ სადავო საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა სოციალური შეხედულების შესახებ, რათა მოგვიანებით სასამართლომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ფართოდ იქნება აღიარებული დაინტერესებულ პირთა შორის.[906] მართლაც, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალური შეხედულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელისუფლების ისეთი შტოსთვის, რომელიც, ზოგადად, განიცდის პოპულარული ლეგიტიმურობის ნაკლებობას, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო, ძალაუფლების დანაწილების სტრუქტურაში, თავისი ფუნქციით, არის კონტრ-მაჟორიტარული[907] ინსტიტუტი, რომლის მისია უნდა იყოს ინდივიდუალური უფლებების დაცვა, მათ შორის, უმრავლესობის ნების წინააღმდეგ და ამდენად, სჭირდება საზოგადოებაში არსებული შეხედულებების განსაკუთრებით ფხიზელი შემეცნება.[908] ამ მხრივ, გონივრულია ვარაუდი, რომ რაც უფრო მკაფიო მიმღებლობას გამოაჩენს საკონსტიტუციო სასამართლო Amicus Curiae-ს მიერ წარმოდგენილ წერილობით მოსაზრებებთან დაკავშირებით, მით უფრო დიდი იქნება საბოლოო გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის ხარისხი[909] და მით უფრო უმტკივნეულო იქნება კონსტიტუციური სტანდარტების აღსრულება პრაქტიკაში. თუმცა, ამავდროულად, დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების გაზიარებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ აუცილებელია, გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა არ მოექცეს მოჩვენებითი (არარეალური) ან/და არასრულყოფილი ინტერესების გავლენის ქვეშ.

---

[905] ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 15.

[906] Blanquett W., Casser C., Amicus Curiae in Deutschland, Drittbeteiligung von Verbänden durch Amicus-Curiae-Stellungnahmen in Gerichtsverfahren der unteren Instanzen, KJ 50, 2017, Heft 1, 100.

[907] საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საკანონმდებლო აქტი, რომელიც თავისი არსით უმრავლესობის მიერ შექმნილი პროდუქტია. შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუტი უპირისპირდება მაჟორიტარულ ნებას, რომელსაც განსახილველ მომენტში არსებული საპარლამენტო უმრავლესობა ადგენს (ან არ ეწინააღმდეგება). დეტალ. იხ., Farinacci-Fernós J., Constitutional Courts as Majoritarian Instruments, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 14, No. 4, 2020.

[908] ჯანჯალაშვილი გ., ხავთასი ი., კონსტიტუციური კონტროლი და ცალკეული საპროცესო უფლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბება, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 130.

[909] Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019, 58.

გარდა განსხვავებული საზოგადოებრივი ინტერესების სამართალწარმოების პროცესში ინტეგრირების მიზნისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილმა არგუმენტაციამ, ინფორმაციამ თუ მტკიცებულებამ შეიძლება ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას. ამ მხრივ, მიჩნეულია, რომ თავდაპირველად, ჯერ კიდევ რომაულ სამართალში, სასამართლოს მეგობრის უმთავრესი მიზანი სწორედ საქმის განმხილველი სასამართლოსთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება იყო, რომელიც მხარეებს არ ჰქონდათ ან არ სურდათ, ყოფილიყო წარმოდგენილი.[910] თუმცა მე-20 საუკუნეში აღნიშნულ ტრადიციულ ფუნქციასთან ერთად გაჩნდა მეტად აქტიური და მოტივირებული ტენდენცია, რომლის პირობებში „მიუკერძოებელი სასამართლოს მეგობრები" იქცნენ „მხარეთა არანეიტრალურ ლობისტებად".[911] მიუხედავად ამისა, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, როგორც Amicus Curiae-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, კვლავ რელევანტურია,[912] განსაკუთრებით საქართველოში, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ არის ქცეული კვაზი-სექტორულ, პროფესიულ საქმიანობად, როგორც, მაგალითად, აშშ-ში, სადაც არსებობს სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომელთა პირველადი საქმიანობა არის სწორედ სასამართლოს მეგობრის ფორმით ამა თუ იმ გავლენიანი ჯგუფის ადვოკატირება.[913]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი მოსაზრებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სუბიექტები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე კვლევას/ანალიზს წარადგენენ ხოლმე. შესაბამისად, ქართული მოდელი, ძირითადად, ინფორმაციის მიწოდებაზეა ორიენტირებული. თანამედროვე სამყაროში მონაცემებზე წვდომა, ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, მართალია, ბევრად გამარტივებულია, თუმცა, პარალელურად, ინფორმაციის სიჭარბე ართულებს ჭეშმარიტების (თუ გამოსადეგი ინფორმაციის) აღმოჩენის შესაძლებლობას.[914] შესაბამისად, ცხადია, რომ სხვადასხვა წყაროსგან მიღებული სტრუქტურირებული ინფორმაციის შეპირისპირება მნიშვნელოვანი მექანიზმია, რათა გაიზარდოს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და, შესაბამისად, მის მიმართ ნდობის ხარისხი.[915] ამდენად, სა-

---

[910] Kühne U., Amicus Curiae: Richterliche Informationsbeschaffung durch Beteiligung Dritter, Mohr Siebeck, Tübingen, 2015, 28.

[911] Krislov S., The Amicus Curiae Brief: From Friendship to Advocacy, The Yale Law Journal, Vol. 72, No. 4, 1963, 708.

[912] Spriggs F.J., Wahlbeck J. P., Amicus Curiae and the Role of Information at the Supreme Court, Political Research Quarterly, Vol. 50, No. 2, 1997, 365, 366,

[913] Collins M.P., Jr., Friends of the Court: Examining the Influence of Amicus Curiae Participation in U.S. Supreme Court Litigation, Law & Society Review, Vol. 38, No. 4, 2004, 808.

[914] Harari N.Y., 21 Lessons for the 21st Century, London, 2018.

[915] Epstein L., Interest Group Litigation During the Rehnquist Court Era, Journal of Law and Politics, Vol. 9, No. 4, 1993, 659.

სამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილმა სათანადო არგუმენტაციამ, მტკიცებულებებმა თუ ზოგადად, ინფორმაციამ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. Amicus Curiae-ს განსახილველი ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სადავო საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს სპეციფიკურ სამეცნიერო ცოდნას,[916] რადგან ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია მხოლოდ კლასიკური სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით.[917]

სასამართლოს მეგობრის მიზანი – უზრუნველყოს მარტოოდენ მშრალი ინფორმაციის მიწოდება ნეიტრალურად ისე, რომ არ ჩამოაყალიბოს სუბიექტური გადაწყვეტა საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებთან მიმართებით, აღნიშნული ინსტიტუტის ტრადიციული გამოვლინებაა, თუმცა საკამათოა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს იგი ყველაზე ეფექტიან საშუალებად. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთგვარი ინკვიზიციური შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოძახება და მათგან პროფესიული ინფორმაციის მოსმენა. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეულ ნევრს ასევე შეუძლია მოწვეული პირებისთვის შეკითხვების დასმა.[918] შესაბამისად, ამ მხრივ არ არსებობს დაუძლეველი საჭიროება მარტოოდენ მშრალი ინფორმაციის მიწოდებაზე და მეტიც, შეიძლება ვლინდებოდეს როგორც ფუნქციათა გაორების, ისე ინტელექტუალური რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის რისკები. ასევე აუცილებელია, გაიმიჯნოს სპეციალისტის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი სასამართლოს მეგობრის მიერ მიწოდებული ინფორმაციისგან. ეს ორი ფენომენი ერთმანეთისგან მიზნობრივად განსხვავდება – თუ სპეციალისტის მოსმენის შემთხვევაში, სასამართლო ელის, რომ იგი მიიღებს სადავო საკითხის შესახებ პროფესიონალურ ობიექტურ დასკვნებს, Amicus Curiae-მ დამატებით ინფორმაციასთან ერთად კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიანოდოს საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ჩამოყალიბებული სოციო-პოლიტიკური პერსპექტივა.[919]

ამდენად, სასამართლოს მეგობრის სამართლებრივ ინსტიტუტს პრაქტიკაში ძირითადად ორი ფუნქცია აქვს: მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ჯგუფის ინტეგრირება და სასამართლოსთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ორივე მიზანს აქვს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მიმართუ-

---

916 Breyer S., Interdependence of Science and Law, Judicature, Vol. 82, No. 1, 1998, 26.

917 Posner A.R., Overcoming Law, Harvard University Press, 1995, 34.

918 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27[6] მუხლის მე-4 პუნქტი.

919 Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019, 33.

ლია სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ლეგიტიმურობის ხარისხის ზრდისკენ. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა და სამართალწარმოების ინკვიზიციური შინაარსი თავისთავად იძლევა ამა თუ იმ საკითხის თვითინიციატივით სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობას, შესაბამისად, სასამართლოსთვის მხოლოდ მშრალი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება არ იყო მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება. ამავდროულად, სასამართლოს მეგობარი, რომელიც მხოლოდ იმიტომ ერთვება პროცესში, რომ ერთ-ერთი მხარის პოზიციის ადვოკატირება შეძლოს, განსაკუთრებით ემსგავსება არანეიტრალურ სუბიექტს, რომლის მიერ წარმოდგენილ პოზიციას დამოუკიდებელი გავლენა მეტწილად ეკარგება. ამდენად, Amicus Curiae-ს ყველაზე მიზანშეწონილი და პრაგმატული ფუნქცია, რაც შეიძლება პრაქტიკულ გავლენას ახდენდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შედეგებზე, არის დასახელებული ორი მიზნის ერთგვარი ჰიბრიდული ვარიანტი, როდესაც წერილობით მოსაზრებაში წარმოდგენილია სადავო გარემოებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი ინფორმაცია და ამავდროულად, დაფიქსირებულია საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის ინტერესები სადავო საკითხთან დაკავშირებით.

1.2. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების წარდგენის ნორმატიული საფუძვლები

ქართულ სამართლებრივ სისტემაში პირველად სასამართლოს მეგობრის ინსტრუმენტი, 2009 წლის 9 ოქტომბერს, აშშ-ის სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით მოდერნიზებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამკვიდრდა,[920] თუმცა, რეალურად, პირველად ამოქმედდა, იმავე წლის 22 ოქტომბერს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში.[921] ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა ინოვაციური იყო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის. მალევე აღნიშნული ინსტიტუტი პრაქტიკულად დაინერგა სისხლის სამართლის პროცესში, კიდევ უფრო მოგვიანებით კი ადმინისტრაციულ პროცესში.[922] თუმცა სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამგვარი მონაწილე ქართული კანონმდებლობით ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული.

დღესდღეობით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონის 21^4 მუხლი უნდა ჩაითვალოს რელევანტურ

---

[920] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი.

[921] საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის N1891 საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

[922] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 161.

ნორმად, რომელიც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში განამტკიცებს სასამართლოს მეგობრის სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს. Amicus Curiae-ს ქართული მოდელი, რომელიც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოქმედებს, შედარებით მოქნილი და დაინტერესებულ პირთათვის ადვილად ხელმისაწვდომია, ვიდრე, მაგალითად, სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობაში ან თუნდაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი ანალოგიური ინსტრუმენტი. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონი არ შეიცავს დებულებას, რომელიც წერილობითი მოსაზრების წარდგენის დროს სასამართლოს მეგობარს დაავალდებულებდა, მოეპოვებინა რაიმე ტიპის წინასწარი თანხმობა სასამართლოს ან/და მხარეებისგან. მაშინ, როდესაც, მაგალითად, აშშ-ის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ კერძო პირს თუ სურს, შესაბამისი საქმის ფარგლებში წარადგინოს Amicus Curiae, მან აუცილებლად უნდა მიიღოს თანხმობა მხარეებისგან, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოსგან.[923]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 21[4] მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული, მხედველობაში მიიღოს წარდგენილი მოსაზრება. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებას არ გააჩნია მბოჭავი იურიდიული ძალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ. ამასთან, ვინაიდან, სასამართლო მეგობრის წერილობითი ფორმა დამტკიცებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ფორმის დარღვევით წარდგენილი ცალკეული მოსაზრება არ იქნება დაშვებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამავე ნორმატიული საფუძვლით, დაინტერესებული პირი არ არის ვალდებული, რომ წინასწარ მოიპოვოს რაიმე ტიპის თანხმობა, რათა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინოს წერილობითი მოსაზრება, მაგრამ კანონის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო, მხედველობაში არ მიიღებს Amicus Curiae-ს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში Amicus Curiae-ს ჩართულობის მეტად ადაპტირებულ და ინკლუზიურ ბუნებაზე ასევე მიუთითებს ის, რომ სასამართლოს მეგობარი არ არის შეზღუდული ცალკეული დროით თუ პროცესის ეტაპით, როდესაც მას ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს პროცესის მიმდინარეობაში. მაგალითისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მეგობარს შეუძლია წარადგინოს წერილობითი მოსაზრება შესაბამისი საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონი კი არ ითვალისწინებს, რა დროის პერიოდში ან პროცესის მიმდინარეო-

[923] <https://www.law.cornell.edu/rules/supct/rule_37> [05.06.2024]

ბის რომელ ეტაპზე შეიძლება იყოს წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. ამგვარი მიდგომა შეიძლება გამართლებული იყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ბუნებით, რაც გულისხმობს მეტად მოქნილ პროცედურებს, ვიდრე არსებობს, მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესში.

Amicus Curiae-ს მიერ პოზიციის წარმოდგენა ნებაყოფლობითია, თუმცა, საინტერესოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავადაც შეუძლია ითხოვოს ცალკეულ საკითხზე წერილობითი პოზიციის წარმოდგენა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, რომ თხოვნით მიმართოს ევროპის საბჭოს დამოუკიდებელ საკონსულტაციო ორგანოს კონსტიტუციურ საკითხებზე (ე.წ. „ვენეციის კომისიას") და ითხოვოს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხზე სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების წარმოდგენა.[924] ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს ერთგვარ სახელმძღვანელო კითხვარს კომისიისთვის, რომელზე პასუხებმაც უნდა დაეხმაროს სასამართლოს რელევანტური სამართლებრივი პრობლემატიკის გადაწყვეტაში.[925] აღნიშნული შესაძლებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი არსებობის პერიოდში სულ 7-ჯერ გამოიყენა.[926] ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა, იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისთვის, რომელსაც სავალდებულო ხასიათი არ აქვს და თავისი ბუნებით მეტად ემსგავსება სწორედ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს.[927]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში სასამართლოს მეგობრის მონაწილეობის თაობაზე, მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ორგანული კანონის

---

[924] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ვენეციის კომისიისთვის" მიმართვის შესაძლებლობაზე მიმთითებელი ნორმა არ არსებობს. აღნიშნული პრაქტიკა ეფუძნება უშუალოდ „ვენეციის კომისიის" საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომელიც გულისხმობს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების შესაძლებლობას, მოითხოვონ კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის საკითხებზე სასამართლოს მეგობრის კომპარატივისტული მოსაზრებების წარმოდგენა. ამ მხრივ, მიზანშეწონილი იქნება, თუ აღნიშნული საკითხი ნორმატიულად მოწესრიგდება როგორც ორგანული კანონით, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.

[925] მაგ., იხ. Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Georgia on the effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil And Administrative Cases Adopted by the Venice Commission at its 115th Plenary Session (Venice, 22-23 June, 2018), 4.

[926] <https://www.venice.coe.int/webforms/documents/?country=40&year=all&fbclid=IwAR17WmqvBfkn1dkltfcHSSeaui8tbhtdRboXopmjZ4ZtgZAVHAlaqBW_wzE> [05.06.2024]

[927] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21^3 მუხლი.

თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო წარდგენილ წერილობით მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია, რომ სასამართლოს მეგობარი გამოიძახოს სხდომაზე და დაუსვას დამატებით შეკითხვები. ამდენად, თეორიულად, Amicus Curiae შეიძლება წერილობითი მოსაზრებების წარდგენის გარდა, უშუალოდ პროცესში, ზეპირი მოსმენის ფორმატში ჩაერთოს. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებაში სასამართლოს მეგობარს ხშირად გამოუთქვამს სხდომის მიმდინარეობაში ჩართვის სურვილი.[928] თუმცა პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ მეგობრის მოსმენა და დამატებით არსებით სხდომაზე დაკითხვა საჭიროდ მიიჩნია, განსაკუთრებით იშვიათია.[929]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი წერილობით მოსაზრება და ასახოს იგი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. მართალია, ამგვარ ფაქტზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის პრაქტიკაში ყურადღება მკაფიოდ არ გაუმახვილებია, თუმცა ინტერესთა ჯგუფებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ორგანული კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ან დასკვნის შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაზე.[930] დადგენილი პრაქტიკის თანახმად კი, საკონსტიტუციო სასამართლო აღწერილობით ნაწილში ხშირად საკმაოდ მოცულობითად განიხილავს Amicus Curiae-ში დაფიქსირებულ არგუმენტაციას. აღნიშნული ხელს უწყობს არა მხოლოდ წერილობითი მოსაზრების წარმდგენი სუბიექტების, არამედ, რაც მთავარია, ინტერესთა ჯგუფების პოზიციების პოპულარიზაციას. ხოლო, მეორე მხრივ, დადებით გავლენას ახდენს თავად დაინტერესებულ პირთა სურვილზე, კვლავ გამოიყენონ სასამართლოს მეგობრის სამართლებრივი მექანიზმი.[931]

ამდენად, ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მოქმედი სასამართლოს მეგობრის ქართული მოდელი მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებს ინტერესთა ჯგუფებს, კანონის დებულებების დაცვით წარადგინონ წერი-

---

928 იხ., „სასამართლოს მეგობრის" ესმა გუმბერიძის წერილობითი მოსაზრება 2020 წლის 26 ოქტომბრის N1736 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

929 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28 ივნისის 2010 წლის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", I-36.

930 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1^3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

931 Hansford T.G., Johnson, K., The Supply of Amicus Curiae Briefs in the Market for Information at the U.S. Supreme Court. Justice System Journal, Vol. 35, No. 4, 2014, 380.

ლობითი მოსაზრებები, მხარეთა და სასამართლოს მიერ გაკეთებული თანხმობის გარეშე. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში Amicus Curiae-ს ჩართულობისთვის კანონმდებლობა ქმნის ინკლუზიურ და ადაპტირებულ სამართლებრივ გარემოს. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობით დადგენილი არ არის პროცესის კონკრეტული ეტაპი, რომლის შემდეგაც დაინტერესებულ პირს ეკრძალება წერილობითი მოსაზრების წარდგენა. გარდა ამისა, მითითებულია, რომ საგამონაკლისო შემთხვევებში, სასამართლოს მეგობარმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ სასამართლო სხდომის მიმდინარეობაში, ხოლო მის მიერ წარდგენილ წერილობით მოსაზრებაში დაფიქსირებული არგუმენტაციის პოპულარიზება ხდება თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებით. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ შემთხვევებს, როდესაც თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, რომ მოითხოვოს ე.წ. „ვენეციის კომისიისგან" სასამართლოს მეგობრის პოზიცია და აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან – საკონსულტაციო დასკვნა.

1.3. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების ფორმა, შინაარსი და დასაბუთების სტანდარტი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონი Amicus Curiae-ს ფორმაზე ზოგად მითითებას აკეთებს. კერძოდ, აღნიშნული კანონის 21[4] მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს, რომ სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების ფორმა დგინდება საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. წინამდებარე ნაშრომის მომზადების დროისთვის სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების რელევანტური ფორმა მოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე.[932] აღნიშნული ფორმა მოიცავს სამ ნაწილს. პირველ (ფორმალურ) ნაწილში უნდა მიეთითოს მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები და იმ საქმის დასახელება (იდენტიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს კონსტიტუციური სარჩელის უნიკალური ნომრით, მოსარჩელისა და მოპასუხის ვინაობების მითითებით), რომელთან დაკავშირებითაც სასამართლოს მეგობარი წარადგენს მოსაზრებას. მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეთმოს არგუმენტაციასა და იმ რელევანტურ მტკიცებულებებს, რომლებითაც სასამართლოს მეგობარი ცდილობს დაასაბუთოს წერილობითი მოსაზრება. ხოლო ბოლო ნაწილში აღინიშნება თანდართული დოკუმენტების სია.

---

[932] სასამართლოს მეგობრის სააპლიკაციო ფორმა, იხ., <https://www.constcourt.ge/ka/court/app-forms> [05.06.2024]

სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილ წერილობით მოსაზრებაში, წინასწარ შერჩეული სტრატეგიის მიხედვით შეიძლება, ერთი მხრივ, მითითებული იყოს იმგვარ არგუმენტაციაზე, რომელიც მხარეებს არ ჩაუთვლიათ საჭიროდ, წარედგინათ ან, მეორე მხრივ, Amicus Curiae შეიძლება დაეთმოს უშუალოდ რომელიმე მხარის მიერ განსაზღვრული პოზიციის განვრცობას.[933] ამ მხრივ, მანამ, სანამ დაინტერესებული პირი სასამართლოს ჩააბარებს შესაბამის წერილობით მოსაზრებას, აუცილებელია, სრულად იყოს გაანალიზებული მოსარჩელის მიერ კონსტიტუციურ სარჩელში წარდგენილი არგუმენტაცია. აღნიშნული საშუალებას იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი და სამართალწარმოების ადაპტირებული სისტემა, სადაც, მათ შორის, ქვეყნდება ყველა რეგისტრირებული სარჩელი.

უშუალოდ შინაარსობრივ მხარეს რაც შეეხება, ამ კონტექსტში არ არსებობს ზოგადი წესი, რომელიც ამომწურავად მიუთითებდა იმ საკითხებზე, რა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ დეტალებს უნდა ეხებოდეს სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი მოსაზრება. თითოეულ შემთხვევაში აღნიშნული დამოკიდებული უნდა იყოს საქმისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ გარემოებებსა და კონტექსტზე.[934] თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს Amicus Curiae-სთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული, კლასიკური გაგებით, დასაბუთების სტანდარტი. რელევანტური კანონმდებლობა სასამართლოს არ ავალდებულებს და არსებული პრაქტიკითაც არ არის დადგენილი ერთგვარი შეფასების ტესტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ცალკეული წერილობითი მოსაზრების, როგორც დაუსაბუთებლის, მიღებაზე უარის თქმა. თავისთავად ამგვარი საჭიროება ჯერჯერობით არც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, წარდგენილი მოსაზრებების მცირე რაოდენობის გამო. შედარების მიზნით, მაგალითად, აშშ-ში, სადაც თითოეულ საქმეზე წარდგენილი მოსაზრებების რიცხვი შეიძლება რამდენიმე ათეულს აღწევდეს, ბუნებრივად გაჩნდა მთელი რიგი პროცედურები და მოთხოვნები, რომელთაც წარსადგენი Amicus Curiae უნდა აკმაყოფილებდეს.[935]

---

[933] Wofford B.C., Assessing the Anecdotes: Amicus Curiae, Legal Rules, and the U.S. Supreme Court, Justice System Journal, Vol. 36, No. 3, 2015, 274, 277.

[934] კვაჭაძე მ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., ლურსმანაშვილი ლ., სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (Amicus Curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N1(61), 2019, 17.

[935] მაგ., ერთ-ერთმა ყველაზე გაელენიანმა ამერიკელმა მოსამართლემ, რიჩარდ პოზნერმა გასული საუკუნის ბოლოს, ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, პირველმა ჩამოაყალიბა ერთგვარი ტესტი, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება, რათა სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ეს უკანასკნელი. კერძოდ, როდესაც (1) Amicus Curiae წარმოადგენს იმგვარ ინფორმაციას/არგუმენტაციას, რომელიც მხარეების მიერ არ არის მოწოდებული; (2) სასამართლოს მეგობარი დაინტერესებულია

სისხლის სამართლის პროცესში დადგენილია, რომ Amicus Curiae-ს მიერ წარდგენილი წერილობით მოსაზრება არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. განსხვავებით აღნიშნული ნორმისგან, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ორგანული კანონი სასამართლოს მეგობარს არ ზღუდავს, წარადგინოს წერილობითი მოსაზრება, რომელიც იქნება მოცულობითი. ამგვარი ზოგადი წესი, მართალია, მეტ თავისუფლებას აძლევს დაინტერესებულ პირს, თუმცა აგრეთვე, სავარაუდოა, რომ განსაკუთრებით მოცულობით მოსაზრებაში გართულდეს პოზიციის ნათლად და კონკრეტულად წარმოჩენა. ამ მხრივ, პრაქტიკაში ერთერთი ფართოდ გავრცელებული პრობლემაა მოცულობითი წერილობითი მოსაზრების არასტრუქტურირებულობა. პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხშირად Amicus Curiae-ს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებაში არ არის შეჯამებული ძირითადი დასკვნები და არგუმენტაცია, რაც ამცირებს მთლიანად პოზიციის ეფექტიანობას. შესაბამისად, აღსაქმელად უფრო მარტივი და მეტად მიზანშეწონილი იქნება, თუ სასამართლოს მეგობრის მიერ წარდგენილი პოზიცია ორიენტირებული იქნება კომპაქტურობასა და კონკრეტიზებაზე, ხოლო ძირითადი პოზიციები შეჯამებული იქნება საბოლოო ან/და შუალედური დასკვნების სახით.

პრაქტიკის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებებს შორის ხშირია შემთხვევები, როდესაც Amicus Curiae-ს წერილობითი მოსაზრების დიდი ნაწილი ეთმობა უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას. რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც, საკამათოა პრაქტიკის მიმართულება ან ცალსახა არ არის ამა თუ იმ საკითხზე კონსტიტუციური სტანდარტი, მაგრამ არა ყოველთვის. ამ მხრივ, სამართლებრივ საკითხებთან და განსაკუთრებით კი, სასამართლოს პრაქტიკასთან მიმართებით, შეიძლება გავრცელდეს პრინციპი "iura novit curia". შესაბამისად, სასამართლოს მეგობრისთვის მეტად მიზანშეწონილი იქნება, თუ წერილობით მოსაზრებაში იგი წარადგენს არა მოქმედი სამართლის სისტემის შესახებ შედგენილ ფორმალურ-სამართლებრივი მსჯელობის ზოგად კომპილაციას, არამედ საქმისთვის მნიშვნელოვანი, პრობლემატური საკითხების შესახებ ინტერესთა ჯგუფის მოტივირებულ მოსაზრებას და საკითხისადმი არსებულ საერთაშორისო თანამეგობრობის გამოცდილებას. ამასთან, თავად წერილობითი მოსაზრება აუცილებელია, იყოს კომპაქტური და სათანადოდ სტრუქტურირებული, რათა არ დაიკარგოს ძირითადი არგუმენტაცია.

სხვა დავით, რომელზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს განსახილველმა საქმემ; (3) მოსარჩელე/მოპასუხე არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, იხ., Ryan v. Commodity Futures Trading Com'n, 125 F.3d 1062 (7th Cir. 1997).

1.4. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარმდგენი პირი

განსახილველ სამართლებრივ ინსტიტუტზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, გამოირკვეს, თეორიულად ვინ შეიძლება იყოს სასამართლოს მეგობარი და პრაქტიკულად, რა კატეგორიის პირები მიმართავენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წერილობითი მოსაზრებით. სასამართლოს მეგობარი, ფართო გაგებით, არის საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილე ისევე, როგორც, მაგალითად, სპეციალისტი ან თარჯიმანი. კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებით შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის არმქონემ[936]) ან იურიდიულმა პირმა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის რელევანტური ნორმა არ განასხვავებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სამართლებრივი, თანამდებობრივი ან სხვა სტატუსის მიხედვით. კერძოდ, ორგანული კანონი არ ადგენს რაიმე ტიპის სამართლებრივ შეზღუდვას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული მოდელის ინკლუზიურობაზე. თუმცა, ამავდროულად, ამგვარი უზოგადესი საკანონმდებლო დეფინიცია მომავალში შეიძლება გახდეს სამართლებრივი დაპირისპირების საგანი, მათ შორის, საჯარო თანამდებობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, შეუძლიათ თუ არა მათ წარადგინონ Amicus Curiae. მაგალითად, 2017 წელს შეეძლო თუ არა საქართველოს პრეზიდენტს ე.წ. „მოსმენების საქმის"[937] ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიემართა სასამართლოს მეგობრის პოზიციით. ამ მხრივ, საგულისხმოა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდა როგორც ფიზიკური პირი და წარდგენილ დოკუმენტს პირადად მოაწერდა ხელს, თუ Amicus Curie სასამართლოს წარედგინებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელით და ხელმოწერი იქნებოდა ადმინისტრაციის მოქმედი ხელმძღვანელი. პირველ შემთხვევაში რელევანტური ნორმის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად უნდა ჩათვლილიყო, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა. ამდენად, Amicus Curiae-ს ქართული მოდელი, შესაბამისი სუბიექტის ნაწილშიც, კანონმდებლობით ინკლუზიურად არის მოწესრიგებული. ამ მხრივ, ერთადერთი შეზღუდვა, რაც თავად ინსტიტუტის ბუნების

---

[936] იხ., „სასამართლოს მეგობრის" ჯეიმს ი. მოლიტერნოს წერილობითი მოსაზრება 2019 წლის 13 მაისის N1424 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[937] საქმის ფარგლებში გასაჩივრებული იყო, მათ შორის, „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმები. აღნიშნული საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, მათ შორის, იმით გამოირჩევა; რომ სადავო ნორმებს ასაჩივრებდა სულ 326 მოსარჩელე, იხ., N885-924, N928-929, N931-1207, N1213, N1220-1224, N1231 კონსტიტუციური სარჩელები.

გამო უნდა იყოს გათვალისწინებული, არის ის, რომ სასამართლოს მეგობარი არ შეიძლება, ამავდროულად იყოს დავის მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე).

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უკვე წარდგენილი წერილობითი მოსაზრებების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სასამართლოს პრაქტიკულად ოთხი კატეგორიის სუბიექტი მიმართავს: ფიზიკური პირი, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, სახალხო დამცველი და უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი დაწესებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში Amicus Curiae-ს სამართლებრივი მექანიზმის მოქმედების მცირე პერიოდის მიუხედავად, უკვე გამოკვეთილია დაინტერესებული სუბიექტების ის ძირითადი (კლასიკური) კატეგორიები, რომლებიც იმთავითვე ცნობილია ამერიკული და კონტინენტური ევროპის სხვადასხვა იურისდიქციისთვის.[938] თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენციის მიღმა, სხვა ინტერესთა ჯგუფების მეტი ჩართულობა, რათა Amicus Curiae-ს მთავარი ფუნქცია – რაც შეიძლება მეტმა საზოგადოებრივმა პოზიციამ მიაღწიოს საკონსტიტუციო სასამართლომდე, სრულყოფილად განხორციელდეს.

2. სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების პრაქტიკა და ტენდენციები

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ისტორიაში პირველად სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებით, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიდან მალევე, 2009 წლის 27 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ".[939] მითითებული თარიღიდან დღემდე, სულ წარდგენილია სასამართლოს მეგობრის 100-მდე მოსაზრება, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რიცხვი გაცილებით მეტია.[940] სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების რაოდენობა ინსტიტუტის მოქმედების პირველ პერიოდში (2009-2011 წლები) იყო მზარდი, თუმცა, უფრო ფართო დაკვირვებით, აღნიშნული მექანიზმით დაინტერესების კონტექსტში ყოველწლიური მატება საგრძნობი არ

---

[938] Izarova I., Szolc-Nartowski B., Kovtun A., Amicus Curiae: Origin, Worldwide Experience and Suggestions for East European Countries, Hungarian Journal of Legal Studies, Vol. 60, No. 1, 2019, 26-33.

[939] იხ., „სასამართლოს მეგობრის" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება 2009 წლის 27 ნოემბრის N466 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[940] დეტალ. ინფორმაცია იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე.

არის. ამ მხრივ, თუ მაგალითად, აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში წერილობითი მოსაზრების, ხშირად კი რამდენიმე Amicus Curiae-ის გარეშე მიმდინარე საქმეები იშვიათი გამონაკლისია, საქართველოში, პირიქით, პირები Amicus Curiae-ს წარადგენენ საგამონაკლისო შემთხვევებში. ამდენად, ცალსახაა, რომ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში არასაკმარისად არის განვითარებული.[841]

თავის მხრივ, Amicus Curiae-ს სამართლებრივი მექანიზმის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში დამკვიდრების შემდეგ ყველაზე აქტიური პერიოდი იყო 2015, 2016 და 2020 წლები. ამ დროის განმავლობაში, აქტიურობა სავარაუდოა, აიხსნას იმ ფაქტით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია განეხილა რამდენიმე სამართლებრივად მწვავე და პოლიტიკურად კონფლიქტური საქმე,[842] რომელთა მიმართ დიდი იყო საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ჯგუფის დაინტერესება. მითითებულ საქმეებს შორის არის რამდენიმე ისეთიც, რომელთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია არა ერთი, არამედ რამდე-

---

[841] შეად. მეიშვილი ზ., Amicus Curiae სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N1(53), 2017, 50.

[842] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი", პერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/19/690 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქეები გურამ იმნაძე და სოფიკო ვერძეული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის N3/1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/7/635 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს გამომცემლობა ინტელექტი", „შპს გამომცემლობა არტანუჯი", „შპს ლოგოს პრესი" და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ნიმე Amicus Curiae. თუმცა აღნიშნული დაკვირვება არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ზოგადი და სტაბილური დაინტერესება საზოგადოებაში განსახილველი სამართლებრივი ინსტრუმენტისადმი ჯერ კიდევ დაბალია.

ერთ-ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის რაოდენობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება, დაკავშირებულია მოსარჩელისა და Amicus Curiae-ს პოზიციების მსგავსებასთან. კერძოდ, აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის მოქმედების პერიოდში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებათა დიდი ნაწილი მოსარჩელის არგუმენტაციას ამყარებდა. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ვლინდება, როდესაც სასამართლომ მიიღო წერილობითი მოსაზრება, რომელშიც დაფიქსირებული იყო მოსარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ავტორისგან განსხვავებული პოზიცია. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამართლებრივი კლინიკების მხრიდან არც ერთი შემთხვევა არ ფიქსირდება, როდესაც წარდგენილი იყო წერილობითი მოსაზრება, რომელიც ამტკიცებდა გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობას.[943]

Amicus Curiae-ს სამართლებრივ მექანიზმზე მსჯელობისას, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, პრაქტიკულად რა გავლენას ახდენს წარდგენილი წერილობითი მოსაზრება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. იმ საქმეების შინაარსობრივი ანალიზი, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მიღებული აქვს საბოლოო აქტი (განჩინება ან გადაწყვეტილება) ცხადყოფს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საბოლოო გადაწყვეტილებით გაიზიარა სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრებების დაახლოებით ნახევარზე ცოტა მეტი, ხოლო არ გაიზიარა მთლიანი მოცულობის დაახლოებით ეთი მესამედი, დარჩენილ შემთხვევებში სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა სასამართლო მეგობრის პოზიცია. შესაბამისად, ნათელია, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოს მეგობრის პოზიცია და საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არსობრივად მსგავსია.

მიუხედავად ამგვარი დაკვირვებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ჯერჯერობით ძალიან მწირია იმისათვის, რომ უშუალოდ განისაზღვროს, თუ რამდენად დიდი პრაქტიკული გავლენა აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალურ მოსაზრებას სასამართლოს პოზიციებსა და არგუ-

[943] შეად., „სასამართლოს მეგობრის" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება 2022 წლის 10 ივნისის N1711 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

მენტაციაზე, თავის მხრივ, უფრო დიდი ისტორიის მქონე იურისდიქციებშიც არაერთგვაროვანია შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე.[944] მართალია, მოსამართლეთა ძლიერი სურვილია, რომ ისინი აღქმული იყვნენ საზოგადოებაში არსებული გავლენებისგან მოწყვეტით,[945] მაგრამ აკადემიურ ლიტერატურაში ფართო კონსენსუსი არსებობს იმის შესახებ, რომ სათანადოდ ორგანიზებული ინტერესი, რომლის დაფიქსირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის Amicus Curiae, სამოსამართლო საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე გავლენას ახდენს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე.[946]

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ ცალკეული ორგანიზაციის ან ავტორიტეტული პირების რეალურ გავლენაზე მსჯელობა ჯერ კიდევ ადრეა, თუმცა ინტერესთა ჯგუფების ორგანიზებული წერილობითი პოზიცია, რომელიც წარმოაჩენს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციას, უნდა ჩაითვალოს სამართალწარმოების შედეგებზე გავლენის ერთ-ერთ ეფექტიან ინსტრუმენტად. მეტად სავარაუდოა, რომ Amicus Curiae-ს მომზადების დროს საზოგადოებაში ორგანიზებული მოქმედება ხელს უწყობს ინტერესთა ჯგუფებს შორის განსახილველი საკითხის ირგვლივ დისკუსიის განვითარებას, რასაც პოზიტიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზეც.[947] საკონსტიტუციო სასამართლოს პერსპექტივიდან კი, ცხადია, რომ თუ წერილობით მოსაზრებას წარადგენს არა ერთი, არამედ მრავალი დაინტერესებული სუბიექტი, Amicus Curiae სასამართლოსთვის შეიძლება გადაიქცეს კონკრეტულ სადავო საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული დინამიკური პოზიციების საზომ ბარომეტრად.[948]

---

[944] Collins M.P., Jr., Lobbyists before the U.S. Supreme Court: Investigating the Influence of Amicus Curiae Briefs, Political Research Quarterly, Vol. 60, No. 1, 2007, 55-56.

[945] შეად. Posner A.R., How Judges Think, Harvard University Press, 2008, 8.

[946] Wofford B. C., Assessing the Anecdotes: Amicus Curiae, Legal Rules, and the U.S. Supreme Court, 36 Just. Sys. J. 274 (2015), 276.

[947] Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019, 48-49.

[948] Collins M.P., Jr., Friends of the Court: Examining the Influence of Amicus Curiae Participation in U.S. Supreme Court Litigation, Law & Society Review, Vol. 38, No. 4, 2004, 812.

თავი IX. საკონსტიტუციო პროცესის მიმდინარეობა და თავისებურებები

1. საქმის განხილვა ღია სხდომაზე

საქმის საჯარო განხილვა სამართლიანი მართლმსაჯულების რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელსაც მყარი კონსტიტუციური საფუძველი გააჩნია. საქართველოს კონსტიტუცია სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისას, ცალკე გამოყოფს სასამართლოს სხდომების საჯაროობის პრინციპს – „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“.[949] ამგვარი კონსტიტუციური გადაწყვეტა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების გამჭვირვალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სამოქმედო პრინციპად განიხილავს.[950] ამდენად, საქმის საჯარო განხილვა, ძირითადად, აერთიანებს ყველა დაინტერესებული პირისთვის/საზოგადოებისთვის პროცესის ღიაობის და სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ/საქვეყნოდ გამოცხადების ასპექტებს.[951]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების გამჭვირვალობასთან მიმართებით, მსგავსი განსაკუთრებული მოწესრიგება არ არის შემთხვევითი და მჭიდროდ უკავშირდება სასამართლოს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების დანიშნულება არ არის სასამართლოს გადაწყვეტილების უმნიშვნელო, ფორმალური რეკვიზიტის დადგენა. საქართველოს სახელით გადაწყვეტილების მიღება მიანიშნებს იმაზე, რომ სასამართლოს მიერ ხელისუფლების განხორციელების ლეგიტიმაციისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მისი საზოგადოებრივი ნდობა, რაც გამჭვირვალე მარ-

---

[949] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[950] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

[951] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021, 466.

თლმსაჯულების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ გამჭვირვალე, ღია მართლმსაჯულებას შესწევს ძალა, ჰქონდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა და გადაწყვეტილების საზოგადოების სახელით მიღების შესაძლებლობა.[952]

ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოში, ზოგადი წესის შესაბამისად, საქმე განიხილება ღია სხდომაზე. ყოველი პროცესის წინ, სხდომის გახსნისას, სხდომის თავმჯდომარე მიუთითებს, რომ საქმის განხილვის სხდომა ღიაა (თუ სასამართლო თავისი ინიციატივით არ დახურავს მას). ამავდროულად, სხდომის საჯაროობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუცია, ითვალისწინებს პირის პირადი ცხოვრების[953], ისევე როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვას[954]. ცალკეულ, ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლებელია, არსებობდეს იმ პირის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მომეტებული ინტერესი, რომელსაც შეეხება მიმდინარე სასამართლო განხილვა. სხდომის დროს, შესაძლოა, მოხდეს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება (მაგალითად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ინტიმური დეტალის შესახებ და ა.შ), რომლის გავრცელებაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს პირად ცხოვრებაზე და ზიანსაც კი მიაყენებს მას. ამგვარ შემთხვევებში, ცხადია, იზრდება მსგავსი ინფორმაციის დაცვის ხარისხი და საჭიროება.[955]

სწორედ ამ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსის შენარჩუნებისათვის, კონსტიტუცია სახელდებით მიუთითებს სხდომის დახურვის შესაძლებლობაზე.[956] სხდომის დახურვის შესაბამისი საფუძვლები კი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონშია გაწერილი. კერძოდ, „საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი, პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს".[957] აღსანიშნავია, რომ სხდომის დახურვის ზემოაღნიშნული

---

[952] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-45.

[953] საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

[954] იხ., იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

[955] *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-56-57.

[956] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[957] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საფუძვლების არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს სხდომის დახურვას, საკონსტიტუციო სასამართლომ ინტერესთა დაბალანსების გზით ყოველ ჯერზე უნდა გადაწყვიტოს სხდომის დახურვის საკითხი.

ამავდროულად, მოსარჩელე მხარის უბრალო სურვილი არ გამოდგება სხდომის დახურვის თვითკმარ საფუძვლად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მაგალითად, „როდესაც მონაცემთა მფლობელს გააჩნია საკუთარი პერსონალური მონაცემების დაფარვის ინტერესი, ეს არ ქმნის ავტომატურად მათი დაფარვის და საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველს".[958] იმდენად, რამდენადაც სხდომის ღიაობა სამართლიანი სასამართლოსგან მომდინარე უფლებრივი კომპონენტია, ამ უფლების შეზღუდვისათვის მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ მას აქვს სხდომის დახურვის აღმატებული, პატივსადები ინტერესი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომა უნდა დაიხუროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს აუცილებელია სხდომის ღიაობის საპირწონე ინტერესების დასაცავად. სწორედ ამიტომ, კანონმდებლობა ადგენს სხდომის ნაწილობრივ დახურვის შესაძლებლობასაც. განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს სათათბირო ოთახში.[959] დახურულ სხდომას, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაესწრონ მონმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც.[960] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სხდომა დახურულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, მასზე შესაძლოა დაესწრონ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ის მონაწილეები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვთ დაშვება შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებაზე.[961]

პირი, რომელსაც აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ღია სხდომაზე დასწრების სურვილი, დაიშვება სხდომის დარბაზში სხდომის დაწყებამდე ან შესვენებებისას, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის თანხმობით ნებისმიერ დროს, ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სხდომის ნორმალურ მიმდინარეო-

---

[958] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-37.

[959] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[960] იხ., იქვე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[961] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბას.[962] სასამართლო სხდომაზე არ დაიშვება შეიარაღებული პირი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს იცავენ. ისინი დაიშვებიან მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით.[963] სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს არ აქვთ უფლება იქონიონ საგნები და ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხდომათა დარბაზში მყოფ პირთა ან/და სასამართლოს ქონებისათვის ზიანის მიყენების მიზნით.[964]

სასამართლო სხდომის საჯაროობის, სასამართლოს საქმიანობის ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია სასამართლო სხდომების მედიის მიერ გაშუქება და, ამ გზით, მნიშვნელოვანი საქმეების საჯარო დებატების საგნად ქცევა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქცია, ისევე, როგორც მათი უფლება, ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებისათვის წარდგენაა, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების კომენტირება, მათ შორის, იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა სასამართლო განხილვაც იგეგმება, ხორციელდება ან დასრულებულია.[965] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სასამართლო სხდომის მედიის მიერ გაშუქების შეზღუდვის მიზეზები გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თვითნებობისაგან დაცვა.[966] კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო სხდომების ჩაწერის შესაძლებლობას. სასამართლო სხდომაზე რადიო, ტელე, აუდიო ან ვიდეოჩანაწერის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით.[967] თუ სხდომაზე დამსწრე პირს სურს სასამართლო სხდომაზე რადიო, ტელე, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, იგი სხდომის დაწყებამდე მიმართავს საორგანიზაციო სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც ხსენებულ თხოვნას ატყობინებს საქმის განმხილველ სასამართლოს. საქმის განმხილველი სასამართლო თანხმობის მიცემის საკითხს წყვეტს სასამართლო სხდომის დაწყებამდე.[968]

---

962 იხ., იქვე, 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

963 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

964 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

965 „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები" და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, 74.

966 Opinion on the Draft Constitutional Law on the Constitutional Court, Adopted by the Venice Commission at Its 111th Plenary Session, CDL-AD(2017)011, Venice, 16-17 June, 2017, 74.

967 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

968 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა

ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გაელენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას".[969] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება ხელს უწყობს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, აძლიერებს მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას და ამცირებს გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საფუძვლების დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის არსებობა/არსებობის ალბათობას".[970] აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანად განხორციელებას.

ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა მხარეებს აძლევს მოსამართლესთან უშუალო კონტაქტის საშუალებას და შეუძლია, დააჩქაროს საქმის განხილვა. ზეპირი მოსმენები არის გამჭვირვალობის ასპექტი, რაც ძირითადი დემოკრატიული ღირებულებაა. ზეპირი მოსმენა აუმჯობესებს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხს, რადგან მოსამართლეები უფრო მყისიერად იღებენ შთაბეჭდილებას ფაქტებზე, მხარეებზე და მათ განსხვავებულ სამართლებრივ მოსაზრებებზე. ამავდროულად, ამ ფორმით გადაწყვეტილების მიღება უზრუნველყოფს, საჯარო ზედამხედველობის გზით, მოსამართლეების დემოკრატიულ კონტროლს, რაც აძლიერებს მოქალაქეთა ნდობას, რომ მართლმსაჯულება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ხორციელდება. ის ეწინააღმდეგება წინა პერიოდის გამოცდი-

[969] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-61.

[970] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-41.

ლებას, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება საიდუმლო კონტაქტების ან თუნდაც, მითითებების შედეგი იყო.[971]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, დადგენილი ზოგადი საპროცესოსამართლებრივი სტანდარტის თანახმად, სასამართლოში ზეპირი სხდომის ჩატარების ინტერესს უკავშირებს ორ ასპექტს: სასამართლოს მხრიდან საკითხის გადაწყვეტა თვისობრივად მოითხოვს თუ არა ფაქტების გამოკვლევა-დადგენას და რა გავლენა აქვს საკითხის გადაწყვეტას პირის უფლებრივ მდგომარეობაზე.[972] თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის და ამ სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებების გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის აუცილებლობა არ არსებობს. სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება არსებითად განსხვავებული ხასიათისაა. ძირითადი საქმის ფაქტები, როგორც წესი, არ არის არსებითი. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დგას აბსტრაქტული საკითხი, ეწინააღმდეგება თუ არა მოცემული ნორმა კონსტიტუციას.[973] შესაბამისად, საყოველთაოდ მიღებულია, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლოს ზეპირი სამართალწარმოების შეზღუდვა.[974] საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს წერილობითი წარმოებით საქმეების განხილვის უფრო ფართო არჩევანი. ეს მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური საჩივრებით სასამართლოს გადატვირთვისაგან თავდასაცავად.[975]

საკონსტიტუციო სასამართლოში, გარკვეული მოსაზრებით, შესაძლებელი უნდა იყოს ზეპირი სამართალწარმოების შეზღუდვა, თუ ეს აუცილებელია მხარეთა ან საჯარო ინტერესების დასაცავად, როგორიცაა პროცედურული ეფექტურობა (პროცესის დრო და ხარჯები).[976] ამის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მხარეთა თანხმობის გარეშე, საქმის ზეპირი მოსმე-

---

[971] Opinion on the Draft Federal Constitutional Law "on Modifications and Amendments to the Federal Constitutional Law on the Constitutional Court of the Russian Federation", Adopted by the Commission at its 60th Plenary Session, CDL-AD(2004)035, Venice, 8-9 October, 2004, 4.

[972] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის N2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-32.

[973] Opinion on the Draft Constitutional Law on the Constitutional Court of Tajikistan, Adopted by the Venice Commission at its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)017, Venice, 13-14 June, 2014, 36.

[974] Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 135, 138.

[975] Opinion on the Draft Laws Amending and Supplementing (1) the Law on Constitutional Proceedings and (2) the Law on the Constitutional Court of Kyrgyzstan, Adopted by the Venice Commission at its 76th Plenary Session, CDL-AD (2008)029, Venice, 17-18 October, 2008, 44.

[976] Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 138.

ნის გარეშე არსებითად განხილვის შესაძლებლობას. მართალია, საქმის არსებითად განსახილველად მიღება, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე წყდება[977], თუმცა, მას შემდეგ რაც საქმე არსებითად განსახილველად არის მიღებული, მისი განხილვა ზეპირ სხდომაზე მიმდინარეობს. საქმის არსებითი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე შესაძლოა მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.[978] მოსარჩელის მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს კონსტიტუციურ სარჩელთან/კონსტიტუციურ წარდგინებასთან ერთად ან მოსარჩელის მიერ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების თაობაზე საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

საკონსტიტუციო სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნას მისი მიღებისთანავე უგზავნის მოპასუხეს. მოპასუხის მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს მის მიერ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების მიღებიდან ან მოპასუხის მიერ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების თაობაზე საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 10 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხის მოთხოვნას მისი მიღებისთანავე უგზავნის მოსარჩელეს. თუ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნის, ხოლო მოსარჩელე – მოპასუხის მოთხოვნის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს.[979] მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა, საქმე, მხარეების თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს და გადაწყვიტოს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ადგენს შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული ტიპის დავებზე, არ ხდება კონსტიტუციური კონტროლის ინიციატორი პირების მოწვევა და მათი მხარეებად განხილვა. კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და წყვეტს: ა) საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს; ბ) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს; გ) საქარ-

---

[977] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27^1 მუხლის მე-2 პუნქტი.

[978] იხ., იქვე, 27^1 მუხლის მე-5 პუნქტი.

[979] იხ., იქვე, 27^1 მუხლი მე-6–მე-8 პუნქტები.

თველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს; დ) საერთო სასამართლოს წინაშე არსებული დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს.

აღნიშნულ შემთხვევებში, კონსტიტუციურ წარდგინებებს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს წარდგინების ავტორები, აგრეთვე ის პირი, რომლის წინააღმდეგაც იმპიჩმენტის პროცედურაა დაწყებული, და მოისმინოს მათი განმარტებები, მაგრამ ამ პირებს იგი მხარედ არ აღიარებს. აღნიშნულ თანამდებობის პირებს, მიუხედავად იმისა, მინვეული იქნებიან თუ არა ისინი სასამართლო განხილვაზე, უფლება აქვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინონ წერილობითი ახსნა-განმარტებები.[980]

3. სხდომის დისტანციურად ჩატარების საფუძვლები და წესი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დისტანციურად სხდომის გამართვის სამართლებრივი საფუძველი პანდემიის დროს გაჩნდა. სწორედ კორონავირუსმა (COVID-19) და შექმნილმა ექსტრაორდინარულმა სიტუაციამ, რა დროსაც პირთა ერთ სივრცეში თავშეყრა ვირუსის გავრცელების რისკს ზრდიდა, წარმოშვა სხდომის დისტანციურად ჩატარების პრაქტიკული აუცილებლობა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2020 წლის 7 დეკემბერს მიიღო N127/1 დადგენილება, რომელიც სხდომის დისტანციურად ჩატარების წესს დეტალურად გაწერს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, სასამართლო სხდომის დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა გაჩნდა სხვა ქვეყნებშიც: მაგ., ბულგარეთი, ალბანეთი, იტალია და სხვა.[981]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელი ან/და არსებითი განხილვის სხდომის ზეპირი მოსმენის დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით გამართვის თაობაზე.[982] ამდენად,

---

[980] იხ., იქვე, 27[3] მუხლის მე-2 პუნქტი.

[981] იხ. <https://www.venice.coe.int/files/EmergencyPowersObservatory/T14-E.htm> [05.06.2024]

[982] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 20[1] მუხლის პირველი პუნქტი.

სხდომის დისტანციურად გამართვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „განსაკუთრებული ვითარების არსებობა". სასამართლოს პრაქტიკაში, ჯერ-ჯერობით, ასეთ განსაკუთრებულ ვითარებად პანდემიის პერიოდია მიჩნეული. ის, თუ სხვა რა მოიაზრება ამ საფუძვლის ქვეშ, მომავალში, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უნდა დადგინდეს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ გადაწყვეტილებას სხდომის დისტანციურად ჩატარების შესახებ საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი იღებს, ხოლო თავად დისტანციურად გასამართი ზეპირი მოსმენის თარიღს კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე განსაზღვრავს.[983]

სხდომის დისტანციურად ჩატარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მხარეებს. სხდომის დისტანციურად ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. მხარე ვალდებულია სხდომის დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით პოზიცია (თანხმობა ან უარი) წარმოადგინოს სხდომის დისტანციურად ჩატარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 დღის ვადაში. სხდომის დისტანციურად ჩატარებასთან დაკავშირებით მხარის უარყოფითი პოზიცია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ამავდროულად, მოსარჩელისაგან განსხვავებით, მოპასუხის შემთხვევაში სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით კანონმდებლობით შეზღუდვაა დადგენილი. კერძოდ, მოპასუხე მხარე უფლებამოსილია, სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზეპირ განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად. თუ საქმის განმხილველი სასამართლო არ გაიზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას საქმის განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, იგი საქმის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის შესახებ იღებს წერილობით განჩინებას.[984]

დისტანციური სხდომა მიმდინარეობს ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც საქმის განხილვის მონაწილეებს აძლევს ერთმანეთთან აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის რეალურ დროში დამყარების შესაძლებლობას. დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას გამოიყენება საქმის განხილვისთვის დადგენილი ზოგადი წესები, სხდომის დისტანციურობის თავისებურებების გათვალისწინებით.[985] გადადებული დისტანციური სხდომა შესაძლებელია გაგრძელდეს ორდინალური წესით და პირიქით, ორდინალური წესით დაწყებული სხდომა შესაძლებელია გაგრძელდეს დისტანციური წესით.[986]

---

[983] იხ., იქვე, 20^1 მუხლის მე-6 პუნქტი.

[984] იხ., იქვე, 20^1 მუხლის 2-6 პუნქტები.

[985] იხ., იქვე, 20^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[986] იხ., იქვე, 20^1 მუხლის მე-7 პუნქტი.

თუ საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის სრულფასოვანი გამოკვლევა მოითხოვს მის ფიზიკურ დათვალიერებას/ადგილზე შესწავლას, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დისტანციური სხდომის გადადების თაობაზე. დისტანციური სხდომა შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგ, რაც მხარე(ებ)ს მიეცემათ შესაბამისი მტკიცებულების დათვალიერების გაცნობის შესაძლებლობა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს/გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც შესაბამისი მტკიცებულება არის წარმოდგენილი ან/და შესაბამისი ფაქტი/გარემოება არ საჭიროებს მტკიცებას (მტკიცებას არ საჭიროებს: ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები; ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს აქტით დადგენილი ფაქტები[987]). დისტანციურ სხდომაზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოკვლევა დაუშვებელია.[988]

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ღიაობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა დისტანციური სასამართლოს სხდომის პირდაპირი ტრანსლირების გზით საჯაროდ გადაცემა.[989] ამ ფორმით, საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით თვალი ადევნოს დისტანციურ სხდომას, რაც ქმნის რწმენას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არ მიიღება ფარულად, დახურულ კარს მიღმა. დისტანციური სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შემთხვევაში, წყდება სხდომის შესაბამისი ნაწილის ტრანსლირება.[990]

4. საქმის ზეპირი მოსმენისთვის მომზადება, ზეპირი სხდომის მიმდინარეობის თავისებურებები

4.1. ზეპირი მოსმენისთვის საქმის მომზადება და სხდომის მონაწილეების მოწვევა

საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადებას უზრუნველყოფს მომხსენებელი მოსამართლე, რისთვისაც მას კანონმდებლობა რიგი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებს. კერძოდ, იგი: მხარეებთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგ., მოსარჩელე მხარეს აზუსტებინებს სასარჩელო

---

987 იხ., იქვე, 31-ე მუხლი.

988 იხ., იქვე, 20^2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

989 იხ., იქვე, 20^5 მუხლის პირველი პუნქტი.

990 იხ., იქვე, 20^5 მუხლის მე-2 პუნქტი.

მოთხოვნას[991]); უზრუნველყოფს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან და კერძო პირისგან საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო დოკუმენტების გამოთხოვას (მაგ., გასაჩივრებულ ნორმასთან დაკავშირებით გამოითხოვს საერთო სასამართლოების პრაქტიკას[992]); არკვევს მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მოწვევის საჭიროებას და საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით უზრუნველყოფს მათ მოწვევას[993]; ახორციელებს საქმის განსახილველად მომზადებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.[994] ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული და ფიზიკური პირი, პოლიტიკური პარტია და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება, მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება.[995]

ზეპირი მოსმენის თარიღს ნიშნავს კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე და აღნიშნულის შესახებ სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა ატყობინებს კოლეგიის/პლენუმის სხვა წევრებს. საქმის ზეპირი მოსმენის თარიღი სხდომამდე არანაკლებ 5 დღით ადრე ეცნობება ასევე მხარეებსაც.[996]

სასამართლოს მიერ ზეპირ სხდომაზე მოწვეული პირი ვალდებულია, გამოცხადდეს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე რომელიმე მხარის საპატიო მიზეზით ან/და ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გადადოს სხდომა. თუ სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს საქმის განხილვის რომელიმე მხარის გამოუცხადებლობას, იგი სხდომას ატარებს ამ მხარის დაუსწრებლად. ამგვარ შემთხვევაში სასამართლო ასევე უფლებამოსილია, გადადოს სხდომა, თუ იგი საქმის გამოკვლევისათვის აუცილებლად

---

[991] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/8/1338 განჩინება საქმეზე, „გრიგოლ აბულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[992] იხ., მაგ., 2019 წლის პირველი აგვისტოს N1434 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ოთარ მარშავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2019 წლის 11 დეკემბრის კონსტიტუციური სარჩელი N1466 საქმეზე, „მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[993] იხ., მაგ., შემდეგი კონსტიტუციური სარჩელების არსებითი განხილვის სხდომები: 2018 წლის 12 იანვრის N1289 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2020 წლის 23 აპრილის N1499 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[994] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

[995] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[996] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3–მე-5 პუნქტები.

მიიჩნევს გამოუცხადებელი მხარის პოზიციის მოსმენას. მოსარჩელის მიერ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, შესაძლოა, განხილულ იქნეს მის მიერ დავის მიმართ ინტერესის დაკარგვად და კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმად. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეწყვიტოს საქმე. მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის ან/და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს მხარეების პოზიციას ამ პირთა დაუსწრებლად სხდომის ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე და ადგილზე თათბირით წყვეტს საკითხს სხდომის გადადების შესახებ.[997]

4.2. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა

საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე, სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარე. კერძოდ, იგი: ა) გახსნის სხდომას და აცხადებს, რომელი საქმე განიხილება; ბ) ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას; გ) არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოცხადებას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზებს; დ) ამოწმებს სხდომაზე გამოცხადებული პირების ვინაობას და მხარეთა წარმომადგენლების უფლებამოსილებას; ე) აცხადებს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივნის ვინაობას; ვ) სამართალწარმოების მონაწილეებს განუმარტავს კანონით განსაზღვრულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; ზ) არკვევს, სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა გამოძახება ან დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა; ამ საკითხებზე შემოსულ შუამდგომლობებს სასამართლო წყვეტს სხდომის დარბაზში; თ) აცხადებს სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების/არსებითი განხილვის საკითხის განხილვის დაწყებას.[998]

მხარეთა მიერ შუამდგომლობების დაყენების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, ისინი გადაწყვიტოს სხდომათა დარბაზში (ადგილზე თათბირით) ან სათათბირო ოთახში. სასამართლოს სხდომამდე დაყენებულ მხარეთა შუამდგომლობებს სასამართლო წყვეტს სხდომის დაწყებამდე, სასამართლო უფლებამოსილია, ხსენებულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილება მიიღოს სხდომის დაწყების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მხარეთა მოსმენა. შუამდგომლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება სხდომის თავმჯ-

[997] იხ., იქვე, 23-ე მუხლის პირველი-მე-5 პუნქტები.

[998] იხ., იქვე, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

დომარის მიერ და აღინიშნება სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება, შესაძლებელია ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს აქტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სხდომაზე შესაძლებელია გამოცხადდეს მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი.[999]

საქმის არსებითი განხილვა გრძელდება მომხსენებელი მოსამართლის მოხსენებით. მომხსენებელი მოსამართლე: ა) მოახსენებს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსის თაობაზე; ბ) უპასუხებს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.[1000]

მოხსენების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს ჯერ მოსარჩელე მხარის/კონსტიტუციური წარდგინების ავტორის, შემდეგ – მოპასუხე მხარის განმარტებებს.[1001] ზეპირი ახსნა-განმარტების წარდგენის ძირითადი მიზანია მხარეთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წერილობითი მასალებიდან განსხვავებული, მათი შემავსებელი, ინფორმაციის/მოსაზრებების მიწოდება. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს განუსაზღვროს გონივრული დრო ზეპირი სიტყვის წარსადგენად. სასამართლო უფლებამოსილია, არ მოისმინოს ერთხელ უკვე მიწოდებული (წერილობით ან ზეპირი ფორმით) ინფორმაცია.[1002]

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვები დაუსვას მხარეებს და მათ წარმომადგენლებს.[1003]

მხარეთა განმარტებების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს სხდომაზე მოწვეულ მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა ჩვენებებს და სასამართლოს მეგობრის პოზიციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან/და წინასწარი შეცნობით სასამართლოსათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს აგრეთვე თარჯიმანს შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე.[1004] საქმის განხილვაში მონაწილე

---

[999] იხ., იქვე, 21-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები.

[1000] იხ., იქვე, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1001] იხ., იქვე, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.

[1002] იხ., იქვე, 28-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები.

[1003] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27[6] მუხლის მე-2 პუნქტი.

[1004] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ან საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ინიციატივით და საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით მოხსნას მხარეების, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და სასამართლოს მეგობრისათვის დასმული შეკითხვა.[1005]

მოწმეთა, ექსპერტთა, სპეციალისტთა და საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა მოსმენის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლო იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.[1006] კერძოდ, სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს მათ და შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, გამოხატონ პოზიცია მტკიცებულებათა თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც მნიშვნელობა არ აქვს საქმისათვის.[1007]

გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას ფიზიკური მტკიცებულებების გამოკვლევა იშვიათი შემთხვევაა. საკონსტიტუციო კონტროლი ძირითადად ორიენტირებულია სამართლებრივ არგუმენტებზე და არა ფაქტებზე.[1008] თუმცა, კანონმდებლობა ადგენს მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობას, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევისათვის. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მოახდინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა სასამართლოში წარდგენაც რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს ეცნობება ადგილზე დათვალიერების დრო და ადგილი. მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას. აუცილებლობის შემთხვევაში ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება გამოიძახონ მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები. ადგილზე დათვალიერებას ანარმოებს საქმის განმხილველი სასამართლო. მასში, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს აპარატის მოხელეებმა. საქმის განმხილველი სასამართლოს გა-

---

[1005] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27[6] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

[1006] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1007] იხ., იქვე, 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

[1008] Opinion on the Draft Constitutional Law on Introducing Amendments and Additions to the Constitutional Law on the Const itutional Chamber of the Supreme Court of the Kyrgyz Republic, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)020, Venice, 13-14 June, 2014, 12.

დანყვეტილებით, შეიძლება ადგილზე დათვალიერების განხორციელება დაეკისროს საქმის განმხილველ რომელიმე მოსამართლეს ან მოსამართლეთა ჯგუფს.[1009] ადგილზე დათვალიერების შესახებ დგება ოქმი და მისი ხარჯები იფარება საკონსტიტუციო სასამართლოს ბიუჯეტიდან.[1010]

მტკიცებულებების გამოკვლევის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარე მხარეებს აძლევს უფლებას, დაუსვან ერთმანეთს კითხვები. თავდაპირველად კითხვებს სვამს მოსარჩელე მხარე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი, შემდეგ – მოპასუხე მხარე. მხარეთა კითხვების შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლო ისმენს დასკვნით სიტყვებს. ჯერ სიტყვით გამოდის მოსარჩელე მხარე/კონსტიტუციური წარდგინების ავტორი, შემდეგ – მოპასუხე მხარე.[1011] საქმის განხილვა, სწორედ დასკვნითი სიტყვებით სრულდება და საკონსტიტუციო სასამართლო გადის სათათბირო ოთახში.[1012]

სასამართლო სხდომა სამუშაო დღის განმავლობაში შეუწყვეტლად მიმდინარეობს. სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებთან შეთანხმებით, სხდომა ნებისმიერ დროს გამართოს. სასამართლო უფლებამოსილია გადადოს ან შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ აუცილებელია დამატებით მოწმეთა და სპეციალისტთა გამოძახება, ექსპერტიზის ჩატარება, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, საქმის განხილვის დამაბრკოლებელი სხვა გარემოებების თავიდან აცილება.[1013]

4.3. საქმის ხელახალი განხილვა

კანონმდებლობა ითვალისწინებს სათათბირო ოთახში გასვლის შემდგომ, საქმის ხელახალი განხილვის დაწყების შესაძლებლობას. კერძოდ, საქმის ხელახალი განხილვის საფუძვლებია: ა) თუ მნიშვნელოვნად შეიცვალა საკითხის გადაწყვეტის საფუძვლად არსებული სამართლებრივი გარემოებები, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ჩაატაროს საქმის ხელახალი განხილვა;[1014] ბ) თუ საქმის განხილვის მიმდინარეო-

---

[1009] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 32-ე მუხლის პირველი-მე-6 პუნქტები.

[1010] იხ., იქვე, 32-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[1011] იხ., იქვე, მე-20 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

[1012] იხ., იქვე, მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.

[1013] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[1014] დასახელებული ნორმა საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონში 2018 წლის 16 დეკემბრიდან ამოქმედდა. თუმცა, ამ საფუძვლით საქმის ხელახალი განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით, ბუნდოვანია, რა მოიაზრება საკითხის გადაწყვეტის საფუძვლად არსებული სამართლებრივი გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილების ცნების ქვეშ და ის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ უნდა განიმარ-

ბისას რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვალა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვის იგივე ეტაპი თავიდან იწყება;[1015] გ) თუ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს იმ საქმეს, რომელიც კოლეგიამ/კოლეგიის წევრმა გადმოსცა, კოლეგიის ფარგლებში საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდგომ, იმ საფუძვლით, რომ „მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას".[1016] მაგალითად, N1264 კონსტიტუციური სარჩელი პლენუმზე განსახილველად იქნა მიღებული კოლეგიის ფორმატში საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის, 2021 წლის 16 ივლისის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც იგი მიუთითებდა აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის პლენუმის მიერ განხილვის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობდა საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.[1017]

5. მტკიცების სტანდარტი

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპების დაცვით.[1018] კონსტიტუციური მართლმსაჯულების აღნიშნული პრინციპების დაცვით განხორციელებაზე ასევე მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლიც, თუმცა ეს არ გულისხმობს სასამართლოს სრულ ნეიტრალიტეტს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი [...] არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკი-

---

ტოს, იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27^1 მუხლის მე-9 პუნქტი.

[1015] იხ., იქვე, 21-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

[1016] იხ., იქვე, 21^1 მუხლის პირველი პუნქტი.

[1017] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1018] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

დებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე".[1019] აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ „შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის და საქმეზე „სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების" მიღების უზრუნველყოფის საშუალებას, ინსტრუმენტს. კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, საქმეში არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. ამდენად, პირველ რიგში, საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ წესი, რომელიც გამორიცხავს მიზნის მიღწევას, შეიძლება გამართლებული იქნეს ამ მიზნის მიღწევის საშუალების, ამ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით".[1020]

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო სასამართლოებში საქმეების განხილვის თავისებურებებისგან. მაშინ, როდესაც ერთ მხარეს აქვს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის აშკარა ინტერესი, მეორე მხარის ინტერესი არ არის ასე გამოკვეთილი. უბრალო ფაქტი, რომ აქტი გამოიცა სახელმწიფო ორგანოს მიერ, სულაც არ აქცევს ამ ორგანოს შესაბამის მოწინააღმდეგე მხარედ. პოლიტიკური მიზეზების გამო სახელმწიფო ორგანოს შესაძლოა არ ჰქონდეს რეალური ინტერესი მიღებული აქტის კონსტიტუციურობის დასაცავად. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი კონსტიტუციური მართლმსაჯულების სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლო თავად ადგენს გასაჩივრებული დებულების კონსტიტუციურობის სასარგებლო და სანინააღმდეგო არგუმენტებს.[1021] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოში მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი არ არის სწორხაზოვანი. თუმცა, ამ სირთულის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული სტანდარტების გამოკვეთა ეროვნულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთთან მიმართებით.

[1019] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-21.

[1020] იხ., იქვე, II-20.

[1021] Opinion on the Draft Constitutional Law on the Constitutional Court of Tajikistan, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)017, Venice, 13-14 June, 2014, 35.

5.1. მოსარჩელე მხარის როლი საქმის არსებითად განხილვისას

განსაკუთრებულია მოსარჩელის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის ინიციატორი მხარის როლი დავის გადაწყვეტაში. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო იბოჭება მოსარჩელე მხარის/წარდგინების ავტორის სასარჩელო მოთხოვნით.[1022] საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გასცდება და ვერ გააფართოებს მოსარჩელის/წარდგინების ავტორის სასარჩელო მოთხოვნას. იმავდროულად, კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, განაპირობებს საქმის შეწყვეტას (საქმის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება არ აქვს საერთო სასამართლოს ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში).[1023] შესაბამისად, მოსარჩელე მხარე, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ინიციატორი, თავად განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და, ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეში შესაფასებელ მოცემულობას.[1024]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში, მოსარჩელე მხარეს, სხვა ტიპის სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, არ მოეთხოვება სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის მოთხოვნის რაიმე მტკიცებულებით გამყარება, შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის მიღმა. სწორედ ამის დემონსტრირებაა ის გარემოებაც, რომ საქმის განხილვის მიმდინარეობისას მტკიცებულებების გამოთხოვას, ექსპერტის, სპეციალისტის, მოწმის, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მოწვევას, ძირითად შემთხვევებში, სასამართლო უზრუნველყოფს და არა მოსარჩელე მხარე. ამავდროულად, მოსარჩელე მხარეს არც სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე შეფასება და მისი რომელიმე კომპონენტის არარსებობის მტკიცება მოეთხოვება. თუმცაღა, ეს არ მიანიშნებს მოსარჩელე მხარის სამართლებრივი არგუმენტების უმნიშვნელობაზე. კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ამასთან, მოსარჩელე მხარე, წარმოადგენს რა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის უშუალო ადრესატს, შესაძლოა, ფლობდეს ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე განსაკუთრებულ

[1022] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლი.

[1023] იქვე, 29-ე მუხლი.

[1024] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის N1/12/781 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ცოდნას. ამავდროულად, ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევებში, მოსარჩელის როლი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს და მოსარჩელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების წარმოუდგენლობამ საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება განსაზღვროს.[1025]

საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მას საერთო სასამართლოებმა განმარტების შედეგად შესძინეს.[1026] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე პრობლემურად მიიჩნევს საერთო სასამართლოთა განმარტებას და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა, სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისთვის, მან უნდა წარმოადგინოს საერთო სასამართლოთა პრაქტიკა, რომელიც ადასტურებს სადავო ნორმის გამოყენებას მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმატიული შინაარსით. მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში[1027] მოსარჩელე მხარეს პრობლემურად მიაჩნდა სადავო ნორმების[1028] ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც ჩხრეკის ჩასატარებლად აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყო ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პირის პატაკი და ამ პირის გამოკითხვის ოქმი, რომელიც იმეორებდა პატაკში არსებულ

[1025] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „შპს კასტელ ჯორჯია" და სს „წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ".

[1026] სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკაში ნაკლებად არის გავრცელებული ნორმის ნორმატიული შინაარსის გაუქმების შესაძლებლობა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოები განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ მათ მიერ განსამარტ აქტებთან მიმართებაში. ყველაზე გავრცელებული მიდგომაა კონსტიტუციურობის პრეზუმფცია (ასევე ეწოდება "Réserve d'interprétation" ან "Verfassungskonforme Auslegung"). ამ მიდგომის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ვარაუდობს, რომ ნორმატიული აქტი კონსტიტუციურია, თუ არ არსებობს დებულების გონივრული ინტერპრეტაცია, რომელიც მას არაკონსტიტუციურად აქცევს. ამის საპირისპიროდ, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საპირისპირო მიდგომა და შეიმუშავა კონცეფცია "Diritto Vivente" (ცოცხალი კანონი). საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე სადავო საკანონმდებლო დებულებას განმარტავს ისე, როგორც მას „ჩვეულებრივ" განმარტავენ საერთო სასამართლოები და წყვეტს, რომ ის არაკონსტიტუციურია ამ საერთო ინტერპრეტაციის საფუძველზე, მაშინაც კი, თუ დებულება ასევე შეიძლება განიმარტოს კონსტიტუციური გზით. იხ., Revised Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission on its 125th Online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, 128.

[1027] იხ., 2017 წლის 10 ნოემბრის კონსტიტუციური სარჩელი N1276 საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1028] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები და 121-ე მუხლის პირველი ნაწილი, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ან/და ოპერატიული წყაროს ინფორმაციას, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების ან/და ინფორმაციის გადამოწმების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა საქმეზე მოსარჩელის მიერ თანდართული სასამართლოს განჩინება და დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სასამართლოს განჩინებიდან სადავო ნორმების მსგავსი შინაარსით გამოყენების პრაქტიკა არ იკვეთებოდა. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილი არ ყოფილა სხვა ცხადი და რელევანტური პრაქტიკა, რომელიც წარმოაჩენდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესში ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, სათანადო გადამოწმების გარეშე, თავისთავად არის მიჩნეული ჩხრეკის ჩატარების დასასაბუთებლად საკმარისი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობად. ამავე დროს, მსგავსი პრაქტიკის არსებობა ცნობილი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, თუმცა მომავალში ასეთი პრაქტიკის საფუძველზე კონსტიტუციური სარჩელის წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლო მას დამოუკიდებლად შეაფასებს".[1029] მაშასადამე, მოსარჩელე მხარის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის ინიციატორი პირის როლი განსაკუთრებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. ამავდროულად, მისი მტკიცების ტვირთი განსხვავდება საქმეთა სპეციფიკის მიხედვით.

5.2. მოპასუხე მხარის როლი საქმის არსებითად განხილვისას

საქმის განხილვის მიმდინარეობისას განსაკუთრებულია მოპასუხე მხარის როლი, რადგან ის წარმოადგენს სადავო ნორმის შემოქმედს. შესაბამისად, მას, როგორც წესი, აქვს ყველაზე მყარი და ხელშესახები არგუმენტები, თუ რამ განაპირობა გასაჩივრებული რეგულირების შემოღება. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ ქცეული ნორმის ლეგიტიმურ მიზნებს სწორედ მოპასუხე მხარე ასახელებს და თავადვე ასაბუთებს სადავო რეგულირების კონსტიტუციასთან თავსებადობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პასუხს სცემს მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნებით უფლების შეზღუდვის დასაშვებობას და დადგენილი შეზღუდვით ამ მიზნების მიღწევის თანაზომიერებას.

საკონსტიტუციო სასამართლო არ იბოჭება მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სა-

[1029] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-62.

სამართლომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღმა დამატებით დაადგინა შეზღუდვის სხვა ლეგიტიმური მიზანი და მასთან მიმართებით შეაფასა ნორმის კონსტიტუციურობა.[1030] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფარგლებში სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის შებოჭილი მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნებით, ისევე როგორც მოპასუხე მხარის მიერ ლეგიტიმური მიზნის დასახელებისგან თავის შეკავება, თავისთავად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ვერ განაპირობებს".[1031] ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო თავად დაადგენს სადავო ნორმებიდან მომდინარე შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნებს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო არც მოპასუხე მხარის მიერ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე შემოთავაზებული არგუმენტებით არ არის შეზღუდული და მას შეუძლია საკუთარი ინიციატივით გასცდეს მხარეების არგუმენტაციას, რათა დაადგინოს სიმართლე.[1032]

მოპასუხე მხარის მიერ კონსტიტუციური სარჩელის ცნობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სადავო რეგულაციის კონსტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.[1033] საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არც სასამართლოში საქმის განხილვის შეწყვეტას განაპირობებს და არც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის აუცილებლობას. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ ათავისუფლებს საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო

[1030] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის N2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1031] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-56.

[1032] Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan, Adopted by the Venice Commission at its 50th Plenary Session, CDL-AD(2002)005, Venice, 8-9 March, 2002.

[1033] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის N2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის N2/1/1434,1466 გადაწყვეტილება საქმეზე, „თათარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების ვალდებულებისაგან. ამ პროცესში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია როგორც მოსარჩელის, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ ნორმის არაკონსტიტუციურობის მტკიცების არგუმენტაციის შესწავლა, გაანალიზება".[1034]

6. მოსამართლის აცილება

მოსამართლის საქმიდან ჩამოცილების საფუძველია მისი აცილების/თვითგანრიდების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.[1035] კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დასვას საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილებაზე თუ: ა) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია; ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში. ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს განერიდოს საქმის განხილვაში მონაწილეობას.[1036]

მოსამართლის აცილების სამართლებრივი შესაძლებლობის არსებობა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას, კერძოდ კი, საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გადაწყვეტას ემსახურება. ფუძემდებლური პრინციპია, რომ ვერავინ იქნება მოსამართლე საკუთარ საქმესთან დაკავშირებით.[1037] ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძო-

---

[1034] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

[1035] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[1036] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[1037] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები" და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, 78; იხ, ციტირება: R v. Bow Street Stipendiary Magistrate, Ex parte Augusto Pinochet Ugarte (N2), House of Loards, United Kingdom, {1999} 1 LRC 1.

ებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.[1038]

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების შესაბამისად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად. ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.[1039]

იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება „საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი". მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო, მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.[1040] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის აცილებისათვის „აუცილებელია იმგვარ გარემოებათა არსებობა, რომელიც ობიექტური ადამიანისთვის იქნებოდა მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი".[1041] მნიშვნელოვანია, რომ „საქმის განმხილველი სასამართლო არა მხოლოდ ფაქტობრივად უნდა იყოს ობიექტური, არამედ, ასევე, ასეთად აღიქმებოდეს საზოგადოების მხრიდან. ამდენად, საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვების გაქარწყლება სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა".[1042]

ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მოსამართლეს, კონსტიტუციის შესაბამისად, ევალება იყოს მის საქმიანო-

---

[1038] Gregory v. United Kingdom, [ECtHR], App. No. 22299/93, 25 February, 1997.

[1039] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს.

[1040] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები" და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, 52.

[1041] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის N3/7/679 განჩინება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-12.

[1042] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N3/1/1459 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

ბაში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, მოქმედებდეს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. ამგვარად, მაღალი პასუხისმგებლობის განმახორციელებელი პირების მიმართ მოქმედებს ვარაუდი, მოლოდინი, რომ ისინი საქმიანობას განახორციელებენ მაღალი პროფესიონალიზმით, რაც, პირველ რიგში, სწორედ სუბიექტური განცდებისა თუ დამოკიდებულებებისგან გათავისუფლებას, და საქმის შეფასებასა თუ გადაწყვეტას გულისხმობს კონსტიტუციის საფუძველზე".[1043] ამდენად, მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა პრეზუმფცირებულია მანამდე, სანამ საპირისპირო მტკიცებულება არ იარსებებს, რომელიც უპირობოდ დაამტკიცებს ან/და საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს მოსამართლის მიკერძოებულობაში.[1044]

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების შესაბამისად, მოსამართლის თვითაცილება არ არის სავალდებულო, თუ ვერ შედგება სხვა სასამართლო ამ საქმის განსახილველად, ან გამონაკლის გარემოებათა გამო უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების სერიოზული ხარვეზი.[1045] ეს შემთხვევა აუცილებლობის დოქტრინის სახელით არის ცნობილი. აუცილებლობის დოქტრინა საშუალებას აძლევს მოსამართლეს, რომელიც სხვაგვარად არის დისკვალიფიცირებული, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, როდესაც ამის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლობა. მართლაც, საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის აცილების საკითხი ფრთხილად უნდა გადაწყდეს. მოსამართლეთა აცილების შესაძლებლობამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების უუნარობა. სხვა სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, სადაც არსებობს აცილებული მოსამართლის ჩანაცვლების შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოში ეს შეუძლებელია. უნდა გამოირიცხოს შესაძლო *non liquet*, რადგან შესაძლებელი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის უზენაესობის გარანტორის შეუფერხებელი ფუნქციონირება.[1048]

[1043] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის N3/7/679 განჩინება საქმეზე, „შპს სამაუნყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[1044] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1045] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს.

[1048] Opinion on the Two Draft Laws Amending Law No.47/1992 on the Organisation and Functioning of the Constitutional Court of Romania, Adopted by the Commission at Its 66th Plenary Session, CDL-AD(2006)006, Venice, 17-18 March, 2006, , 7. იხ., ასევე Opinion on the Draft Constitutional Law on Introducing Amendments and Additions to the Constitutional Law on the

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ქვეყანაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. ეს უკანასკნელი კი შედგება კონსტიტუციითვე განსაზღვრული რაოდენობის მოსამართლეებისაგან, რომელთა აცილების შემთხვევაში, არ არსებობს სხვა მოსამართლით მათი ჩანაცვლების შესაძლებლობა. ამდენად, მოსამართლის აცილების საფუძველი არ უნდა იყოს იმდენად ფართო, რომ საფრთხე შეუქმნას სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. შესაბამისად, აცილების ინსტრუმენტის გამოყენება უნდა მოხდეს საკმარისი სიფრთხილით, რათა, ერთი მხრივ, საფრთხე არ შეექმნას სასამართლოს ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლომ არ დაკარგოს საზოგადოების ის ნდობა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უსათუოდ უნდა ატარებდეს და მის არსებით მახასიათებელს წარმოადგენდეს".[1047] არც ერთი კანონი არ უნდა გამოირიცხოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენციიდან.[1048]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების ან თვითგანრიდების შესახებ განცხადება დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.[1049] აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შესაძლოა, იმ შემთხვევაშიც კი არ დააკმაყოფილოს მოსამართლის აცილების თაობაზე მხარის შუამდგომლობა, თუ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას ის მოსამართლე ემხრობა, რომლის აცილებასაც მხარე მოითხოვს.[1050] ასევე, შესაძლოა, არ დაკმაყოფილდეს თავად მოსამართლის მოთხოვნა თვითგანრიდებაზე.[1051]

Constitutional Chamber of the Supreme Court of the Kyrgyz Republic, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, Venice, 13-14 June, 2014, CDL-AD(2014)020, 34.

[1047] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა ნიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1048] Amicus Curiae Opinion on the Law on the cleanliness of the figure of high functionaries of the Public Administration and Elected Persons of Albania, adopted by the Venice Commission at its 80th Plenary Session, CDL-AD(2009)044, Venice, 9-10 October, 2009, 142.

[1049] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1050] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ".

[1051] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის N3/1/740,764 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით ნიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ის ფაქტი, რომ მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო კანონის მიღებაში პარლამენტში, არ უნდა იყოს აცილების საფუძვლიანი მიზეზი, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს პარალიზება იმ თვალსაზრისით, რომ დარჩენილმა მოსამართლეთა რაოდენობამ შესაძლოა, ვეღარ შექმნას კვორუმი.[1052] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, წარსულში კოლეგიური ორგანოს მიერ აქტის მიღებაში მონაწილეობა, თავისთავად, ვერ გამოდგება მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილების საფუძვლად.[1053]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არა აქვს უფლება, საქმის განხილვის დაწყებამდე, აგრეთვე სასამართლოს გარეშე გამოთქვას მოსაზრებები ან გაუწიოს ვინმეს კონსულტაცია განსახილველი კანონების ან სხვა აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.[1054] აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელზეც მოპასუხე მხარე შუამდგომლობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელმა სოციალურ მედიაში გამოხატა ემოცია (გულის სახით) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, გაზიარებულ პოსტზე, რომელიც წარმოადგენდა მოსამართლეთა ნაწილის კრიტიკულ მოსაზრებას „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ინიციირებული კანონპროექტის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა, სოციალურ მედიაში დადებითი რეაქცია გამოხატა საჯარო სტატუსზე იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ იგივე მოსამართლემ გახადა კონსტიტუციური დავის საგანი. შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევდა, რომ მოსამართლის მიერ მოსარჩელის პოსტზე გამოხატული რეაქცია ღიად და საჯაროდ გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას მოცემულ საქმეზე განსახილველი საკითხის მიმართ, რაც ცალსახად ქმნიდა დადასტურებულ ეჭვს მის მიუკერძოებლობაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ვალდებულია გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი განიხილავენ, რათა სათუო არ გახადონ საზოგადოების რწმენა მოსამართლის/სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობის თაობაზე. მისივე განმა-

---

[1052] Opinion on the Draft Constitutional Law on Introducing Amendments and Additions to the Constitutional Law on the Constitutional Chamber of the Supreme Court of the Kyrgyz Republic, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)020, Venice, 13-14 June, 2014, 34.

[1053] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ", II-3.

[1054] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

რტებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლემ საჯარო პოსტზე რეაქცია გამოხატა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარდგენამდე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავის საგანი კანონპროექტის სახეს ატარებდა. თავის მხრივ, კრიტიკულ პოსტზე მოსამართლის მიერ გამოხატული რეაქცია (გულის სახით) არ წარმოადგენს იმგვარ ქმედებას, რომელიც *a priori* მიანიშნებს პოსტში გაკრიტიკებული საკანონმდებლო ინიციატივის კონსტიტუციურობის შესახებ მოსამართლის მოსაზრებაზე. თავად მოსამართლის განმარტებით კი მისი პოზიტიური გზავნილი ასახავდა დადებით დამოკიდებულებას იმ ფაქტისადმი, რომ მოსამართლეები გამოხატავდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა ხელშეუხებლობის იდეისადმი აქტიურ მხარდაჭერას და მათ შემართებას, დაეცვათ სასამართლოს დამოუკიდებლობა, მათ შორის პრობლემატურ საკითხებზე ღია დისკუსიის მეშვეობით.[1055] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების საფუძველი.

თუ მოსამართლის ჩამოცილების შემდეგ კოლეგიის წევრთა დარჩენილი რაოდენობა არ ქმნის მოსამართლეთა კვორუმს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, ამ საქმის განხილვისათვის კოლეგიას დროებით მიამაგროს სხვა კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, გარდა კოლეგიის თავმჯდომარისა. სასამართლოს ახლადდანიშნული წევრი ანაცვლებს უფლებამოსილებაშეწყვეტილ წევრს და მის ნაცვლად მონაწილეობს საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში.[1056] თუ საქმის განხილვაში მონაწილე რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვალა, შემცვლელი მოსამართლე უფლებამოსილია, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც მოხდა მოსამართლის ცვლილება. შემცვლელი მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში საქმის განხილვის შესაბამისი ეტაპი (განმწესრიგებელი სხდომა, საქმის არსებითი განხილვა) თავიდან იწყება.[1057]

7. საქმის განხილვის ვადა

საქმის განხილვის ვადებს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი

[1055] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9-12.

[1056] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

[1057] იხ., იქვე, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც.[1058] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „...სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად, ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. სრულყოფილი დაცვა კი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კანონმდებლის ვალდებულებას, შექმნას ისეთი ნორმატიული ნესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებას დროულ, სამართლიან და ეფექტიან სასამართლოზე, რათა პირმა სრულყოფილად შეძლოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სასამართლოსადმი მიმართვის გზით".[1059] „სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე".[1060]

საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე უფლების მინიმალური მოთხოვნაა, დავის/საქმის გადაწყვეტა მოხდეს იმ დრომდე, ვიდრე ამას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხარეებისთვის/დაინტერესებული პირებისთვის, რათა მათ შეძლონ უფლების დარღვევის თავიდან აცილება ან/და მისი ეფექტური დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც სამართლებრივად გამართული და დამაჯერებლად დასაბუთებული გადაწყვეტილება აზრს დაკარგავს, თუ ის ვერ იქნება უნარიანი, უზრუნველყოს იმ სიკეთეზე ხელმისაწვდომობა, რომლის დაცვაზე ორიენტირებითაც განხორციელდა მართლმსაჯულება. მაშასადამე, თუკი მართლმსაჯულება „ვერ მოასწრებს" უფლების დაცვას, დროში დაგვიანებულმა სამართალმა შესაძლოა გამოფიტოს ის (სამართალი) მისივე მიზნისგან. მართლმსაჯულების განხორციელება მნიშვნელოვანია, თუ მას აქვს პრაქტიკული, პრაგმატული და არა

[1058] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16,17.

[1059] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[1060] იხ., იქვე, II-7.

მხოლოდ თეორიული, სამართლის სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული რესურსი/პოტენციალი.[1061]

ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობისათვის, მნიშვნელოვანია, საქმის განხილვის ვადა იყოს გონივრული და საფრთხე არ ექმნებოდეს მართლმსაჯულებისა და კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას. „იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ვადა იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. არაგონივრულად ხანმოკლე ვადის პირობებში კი მხარეებს და სასამართლოს შესაბამისად ერთმევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, სრულყოფილად გამოიკვლიონ საქმის გარემოებები და განახორციელონ საჭირო საპროცესო მოქმედებები, რაც უარყოფითად აისახება საქმის განხილვის ხარისხზე, საფრთხეს უქმნის იმ კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვას, რომელთა დასაცავად პირი მიმართავს სასამართლოს, აჩენს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის საფრთხეს“.[1062]

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების გამოტანისათვის წინასწარ ვადის დადგენამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას კომპლექსური საქმეების სრულყოფილად შესწავლას და გადაწყვეტილების ხარისხს.[1063] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განსაკუთრებით მაღალია დასაბუთებულობის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რომელიც, ერთი მხრივ, საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც წესი, მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებს სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად ახლებური მოწესრიგების სტანდარტების შეთავაზებას ან სადავო აქტის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი ინტერპრეტირების კრიტერიუმების იდენტიფიცირებას.“[1064]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქმის დროული განხილვის მოთხოვნა პრინციპულად არ ირღვევა იმგვარ შემთხვევებში, როდესაც სასამარ-

---

[1061] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021, 538.

[1062] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

[1063] Opinion on the Draft Law on the Constitutional Court, Adopted by the Venice Commission at Its 109th plenary Session, CDL-AD(2016)034, Venice, 9-10 December, 2016, 48.

[1064] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

თლო კონკრეტულ საქმეს ანდომებს იმ დროს, რაც ობიექტურად აუცილებელია მისი სრულყოფილად გამოკვლევისა და გადაწყვეტისათვის. ამგვარად, საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის პირობებში, სასამართლო ყოველი ინდივიდუალური საქმის სირთულიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს ხსენებული კრიტერიუმებით".[1065] ამდენად, სასამართლოში საქმის გადაწყვეტა, ხშირ შემთხვევაში, ხანგრძლივ დროს შესაძლოა უკავშირდებოდეს.[1066]

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას. თუმცა „კანონმდებლობით გადაწყვეტილების მიღების ვადის მოუწესრიგებლობა, არ გულისხმობს ამ თვალსაზრისით სასამართლოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. როდესაც კანონმდებელი არ აწესრიგებს კონკრეტულ საკითხს და რჩება სამართლებრივი სივრცე, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ, სამართალშემფარდებელმა უნდა გადაწყვიტოს მის წინაშე არსებული საკითხი, ცალსახაა, რომ ეს გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს."[1067] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „კონსტიტუცია არა მხოლოდ აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მოცულობას. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლება არსებობს კანონის მიერ მისი აღიარების, დეკლარირების გარეშეც, ის არსებობასა და მოქმედებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც კანონმდებლობით ამ უფლების რეალიზაციის საფუძვლები არ არის განსაზღვრული".[1068]

საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ არის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი, არამედ ამ უფლებათა უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო თავადვეა მათი უპირველესი მსახური. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ერთი მხრივ, მსაზღვრელია უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებისას, ხოლო, მეორე მხრივ, ზღვარი. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია სასამართლომ კონსტიტუციური სამართალწარმოების პროცესი ადამიანის უფლებათა უგულებელყოფით განახორ-

---

[1065] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1409 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9.

[1066] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1067] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1409 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[1068] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-11.

ციელოს. ამდენად, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების პირდაპირი მოქმედების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, ნებისმიერი საკითხი, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების ვადა, დააფუძნოს შესაბამის კონსტიტუციურ წესრიგს".[1069] ამდენად, სასამართლოს მითითებით, „პირის უფლება, მოითხოვოს დროული გადაწყვეტილების მიღება, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით. ...საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, თავად არის სამართლიანი სასამართლოს უფლების პრაქტიკული გამომყენებელი. ამ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებით ხელმძღვანელობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს კონსტიტუციას, არამედ იმიტომაც, რომ ის ვალდებულია, თავად გახადოს სამართლიანი სასამართლოს უფლება რეალური, ხოლო საკუთარი ფუნქცია – მიღწევადი".[1070]

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, არ გამოირიცხება კანონმდებლის უფლებამოსილება, დაადგინოს ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების ვადები. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული საკანონმდებლო ვადებით, იქნება კანონმდებლის მიერ დადგენილი მოწესრიგება და არა კონსტიტუციის მოთხოვნა.[1071] გადაწყვეტილების გამოტანის მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის არარსებობა, და სასამართლოსთვის დისკრეციის მინიჭება, შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლს.[1072]

გადაწყვეტილების მიღების ვადის მოუწესრიგებლობისაგან განსხვავებით, კანონმდებლობა ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის ვადას. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.[1073] ამავდროულად, კიდევ უფრო შემჭიდროებული ვადებია დადგენილი საარჩევნო და-

---

[1069] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1409 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1070] იხ., იქვე, II-8.

[1071] იხ., იქვე, II-10.

[1072] Opinion on Amendments to the Act of 25 June 2015 on the Constitutional Tribunal of Poland, Adopted by the Venice Commission at Its 106th Plenary Session, CDL-AD(2016)001, Venice, 11-12 March, 2016, 65.

[1073] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ებთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანიდან 30 დღეს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის 9 თვიანი ვადის დინება ჩერდება საარჩევნო დავებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელების განსახილველად მიღებიდან ამ სარჩელებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, აგრეთვე კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებიდან ამ წარდგინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის ან გადაწყვეტილების გამოტანამდე.[1074]

ამავდროულად, კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრი ან კოლეგია განსახილველად გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს იმ საფუძვლით, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას და საქმე მიღებული იქნება პლენუმზე განსახილველად, აღნიშნული საქმეების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ამგვარი საქმეების განხილვა არ აჩერებს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვა საქმეების განხილვასა და გადაწყვეტას.[1075]

[1074] იხ., იქვე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1075] იხ., იქვე, 21^1 და 21^2 მუხლები.

თავი X. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და ნორმათკონტროლი

1. ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული დავის განხილვა და გადაწყვეტა

1.1. არსი, დანიშნულება და ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.[1076] აღნიშნული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს, ერთი მხრივ, ე. წ. ნორმატიული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტს, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველს, საკუთარი კონსტიტუციური მანდატიდან გამომდინარე, აღჭურავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესაძლებლობით. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებას 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით ჩაეყარა საფუძველი.[1077] სწორედ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი არის საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების ყველაზე გავრცელებული საფუძველი.[1078]

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესუალური მექანიზმი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავი-

---

[1076] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[1077] საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

[1078] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის ანგარიში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 88; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019, 102; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2018, 78; ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017, 129-130.

სუფლებების დაცვის მიზნით, რომელსაც ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის მქონე არაერთი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს.[1079] ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი ნარმოადგენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე პირდაპირი ხელმისანვდომობის უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ამ მექანიზმის ფარგლებში პირი აღჭურვილია შესაძლებლობით, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირდაპირ, რაიმე სახის შუამავლობის გარეშე.[1080] ინდივიდუალური ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელის, ისევე, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის ძირითადი ფუნქცია და მიზანმიმართულება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაში მდგომარეობს.

1.2. დავის საგანი

საქართველოში მოქმედებს შეზღუდული, ე.წ. ნორმატიული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც პირებს აქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა.[1081] ამ ტიპის სასარჩელო წარმოების დავის საგანია მხოლოდ პირის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შემლახავი „ინდივიდუალური აქტის ნორმატიული საფუძველი".[1082] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს ხელისუფლების ორგანოთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებების კონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო კონტროლი, ასევე არ ვრცელდება საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ნაკლოვანებად მიიჩნევა.[1083] ამასთან, ინდივიდუალური ნორმატიული კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლს შემდგომი ხასიათი გააჩნია, რაზეც პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუცია.[1084]

[1079] მაგ., გერმანია, ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და სხვ.. იხ., Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th Online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, 37.

[1080] იქვე, 26.

[1081] იქვე, 30; Amicus curiae brief for the Constitutional Court of Georgia on the effects of Constitutional Court decisions on final judgments in civil and administrative cases, Adopted by the Venice Commission at its 115th Plenary Session, CDL-AD(2018)012, Venice, 22-23 June, 2018, 30-32.

[1082] იქვე, 35.

[1083] ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022, 109; „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", [ECtHR], განაცხადი N40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი, 42-ე პუნქტი.

[1084] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

საკონსტიტუციო კონტროლის საგანი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მოქმედი ნორმატიული აქტი.[1085] შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტები არ ექვემდებარება წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს. პირების მიერ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას *a priori* არ გააჩნია ინციდენტური ხასიათი და აუცილებლად არ არის დაკავშირებული სამართლის ნორმის გამოყენების კონკრეტულ ფაქტთან.[1086] საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ნებისმიერი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხსაც, რომელმაც შესაძლოა, განჭვრეტად მომავალში, დიდი ალბათობით, დაარღვიოს პირის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.[1087] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება იმ დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ნორმებთან (უმთავრესად, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობის მატერიალურ და პროცესუალურ ასპექტებთან) მიმართებით, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებისას, საკონსტიტუციო სასამართლო მხარეებისაგან არ მოითხოვს მტკიცებულების წარმოდგენას, რომ სადავო ნორმა მათ წინააღმდეგ უკვე უშუალოდ იქნა გამოყენებული.[1088] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ამ სფეროში, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება, ყოველთვის კონკრეტულ ინციდენტებზე არ არის დამოკიდებული.

[1085] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ელადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-9.

[1086] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1087] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ", II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის N1/5/424 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" II-1.

[1088] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N1/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის N1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ".

1.3. მოსარჩელე მხარე

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.[1089] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილების მიღებამდე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი იყო, რომ ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნდათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს. აღნიშნული მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ყველას ანიჭებდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებას, მიუხედავად მათი მოქალაქეობრივი სტატუსის, ადგილმდებარეობის, საცხოვრებელი თუ რეგისტრაციის ადგილისა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.[1090]

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მოსარჩელე მხარე ითხოვდეს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას არა ზოგადად, საქართველოს კონსტიტუციის დებულებებთან მიმართებით, არამედ კონსტიტუციის მხოლოდ მე-2 თავით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებთან მიმართებით.[1091] ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა მიემა-

---

[1089] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[1090] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5, II-19-21.

[1091] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/7/1465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ჩემპიონები 111“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის N3/7/831 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მანანა ჟორდანია და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის განჩინება N1/4/644 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ნაჭყებია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინება N1/2/541 საქმეზე, „მაია ხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

რთებოდეს მხოლოდ კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს.[1092]

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფიზიკური პირი პასუხობდეს სპეციალური სუბიექტობის მოთხოვნებსაც. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლებით მოსარგებლე პირთა წრეს, მოქალაქეობრივი სტატუსის, ასაკის, საქმიანობის სფეროსა თუ სხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით.[1093] სხვა შემთხვევებში, იგი თავადვე გამორიცხავს ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლებებითა თუ თავისუფლებებით ცალკეული ფიზიკური პირების მიერ სარგებლობის შესაძლებლობას. მაგალითად, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.[1094]

საკონსტიტუციო სასამართლომ, არსებითად მსგავსი პოზიცია განავითარა იურიდიულ პირებთან მიმართებითაც. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 2002 წლის 5 მარტამდე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი იურიდიული პირების მიმართვის შესაძლებლობას. 2002 წლის 12 თებერვლის N1264–IIს ორგანული კანონის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს იურიდიულ პირებს.[1095] შემდგომში, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტს, არამედ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ყოფილიყო მოქცეული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მიენიჭა ნებისმიერ იურიდიულ პირს, რო-

---

[1092] საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების ამომწურავ ჩამონათვალთან დაკავშირებით დაწვრ. იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე", 2017.

[1093] მაგ., პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება და სხვ.

[1094] საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1095] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" 2002 წლის 12 თებერვლის N1264–IIს საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლი.

მელზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა და იურიდიულ პირების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეგისტრაციის ადგილის შემოფარგვლა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.[1096] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება იურიდიულ პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მასზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ვრცელდება, მათი შინაარსის გათვალისწინებით.[1097]

ინდივიდუალური უფლებების დარღვევის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში დავის შესაძლებლობა, არ გააჩნია საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რამდენადაც ძირითადი უფლებები მოქმედებს სახელმწიფოს წინააღმდეგ. საჯარო სამართლის იურიდიული პირები კი, საკუთარი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები არიან, იბოჭებიან კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით და არ სარგებლობენ ამგვარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებით. ამ მიდგომისაგან შესაძლებელია, არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, თავად საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის სფეროსა და სპეციფიკის, ისევე, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლების შინაარსის გათვალისწინებით. მაგალითისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო და არსებითად გადაწყვიტა იმ იურიდიული პირების ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად იყვნენ რეგისტრირებულნი და, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, დავობდნენ საგადასახადო სფეროში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე.[1098] აღნიშნული

[1096] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-13.

[1097] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/3/511 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მწვანეთა პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5-9.

[1098] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია", სსიპ „ქრისტეს ეკლესია", სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია", ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან – ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი", სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია", ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი", სსიპ „წმინდა სამების ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში" და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საფუძვლით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით შესაძლოა, სარგებლობდეს ის საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც, რომლებიც ენევიან უმაღლეს საგანმანათლებლო ან პოლიტიკურ საქმიანობას და საზოგადოებრივი მაუწყებელი, მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ კონკრეტულ უფლებასთან მიმართებით.

ფიზიკური და იურიდიული პირების მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, სახალხო დამცველიც არის უფლებამოსილი, იყოს ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი.[1099] სახალხო დამცველის ამ ტიპის მიმართვა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე ინდივიდის წვდომის არაპირდაპირ ფორმას წარმოადგენს[1100] და არსებითად იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი. სახელდობრ, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.[1101] განსხვავება სამართალწარმოების მხოლოდ ერთ ნიუანსშია: სახალხო დამცველი კონსტიტუციურ დავას აბსტრაქტულად ახორციელებს და კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევაზე მითითების ვალდებულება არ გააჩნია.[1102] სახალხო დამცველი კონსტიტუციური სარჩელის ამ ფორმას სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად იყენებს. სხვა თვალსაზრისით, სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელზე იდენტურად ვრცელდება დასაშვებობისა და დასაბუთებულობის სტანდარტები.

1.4. მოპასუხე მხარე

საკონსტიტუციო სასამართლოში ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული დავის განხილვისას მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.[1103] საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში მოპასუხედ შესაძლოა იყოს ნებისმიერი სახელმწიფო, ავტონომიური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორ-

---

[1099] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[1100] Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 64.

[1101] Report on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th Online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020, 61.

[1102] იქვე, 62.

[1103] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

განო/თანამდებობის პირი, რომელიც ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად, მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობითი თუ აღმასრულებელი ორგანოები ან/და თანამდებობის პირები – საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, ცალკეული დარგობრივი მინისტრები. ბუნებრივია, ამ ჩამონათვალშიც, წამყვანი ადგილი საქართველოს პარლამენტს უკავია, რომელსაც, საკუთარი კონსტიტუციური სტატუსიდან და მანდატიდან გამომდინარე, ექსკლუზიურად გააჩნია სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების კომპეტენცია. საკონსტიტუციო სასამართლოში მოპასუხე ასევე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, მაგ., საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.[1104] არსებობს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეებზე მოპასუხე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა.[1105]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა პირდაპირ არ ანესრიგებს იმ საკითხს, ვინ უნდა იყოს მოპასუხე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებულ დავაში, თუ ნორმატიული აქტის მიმღები ორგანო/თანამდებობის პირი აღარ არსებობს.[1106] მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხედ თავად განსაზღვრავს სადავო ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს უფლებამონაცვლეს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის სამართლებრივი აქტები, საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხედ განსაზღვრა საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რამდენადაც კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას აღარ არსებობდა სადავო აქტის გამომცემი/მიმღები ორგანო, ხოლო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ფუნქციები, დარგობრივად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაში იყო გადასული.[1107]

[1104] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე, „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ".

[1105] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 იელისის N2/7/1545 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ".

[1106] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1107] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის

1.5. განსჯადობა, მიმართვის ხანდაზმულობისა და განხილვის ვადები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავები საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის მიერ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავის საგანს ორგანული კანონი წარმოადგენს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში აღნიშნული საკითხის არსებული მოწესრიგება ჩამოყალიბდა 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით.[1108] ამ დათქმის კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში, სადაც მოსარჩელე მხარე, მათ შორის, სადავოდ ხდიდა იმ ნორმას, რომელიც ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტას პლენუმის განსჯადობას მიაკუთვნებდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიასა და პლენუმის განსჯად საკითხთა გამიჯვნის საფუძველი უნდა ყოფილიყო არა სადავო ნორმატიული აქტის ფორმალური მხარე, არამედ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის შინაარსი, რომელიც წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მისი განმარტების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ორგანოს გააჩნია თავისუფალი შეფასების ფარგლები, რათა ორგანული კანონის სტატუსისა და მის მიერ მოსაწესრიგებელ საკითხთა წრის გათვალისწინებით, მასზე დავის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება არა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას, არამედ პლენუმს მიანიჭოს, რაც თავსებადია პარლამენტის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებთან, შეარჩიოს პლენუმის იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხთა წრე.[1109]

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობით აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელით

N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

[1108] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2016 წლის 3 ივნისის N5161-რს საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი.

[1109] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-144.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისთვის დადგენილი არ არის ხანდაზმულობის რაიმე ვადა. ამასთანავე, კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციური სარჩელის განხილვის საკანონმდებლო ვადებს, რომელიც განისაზღვრება არაუმეტეს 9 თვით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.[1110] კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის საპროცესო ვადები დადგენილი არ არის. რაც შესაძლოა, გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების სამართლებრივი წინაპირობა.[1111]

1.6. კონსტიტუციურობის შეფასების მასშტაბი

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს საქართველოს ნორმატიული აქტების მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტის ერთადერთ საზომს, სამართლებრივ საფუძველსა და შეფასების მასშტაბს საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს.[1112] ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, მოსარჩელე მოკლებულია შესაძლებლობას, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა სადავოდ გახადოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს მიღმა არსებულ დებულებებთან მიმართებით.

მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებას, ხშირად, ძირითადი პრინციპების კონტექსტშიც

[1110] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთი საქმეა, რომელთა არსებითი განხილვაც რამდენიმე წლის წინ დასრულდა და საკონსტიტუციო სასამართლო სათათბირო ოთახში გავიდა, თუმცა გადაწყვეტილება დღემდე არ გამოუტანია. მაგ., იხ., 2015 წლის 25 ნოემბრის N697 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; 2015 წლის 30 ოქტომბრის N678 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 16 თებერვლის N719 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" სხვა კონსტიტუციური სარჩელები.

[1112] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის N1/6/557 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერიან გელბახიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7.

ახორციელებს.[1113] მართალია, ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები არ ქმნის სადავო ნორმების მათთან შეფასების კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველს და არ აყალიბებს ძირითად კონსტიტუციურ უფლებებს, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, ძირითადი კონსტიტუციური უფლებების სათანადოდ დაცვისათვის, გასაჩივრებული ნორმატიული აქტი, ასევე ექვემდებარება გადამოწმებას საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და, ამ თვალსაზრისით, მსჯელობა წარიმართება ერთიან კონტექსტში.[1114] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები განაპირობებენ მთლიანად საქართველოს კონსტიტუციის შინაარსს, იმავდროულად, განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს. კონკრეტული დავების გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გააანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები, განმარტების შედეგად, არ დაცილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს".[1115] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო, ხშირად, მიუთითებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე,[1116] ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფოს და ხალხის ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით შეზღუდვის პრინციპზე.[1117] გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედმა რედაქციამ ეკონომიკური თავისუფლება კონსტიტუციური პრინციპის დონეზე განამტკიცა.[1118] საკონსტიტუციო სასამართლო ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას სწორედ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის პრიზმაში ახორციელებს.[1119]

[1113] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-3.

[1114] იქვე.

[1115] იქვე, II-1.

[1116] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[1117] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[1118] საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

[1119] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე, „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქა-

საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს ნორმატიული აქტების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობასაც. ერთადერთი აქტი, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობს ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისას, არის საქართველოს კონსტიტუცია. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა მოახდინოს საქართველოს კონსტიტუციის და არა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განმარტება და უზენაესობის გარანტირება.[1120] საკონსტიტუციო სასამართლო არ ადგენს არც ნორმატიული აქტის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიმართებით[1121], მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი და ეროვნული სამართლის ნაწილია.[1122]

კონსტიტუციური უფლებების სრულფასოვანი გააზრებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ისევე, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რითაც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის პრაქტიკაში რეალიზაციას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა ხდება საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა მაქსიმალური პატივისცემითა და მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების მხედველობაში მიღებით.[1123]

რთველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ", II-36; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სკს" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს გიგანტი სეკიურითი" და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ", II-2-3.

[1120] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-5.

[1121] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სვეტი დეველოპმენტი", „შპს სვეტი ჯგუფი", „შპს სვეტი", „შპს სვეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

[1122] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 161-162.

[1123] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის N2/6/465 სა-

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეთა შესაძლებლობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე თავიანთი არგუმენტები ევროპული კონვენციის ნორმებით გაამყარონ. აღნიშნული ვრცელდება აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლითაც დაზუსტებულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსი და მოცულობა.[1124] აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 3 მარტს საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის საპასუხოდ გადმოცემული 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები განახორციელა, მათ შორის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში.[1125] საერთაშორისო თანამეგობრობის პროგრესული მიღწევების ეროვნულ დონეზე განსახორციელებლად, ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სადავო მნიშვნელობის საკითხის დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული განმარტებები.[1126] ამდენად, თუ ხსენებულ ცვლილებამდე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის გამოყენების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით იყო მოწესრიგებული, დღესდღეობით არსებობს საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავს შესაძლებლობას.

ოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[1124] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „უნისერვისი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[1125] 2022 წლის 18 ოქტომბრის N1914-IXმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[1126] 2022 წლის 18 ოქტომბრის N1914-IXმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" განმარტებითი ბარათი.

პრაქტიკაში, საკონსტიტუციო სასამართლო, ევროსასამართლოს პრაქტიკისა და ევროკავშირის სტანდარტების ხშირად იყენებს საკუთარი გადაწყვეტილებების არგუმენტირებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთაშორისო სამართალს იყენებს, როგორც საკუთარი გადაწყვეტილების ძირითადი არგუმენტაციის დამატებით, შემავსებელ ინსტრუმენტად და სახელდებით ასახავს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, სხვა შემთხვევებში კი, წარმოადგენს მისთვის საკითხის თაობაზე ზოგადი აზრის ფორმირების შესაძლებლობას, გადაწყვეტილების ტექსტში მითითებით ან მითითების გარეშე.[1127] აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ადრეულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში სადავო ნორმის კონსტიტუციურობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიმართებითაც შეაფასა,[1128] თუმცა ეს განყენებული შემთხვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგად და თანმიმდევრულ პრაქტიკად.

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ აფასებს სადავო ნორმატიული აქტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელებში, თუ საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე, მხარეები ხშირად მიუთითებენ საერთაშორისო სასამართლოებისა და ორგანოების პრაქტიკასა და ოფიციალურ დოკუმენტაციებზე.[1129] აღნიშნული არ გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ რო-

---

[1127] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1128] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „უნისერვისი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[1129] იხ., მაგ., 2021 წლის 20 მაისის N1603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2021 წლის 20 მაისის N1603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2018 წლის 25 აპრილის N1312 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღ-

მელიმე საერთაშორისო შეთანხმება ან ხელშეკრულება აიყვანოს კონსტიტუციურ რანგში და თავის მსჯელობებში კონსტიტუციური ნორმები ჩაანაცვლოს საერთაშორისო სამართლის ნორმებით.[1130]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მასშტაბს თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით არ მიუთითებს თანაზომიერების პრინციპზე, თუმცა 2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედმა რედაქციამ გაითვალისწინა ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.[1131] ეს ჩანაწერი თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციურ ჩანასახად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც მოითხოვს, რომ შეზღუდული და დაცული ინტერესები ერთმანეთთან სამართლიან ბალანსში უნდა იმყოფებოდნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის განუყოფელ ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის ვიწროდ პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.[1132] საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით აფასებს თითოეული უფლებაშემზღუდველი რეგულაციის მატერიალურ კონ-

---

მდეგ"; 2017 წლის 27 აპრილის N1208 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამუკა ცაავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 15 სექტემბრის N828 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – კობა ეპიტაშვილი, ხვიჩა ყორმიზაშვილი, ლევან გაბაშვილი, ბადრი ბეჟანიძე და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 21 ივლისის N811 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", და სხვა კონსტიტუციური სარჩელები.

[1130] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5.

[1131] საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1132] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-60.

სტიტუციურობას. საკონსტიტუციო სასამართლო ამავე პრინციპზე დაყრდნობით აფასებს არსებითად თანასწორ პირთა შორის განსხვავებული მოპყრობის დისკრიმინაციულობას, როდესაც ე. წ. „კლასიკური ნიშნის" საფუძველზე დიფერენცირებული მოპყრობა ექვემდებარება კონსტიტუციურობის შეფასებას „მკაცრი ტესტის" საფუძველზე.[1133]

თითოეული უფლებაშემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისა და კონსტიტუციური დავის გადაწყვეტის პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ადგენს რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება სადავო რეგულირება. ამგვარი ლეგიტიმური მიზნის არარსებობისას, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, ნებისმიერ შემთხვევაში, თვითნებურად და საფუძველშივე არაკონსტიტუციურად იქნება მიჩნეული. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეში განაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის ქვეშ მოაზრებული სიკეთე ნორმატიულად მოწესრიგებადი და ფასეული უნდა იყოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი და არა ისეთი, რომელიც გაუცხოებულია ნორმატიული ნებისგან და არ შეესაბამება მას.[1134] მაგალითისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური ან შეჯიბრებითი მოდელის შერჩევისას სახელმწიფოს მიზანმიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ უკეთ უზრუნველყოს დანაშაულთან ბრძოლა და პირების საპროცესო უფლებების დაცვა. ამდენად, მოდელის შერჩევა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გზას და არა თვითმიზანს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ინკვიზიციური ბუნების შენარჩუნება არ იქნა მიჩნეული იმ ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევადაც დასაშვებია კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.[1135]

კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის მარტოოდენ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი შეზღუდვის გამართლებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ შერჩეული გზა იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, არსებობდეს ლოგიკური კავშირი მოპასუხის მიერ დასახე-

---

[1133] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1134] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი", შპს „პატარა კახი", სს „გორგიტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი" და შპს „ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ", II-9.

[1135] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ლებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის და, ზოგადად, იძლეოდეს მისი მიღწევის შესაძლებლობას.[1136] მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ არ არსებობდა ლოგიკური კავშირი უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების აკრძალვასა აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების საჯარო ინტერესს შორის. ამავე საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ, აგრეთვე მიუთითა, რომ უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა იმ პირობებში, როდესაც ამავე უცხოელს აქვს შესაძლებლობა, მის კონტროლ ქვეშ მყოფი იურიდიული პირის საშუალებით იყიდოს ხსენებული მიწა, იყო ალოგიკური და მიზნის მიღწევის გამოუსადეგარ საშუალებას წარმოადგენდა.[1137]

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ის, რომ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გზა არ წარმოადგენს მისი მიღწევის ყველაზე ეფექტიან საშუალებას, არ გადააქცევს სახელმწიფოს მიერ შერჩეულ ღონისძიებას გამოუსადეგარ საშუალებად. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ ნორმა, მართალია, ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, მაგრამ არ არის მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება. ამრიგად, არასწორია იმის მტკიცება, რომ კანონი იმიტომ შეიძლება იყოს არაკონსტიტუციური, რომ იგი მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება არ არის.[1138]

გამოსადეგობასთან ერთად, საჭიროა, უფლებაშემზღუდველი რეგულაცია პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის ელემენტსაც. კერძოდ, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება იყოს უფლების შეზღუდვის აუცილებელი, ვიწროდ მიმართული საშუალება. საჭიროა, არ არსებობდეს ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გონივრული შესაძლებლობა.[1139]

[1136] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ჯახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-48.

[1137] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-65-67.

[1138] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის N2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-39; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-40.

[1139] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-26.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თანაზომიერების პრინციპი აგრეთვე მოითხოვს, რომ დაცული იყოს პროპორციულობა ვიწრო გაგებით. კერძოდ, აუცილებელია, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მიღწეულ იქნეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის. ეს კი გულისხმობს, რომ სიკეთე, რომლის მიღწევასაც ემსახურება სადავო რეგულაცია, აღემატებოდეს შეზღუდული უფლების დაცვის ინტერესს.[1140]

1.7. გადაწყვეტილების იურიდიული ძალა და ეფექტი

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია საბოლოო და სავალდებულო ხასიათი და *erga omnes* და *ex nunc* ეფექტი.[1141]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[1142] ამრიგად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის მექანიზმს, რომელიც მოსარჩელის მიერ დარღვეულ უფლებებსა და თავისუფლებებში აღდგენას უზრუნველყოფდა და საბოლოოდ დასრულებული საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობას წარმოშობდა.

ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გამონაკლისი არსებობს სისხლის საპროცესო სამართლის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში. კერძოდ, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კონკრეტულ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.[1143] თუ ცალკეული პირი საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცალკეული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას და საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელე მხარის კონსტიტუციურ

[1140] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/5/1499 გადაწყვეტილება საქმეზე, „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-36.

[1141] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1142] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

[1143] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

სარჩელს, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა წარმოადგენდა გამოსაყენებელ კანონს ამ პირის სისხლის სამართლის საქმეში.

ამგვარი სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში.[1144] მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული.[1145] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად კი, გარიგებების კანონიერების, მისი ბათილობის საფუძვლების შემოწმებისას გამოიყენება გარიგების დადების დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ამრიგად, სწორედ ხელშეკრულების ბათილობის საკითხი წყდება ამ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.[1146] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გააჩნია რაიმე სახის ეფექტი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების საფუძველზე გადაწყვეტილი ურთიერთობების მიმართ.[1147]

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ეფექტის კონტექსტში, მნიშვნელოვანია, აგრეთვე სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის პრაქტიკაზე ყურადღების გამახვილება. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის მექანიზმი პირველად გამოიყენა 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილებაში.[1148] ამ

[1144] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი.

[1145] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი წინადადება.

[1146] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე, №ას-880-838-2013; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N1/3/679 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-5-6.

[1147] აღნიშნული საკითხის კონსტიტუციურობა სადავოდ არის გამხდარი N678 და N719 კონსტიტუციურ სარჩელებში. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/8/678 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის N3/1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1148] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მექანიზმს საკონსტიტუციო სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც სადავო ნორმიდან რამდენიმე წესის წაკითხვა, ინტერპრეტაციაა შესაძლებელი, რომელთაგანაც ერთ-ერთი არაკონსტიტუციურია. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ნორმატიული აქტი კონსტიტუციურია და არაკონსტიტუციურია მხოლოდ მისი კონკრეტული ფორმით გამოყენება, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმას მთლიანად არაკონსტიტუციურად არ ცნობს, არამედ აფასებს და საჭიროების შემთხვევაში ძალადაკარგულად ცნობს სადავო ნორმის კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსს, მისი სრულად ძალადაკარგულად გამოცხადების გარეშე. აღნიშნული კი დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის ირიბ სამართლებრივ მექანიზმად შეიძლება იქნეს მიჩნეული.[1149]

[1149] ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2017.

2. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი

2.1. არსი, დანიშნულება და ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან საქართველოს მთავრობას ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილებას. ამ კონსტიტუციური დებულებით განმტკიცებულია ე.წ. აბსტრაქტული ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი.[1150] ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის *actio popularis* ფორმით განხორციელება არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი პირი აღჭურვილია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით, არამედ ამგვარი კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით უფლებამოსილ სპეციალურ სუბიექტებს – საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის არა ნაკლებ ერთ მეხუთედს ან მთავრობას გააჩნია.[1151]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აბსტრაქტული ნორმათკონტროლის უფლებამოსილების საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მინიჭება დაკავშირებულია სამართლისა და კონსტიტუციის უზენაესობის იდეის რეალიზაციასთან.[1152] მისივე განმარტებით, ეს ფუნქცია პოლიტიკურ პროცესში კონსტიტუციის აღსრულების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და ემსახურება პოლიტიკური უმრავლესობის ძალაუფლების მხრიდან კონსტიტუციით განმტკიცებულ საერთო ღირებულებებსა და პრინციპებზე დომინირების აღკვეთას.[1153]

[1150] შემდგომში, წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლისა და აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ცნებები გამოყენებული იქნება აბსტრაქტული ნორმატიული საკონსტიტუციო კონტროლის ექვივალენტურ ცნებებად.

[1151] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[1152] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-111; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18; ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 38.

[1153] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნი-

ეს ინსტრუმენტი გამოიყენება არა მოსარჩელეთა სუბიექტური ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების, არამედ, უმეტესწილად, საჯარო ინტერესის – კონსტიტუციური წესრიგის, დასაცავად, რომლის ნაწილია ძირითადი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.[1154] ამრიგად, ხსენებული კომპეტენციის ფარგლებში საკმარისია იმის დასაბუთება, რომ კონკრეტული ნორმატიული წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.[1155] მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი ემსახურება კონსტიტუციის ობიექტურ დაცვას, არ გამოირიცხება მისი სუბიექტური ხასიათიც – იგი საპარლამენტო უმცირესობების სუბიექტური უფლებების დაცვის შესაძლებლობაა.[1156]

2.2. განხორციელების ფორმები

აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოში შემდგომი ხასიათი (*a posteriori*) გააჩნია. საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით მიუთითებს ნორმატიულ აქტზე, როგორც აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტზე და არა ნორმატიული აქტის პროექტზე.[1157] ამას ცხადყოფს აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის საპროცესოსამართლებრივი მონესრიგებაც.[1158] საკონსტიტუციო სასამართლო, წინასწარი ფორმით (*a priori*) აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს მხოლოდ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმებისას ახორციელებს, რომელიც ექვემდებარება რატიფიცირებას. კონსტიტუციური წარდგინების შეტანა შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე.[1159]

სის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[1154] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8-9; Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010, 49.

[1155] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 24.

[1156] Daneliene I., Individual Access to Constitutional Justice in Lithuania: The Potential Within the Newly Established Model of the Individual Constitutional Complaint, Revista de Derecho Político, No. 111, 2021, 286-287.

[1157] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[1158] იხ., იქვე, მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1159] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

განხორციელების თვალსაზრისით, აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოში ფაკულტატური ბუნება გააჩნია და მისი განხორციელება დამოკიდებულია საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური სუბიექტების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე.[1160] ამასთან, არც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რაიმე ფორმით საკანონმდებლო აქტების ან მათი პროექტების კონსტიტუციურობის სავალდებულო შემოწმების შესაძლებლობას და არც საკონსტიტუციო სასამართლოა უფლებამოსილი, ისარგებლოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების თვითინიციირების შესაძლებლობით.[1161]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი სახელდებით ჩამოთვლის იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია. უფრო კონკრეტულად, საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა.[1162]

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია, ზოგადად, მიუთითებს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების კომპეტენციაზე და არ აკონკრეტებს ნორმატიული აქტების კატეგორიებს, რომლებზეც ვრცელდება საკონსტიტუციო კონტროლი.[1163] ამ მხრივ, მართალია, არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, რა შეიძლება მოიაზრებოდეს „ნორმატიული აქტების" ცნებაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი აქტების ჩამონათვალი ვერ შეიზღუდება ქვემდგომ საკანონმდებლო აქტში მოცემული დეფინიციით. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი აქტების საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვა, შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციასთან მოდი-

---

[1160] იქვე, 33-ე მუხლის პირველი პუნქტი; კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 40.

[1161] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი და 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1162] იქვე, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1163] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

ოდეს წინააღმდეგობაში.[1164] ამ დაშვებას ამყარებს თავად საქართველოს კონსტიტუციის ისტორიული განმარტებაც.[1165]

საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით არ მიუთითებს არც ფორმალური აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების კომპეტენციაზე. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენტურია აბსტრაქტული ნორმათკონტროლი განახორციელოს როგორც კანონის მატერიალური, აგრეთვე ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით.[1166] ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შესაძლოა, გახდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საკითხის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პროცედურულ ნორმებთან მიმართებით.[1167] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის 2022 წლის 14 აპრილამდე მოქმედი რედაქცია განსაზღვრავდა, რიგ საკითხებს, რომელთა ფარგლებშიც, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებდა, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციასთან განსახილველი საკითხების შინაარსობრივ შესაბამისობას, ხოლო, მეორე მხრივ, არკვევდა, დაცული იყო თუ არა საქართველოს საკანონმდებლო აქტისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესები.[1168]

ორგანული კანონის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ზემოხსენებულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას, ამოწმებს მხოლოდ მისი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას.[1169] ამრიგად, მოქმედი ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი აღარ ითვალისწინებს ამ საკითხებთან მიმართებით დავის

[1164] შეად., ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 179.

[1165] საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონის მსგავსად, ჩამოთვლიდა იმ აქტებს, რომლებიც აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარებოდა, იხ., საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[1166] შეად., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 34.

[1167] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1168] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2022 წლის 14 აპრილამდე მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1169] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვეტისას, სადავო ნორმატიული აქტის ფორმალური კონსტიტუციურობის შემოწმებაზე მითითებას. მიუხედავად ამისა, ამავე კანონის მე-19 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგად უფლებამოსილებებს, ისევე, როგორც 33-ე მუხლი, რომელიც აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში აწესრიგებს, მათ შორის, დავის საგანს, კვლავაც ითვალისწინებს ჩანაწერს ფორმალური აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.[1170] საქართველოს კონსტიტუცია, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, დავის საგნად განსაზღვრავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას, რომელსაც ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნია.[1171] შესაბამისად, აბსტრაქტული ნორმათკონტროლი, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის, შესაძლებელია, გულისხმობდეს როგორც ფორმალურ, აგრეთვე მატერიალურ კონსტიტუციურობას.

ფორმალური თვალსაზრისით, მსჯელობის საგანი შესაძლებელია, აგრეთვე გახდეს საკანონმდებლო დელეგირებაც. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს არა მხოლოდ კონკრეტული კანონის მიღების პროცედურულ ასპექტებს (მაგ., კვორუმი), არამედ ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც ორდინალური, ორგანული[1172] თუ კონსტიტუციური კანონის საფუძველზე უნდა მონესრიგდეს.

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენი პირებისაგან განსხვავებით, რომლებიც, გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით არიან შეზღუდულნი, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, მოსარჩელე უფლებამოსილია, გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვოს საქართველოს კონსტიტუციის

[1170] აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განმარტებითი ბარათი არ შეიცავს მითითებებს უშუალოდ აღნიშნული ცვლილების მიზანმიმართულების შესახებ. იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის განმარტებითი ბარათი.

[1171] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-63.

[1172] მაგ., იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია ორგანული კანონით, რომელიც გადაისინჯება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის განსაზღვრული წესით; 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით; 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება, რომლის შესაბამისადაც, პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

ნებისმიერ დებულებასთან, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მიღმა არსებულ კონსტიტუციურ დანაწესთან[1173], ძირითადი პრინციპების დამდგენ ნორმებთან[1174] ან/და საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით[1175]. ამას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ ორ შემთხვევაში შეაფასა სადავო ნორმების კონსტიტუციურობა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით.[1176] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში გადასაწყვეტი დავის შეფასების მასშტაბი მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციაა.

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის ავტორს ეკისრება მისი დასაბუთების ვალდებულება. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელშიც მაგალითად, მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდიდა მოქმედ ნორმატიულ აქტს და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიემართებოდა სადავო ნორმას[1177]. გარდა ამისა, იმ ძირითად მოთხოვნებთან ერთად, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს თითოეული კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგე-

---

[1173] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1174] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1175] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის N2/35 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1176] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის N2/35 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1177] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის N3/2/602 განჩინება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, ზურაბ ჩილინგარაშვილი და სხვები, სულ 35 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4, II-11.

ბელი კანონმდებლობით გათვალისწინებულია დამატებითი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იგი ფორმალური თუ მატერიალური გამართულობისათვის. მაგალითად, თუ მოსარჩელე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[1178] წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი არ გატარდება რეგისტრაციაში ან, შემდგომში, კანონმდებლობის მოთხოვნებთან ფორმალური შეუსაბამობის გამო, არ იქნება არსებითად განსახილველად მიღებული.

და ბოლოს, აბსტრაქტული ნორმათკონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის არსებითად განსახილველად მიიღოს ძალადაკარგული ნორმები.[1179] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ისევე, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა სადავო ძალადაკარგულ ნორმაზე მსჯელობის შესაძლებლობის თვალსაზრისით, არ განსხვავდება მსგავსი შემთხვევების მიმართ არსებული ზოგადი მიდგომისგან.[1180]

2.3. მოსარჩელე მხარე

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ინიციატორი სუბიექტები განსხვავებულია ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის სახელმწიფოებში, თუმცა, როგორც წესი, მსგავსი უფლებამოსილება უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებისათვის, პოლიტიკური აქტორებისთვის არის ხელმისაწვდომი.[1181] განსხვავებები მდგომარეობს მხოლოდ იმ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, რომლებიც აღჭურვილნი არიან აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტრო-

---

[1178] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[1179] იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი; იხ., აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 17 მარტის N1/2/101 განჩინება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1180] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, 1996; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 16 ივნისის N1/13/1704 განჩინება საქმეზე, „ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-47.

[1181] Sólyom L., Constitutional Justice – Some Comparative Remarks, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-JU(2003)30, 2003, 2; Daneliene I., Individual Access to Constitutional Justice in Lithuania: The Potential Within the Newly Established Model of the Individual Constitutional Complaint, Revista de Derecho Político, No. 111, 2021, 286.

ლის ინიციირების კომპეტენციით. მსგავსი განსხვავებები, ძირითადად, ეფუძნება სხვადასხვა სახელმწიფოს ისტორიულ კონტექსტს, მმართველობისა თუ ტერიტორიული მოწყობის ფორმებს და სხვა კრიტერიუმებს. მაგალითად, ავსტრიაში, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ინიციატორი სუბიექტების წრის განსაზღვრისას, ამოსავალია ავსტრიის ფედერალისტური სტრუქტურა, ისევე, როგორც კონსტიტუციის მიერ უმცირესობების დაცვის ფორმალური ფუნქციის იდეა, რის გამოც ავსტრიაში აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პროცედურის ინიციირების უფლებამოსილება გააჩნია ფედერალურ მთავრობას, ფედერაციული ერთეულების სუბიექტებსა და სახელმწიფოს პარლამენტის წევრთა ერთ მესამედს.[1182] მსგავსად, გერმანიაში ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვილია მხოლოდ ფედერალური მთავრობა, მიწის მთავრობა ან ბუნდესტაგის წევრთა ერთი მეოთხედი.[1183]

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და საქართველოს მთავრობას.

საქართველოს პრეზიდენტს ამგვარი უფლებამოსილება ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის საქართველოში დანერგვის საწყისი ეტაპიდანვე გააჩნდა. დროთა განმავლობაში, საქართველოში სახელმწიფო მოწყობის ცვლილების კვალდაკვალ, განსხვავებული იყო საქართველოს პრეზიდენტის როლი და დანიშნულება აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში. მაგალითად, იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის როლს საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში საკმაოდ ფართო ხასიათი გააჩნდა და, მეტიც, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, შესაძლებელია, ბუნებრივად, ნაკლები ყოფილიყო მის მიერ საკანონმდებლო სივრცეზე ზემოქმედებისათვის აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის გამოყენების საჭიროება.[1184] დღესდღეობით კი, საპარლამენტო რესპუბლიკაში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი არ არის აღჭურვილი საკანონმდებლო საქმიანობის პროცესზე და მის პროდუქტზე ზემოქმედების ფართო მექანიზმებით, აბსტრაქტული ნორმა-

---

[1182] Bezemek Ch., A Kelsenian Model of Constitutional Adjudication – The Austrian Constitutional Court, Austrian Journal of Public Law, 2012, 10.

[1183] გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და 2^1 ქვეპუნქტები.

[1184] Final Opinion on the Draft Constitutional Law on Amendments and Changes to the Constitution of Georgia, adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session,, CDL-ad(2010)028, Strasbourg, 15 October, 2010, 14.

თკონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა მნიშვნელოვან მექანიზმად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის პროცესში. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი პარტიულად ნეიტრალური ფიგურაა და მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას მეტად ობიექტური ხასიათი ექნება.[1185]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით, აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, პირველად 2024 წელს ისარგებლა, რომლის ფარგლებშიც ასაჩივრებს „„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის რიგი ნორმების კონსტიტუციურობას.[1186]

საქართველოს პრეზიდენტისაგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობას აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურის ინიციირების კომპეტენცია საკანონმდებლო დონეზე 2004 წლის 25 ნოემბრის N599–IIს საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მიენიჭა.[1187] სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის ცვლილება. კერძოდ, 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტს, ფორმალურად, ჩამოერთვა ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მეთაურის სტატუსი და საქართველოს მთავრობას აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა.[1188]

სინამდვილეში, საქართველოს მთავრობის – აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ექსკლუზიურად განმახორციელებელი სუბიექტის აღჭურვა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციის დაცვისა და მის ფარგლებში მოქმედების საქართველოს მთავრობისათვის დაკისრებული უპირობო ვალდებულებით.[1189] ამგვარი შესაძლებ-

---

[1185] შდრ. ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 176.

[1186] იხ., 2024 წლის 18 ივლისის N1828 კონსტიტუციური სარჩელი, საქმეზე „საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1187] 2004 წლის 25 ნოემბრის N599–IIს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი.

[1188] დემეტრაშვილი ა., მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, წიგნში: სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, გ. ნოდიას და დ. აფრასიძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 26.

[1189] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 176.

ლობა საპარლამენტო სისტემებში პოლიტიკურ-სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრის მნიშვნელოვან ბერკეტად განიხილება.

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედსაც გააჩნია. საპარლამენტო უმცირესობების მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვა მეტ-ნაკლებად მსგავსია ევროპის ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის მქონე სახელმწიფოებში. განსხვავება მხოლოდ პარლამენტის წევრთა რაოდენობაში მდგომარეობს, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, პარლამენტის სტრუქტურულ მოწყობასთანაც არის დაკავშირებული.[1190] საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისთვის საჭირო პარლამენტის წევრთა ხმების რაოდენობა უნდა პასუხობდეს ცალკეული სახელმწიფოების საპარლამენტო სისტემების თავისებურებებს და არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შეუძლებელი იყოს საპარლამენტო უმცირესობის მიერ მისი გამოყენება.

2.4. მოპასუხე მხარე

აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში მოპასუხეა სადავო ნორმის მიმღები ორგანო, ხოლო თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს, მოპასუხეა ამ აქტის მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო, ამ ორგანოს არარსებობისას კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოები.[1191] მართალია, ამ ნორმის გამოყენების საჭიროების წინაშე, საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ არ დამდგარა, თუმცა ნორმის ტელეოლოგიური და გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს უფლე-

---

[1190] მაგ., გერმანიაში ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვილია ბუნდესტაგის წევრთა ერთი მეოთხედი, ავსტრიაში – პარლამენტის წევრთა ერთი მესამედი, ესპანეთში – 50 დეპუტატი ან/და 50 სენატორი, ხორვატიაში – პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – ეროვნული ასამბლეის ნევრთა ერთი მესამედი. იხ., გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და 21 ქვეპუნქტები; ავსტრიის კონსტიტუციის 140-ე მუხლის პირველი პუნქტი; „ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ესპანეთის ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „დ" ქვეპუნქტები, 1979; „ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ხორვატიის კონსტიტუციური კანონის 35-ე მუხლი, 2004; Plessis M.D., Penfold G., Brickhill J., Constitutional Litigation, Law Society of South Africa, 2014, 29.

[1191] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბამონაცვლის არარსებობას, საკონსტიტუციო სასამართლო თავად გადაწყვეტს მოპასუხის ვინაობას. მსგავს შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ მოპასუხედ განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების ის ორგანო, რომელიც, ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე ახლოს დგას სადავო აქტის მიმღებ/გამომცემ ორგანოსთან.

2.5. განსჯადობა, მიმართვის ხანდაზმულობისა და განხილვის ვადები

აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელის განხილვა და გადაწყვეტა განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.[1192] ამ კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს პლენუმის განსჯადი საქმეების, მათ შორის, აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის საქმის გადაწყვეტის ვადა.[1193] მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო დაასრულებს საქმის არსებით განხილვას და გავა სათათბირო ოთახში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის საპროცესო ვადები დადგენილი არ არის, რაც შესაძლოა, გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების წინაპირობა.[1194]

2.6. გადაწყვეტილების იურიდიული ძალა და ეფექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აბსტრაქტულ კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებას გააჩნია საბოლოო და სავალდებულო ხასიათი, *erga omnes* და *ex nunc* ეფექტი. საბოლოობა გულისხმობს, რომ არ არსებობს მხარეების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ან ზემდგომი ორგანოს მიერ გადასინჯვის და საქმის თავიდან განხილვისა და გადაწყვეტილების შედე-

---

[1192] იქვე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1193] იქვე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1194] მაგალითისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია N668 კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო 2015 წლის 12 ოქტომბერს და რომლის არსებითი განხილვა დასრულდა 2016 წლის 26 თებერვალს, თუმცა გადაწყვეტილება დღემდე არ მიღებულა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმი N668 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

გების შეცვლის სამართლებრივი შესაძლებლობა.[1195] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გამოცხადების მომენტიდან შესასრულებლად სავალდებულოა, იგი ბოჭავს ნებისმიერ პირს და არ არსებობს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის სამართლებრივი შესაძლებლობა.[1196]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი იმპერატიულად არის მოწესრიგებული საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[1197] მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობაც უშუალოდ აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციასთან მიმართებით. კერძოდ, აბსტრაქტული კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[1198]

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით დაადგინოს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის სხვა, უფრო გვიანდელი ვადა.[1199] ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია *pro futuro* ეფექტი. ამ მექანიზმს საკონსტიტუციო სასამართლო, საჭიროებისამებრ იყენებს ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევებთან მიმართებით.[1200] კერძოდ, თუ საკონ-

---

[1195] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

[1196] ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N6, 2013, 4.

[1197] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1198] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1199] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1200] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე, „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის N2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 იულისის N2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან ალაფიშვილი და „ეს ალაფიშვილი და ყაველაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7

სტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არაკონსტიტუციურობის გამო, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შესაძლოა, შექმნას საკანონმდებლო ვაკუუმი და ზიანი მიაყენოს სხვა პირთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ისევე, როგორც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესებს, იგი გადაავადებს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულებას გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად. მსგავს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს სამომავლო ვადას, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილ სუბიექტს ექნება შესაძლებლობა, ახლებურად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მოაწესრიგოს არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობა. ამ ვადის გასვლის შემდგომ სადავო ნორმა იურიდიულ ძალას კარგავს.[1201]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვრცელდება გადაწყვეტილების მიღების შემდგომ წარმოშობილ ურთიერთობებზე, არ გააჩნია რეტროაქტიური ძალა და გადაწყვეტილების მიღებამდე/გამოქვეყნებამდე, სადავო ნორმატიული აქტის საფუძველზე მოწესრიგებული ურთიერთობები ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას.[1202] კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[1203] აღნიშნული ეფექტი მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი უსაფრთხოების, კანონიერებისა და

ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სეს" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1201] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის N2/1/1434,1466 გადაწყვეტილება საქმეზე, „ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-52, II-53; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე, „ელგა მაისურაძე, ირმა გიგუტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29, II-30; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-111, II-112.

[1202] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტის მოწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა სადავოდ არის გამხდარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის N3/1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1203] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

კანონის განსაზღვრულობის პრინციპებთან და გაზიარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო პრაქტიკაში.[1204]

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, ეფექტების კონტექსტში, არის გადაწყვეტილების *erga omnes* ბუნება, რაც გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას გააჩნია საყოველთაო სავალდებულო ხასიათი მთელ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.[1205] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ცალკეული ნაწილი „ქრება" სამართლებრივი სისტემიდან, რაშიც ვლინდება კელზენისეული ნეგატიური კანონმდებლის კონცეფცია.[1206] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების თითოეული შტოსა და ორგანოსათვის, ისევე, როგორც ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების *erga omnes* ეფექტის გამო, იგი ქვეყნდება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, მასზე საზოგადოების საყოველთაო ხელმისაწვდომობა.[1207]

[1204] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების *ex nunc* ეფექტთან მიმართებით თითქმის უნივერსალურია ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის სისტემის მქონე სახელმწიფოთა მიდგომები, მცირე გამონაკლისების გარდა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს შესაძლებელია, გააჩნდეთ *ex tunc* ეფექტი, რაც გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტის გავრცელებას თავად ამ გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე (მაგ., გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი და სხვ.). იხ., Verstraelen S., The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, German Law Journal, Vol. 14, No. 9, 2013, 1693, 1706.

[1205] Conference on Relations of the Constitutional Court with Other Public Authorities, Adopted by Venice Commission in Cooperation with the Constitutional Court of the Republic of Moldova, 24-25 September, 2015, CDL-JU(2015)021, Chisinau, Moldova, 7.

[1206] Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Pennsylvania Journal of Constitutional Law, Vol. 3. No. 3, 2001, 983.

[1207] Bezemek Ch., A Kelsenian Model of Constitutional Adjudication – The Austrian Constitutional Court, Austrian Journal of Public Law, 2012, 13.

3. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ცალკეული ფორმები

3.1. დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე

კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე.[1208] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია,[1209] განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება, მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტას და განპირობებულია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თავისებურებებით.[1210] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავა ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალური დაბალანსების ობიექტურ მიზანს. ერთი მხრივ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ უნდა ხელყოს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და უფლებამოსილებები, ხოლო მეორე მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ უნდა დაარღვიოს კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული ფარგლები. მსგავსი დარღვევები აზიანებს არა მარტო ცენტრალური ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სამართლებრივ პოზიციებს, არამედ კონსტიტუციურ წესრიგს მთლიანობაში.[1211]

კონსტიტუციური კანონის დარღვევა შესაძლებელია როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ისე თავად ავტონომიური რესპუბლიკის ხელი-

---

[1208] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

[1209] საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1210] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 246.

[1211] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 328.

სუფლების ორგანოების თუ თანამდებობის პირების მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა აღკვეთოს ყოველგვარი კონსტიტუციური კანონის დარღვევა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი და, შესაბამისად, უზრუნველყოს კონსტიტუციური კანონის უზენაესობა.[1212] სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე სარჩელის შეტანის უფლება აქვთ როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს – საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. აღნიშნულ საკითხზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონით დადგენილ როგორც ფორმალურ, ასევე შინაარსობრივ მოთხოვნებს.[1213] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის წარმოშობისას მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომელმაც, მოსარჩელეთა აზრით, დაარღვია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონი.[1214]

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აქტის შესაბამისობა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია,[1215] რომელსაც განიხილავს რიგგარეშე,[1216] ზეპირი მოსმენითა და მხარეთა მონაწილეობით. აღნიშნული კომპეტენციის განხორციელების სპეციფიკა დავის საგანში ვლინდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანია ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობა კონსტიტუციურ კანონთან, რომელიც მართალია, კონსტიტუციის ნაწილია, თუმცა არაა მასში ინტეგრირებული. ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, „აჭარის ავტონო-

---

[1212] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 251-252.

[1213] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მე-7 პუნქტი.

[1214] იქვე, 41[1] მუხლი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პარლამენტის მიერ 13.10.2017 წელს მიღებული N1325 კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საფუძველზე. სავარაუდოა, რომ საქართველოს ორგანული კანონის 41[1] მუხლში ჩარჩენილია ძველი ჩანაწერი და მასში დღესდღეობით მოიაზრება მოქმედი კონსტიტუციური კანონი.

[1215] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1216] იხ., იქვე, 31[2] მუხლის მე-13 პუნქტი.

მიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან ნორმატიული აქტის შესაბამისობაზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნით და, შესაბამისად, სრულად გამოირიცხება მთლიანად ნორმატიული აქტის შეფასება.[1217] აღნიშნული დავის ფარგლებში სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[1218]

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება -განიხილოს დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე, ორგანული კანონით განსაზღვრულ კომპეტენციათა რიცხვს მიეკუთვნება და თავად კონსტიტუცია არ აღჭურავს სასამართლოს ამგვარი უფლებამოსილებით, რის გამოც, დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება აღნიშნული უფლებამოსილების კონსტიტუციის მე-60 მუხლთან შეუსაბამობის თაობაზე.[1219]

3.2. საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის შეფასება.[1220] ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საკითხზე კონსტიტუციური ნარდგინების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტს.[1221] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესახებ დავა კონსტიტუციით დადგენილი ის მექანიზმია, რომელმაც თვისობრივად უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების ინიციირება.

[1217] იხ., იქვე, 26-ე მუხლის 1^1 პუნქტი.

[1218] იხ., იქვე, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

[1219] შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 265.

[1220] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

[1221] იქვე, 41^2 მუხლის პირველი პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით/სარჩელით მიმართვის სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან, კონსტიტუციურ კანონთან შემოწმების მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვისას პარლამენტმა კონსტიტუციურ წარდგინებას უნდა დაურთოს დადგენილება,[1222] რომლითაც ფორმდება მისი გადაწყვეტილება. დადგენილება მიიღება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.[1223]

აღნიშნულ საკითხზე დავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია,[1224] რომელსაც იგი არსებითად განიხილავს კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საკითხის გამოკვლევის მიზნით მოიწვიოს წარდგინების ავტორები.[1225] საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა, რისთვისაც წერილობით უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[1226] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად ცხადდება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

აღნიშნული კომპეტენციის განხილვის ექსკლუზიური საპროცესო მახასიათებელია სადავოდ გამხდარი ნორმის ავტომატური შეჩერების მექნიზმი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[1227] მართალია, შეჩერების არსებული მექანიზმი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტიტუციით ან კონსტიტუციური კანონით დადგენილი ინტერესების დასაცავად, თუმცა, ჩნდება საფრთხე, რომ ნებისმიერი აქტის ავტომატური შეჩერება, მისი შინაარსის, მოწეს-

---

[1222] იხ., იქვე, 31[1] მუხლის მე-10 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[1223] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 130-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1224] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1225] იხ., იქვე, 27[3] მუხლის მე-2 პუნქტი.

[1226] იხ., იქვე, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[1227] იხ., იქვე, 41[2] მუხლის მე-2 პუნქტი.

რიგების საგნის გაუთვალისწინებლად და შეუმოწმებლად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ავტონომიურობის მზღუდავ იარაღად შეიძლება იქცეს.

კომპეტენციის დამდგენი ზოგადი ნორმის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის შემოწმება ხდება მხოლოდ კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონთან მიმართებით.[1228] თუმცა, ნორმები, რომლებიც ადგენს წარდგინებისთვის აუცილებელ ელემენტებს და სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგს დამატებით ჩამოთვლის იმ აქტებს, რომლებთან მიმართებითაც შესაძლოა სადავო გახდეს ან/და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტი. სავარაუდოა, რომ კანონმდებლის ამგვარი არათანმიმდევრულობა ტექნიკური ხარვეზია. სხვა შემთხვევაში, გაუგებარია რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კანონიერების კონტროლის მოქცევა.

3.3. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ინიციირებული საკონსტიტუციო დავა

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივ თვითმმართველობას. სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე, ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება და თვითმმართველი ერთეულები ინაწილებენ მმართველობით კომპეტენციებს. საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეები ანსრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიებს, სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილების დელეგირების, სამართლებრივი ზედამხედველობის, ქონების, ფინანსების, ორგანოების არჩევის, თვითმმართველი ერთეულის შექმნის, გაუქმების ან მისი საზღვრების შეცვლის წესს, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს და სხვა ზოგიერთ საკითხს,[1229] რომლებთან მიმართებითაც ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში საკონ-

[1228] შეად., იქვე, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი და 31[1] მუხლის მე-9 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[1229] იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-9 თავი.

სტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის სპეციალური უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.[1230] ამდენად, კონსტიტუციური კონტროლის ინიციირების კომპეტენცია მნიშვნელოვანი მექანიზმია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საკუთარი ინსტიტუციური ინტერესების დასაცავად და კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.[1231] საკრებულო უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.[1232]

ადგილობრივი თვითმმართველობის სარჩელს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია,[1233] რომელიც უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა სამი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.[1234] თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება *ex nunc* ეფექტით შემოიფარგლება და, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულია საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის სარჩელი განიხილება იმ ზოგადი წესებით, რაც დადგენილია ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისთვის. საქმის განხილვისას მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომ-

---

[1230] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

[1231] საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1232] იქვე, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1233] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1234] იქვე, 45-ე მუხლი.

ლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავის დადგენილი წესების დარღვევა.[1235] ამდენად, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე მოპასუხე წარმოადგნენ მხარეებს და არიან საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.[1236]

დღემდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს კონსტიტუციური სარჩელით არ მიუმართავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავით დადგენილი დებულებები „მინიმალისტურია", ადგილობრივი თვითმმართველობის მომწესრიგებელი ნორმები არასათანადოდ, ზოგადი ფორმულირებითაა წარმოდგენილი და არ იძლევა პასუხებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კითხვებზე, კონსტიტუციური სამართალწარმოების წამოწყების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის გადაწყვეტისას დადგება გამოწვევის წინაშე, რამდენადაც მას მოუწევს არასათანადო ნორმატიული მონესრიგების პირობებში განმარტოს ესა თუ ის საკითხი.[1237]

3.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიციირებული საკონსტიტუციო დავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებთან მიმართებით, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მომწესრიგებელ ნორმებს ადგენს.[1238] კერძოდ, ამ უფლებამოსილების ფარგლებში ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა მოწმდება საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან მიმართებით. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების

[1235] იქვე, 43[3] მუხლის მე-2 პუნქტი.

[1236] საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

[1237] On the Draft Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia (Chapter vii – Local Self-Government), adopted by the Venice Commission at its 83th Plenary Session, CDL(2010)020, Strasbourg, 4 March, 2010, §15.

[1238] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი.

შეტანის უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.[1239] კანონმდებლის მიერ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური კონტროლის სპეციალურ სუბიექტად მოაზრება, უწინარეს ყოველისა, განპირობებული უნდა იყოს თავად ამ ორგანოს კონსტიტუციური ფუნქციითა და სტატუსით. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოსამართლეთა დანიშვნის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებისას საკმაოდ ფართო მიხედულება გააჩნია,[1240] გარდა ამისა, საბჭო ითავსებს სასამართლო ხელისუფლების მაკოორდინირებელ ფუნქციას.

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები.[1241]

კანონმდებლობით დადგენილი არაა სპეციალური წესი, რომლის საფუძველზეც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვას. ზოგადი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მის სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[1242] შესაბამისად, აღნიშნული კვორუმით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება

1239 იქვე, 41[4] მუხლი.

1240 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – მთვარისა კეცლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-22.

1241 საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

1242 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ და, იმავდროულად, უნდა მოიცავდეს ზოგად დასაბუთებასა და კანონით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს.[1243] საბჭოს მიერ წარდგინების მექანიზმის გამოყენება მბოჭავი ხასიათისაა იმ თვალსაზრისით, რომ გამოირიცხება საბჭოს შესაძლებლობა უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.[1244]

თვალსაჩინოებისთვის, აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში საბჭომ შეაძლოა სადავო გახადოს ის ნორმები, რომლებიც ადგენს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების საქართველოს კონსტიტუციით დადგენილისგან განსხვავებულ ვადას, ან/და რაიმე სახით ზღუდავს თავად საბჭოს კომპეტენციას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და სხვა.[1245] ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას ამოწმებს მისი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას.[1246] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადი საკითხია, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს[1247] და გა-

---

[1243] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

[1244] იქვე, 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1245] დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინების მიმართვის პრაქტიკა არ არსებობს. სასამართლო ხელისუფლების ფორმირების საკონსტიტუციო ნორმებთან მიმართებით ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს პარლამენტის წევრთა და ცალკეულ მოსამართლეთა სარჩელებს, რომლებითაც სადავოდაა გამხდარი, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების მომწესრიგებელ კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მთელი რიგი დებულებების კონსტიტუციურობა. მაგ., იხ. 2022 წლის 2 დეკემბრის N1750 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრები: ანა ნაცვლიშვილი, ანა ბუჩუკური, მიხეილ დაუშვილი და სხვები (სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2022 წლის 6 მაისის N1700 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2022 წლის 11 აპრილის N1693 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ეკა არუშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა ნიკლაური და თამარ ბაჟომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1246] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1247] იქვე, 31[2] მუხლის მე-13 პუნქტი.

დაწყვეტილებას იღებს პლენუმზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. თუ კონსტიტუციურ წარდგინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, დადასტურებულად არ ითვლება იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობა, რომლის კონსტიტუციურობაც სადავოდ მიიჩნია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.[1248] ზოგადი წესის გათვალისწინებით, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება ინვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.[1249]

[1248] იქვე, 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
[1249] იქვე, 23-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

თავი XI. იმპიჩმენტი, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი და შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ დავა

1. იმპიჩმენტთან დაკავშირებული სამართალწარმოება

1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები იმპიჩმენტის განხორციელებისას

თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით განსაზღვრულია სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც მათი თანამდებობიდან გადაყენების სპეციალიზებულ პროცედურაში – იმპიჩმენტში ვლინდება. კონსტიტუციით დადგენილი იმპიჩმენტის პროცედურა ძირითადად ორ დამკვიდრებულ მოდელში რეალიზდება. ერთ შემთხვევაში პროცესი სრულად საკანონმდებლო ორგანოს ხელშია, ხოლო მეორეში – პროცესი სასამართლოს თანამონაწილეობით წარიმართება.[1250] ფართოდ დამკვიდრებული იმპიჩმენტის პროცედურა საკანონმდებლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თანამონაწილეობას მოიაზრებს.[1251] ამ შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცესი შედგება როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ელემენტებისგან, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოს მოქმედებას პოლიტიკური მიზანშეწონილობით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მხოლოდ სამართლებრივი ასპექტებისა და გარემოებების შეფასებას.[1252] იმის გათვალისწინებით, რომ იმპიჩმენტი თავისთავად იწვევს დაპირისპირებასა და კონფლიქტს სახელმწიფო

[1250] დამატ. იხ., გონაშვილი ე., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 392.

[1251] Ginsburg T., Huq A., Landau D,. The Comparative Constitutional Law of Presidential Impeachment, The University of Chicago Law Review, Vol. 88, No. 1, 2021, 130.

[1252] Opinion On the Scope of the Power of the President to Set the Dates of Elections, Adopted by the Venice Commission at its 120th Plenary Session, CDL-AD(2019)019, Strasbourg, 14 October, 2019, §90.

ხელისუფლების ორგანოებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად პოლიტიკური ბატალიების შუაგულში აღმოჩნდება ხოლმე.[1253]

საქართველოს კონსტიტუცია იმპიჩმენტის პროცედურის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. იმპიჩმენტის პროცედურაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დასკვნის მომზადებაში ვლინდება, რაც პროცესის გაგრძელებისა და შესაბამისი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების წინაპირობაა. კერძოდ, იმპიჩმენტის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს ან უარყოფს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში აღნიშნული პირის ქმედების კონსტიტუციურობას ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას.[1254]

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, დასკვნის გაცემისას, სასამართლოს მიზანია, დაადგინოს, დაარღვია თუ არა კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა თანამდებობის პირმა, საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას, თავისი ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) კონსტიტუციური დანაწესი, რომელიც შეეხება მის კონსტიტუციურ სტატუსს, უფლებამოსილებას, ვალდებულებას თუ პასუხისმგებლობას, ან/და, ჩაიდინა თუ არა ქმედება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. საკონსტიტუციო სასამართლო ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მისი როლი არ არის იმის შეფასება, იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლის დადასტურების შემთხვევაში, იმსახურებს თუ არა კონკრეტული თანამდებობის პირი, შესაბამისი დარღვევის (კონსტიტუციის დარღვევის ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის) გამო თანამდებობიდან გადაყენებას, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში გადაწყვეტს საქართველოს პარლამენტი შესაბამისი პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შეიფარგლება საქართველოს პარლამენტისთვის დასკვნის წარდგენით, რომელშიც დადგენილია ან უარყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში აღნიშნულ პირთა ქმედების კონსტიტუციურობა ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.[1255]

[1253] Sajó A., Uitz R., The Constitution of Freedom: An Introduction to Legal Constitutionalism, Oxford University Press, 2017, 294.

[1254] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[1255] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის საჯარაუდო დარღვევის საკითხზე", II-1.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის მომზადება განმწესრიგებელი ეტაპითა და ცალკეული პროცედურული ღონისძიებების გატარებით იწყება. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციაში გატარებიდან 3 დღის ვადაში იმ თანამდებობის პირს, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც არის აღძრული, უგზავნის კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის თაობაზე შეტყობინებას და საქმის მასალებს.[1256] იმპიჩმენტის საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო, რიგგარეშედ,[1257] შემჭიდროვებულ ვადაში განიხილავს. კერძოდ, კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტს დასკვნას წარუდგენს, წარდგინების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.[1258] სასამართლოს ვადებით შებოჭვა გადასაწყვეტი საკითხის მნიშვნელობითაა განპირობებული, რამდენადაც ერთ მხარესაა უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის რისკები, რაც განგრძობად საფრთხეს უქმნის განსახორციელებელ კონსტიტუციურ ვალდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმპიჩმენტის პროცესის დროული გადაწყვეტა უშუალოდ თანამდებობის პირის ინტერესშია, რათა მან შეძლოს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ როდიდან იწყება ერთ თვიანი ვადის ათვლა, თუმცა, ლოგიკურია, რომ აღნიშნული დაუკავშირდეს არა წარდგინების სასამართლოსათვის გაგზავნას, არამედ მისი პირველი ეტაპის გავლასა და უშუალოდ სასამართლოსათვის (მოსამართლეებისათვის) ხელმისაწვდომობას, რაც წარდგენილი მასალების ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) შესაბამისობის შემოწმებას, რეგისტრაციას გულისხმობს. [1259]

იმავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა *a priori* არ ნიშნავს სასამართლოს მიერ დასკვნის მომზადებას. იმპიჩმენტის საკითხის შინაარსობრივი ნაწილის არსებით შეფასებასა და დასკვნის მომზადებას წინ უძღვის განმწესრიგებელი სხდომა, რომლის ფარგლებშიც სასამართლო წყვეტს წარდგინების განსახილველად მიღების საკითხს.[1260]

[1256] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[2] მუხლის მე-12 პუნქტი.

[1257] იქვე, 31[2] მუხლის მე-13 პუნქტი.

[1258] საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1259] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომით მოხდა ვადის ათვლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნის მომზადებისას. კერძოდ, კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ერთთვიანი ვადის ათვლა დაუკავშირა კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციას. იმავდროულად, სასამართლომ ვადების გამოთვლის ნაწილში იხელმძღვანელა რეგლამენტით დადგენილი ზოგადი წესებით.

[1260] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 სექტემბრის N3/2/1797 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირა-

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ წარდგინებას განსახილველად არ მიიღებს, თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 31[3] მუხლის მოთხოვნებს.

კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს დასკვნას, რომლის სამართლებრივი შედეგიც იმპიჩმენტის პროცედურის გაგრძელება ან შეწყვეტაა. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.[1261] ხოლო, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ არც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და არც მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ამ თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა წყდება.[1262] იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება,[1263] საქართველოს პარლამენტი იბოჭება სასამართლოს მიერ იმპიჩმენტის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით, რაც გამორიცხავს მისი გადასინჯვის ან სხვაგვარად უგულებელყოფის შესაძლებლობას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, იმპიჩმენტის საბოლოო შედეგი შესაძლოა პარლამენტის მიერ პირის თანამდებობიდან გადაყენება იყოს, რომელსაც თან არ სდევს ისეთი აკრძალვები როგორიცაა, მაგალითად, მომავალში იგივე თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა, სხვა თანამდებობაზე საჯარო ფუნქციის განხორციელების დაუშვებლობა და სხვა.

აღნიშნული შედეგის გათვალისწინებით, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, აზრს მოკლებული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის მომზადება იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირს, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს იმპიჩმენტის პროცედურა, სხვაგვარად შეუწყდა უფლებამოსილება (გადადგა, გაუვიდა უფლებამოსილების ვადა ან/და გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან). იმავდროულად, წარდგინების ავტორი უფლებამოსილია, დასკვნის მიღებამდე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა. ამისათვის მან წერილობით უნდა

კლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე".

1261 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 179-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები.

1262 იქვე, მე-6 პუნქტი.

1263 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მოთხოვნა დააკმაყოფილოს.[1264]

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები არ განსაზღვრავს იმპიჩმენტის პროცესის ფარგლებში თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან/და კონსტიტუციის დარღვევის შეფასების კონკრეტულ სტანდარტებს და იმ მტკიცებულებების ხარისხს, რომლებსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააფუძნოს დასკვნა. შესაბამისად, ზოგადი წესის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, დასკვნის მომზადების პროცესში განიხილოს ნებისმიერი მტკიცებულება, მიიღოს ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოდან, იურიდიული და ფიზიკური პირისგან, სამეცნიერო დაწესებულებიდან და საინფორმაციო ცენტრიდან.[1265] იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტის საკითხს სასამართლო არსებითად განიხილავს კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე, სასამართლო უფლებამოსილია, მტკიცებულებების გამოთხოვისა და ცალკეულ საკითხთა გამოკვლევის მიზნით, მოიწვიოს როგორც წარდგინების ავტორები, აგრეთვე, შესაბამისი თანამდებობის პირები და მოისმინოს მათი განმარტებები.[1266]

საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც სუბიექტს, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს იმპიჩმენტის პროცედურა, დაავალდებულებდა სასამართლო პროცესზე პირადად და არა წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადებას არ არსებობს. მიუხედავად იმისა, იმპიჩმენტის სუბიექტი მიიღებს თუ არა მონაწილეობას საქმის არსებით განხილვაში, მას უფლება აქვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინოს წერილობითი ახსნა-განმარტებები, როგორც საქმის არსებით განხილვამდე, ასევე მისი დასრულების შემდგომ. თუმცა, ამავე დროს, გადაწყვეტილებას ან დასკვნას საკონსტიტუციო სასამართლო საფუძვლად დაუდებს მხოლოდ იმ მტკიცებებს, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ან წარედგინა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში.[1267] ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეკრიბოს მტკიცებულებები, ინფორმაცია, გაეცნოს მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების მოსაზრებებს ან განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მოქმედება, რასაც აუცილებლად მიიჩნევს იმ ქმედების შესაფასებლად, რომელიც საფუძვლად ედება იმპიჩმენტს.

საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით დადგენილია იმპიჩმენტის თაობაზე დასკვნის მი-

---

[1264] იქვე, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1265] იქვე, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1266] იქვე, 27[3] მუხლის მე-2 პუნქტი.

[1267] იქვე, 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

საღებად აუცილებელი მაღალი კვორუმიც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 7 წევრი, რომელთაგანაც არანაკლებ 6-მა წევრმა უნდა დაუჭიროს მხარი დასკვნის მიღებას.[1268] თუ კონსტიტუციურ წარდგინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, დადასტურებულად არ ითვლება თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.[1269]

1.2. იმპიჩმენტის პროცედურა და ინიციატორი სუბიექტი

საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის იმპიჩმენტი მნიშვნელოვანი მექანიზმია აღმასრულებელი ხელისუფლების შტოზე კონტროლის განსახორციელებლად. საქართველოს კონსტიტუციით, სწორედ საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივაა, როგორც იმპიჩმენტის პროცედურის ინიციირება, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის კონსტიტუციური სტატუსის, ფუნქციისა და განსაზღვრული ხელშეუხებლობის გარანტიების გათვალისწინებით, თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.[1270]

საქართველოს კონსტიტუცია იმპიჩმენტის საფუძვლად მხოლოდ ორ წინაპირობას – კონსტიტუციის დარღვევასა და დანაშაულის ჩადენის ნიშნების ასებობას ითვალისწინებს[1271] და არ მიუთითებს აღნიშნული ქმედების სამძიმესა თუ განზრახვის არსზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, განმარტების არცერთი მეთოდის მიხედვით, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნის მომზადების ეტაპზე იმპიჩმენტის საფუძვლების აღმნიშვნელად გამოყენებული სიტყვები – „კონსტიტუციის დარღვევა" ან „დანაშაულის ნიშნების არსებობა" – სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობაზე უფრო ვიწროდ, ფართოდ ან სხვაგვარად განმარტოს. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით,

---

[1268] იქვე, 44-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

[1269] იქვე, 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[1270] იქვე, 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1271] იქვე, 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სწორი არ იქნებოდა, რომ მოცემული კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში, როდესაც იგი იმპიჩმენტურ ბრალდებას იკვლევს და დასკვნას ამზადებს, ავტონომიური მნიშვნელობა მიანიჭოს „კონსტიტუციის დარღვევას", განმარტოს იგი ვიწროდ ან ფართოდ და მასში იგულისხმოს რაიმე სხვა დარღვევა, რაც მოქმედი კონსტიტუციის ტექსტიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს, ან/და გასცდეს სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებს „დანაშაულის ნიშნების" განმარტებისას, ან/და განსხვავებული მიდგომები დაამკვიდროს განზრახ და არაგანზრახ ქმედებათა მიმართ. იმპიჩმენტის უფლებამოსილება მოიცავს პოლიტიკურ და სამართლებრივ კომპონენტებს და, შესაბამისად, იგი განაწილებულია პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ხელისუფლებათა შორის იმგვარად, რომ სასამართლომ მხოლოდ სამართლებრივი კრიტერიუმებით შეაფასოს სადავო ქმედების კონსტიტუციურობა, ხოლო პოლიტიკურმა ხელისუფლებამ პოლიტიკური კრიტერიუმებით – ქმედების ჩამდენის თანამდებობიდან გადაყენების საჭიროება, გამართლებულობა და მიზანშეწონილობა.[1272]

იმპიჩმენტის პროცედურა სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველი – პროცედურის წამოწყებას, საკითხის აღძვრის უფლებას მოიაზრებს, რასაც შემდგომ მოყვება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა. ხოლო, საბოლო ეტაპი იმპიჩმენტის პროცედურის საკანონმდებლო სივრცეში გაგრძელებასა და კენჭისყრას გულისხმობს.

იმპიჩმენტის პროცესის პირველ ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.[1273] საკითხის აღძვრას წინ უძღვის საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი კონსტიტუციური წარდგინების მომზადება, რომელიც ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით გადაეცემა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.[1274]

წერილობითი მოთხოვნა, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის ინიციირების წინაპირობაა, მათ შორის, უნდა მოიცავდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენ-

---

[1272] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე", 20-II.

[1273] საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1274] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ტით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და არგუმენტაციას. კერძოდ, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის წერილობით მოთხოვნაში საკითხის აღძვრის ინიციატორები აღწერენ იმ ქმედებას, რომელიც, მათი შეფასებით, იმპიჩმენტის საფუძველია; საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს, რომლებსაც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, არღვევს თანამდებობის პირი, ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს/მუხლებს, რომლითაც გათვალისწინებული დანაშაული, საკითხის აღძვრის ინიციატორთა მოსაზრებით, ჩაიდინა თანამდებობის პირმა; მტკიცებულებებს, რომლებიც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას.[1275] ინიციატორებმა საკითხის აღძვრიდან 7 დღის ვადაში დასკვნისთვის კონსტიტუციური წარდგინებით უნდა მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

იმპიჩმენტის მეორე ეტაპი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის მომზადებაა. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნა, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსისაა ის, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 საათისა, ეცნობება პარლამენტის თავმჯდომარეს, ამ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის ინიციატორებს, ფრაქციებსა და უფრაქციო პარლამენტის ნევრებს.[1276]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადასტურების შემდგომ საქართველოს პარლამენტი შებოჭილია გადაწყვეტილების მიღების ვადით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი 2 კვირის ვადაში განიხილავს და საბოლოოდ უყრის კენჭს იმპიჩმენტის პროცედურას.[1277] აღნიშნულ ვადაში საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში კი, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.[1278] საქართველოს პარლამენტი განიხილავს იმპიჩმენტი საკითხს, მიუხედავად იმისა სასესიო პერიოდია თუ არა.[1279] ამასთან, დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.[1280]

იმპიჩმენტის საკითხის ინიციირებისთვის საჭირო პარლამენტის წევრთა ხმების რაოდენობასთან შედარებით უფრო მაღალია საბოლოო გადაწყვეტილების

1275 იქვე, 178-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1276 იქვე, 179-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1277 საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1278 იქვე, მე-4 პუნქტი.

1279 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 179-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები.

1280 იქვე, მე-6 პუნქტი.

მიღების კვორუმი. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, საქართველოს მთავრობის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. იმპიჩმენტის პროცედურის სათანადო კვორუმით მხარდაჭერის შემთხვევაში, გადაყენების საკითხი უნდა დადგეს დაუყოვნებლივ, და, შესაბამისად, თანამდებობის პირს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, იმპიჩმენტის საკითხის განხილვა წყდება იმ თანამდებობის პირის გადადგომის ან გათავისუფლების შემთხვევაში, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც განიხილება.[1281]

იმპიჩმენტის პროცედურის ინიციატორები დროში შებოჭილი არ არიან პროცედურის წამოწყების შესაძლებლობით. საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს ვადებს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რა ვადაში შეიძლება განხორციელდეს თანამდებობის პირის იმპიჩმენტი. იმპიჩმენტის პროცესის დროში წარმართვის თვალსაზრისით, ერთადერთი აკრძალვა უკავშირდება საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, რა დროსაც დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება.[1282] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების განხილვა უნდა დაიწყოს ან გააგრძელოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, უახლოესი (მორიგი ან რიგგარეშე) სესიის პირველსავე სხდომაზე.[1283]

მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის ექსკლუზიური უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, შესაძლებელია, პროცედურის ფორმალური ინიციატორი ასევე დროებითი საგამოძიებო კომისიაც იყოს. დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება, მათ შორის, სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და რეაგირების მიზნით.[1284] შესაბამისად, იმპიჩმენტის პროცედურის

[1281] იქვე, 178-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1282] საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1283] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1284] იქვე, 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სუბიექტების მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მათ ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნების არსებობის საკითხი შესაძლოა, სწორედ კომისიის შესწავლის შედეგად გამოვლინდეს, რისი გათვალისწინებითაც, იგი (დროებითი საგამოძიებო კომისია) უფლებამოსილია პარლამენტს მიმართოს წინადადებით, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხის აღძვრისთვის პარლამენტის წევრთა ხელმოწერების შეგროვების შესახებ.[1285]

1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა

1.3.1. კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადგენა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის ერთ-ერთი საფუძველი კონსტიტუციის დარღვევაა. კონსტიტუცია არ აკონკრეტებს თუ რა სახის ქმედება ან/და უმოქმედობა დაარღვევს კონსტიტუციას. იმავდროულად, განსაზღვრული არაა არც დარღვევის სიმძიმე ან მისით გამოწვეული იმგვარი თანმდევი შედეგის აუცილებლობა, რაც საფრთხეს შეუქმნის კონსტიტუციურ წესრიგსა და მის სტაბილურობას. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია იმპიჩმენტის წინაპირობად მოიაზრებს კონსტიტუციის „მიზანმიმართულ“ დარღვევას.[1286] იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუცია ფაქტობრივად არ ადგენს არანაირ წინაპირობასა თუ სტანდარტს, ამა თუ იმ ქმედების კონსტიტუციის დარღვევად მიჩნევა და იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას შეფასების სათანადო ტესტის ჩამოყალიბება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში მოექცა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმპიჩმენტის თაობაზე ერთადერთი დასკვნა მოამზადა 2023 წლის 16 ოქტომბრის N1797 კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტს, რაც გამოიხატა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი. სასამართლომ პირველ რიგში, გამოიკვლია და დაადგინა ფაქტები, ხოლო შემდეგ სამართლებრივად შეაფასა ისინი კონსტიტუციის ყველა რელევანტურ ნორმასთან მიმართებით. სასამარ-

---

[1285] იქვე, 67-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

[1286] Ginsburg T., Huq A., Landau D., The Comparative Constitutional Law of Presidential Impeachment, The University of Chicago Law Review, Vol. 88, No. 1, 2021, 128.

თლომ ფაქტების დადგენის ნაწილში გამოიყენა „ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულების" სტანდარტი.[1287]

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს თანამდებობის პირის როგორც ინდივიდუალური, ასევე ნორმატიული სამართლებრივი აქტი, თუ მას აქვს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება. ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასება, მათ შორის პარლამენტის წევრთა ინიციატივით, საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციების ფარგლებშიცაა შესაძლებელი. ამგვარ შემთხვევებში იმპიჩმენტთან დაკავშირებით წარდგინების შეტანას სუბსიდიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. გამართლებულია მოსაზრება, რომ დაუშვებელია თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტის/ქმედების კონსტიტუციურობის საკითხის იმპიჩმენტის პროცედურით გადაწყვეტა, თუ ეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციის გამოყენებით შეიძლება.[1288] მართებული იქნება ანალოგიური მსჯელობა გავრცელდეს მაგალითად, კომპეტენციურ დავებზეც. მართალია, იმპიჩმენტის სუბიექტების მიერ სხვა ორგანოს კონსტიტუციური კომპეტენციის მითვისება წარმოადგენს კონსტიტუციის დარღვევას, თუმცა აღნიშნული არ უნდა ქმნიდეს დამოუკიდებელ საფუძველს იმპიჩმენტისათვის.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავდება ე.წ. კომპეტენციური დავისა და იმპიჩმენტის პროცედურის წარმოების განზრახვები. სასამართლოს მითითებით, დავა უფლებამოსილების შესახებ, რომელიც კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად კონსტიტუციური ორგანოების სარჩელის საფუძველზე განიხილება, მიზნად ისახავს მხოლოდ კონსტიტუციურ უფლებამოსილებებში გარკვეულობის შეტანას და დარღვევების პრევენციას, ხოლო კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება შედეგად იწვევს იმ სამართლებრივი აქტის ან მისი

[1287] მტკიცების აღნიშნული სტანდარტის გამოყენებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტის რანგში, მთავრობის თანხმობის გარეშე, განახორციელა სამუშაო შეხვედრები საზღვარგარეთ საგარეო პოლიტიკურ საკითხზე. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მმართველობის საპარლამენტო მოდელის გათვალისწინებით, წარმოადგენს პოლიტიკურად ნეიტრალურ ფიგურას, რომელიც არ ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას. საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ პრეზიდენტმა საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების დროს საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, ვრცლად იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის საეარაუდო დარღვევის საკითხზე".

[1288] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 173-174.

ნაწილის ან იმ მოქმედების ან უმოქმედობის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ ხელყო მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებამოსილება. იმპიჩმენტის აღძვრა კი პოლიტიკური აქტია და ასახავს პარლამენტის უფლებას, პოლიტიკური პასუხი მოსთხოვოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების ჩამდენ მაღალი თანამდებობის პირს. გარდა ამისა, იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში კონსტიტუციის დარღვევა მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება უკავშირდებოდეს და არა კოლეგიურ საკონსტიტუციო ორგანოს, მაგალითად, მთავრობას ან წარმომადგენლობით ორგანოს.[1289]

1.3.2. დანაშაულის ნიშნების არსებობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის კიდევ ერთი საფუძველი შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენაა. საქართველოს კონსტიტუცია არც ამ შემთხვევაში განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული დანაშაულად, რომელიც საფუძვლად დაედება იმპიჩმენტის პროცედურას. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, დანაშაული, როგორც იმპიჩმენტის წინაპირობა, ერთი შეხედვით, სისხლისსამართლებრივი ბუნების უნდა იყოს. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ცალკეული სისხლისსამართლებრივი დანაშაულები სულაც არ ხდება იმპიჩმენტის საფუძველი, ისევე როგორც შესაძლებელია, რომ ესა თუ ის ქმედებები მიჩნეულ იქნეს დანაშაულად მხოლოდ კონსტიტუციის მიზნებისთვის, ან როგორც კონსტიტუციის ასევე, სისხლისსამართლებრივი გაგებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ იმპიჩმენტის საკითხი და სისხლისსამართლებრივი დანაშაული ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს – მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივმა ბრალდებამ შეაძლოა, დამატებით შეუწყოს ხელი იმპიჩმენტის პროცედურას. ამდენად, კონსტიტუციის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს განასხვავებენ სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული დანაშაულებისაგან.[1290]

იმპიჩმენტის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციაში გამოყენებულ ტერმინ „დანაშაულს", ისევე როგორც თავად ამ პროცედურას, შეიძლება ჰქონდეს როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი, ასევე წმინდა სისხლისსამართლებრივი ხასიათი. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქარ-

---

[1289] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე", II-19.

[1290] Constitutional Grounds for Presidential Impeachment Report by the Staff of Majority Staff of the House Committee in the Judiciary, 116th Congress 1st Session 2019.

თეელოს კონსტიტუციის მიხედვით, დანაშაულის ნიშნების შემცველი ნებისმიერი ქმედება სამართლებრივად შეიძლება გახდეს პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი და საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა შეაფასოს იმაზე ორიენტაციის გარეშე, მისი აზრით, იმსახურებს თუ არა ამ ქმედების ჩამდენი პირი შესაბამისი თანამდებობიდან გადაყენებას. ამასთან, როგორც სასამართლო მიუთითებს, მისთვის მთავარი საზომი იქნება სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში „დანაშაულის ნიშნების" განმარტება. იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივია და მისი პოზიცია არაა საბოლოო შედეგის მომტანი, სასამართლო გამორიცხავს „დანაშაულის ნიშნების" ავტონომიური მნიშვნელობით განმარტების შესაძლებლობას.[1291] აღნიშნული მიდგომით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იმპიჩმენტის საკითხის შეფასებისას ტერმინ „დანაშაულს" დამოკიდებულს ხდის მისი (დანაშაულის) სისხლისსამართლებრივ გაგებაზე და შედეგად, არ იყენებს მანამდე დამკვიდრებულ პრაქტიკს, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური დებულებები და კონსტიტუციაში არსებული ტერმინების შინაარსი თვითმყოფადია და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე.[1292]

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, დანაშაულად მოიაზრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები.[1293] ანალოგიურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსზე აკეთებს მითითებას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონიც, რომლის თანახმადაც, წარდგინება იმპიჩმენტის თაობაზე უნდა მოიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს/მუხლებს, რომლითაც გათვალისწინებული დანაშაული, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა აზრით, ჩაიდინა თანამდებობის პირმა.[1294] თუ საკითხის გადაწყვეტი-

---

[1291] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე", II-19.

[1292] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომა გაზიარებული არ იქნა ყველა მოსამართლის მიერ. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძე და თეიმურაზ ტუღუში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით გამოთქმულ განსხვავებულ აზრში მიუთითებენ, რომ იმპიჩმენტის პროცედურისათვის კონსტიტუციით დადგენილ ტერმინები, მათ შორის, „დანაშაულის ნიშნები", ისევე როგორც ყველა სხვა ტერმინები უნდა შეფასდეს ავტონომიური, დამოუკიდებელი მნიშვნელობით.

[1293] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-2 პუნქტი „ბ" ქვეპუნქტი.

[1294] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

სას, საკონსტიტუციო სასამართლო დანაშაულს თავადაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებად მიიჩნევს, ასეთ შემთხვევაში მისი (სასამართლოს) შესაფასებელი იქნება, თუ რამდენად არის სახეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.[1295]

2. დავა საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე

2.1. საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე დავის სპეციფიკა

საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთობის მზარდი როლის გათვალისწინებით, მისი მოწესრიგების საგნად იქცა, ფაქტობრივად, ყველა სფერო. შედეგად, საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოქმედებას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. განსხვავებით დემოკრატიული სახელმწიფოს იმ ფუნდამენტისა, რაც საკანონმდებლო აქტების პირდაპირი წესით არჩეული პირების უშუალო მონაწილეობითა და საჯარო ჩართულობით განხილვას მოიაზრებს, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პროცესში საკანონმდებლო ორგანოს როლი მინიმალისტური, ან პრაქტიკულად შეზღუდულია. მცირედი გამონაკლისების გარდა, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების საკითხი ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში ექცევა, რაც ფაქტობრივად საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის მიღმა რჩება.[1296] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იზრდება საერთაშორისო ხელშეკრულების ეროვნულ კანონმდებლობასთან ინტეგრაციის პროცესზე საკონსტიტუციო კონტროლის აუცილებლობა. გარდა ამისა, საერთაშორისო ხელშეკრულების საკონსტიტუციო კონტროლის დამატებით არგუმენტად პრევენციულ მიზნებს მოიაზრებენ. თავისთავად დაშვება, რომ შესაძლოა საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი დადგეს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, ხელშეკრულების რატიფიცირების/ხელმოწერის პროცესში, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას ზღუდავს კონსტიტუციური ღირებულებების, მათ შორის, ფუნდამენტური უფლებების პატივისცემისა და მხედველობაში მიღების ვალდებულებით.[1297]

[1295] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

[1296] Mendez M., Constitutional Review of Treaties: Lessons for Comparative Constitutional Design and Practice, International Journal of Constitutional Law, Vol. 15, No. 1, 2017, 89.

[1297] იხ., იქვე.

სასამართლოთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის სამი ძირითადი მოდელია გავრცელებული. კერძოდ, არსებობს კონსტიტუციური სისტემები, რომლებიც პირდაპირ ან პრაქტიკაში ითვალისწინებენ ხელშეკრულებების როგორც *ex ante* (პრევენციული), ასევე *ex post* (რეპრესიული) კონტროლს; კონსტიტუციით ან პრაქტიკაში დამკვიდრებულია *ex ante* ან *ex post* კონტროლი; გამოირიცხება, არ არსებობს არც *ex ante* ან *ex post* კონტროლის შესაძლებლობა.[1298]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.[1299] შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით, აუცილებელია მათი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. სწორედ აღნიშნული პრინციპის პრაქტიკულ რეალიზებასა და განმტკიცებას ემსახურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვა საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილებით. საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.[1300] აღნიშნული ფუნქციის მნიშვნელობას განაპირობებს საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.[1301] თუმცა აღნიშნულ სფეროზე საკონსტიტუციო კონტროლის შედეგები ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების პროცესისგან განსხვავებით სახელმწიფოსთვის გაცილებით საპასუხისმგებლო და პრობლემური შეიძლება იყოს.[1302]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში საკმაოდ ფართოა. აღნიშნული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა, რომლის მიზანია ქვეყნის ძირითად კანონ-

---

[1298] იქვე, 96; ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *Ex Post* საკონსტიტუციო კონტროლი, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N1, 2022, 133.

[1299] საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1300] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N4(35), 2012.

[1301] შესავალი საერთაშორისო სამართალში, მე-2 გამოცემა, მ. ჯიქიას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 75-81.

[1302] ჯავახიშვილი პ., საერთაშორისო ხელშეკრულებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, წიგნში: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები, მ. ჯიქიას, პ. ჯავახიშვილის და ქ. გუგუჩიას რედაქტორობით, თბილისი, 2020, 74.

თან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის, და საბოლოო ჯამში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა.[1303] საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის როგორც *ex ante* ასევე *ex post* კონტროლს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება შეიტანება, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე,[1304] ასევე უკვე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხზე.[1305] კონსტიტუციითა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით, საკითხის მოწესრიგების გათვალისწინებით, პირობითად, კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების მიზნებისთვის, ხელშეკრულებები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს, რომელიც ექვემდებარება ან არ ექვემდებარება რატიფიცირებას.

იმის გათვალისწინებით, რა გავლენის მოხდენა შეუძლია ცალკეულ ხელშეკრულებას ქვეყნის პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე, საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევები, რომელთა სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვა (რატიფიცირება) სპეციალური წესით, საქართველოს პარლამენტის მიერ ხდება. კერძოდ, ასეთია ხელშეკრულება რომელიც: ა) თავად ითვალისწინებს რატიფიცირებას ბ) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას; გ) სამხედრო ხასიათისაა; დ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას; ე) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან; ვ) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.[1306] საქართველოს პარლამენტის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება გულისხმობს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების მისთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმას.[1307] იმის გათვალისწინებით, რომ რატიფიცირებადი ხელშეკრულებების შინაარსი არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, მათ შორის, იმ თვალსაზრისითაც, რომ შესაძლოა სახელმწიფოს აკისრებდეს მნიშვნელოვან ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში, მომეტებულია აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებების

[1303] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 141.

[1304] საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1305] იქვე, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

[1306] იქვე, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1307] „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტი.

კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის ინტერესი, რაც ამართლებს მათი პრევენციული კონსტიტუციური კონტროლის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე მისი კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე აკრძალულია ხელშეკრულების რატიფიცირება.[1308] საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის, ასევე სპეციალური წესია გათვალისწინებული რატიფიცირებული ხელშეკრულების დენონსირების ან გაუქმების საკითხზე. კერძოდ, თუ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე დაისმება საკითხი, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირების ან გაუქმების თაობაზე და პარლამენტი უარს იტყვის ან სათანადო ვადაში არ გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხს, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანა.[1309] აღნიშნულის გათვალისწინებით, რატიფიცირებული ხელშეკრულების კონსტიტუციურობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის წინაპირობა საქართველოს პარლამენტისთვის მიმართვა და მისი მხრიდან მიღებული უარი, ან საკითხის გადაუწყვეტლობაა.

საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდება ასევე ყველა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, რომელიც არ ექვემდებარება რატიფიცირებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მომწესრიგებელი კანონის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევა, რომ აღნიშნული სახის ხელშეკრულებებზე ვრცელდება მხოლოდ *ex post* კონსტიტუციური კონტროლი.[1310]

დავის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით, საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინება/კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის რიგგარეშე განსახილველ საკითხთა წრეს მიეკუთვნება.[1311] რატიფიცირებადი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციურ წარდგინებას საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე.[1312] საქართველოს საკონსტიტუციო

[1308] საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მუხლის მე-4 პუნქტი.

[1309] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის 2^1 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

[1310] საქართველოს კონსტიტუცია არ აზუსტებს, შეიძლება თუ არა პრევენციული კონტროლის განხორციელება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება რატიფიცირებას. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით დადგენილი სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტის გათვალისწინებით, გამოირიცხება რეპრესიული კონტროლის განხორციელება.

[1311] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1312] იქვე, 27^3 მუხლის მე-2 პუნქტი.

სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის საქართველოსთვის ბათილად ცნობას, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების დაუშვებლობას.[1313]

2.2. უფლებამოსილი მოსარჩელე

მიიჩნევა, რომ სავალდებულო პრევენციული კონტროლის მექანიზმი გამოყენებულ უნდა იქნეს შეზღუდულად და აღნიშნული უფლებით უნდა სარგებლობდეს სუბიექტთა ვიწრო წრე, რათა იგი არ იქცეს პოლიტიკური თამაშის ნაწილად. სხვაგვარად, მიიჩნევა, რომ *ex ante* კონტროლის ინიციირების ფართო სუბიექტთა წრისთვის მინიჭება ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ ორგანოებს შორის არბიტრად ქცევის, მისი პოლიტიზების რისკებს, რაც შედეგად საფრთხეს უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების სანდოობას.[1314] ამდენად, მოსარჩელე სუბიექტთა წრის შეზღუდვა ამცირებს ზემოხსენებულ რისკებს. ხოლო რატიფიცირებული ან სხვაგვარად დადებული ხელშეკრულების *ex post* კონტროლის ეტაპზე მისაღებია ხელისუფლების სხვადასხვა შტოების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ფუნქციით აღჭურვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას ან საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. ხოლო, კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც არ საჭიროებენ რატიფიცირებას, ან იმ შემთხვევაში თუ საქართველოს პარლამენტი არ აუქმებს ან არ ახდენს რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა დენონსირებას. კონსტიტუციური წარდგინება კი შეიტანება იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც ექვემდებარება რატიფიცი-

---

[1313] იქვე, 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1314] Opinon on three Legal Questions Arising in the Process of Drafting the New Constitution of Hungary, adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, CDL-AD(2011)001, Strasbourg, 28 March, 2011, §44-45.

რებას.[1315] შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის საკითხზე მოსარჩელე სუბიექტები ფორმალურად ორ ჯგუფს განეკუთვნებიან, იმის მიხედვით რატიფიცირებადია, თუ არა სადავო ხელშეკრულება. საქართველოს კონსტიტუციით სუბიექტთა წრის ასეთი ფორმით განსაზღვრა იმეორებს საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობა და პრეზიდენტი, ასევე პარლამენტი, მათი კონსტიტუციური ფუნქციის გათვალისწინებით ან მონაწილეობენ ხელშეკრულების დადების პროცესში ან ზედამხედველობას უწევენ სხვა საკონსტიტუციო ორგანოს მიერ ამ ფუნქციის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების, დენონსირების ან გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტს მიმართავს საქართველოს მთავრობა,[1316] ხოლო ამავე საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანა კი შეუძლია როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში, აღნიშნული სუბიექტების მხრიდან კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების წინაპირობა საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისთვის მიმართვაა. რაც შეეხება, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის შესაძლებლობას სარჩელის აღძვრაზე, მიიჩნევა, რომ ამგვარი კვორუმი ხელს უწყობს პოლიტიკურ უმცირესობებს, ოპოზიციური პარტიების გააქტიურებას და მათ უმრავლესობასთან ოპონირებას. მართალია, ამა თუ იმ საკითხზე კონსტიტუციური კონტროლის ინიციატორი სუბიექტების განსაზღვრა პოლიტიკური არჩევანის საკითხია, თუმცა მიზანშეწონილია საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში იქნეს მიღებული საპარლამენტო უმცირესობები.[1317]

მიუხედავად იმისა, რომ დავას საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე ჰყავს სპეციალური საკონსტიტუციო სუბიექტები, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირი ან სახალხო დამცველი არ იზღუდებიან კონსტიტუციური სარჩელით სადავო გახადონ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა, რომელიც მათი მოსაზრებით ზღუდავს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს.

[1315] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[1316] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 192-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1317] Opinions and Reports on Law-making Procedures and the Quality of the Law, Endrosed by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-PI(2021)003, Strasbourg, 29 March, 2021, §117.

2.3. პრევენციული და რეპრესიული კონტროლის თანაფარდობა

როგორც პრევენციულ, ასევე რეპრესიულ კონტროლს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის ქმედითობისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებებს, მისი არაკონსტიტუციურად ცნობით, შესაძლოა, თავად სახელმწიფო, როგორც ხელშეკრულების მხარე, დადგეს საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, ხელშეკრულების რატიფიცირებამდე კონსტიტუციასთან შესაბამისობის *a priori* შემოწმება აზღვევს აღნიშნულ რისკებს.[1318] თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს არ ნიშნავს, რომ უკვე დადებული ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლი არ ასრულებს პრევენციულ ფუნქციას. თავისთავად, საერთაშორისო ხელშეკრულების საკონსტიტუციო კონტროლის არსებობა ხელშეკრულებების მიღების პროცესის ნაწილად აქცევს კონსტიტუციას. მიუხედავად *ex ante* კონტროლის არ არსებობისა, სასამართლოს მიერ *ex post* კონტროლის დაშვება პოლიტიკური ხელისუფლების შტოებს წინასწარვე განუსაზღვრავს ხელშეკრულების დადების ცალკეულ პირობებს,[1319] რაც გულისხმობს რომ ხელშეკრულების დადების პროცესი პირობადებულია კონსტიტუციური წესრიგით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით, კონტროლის ორივე ფორმა, როგორც პრევენციული, ასევე რეპრესიული მნიშვნელოვანი ფუნქციური როლის მქონეა და, შესაბამისად, მათი განხილვა უნდა მოხდეს არა როგორც ალტერნატიული ან ურთიერთგამომრიცხავი, არამედ როგორც ურთიერთშემავსებელი მექანიზმები. ამდენად, პრევენციული კონტროლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა აბრკოლებდეს მოგვიანებით, რეპრესიული კონტროლის ფარგლებში განმეორებით შეაფასოს იგივე საკითხი.[1320]

[1318] Opinion on the Constitution of Serbia, Adopted by the Venice Commission at Its 70th Plenary Session, CDL-AD(2007)004, Strasbourg, 19 March, 2007, §16.

[1319] Van der Schyff G., The Prohibition on Constitutional Review by the Judiciary in the Netherlands in Critical Perspective: The Case and Roadmap for Reform, German Law Journal, Vol. 21, No. 5, 2020, 898.

[1320] Opinion on Three Legal Questions Arising in the Process of Drafting the New Constitution of Hungary, adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session, CDL(2011)016, Strasbourg, 17 March, 2011, §50.

3. დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ

3.1. უფლებამოსილების შესახებ დავის სამართლებრივი ბუნება

საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ზოგადად, ორ მიზანს ემსახურება – ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას) და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისგან (უფლების დარღვევისგან).[1321] საკუთარ კონსტიტუციურ ფუნქციას საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, რაც inter alia მოიაზრებს სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის თაობაზე დავის გადაწყვეტას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისი კონსტიტუციური ლეგიტიმაციის არმქონე სუბიექტის მიერ განხორციელება ქმნის როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის რისკებს, ისე საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ეფექტიან ფუნქციონირებას.[1322] სწორედ ამ მიზნით, საქართველო კონსტიტუცია, ერთი მხრივ, განსაზღვრავს კონსტიტუციურ ორგანოთა ფუნქციურ ჩარჩოსა და უფლებამოსილების ფარგლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების განხორციელებას ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპზე აფუძნებს. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინაპირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც კომპეტენტური არიან თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებით.[1323]

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება სახელისუფლებო ძალაუფლების უზურპირების პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების – ადამია-

---

[1321] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-18.

[1322] იქვე, II-6.

[1323] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-2, 3.

ნის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას.[1324]

კონსტიტუციურ ორგანოთა შორის ძალაუფლების გამიჯვნის თაობაზე წარმოშობილი კონფლიქტის გადაჭრისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის ფუნქცია თითოეული კონსტიტუციური ორგანოსთვის კონსტიტუციითვე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრას მოიაზრებს. საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენციური დავის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს სამართლებრივი აქტის/მისი ნაწილის შეფასებისას ამოწმებს ამ სამართლებრივი აქტის/მისი ნაწილის შინაარსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას; ხოლო, ორგანოს მოქმედების/უმოქმედობის შეფასებისას ამოწმებს ამ მოქმედების/უმოქმედობის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას.[1325] საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, ერთი მხრივ, სადავო ნორმა ან ორგანოს მოქმედება/უმოქმედობა და, მეორე მხრივ, კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ცალკეული ორგანოს უფლებამოსილებას.

შესაბამისად, კონსტიტუციური დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს, თუ რამდენად გააჩნდა კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება ამა თუ იმ კონსტიტუციურ ორგანოს. ბუნებრივია, კომპეტენციური დავის ფარგლებში, დავის საგანი უნდა იყოს საკონსტიტუციოსამართლებრივი ხასიათის უფლებამოსილებები და არა კანონმდებლობით მოწესრიგებული ცალკეული საკითხები.

3.2. უფლებამოსილების შესახებ დავის სუბიექტები

შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, გენერალურ პროკურორს, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს, საქართველოს სახალხო დამცველს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით

[1324] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე", II-3.

[1325] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 2^1 პუნქტი.

ან აღმასრულებელ ორგანოს.[1326] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად,[1327] კონსტიტუციური წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა ის კონსტიტუციური ორგანო, თანამდებობის პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი კონსტიტუციური უფლებამოსილება ირღვევა. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით გამოირიცხა დავა არა საკუთარი, არამედ სხვა კონსტიტუციური ორგანოს უფლებამოსილების ფარგლების დარღვევის თაობაზე. აღნიშნული მიდგომისგან განსხვავებით, ცვლილებამდელი მონესრიგება ითვალისწინებდა სპეციალური სუბიექტების მიერ კონსტიტუციური სამართალწარმოების ინიციირებას, როგორც საკუთარი კომპეტენციის, ასევე სხვა კონსტიტუციურ ორგანოთა უფლებამოსილების დარღვევაზე. სპეციალურ სუბიექტებს კი წარმოადგენდნენ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი, რომლებსაც მათი კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის უზრუნველყოფასა და კონსტიტუციურ ორგანოთა უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების დაცვაში.

დღესდღეობით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული სამი (მათგან ორი ერთსა და იმავე საკითხს შეეხება) კომპეტენციური დავიდან[1328] ერთ-ერთი სწორედ საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერაა ინიციირებული არა საკუთარი, არამედ სხვა ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. კერძოდ, პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სადავოდ ხდიდა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის და, მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილების დარღვევას.[1329] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოს ამოძრავებდა საჯარო მიზანი – ხელი შეეწყო მთლიანად ხელისუფლების ფუნქციონირებისთვის კონსტიტუციის ფარგლებში, ამასთან, ხელისუფლების

[1326] იქვე, 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1327] იხ., საქართველოს 2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIმს-Xმპ ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

[1328] იხ., 2015 წლის 22 სექტემბრის N668 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2022 წლის 10 ივნისის N1711 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ" და 2022 წლის 16 აგვისტოს 1723 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

[1329] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

დანაწილების პრინციპის მოთხოვნების უპირობო დაცვით.[1330] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი საქმე კონსტიტუციით განსაზღვრული მისი სხვა უფლებამოსილების ფარგლებში განიხილა, თუმცა მიიჩნევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება[1331] არსებითად უფლებამოსილების თაობაზე დავის გადაწყვეტას მიემართება.[1332] საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციურ ურთიერთმიმართებაზე სხვა შემთხვევებშიც უმსჯელია.[1333]

შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების თაობაზე დავის საკითხზე მოპასუხეა ის ორგანო, რომელმაც მიიღო/გამოსცა სამართლებრივი აქტი ან განახორციელა სადავოდ გამხდარი მოქმედება ან უმოქმედობა. თუმცა, დავის შინაარსის გათვალისწინებით, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს უწევს ცალკეული კომპეტენციების ამა თუ იმ ორგანოსთვის „მინიჭება", შესაძლებელია, საქმეში დამატებით მოპასუხედ ჩაერთოს სხვა ორგანოც. კერძოდ, კომპეტენციური დავის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის მიღებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ასლს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოებს უგზავნის. თუ ამ ასლის აღნიშნული ორგანოებისთვის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში რომელიმე მათგანი განაცხადებს, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების სრულად ან ნაწილობრივ ხელყოფას გამოიწვევს, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, იგი საქმეში მოპასუხედ ჩააბას.[1334]

მიუხედავად იმისა, რომ საკონ-სტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების მომწესრიგებელი კანონმდებლობის თანახმად, განსხვავებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების საფუძვლები, პრაქტიკაში არ გამოირიცხება შემთხვევა, როდესაც ერთ საკითხზე შესაძლოა ერთდროულად არსებობდეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სხვადასხვა სამართლებრივი წინაპირობა. მა-

---

[1330] იქვე, II-9.

[1331] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის N15/290,266 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ".

[1332] დამატ., იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 228.

[1333] მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[1334] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

გალითად, მოსარჩელეს შეუძლია იდავოს, როგორც ნორმის ფორმალური კანონიერების საკითხზე, იმ საფუძვლით, რომ იგი არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ არის მიღებული, ასევე, დამოუკიდებლად იდავოს მისი კომპეტენციის მითვისების თაობაზე. იმავდროულად, არაფერი გამორიცხავს სამართალწარმოების როგორც ერთი, ასევე მეორე საფუძვლის ან ორივეს ერთად არჩევას.

3.3. უფლებამოსილების შესახებ დავის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების მოქმედება

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ორგანული კანონიდან ამოღებულ იქნა ის დებულება, რომელიც განსაზღვრავდა უფლებამოსილების თაობაზე დავებზე გადაწყვეტილების ეფექტს. კერძოდ, ცვლილებამდე არსებული რედაქციით, სახელმწიფო ორგანოთა/თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევდა კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან.[1335] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასეთი სამართლებრივი შედეგები განპირობებული იყო უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური ინტერესით, რომ საფრთხე არ შექმნოდა კონსტიტუციით მკაცრად დადგენილ ფარგლებში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, ხელისუფლების ფუნქციონირების უპირობო მოთხოვნას.[1336]

დაუშვებელია ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს ან ორგანოს მიერ, სხვა სახელმწიფო ორგანოების კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილების მითვისების/ჩამორთმევის გზით მიღებული გადაწყვეტილებების შენარჩუნების, არსებობის თავისთავად გამართლება. ამის საწინააღმდეგოს დაშვება გულისხმობს ხელისუფლების (მისი ამა თუ იმ ორგანოს/თანამდებობის პირის) წახალისებას, თუნდაც მცირე დროით, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ ის მოქმედებდა საკუთარი კონსტიტუციური მანდატის მიღმა, მიითვისოს სხვა სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია, შედეგად ძალაუფლება, მიიღოს მისთვის სასურველი ნებისმიერი გადაწყვეტილება. ეს გამოიწვევდა ხელისუფლების კონსტიტუციის მიღმა მოქმედების ლეგიტიმაციას, რაც თავისთავადი

[1335] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (2022 წლის 14 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1336] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

პროეკაციაა ხელისუფლების სწორედ ასეთი ქმედებისა. ამ კომპეტენციის მიზნობრივი და ეფექტური ქმედითობა სწორედ ხელისუფლებისთვის იმ საფრთხის დაყენების დემონსტრირებაშია, რომ მისი ნებისმიერი მცდელობა, მიითვისოს ძალაუფლება, იმოქმედოს საკუთარი კომპეტენციის მიღმა და დააყენოს მისთვის სასურველი შედეგები, საფუძველშივე უპერსპექტივოა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ყველა ამ შედეგის ლეგიტიმურობა საეჭვო შეიძლება გახდეს.[1337]

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კომპეტენციური დავის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი მნიშვნელოვნად განაპირობებს კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციების დარღვევის პრევენციას და დარღვევის შემთხვევაში ბალანსის აღდგენას. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს სპეციალურ წესს, რომლითაც მოწესრიგდება შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების თაობაზე დავის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტი. იმავდროულად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ვერ დაეფუძნება ზოგად წესს, რომელიც ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგს, რამდენადაც მისი რეგულირების სფერო შემოიფარგლება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულად ცნობით.[1338] ამდენად, სავარაუდოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გაიზიარებს წინარე არგუმენტაციას და, როგორც მინიმუმ, ცალკეულ შემთხვევებში კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ან ქმედების ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედების მომენტიდან. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა კონსტიტუციურ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს არ ბოჭავს ვადებით, იდავონ უფლებამოსილების თაობაზე, დიფერენცირების გარეშე, ყოველ შემთხვევაში კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ან ქმედება/უმოქმედობის არაკონსტიტუციურად ცნობამ *ex nunc* ეფექტით შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ისეთ ღირებულებას, როგორიცაა სამართლებრივი სტაბილურობა. გარდა ამისა, კომპეტენციური დავის თაობაზე არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება არაამომწურავია და სხვადასხვა სამართლებრივი შემთხვევებისთვის არ იძლევა სათანადო პასუხებს. მაგალითად, გაურკვეველია თუ როგორ უნდა გაგრძელდეს სამართალწარმოება იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი შეტანილია ორგანოს უმოქმედობის თაობაზე, თუმცა მისი შეტანის შემდგომ გარკვეულ ვადაში ორგანომ შეასრულა ესა თუ ის ქმედება.

[1337] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

[1338] იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

რაც შეეხება, გადაწყვეტილების შედეგს, აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს არა ნორმათა კონსტიტუციასთან შესაბამისობას, არამედ რამდენად აქვს ადგილი ერთი კონსტიტუციური ორგანოს მიერ მეორეს საკონსტიტუციო უფლებამოსილების მითვისებას. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს იმ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ან იმ მოქმედების ან უმოქმედობის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ ხელყო მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებამოსილება.[1339] შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი ცალსახაა, როდესაც არსებობს აქტი ან ქმედება, თუმცა პრაქტიკაში დილემა შეიძლება წარმოშვას იმ საკითხმა, თუ რა შედეგი მოჰყვება უმოქმედობის არაკონ-სტიტუციურად ცნობას. თავის მხრივ, კონსტიტუციურ ორგანოთა პოლიტიკური ხასიათი დააბრკოლებს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკუთარი გადაწყვეტილებით, რაიმე ფორმით დაავალოს ამა თუ იმ ორგანოს ქმედების განხორციელება, თუმცა იმავდროულად, არაპირდაპირი შედეგი თავისთავად უნდა გულისხმობდეს ნებისმიერი ორგანოს ბოჭვას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (როგორც სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილებით) და კონსტიტუციის წესრიგის შესაბამისად ქმედების განხორციელების ვალდებულებით. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თვითაღსრულებადობისა და სავალდებულოობის გათვალისწინებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ კონსტიტუციური ორგანო იბოჭება იგივე ქმედების ან უმოქმედობის განხორციელებისგან.

კომპეტენციური დავის გადაწყვეტა კოლეგიის კომპეტენციას მიკუთვნება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დავა უფლებამოსილების თაობაზე ყოველთვის მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობით ხასიათდება და იმავროულად, საკითხთა გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან სახელმწიფო ორგანოებს შორის კონსტიტუციით ნაკარნახევი ბალანსის პოვნას მოიაზრებს, მოსალოდნელია, რომ საქმეთა უმეტესობა თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების მნიშვნელოვან და იშვიათ პრაქტიკას. ამდენად, მართებული იქნებოდა აღნიშნული კომპეტენცია მოქცეული ყოფილიყო არა კოლეგიის, არამედ პლენუმის მიერ განსახილველ საქმეთა კომპეტენციაში.[1340]

[1339] იქვე, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1340] საქმეზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის უმოქმედობის საკითხს და წარმოადგენს დავას უფლებამოსილების თაობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის განაწილებისას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეს, თავისი შინაარსით, შეიძლებოდა წარმოეშვა საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებულ წინადადებაში მიუთითებდა, რომ იმ საკითხის გამორკვევა, კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩებისა და დიპლომატი-

თავი XII. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი

1. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი

1.1. არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლის ევოლუცია საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უფლებამოსილებაა არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმება. საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმება, თუ მათი მომწესრიგებელი ნორმა მოცემულია კონსტიტუციაში.[1341] იმის გათვალისწინებით, რომ საქართვე-

ური წარმომადგენლების საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე უარის თქმა და უმოქმედობა, მოითხოვდა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლების განმარტებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/1-1/1711 საოქმო ჩანაწერით საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია და N1711 კონსტიტუციური სარჩელი მიღებული იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე განსახილველად. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ გაიხმო სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოდან.

[1341] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 231.

ლოს კონსტიტუციაში მითითებულია არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებული პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხები, საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ ამ პრინციპებისა და ნორმების დარღვევებთან დაკავშირებული ცალკეული გამოვლინებები.[1342]

საქართველოს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ არჩევნების რომელ სახეზე ვრცელდება საკონსტიტუციო კონტროლი აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" არჩევნებს განმარტავს, როგორც საარჩევნო პროცესს, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.[1343] გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო ხელისუფლების ცნება მოიცავს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, განსახილველი საკითხის მიზნებისთვის, არჩევნების ცნებაში მოაზრებულ უნდა იქნეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნები, აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები.

ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლს ასევე ექვემდებარება რეფერენდუმი, როგორც პირდაპირი დემოკრატიის ფორმა, რომელიც განიმარტება, როგორც საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.[1344] შესაბამისად, ზუსტად შეიძლება განისაზღვროს იმ საკითხთა წრე, რომელიც არჩევნებსა და რეფერენდუმს უკავშირდება და საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია.[1345]

საქართველოს კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების ნორმატიულმა მოწესრიგებამ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი რედაქციით, შედარებით ფართო იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლები და იგი იხილავდა რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას. აღნიშნული ფორმულირების მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი

1342 იქვე., 232.

1343 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

1344 „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

1345 ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 234-236.

პირის მიმართვით ამოწმებდა, რამდენად იყო დაცული ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნები რეფერენდუმისა და არჩევნების შესახებ, ისე, რომ უფლებამოსილ პირს სადავოდ არ გაეხადა არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა.

2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით და მის საფუძველზე, 2009 წელს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად,[1346] აღნიშნული უფლებამოსილების საკონსტიტუციო ნორმა შეიცვალა და განისაზღვრა მისი თანამედროვე მოწესრიგება.[1347] ნორმის მოქმედი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებული საკითხების კონსტიტუციურობას, თუ უფლებამოსილი მოსარჩელე ამავდროულად დასვამს ამ არჩევნებისა და რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხსაც. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისმა პირებმა იდავონ არჩევნებისა და რეფერენდუმის მომწესრიგებელი იმ ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც, მათი მოსაზრებით, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულ მათსავე ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბამისად, პირს არ აქვს უფლება იდავოს არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე, თუმცა მას შეუძლია იდავოს არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე.[1348]

2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ასევე გაჩნდა სრულიად ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაუშვებელია არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 (თხუთმეტი) თვის განმავლობაში არ არის მიღებული.[1349] ახალმა ჩანაწერმა შეზღუდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტაში, ვინაიდან, თუ არჩევნების თვემდე 15 (თხუთმეტი) თვის

[1346] 2009 წლის 22 ოქტომბრის N1890 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

[1347] 2005 წლის 27 დეკემბრის N2496 საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

[1348] ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 391.

[1349] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი,

განმავლობაში საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილება არ განხორციელდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების წლის განმავლობაში ვერ განიხილავს ვერც ჩასატარებელი და ვერც ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს. ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ვადაში შეიზღუდა იმ მიზნით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ არჩევნების ან რეფერენდუმის ჩატარება არ შეაფერხოს,[1350] თუმცა გარკვეული მოსაზრებით, ეს შეზღუდვა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების პარალიზებას იწვევს.[1351]

1.2. უფლებამოსილი სუბიექტები და სამართლებრივი შედეგები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას განიხილავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე.[1352] აღნიშნული უფლებამოსილების თაობაზე საქართველოს კონსტიტუციით მოსარჩელეებად მხოლოდ, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის და სახალხო დამცველის განსაზღვრის მიზანი დაუსაბუთებელი კონსტიტუციური სარჩელების პრევენცია და ამით, საარჩევნო პროცესის სტაბილურობის უზრუნველყოფაა.[1353]

საკონსტიტუციო სამართალწარმოება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით უნიკალურია. მოსარჩელეთა წრე ერთი და იგივეა როგორც ჩასატარებელი, აგრეთვე, ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის კონტროლისას. ხოლო, მოპასუხე მხარეთა წრე განსხვავდება ჩასატარებელ და ჩატარებულ არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებული დავისას: თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება არჩევნების

[1350] კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბილისი, 2019, 234.

[1351] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 245.

[1352] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

[1353] ხეცურიანი ჯ., ფირცხალაშვილი ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", სპეციალური გამოცემა, N1, 2018, 43. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი.

(რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას, მოპასუხე მხარეა: ა) სადავო ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი); ბ) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), თუ სადავო ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ან არდანიშვნა.[1354] რაც შეეხება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ დავას, მოპასუხე მხარეა: ა) ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც იქნა შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი; ბ) ცენტრალური საარჩევნო კომისია ან/და საარჩევნო კომისია, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი არჩევნების ჩატარებაზე.[1355] აღსანიშნავია, რომ, მოსარჩელე მხარეს შეუძლია შეამციროს ან უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.[1356] თავის მხრივ, მოპასუხე მხარესაც შეუძლია ცნოს სარჩელი, თუმცა ეს არ გამოიწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას.[1357]

არსებითად განსხვავდება კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგები ჩასატარებელ და ჩატარებულ არჩევნებთან (რეფერენდუმთან) მიმართებით. თუმცა, ორივე შემთხვევაში ხდება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება.[1358] ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: ა) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან; ბ) დანიშნული არჩევნების (რეფერენდუმის) გაუქმებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს; გ) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) არდანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს.[1359]

[1354] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1355] იხ., იქვე, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1356] იხ., იქვე, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1357] იხ., იქვე, 29-ე პუნქტის მე-6 პუნქტი.

[1358] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 300.

[1359] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4[1] პუნქტის შესაბამისად, ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: ა) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას; ბ) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გამაწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი.[1360] ამდენად, არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობისთვის საკმარისი არ არის, მხოლოდ ის, რომ არჩევნების მომწესრიგებელი ესა თუ ის ნორმა არღვევს კონსტიტუციის შესაბამის ნორმას. ამასთან ერთად, უფლების ამ დარღვევამ არსებითი, გადამწყვეტი ზეგავლენა უნდა იქონიოს არჩევნების საბოლოო შედეგზე.

საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს კონსტიტუციურია თუ არა არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი სადავოდ გამხდარი ნორმები და მათი არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში რამდენად იმოქმედა ამ ნორმებმა ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე.[1361] თუმცა, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმა იურიდიულ ძალას კარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, არსებობს მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი ვერ გამოიწვევს მის საფუძველზე უკვე ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობას და შედეგების ბათილობას და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მომდევნო არჩევნებისთვის ექნება მნიშვნელობა.[1362] მით უმეტეს, რომ არჩევნების შემაჯამებელ ოქმსა და მისი დამტკიცების შესახებ საარჩევნო კომისიის განკარგულებაზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, ვინაიდან ისინი არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებად არ მიიჩნევა.[1363]

[1360] იხ., იქვე, 23-ე მუხლის 4[1] პუნქტი.

[1361] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 240.

[1362] იქვე. 240-241.

[1363] იქვე.

1.3. სამართალწარმოების ვადები

საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არაა მიმართული მხოლოდ მხარეებისკენ, იგი უფრო მასშტაბურია და, მათ შორის, სამართლებრივი სისტემის განვითარებას ისახავს მიზნად.[1364] შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილია სამართალწარმოების შეზღუდული ვადები, კერძოდ, ჩატარებული რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება 7 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნების მომენტიდან.[1365] ხოლო, ჩატარებული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.[1366]

ჩატარებული არჩევნების, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა, ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ საკითხის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 30 დღით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან, ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.[1367]

ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან. ამ პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო

[1364] გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი სტატუსი და აღსრულება, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 80, ს. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 128.

[1365] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[1366] იხ., იქვე, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[1367] იხ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები.

სასამართლოში შეიტანება ჩასატარებელი არჩევნების დანიშვნამდე არა უგვიანეს 30 დღისა. აღნიშნული ვადების დადგენა უზრუნველყოფს რეფერენდუმთან და არჩევნებთან დაკავშირებით დავების დროულ გადაწყვეტას.[1368]

1.4. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების იურისდიქციათა ურთიერთმიმართება არჩევნებსა და რეფერენდუმთან დაკავშირებით

არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის განხილვის უფლებამოსილება გააჩნია როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე საერთო სასამართლოებს. თუმცა მათი კომპეტენციური მანდატი მკაფიოდაა დადგენილი და კანონმდებლობით გამოირიცხება ფუნქციური დუბლირება. არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების ამოცანა აკისრია საერთო სასამართლოებს. აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სარჩელი შეიტანება რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც შესაძლოა გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. შესაბამისად, საერთო სასამართლოების ამოცანა არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებულ დავებთან მიმართებით კანონშესაბამისობის შემოწმებით შემოიფარგლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი ამოწმებს არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებული დავის კონსტიტუციურობას, და შესაბამისად, მისი შეფასების ფარგლები მოიცავს არა კანონშესაბამისობის, არამედ კონსტიტუციურობის შემოწმებას.

2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი

2.1. არსი და დანიშნულება

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არაერთი ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს უფლებამოსილებაა.[1369] პარლამენტის

[1368] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 290.

[1369] ქახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 271.

წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი შეწყვეტის საკითხებს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. განსხვავებით იმ ქვეყნების საკონსტიტუციო სინამდვილისგან, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის მიმართვის საფუძველზე უწყვეტს პარლამენტის წევრს უფლებამოსილებას, საქართველოში აღნიშნული კომპეტენცია პარლამენტს გააჩნია, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება კი ამ გადაწყვეტილებაზე საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლებლობაში გამოიხატება.[1370]

ზოგადად, საქართველოს პარლამენტის მიერ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება წარმოუდგენელია პარლამენტის წევრის დამოუკიდებლობისა და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური გარანტიების არსებობის გარეშე. აღნიშნული გარანტიები მოიცავს არამხოლოდ პარლამენტის წევრის საქმიანობას, არამედ მისი უფლებამოსილების ცნობასა და ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, როგორც პარლამენტის წევრის უფლების დაცვის საშუალება, ხოლო ამ უფლებამოსილების განხორციელების წესი ორგანული კანონით განისაზღვრება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, როგორც წესი, უკავშირდება საპარლამენტო არჩევნებს.[1371] ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის მიზნით ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტს აცნობებს არჩევნების შედეგებს და პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას გადასცემს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას. პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია შეისწავლის შესაბამის დოკუმენტაციას და შედეგებს მოახსენებს პარლამენტს, რომელიც ცნობს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილებას პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიით. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე პარლამენტის დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის

[1370] იხ., იქვე, 272.

[1371] პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საჭიროება შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, მაგ., როცა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, მისი ადგილმონაცვლე ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება.

გვარი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში ან საეჭვოდ მიიჩნია პარლამენტის დროებითმა სამანდატო კომისიამ.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს საქართველოს პარლამენტი დადგენილებით წყვეტს.[1372] პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისას კენჭი ეყრება უფლებამოსილების ცნობის თაობაზე დადგენილების პროექტს, მისი მიუღებლობისას კი გამოიცემა დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ. ამდენად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით პარლამენტი იღებს: ა) დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ; ბ) დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.[1373] ორივე შემთხვევაში პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება ინდივიდუალური შინაარსისაა და ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას.

რაც შეეხება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, საქართველოს კონსტიტუცია ამომწურავად განსაზღვრავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს. კერძოდ, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

ა) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.[1374]

[1372] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

[1373] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 275.

[1374] იხ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა გულისხმობს პარლამენტის წევრის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევას. აღნიშნულ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს დადგენილებით. შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად საქართველოს პარლამენტმა შეიძლება მიიღოს: ა) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ; ბ) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ. ორივე შემთხვევაში პარლამენტის დადგენილება ინდივიდუალური აქტია[1375] და ექვემდებარება უფლებამოსილი სუბიექტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას. აღნიშნული უფლებამოსილების სპეციფიკურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება ინდივიდუალურ აქტზე.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა" პუნქტის მიხედვით, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. მითითებული დებულება, *Prima facie* ისე იკითხება, რომ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს, თუ იგი ამგვარი განცხადებით მიმართავს პარლამენტს. კონსტიტუცია არ შეიცავს არანაირ დათქმას ან პარლამენტისათვის განკუთვნილი შეფასების რაიმე კრიტერიუმს იმის თაობაზე, თუ როდის, რა შემთხვევაში უნდა დააკმაყოფილოს მან პარლამენტის წევრის განცხადება და როდის არა. მთავარია დადგინდეს, რომ პარლამენტის წევრის ნება ნამდვილია. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების დროსაც, თითქოს არც სასამართლოს რჩება რაიმე არჩევანი და ერთადერთი, რაც შეიძლება ექვემდებარებოდეს სასამართლოში გადამოწმებას, ისაა, დარწმუნდა თუ არა პარლამენტი პირადი განცხადების ნამდვილობასა და, მაშასადამე, პარლამენტის წევრის ნების თავისუფლებაში. ამგვარად, კონსტიტუციის ტექსტი, მისი სიტყვასიტყვითი განმარტების პირობებში, არ უტოვებს პარლამენტს დისკრეციის გარკვეულ ფარგლებს ხსენებული საკითხის გადაწყვეტისას და თუკი პირადი განცხადება არსებობს, ის უნდა დაკმაყოფილდეს.[1376] თუმცა, ბოლო პერიოდში, აღნიშნული საკითხის მიმართ საქართველოს პარლამენტის მიერ განსხვავებული და საინტერესო პრაქტიკა ჩამოყალიბდა.[1377]

[1375] „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის დადგენილება, რომელიც საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება არანორმატიული, მაშასადამე, ინდივიდუალური აქტია.

[1376] დამატ. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 5 აპრილის საოქმო ჩანაწერზე N1565, N1568 და N1569 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ".

[1377] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/5/1565,1568,1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

2.2. უფლებამოსილი მოსარჩელე და დავის საგანი

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის შემოწმება უკავშირდება შესაბამისი პირის სუბიექტურ-სამართლებრივ პოზიციებს.[1378] თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისაგან დაცვას პარლამენტის წევრის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური გარანტიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.[1379] შესაბამისად, აღნიშნული საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილვა სცდება მისი მხოლოდ სუბიექტურ განზომილებაში შეფასების ფარგლებს.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს ან იმ პირს, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ადრეული რედაქცია აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას ასევე ანიჭებდა საქართველოს პრეზიდენტს, რისი შესაძლებლობაც მოგვიანებით შეიზღუდა.[1380] ამდენად, ამ უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი სუბიექტთა წრის განსაზღვრა ემსახურება არამხოლოდ კონკრეტული პირის უფლების დაცვას, არამედ საპარლამენტო უმცირესობების დაცვისა[1381] და კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფასაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანისთვის განსაზღვრულია 2 (ორი) კვირის ვადა, პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტიდან.[1382] საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავაში მოპასუხე მხარე საქართველოს პარლამენტია. საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან

[1378] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 258.

[1379] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1380] იხ., 2018 წლის 21 ივლისის N3265-რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

[1381] იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 206.

[1382] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია,[1383] რომელიც არსებითი განხილვის შედეგად გამოსცემს გადაწყვეტილებას. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან მის ვადამდე შეწყვეტის საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს რიგგარეშე[1384] და მხარეთა მონაწილეობით, ზეპირი მოსმენის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც წესი, საჩივრდებოდა პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. თუმცა საინტერესო პრაქტიკა ჩამოყალიბდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, როცა პარლამენტის წევრთა მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე პირადი განცხადებით მიმართვის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა უფლებამოსილება არ შეუწყვიტა შესაბამის პირებს და ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა.[1385]

საქართველოს პარლამენტის მიერ უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღების არგუმენტად მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ ახლადარჩეული პარლამენტი ჯერ არ იყო შეკრებილი, და შესაბამისად, პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება არ იყო ცნობილი. ხოლო, იმ პირთა უფლებამოსილების შეწყვეტა, რომელთა უფლებამოსილების ცნობაც არ მომხდარა, არ იქნა მიჩნეული მართებულად.[1386] აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ნარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებს პირად განცხადებას, საქართველოს პარლამენტს ავალდებულებდა, პარლამენტის წევრის მიერ შესაბამისი მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიეღო ფორმალური პროცედურით, პოლიტიკური მიზანშეწონილობის შეფასების გარეშე.[1387] თუმცა ამ დრომდე უცნობია საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

[1383] იხ., იქვე, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1384] იხ., იქვე, 32[2] მუხლის მე-13 პუნქტი.

[1385] იხ., მაგ., საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 თებერვლის N119-IVმს-Xმპ დადგენილება „თამარ კორძაიასთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ".

[1386] საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების ნორმატიულ საფუძვლად განსაზღვრულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[1387] იხ., 2021 წლის 10 თებერვლის N1565 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", ასევე, N1568 და N1569 კონსტიტუციური სარჩელები.

2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები და გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის განხორციელება,[1388] კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით პარლამენტის წევრის დამნაშავედ ცნობა[1389] და მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით მორიგი სხდომების ნახევარზე მეტზე არდასწრება, რაც განპირობებული იყო პარლამენტის წევრის საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმში ყოფნით.[1390]

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა მის პარლამენტის წევრად აღიარებას გულისხმობს და, როგორც წესი, პარლამენტის არჩევნებთან არის დაკავშირებული.[1391] საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციით დასაშვები ფარგლების ანალიზი უნდა მოხდეს პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის შინაარსისა და დანიშნულების, პარლამენტის წევრის სტატუსისა და ფუნქციების გათვალისწინებით.[1392] აღნიშნული ფაქტორები ერთობლივად განაპირობებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების მყარი საკონსტიტუციოსამართლებრივი გარანტიების შექმნის აუცილებლობას.[1393]

სახელმწიფო თანამდებობის პირის მიმართ მოქმედი უფლების დაცვის საკონსტიტუციო სტანდარტები მისი სტატუსიდან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის სწორად გადაწყვეტა მოითხოვს პარლამენტის და პარლამენტის წევრის სტატუსთან დაკავშირებული კონსტიტუციური გარანტი-

---

[1388] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1389] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1390] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1391] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 273; იხ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 197.

[1392] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

[1393] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-27.

ების შინაარსის, დანიშნულებისა და მიზანმიმართულების შეფასებას.[1394] ნიშანდობლივია, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების ექსკლუზიური და ამომწურავი ჩამონათვალი მინიმუმამდე ამცირებს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დისკრეციის ფარგლებს.[1395] ამასთან, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები თავის მხრივ, გაფართოებას არ ექვემდებარება.[1396]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხი, თუ მასზე პარლამენტს უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული და ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს უფლებამოსილი სუბიექტი. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. ხოლო, თუ არ არსებობს პარლამენტის გადაწყვეტილება მისი წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე.[1397]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში პარლამენტის წევრის სტატუსთან დაკავშირებულ დავაზე პარალელი გაავლო იმპიჩმენტის გზით მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურასთან.[1398] მისი განმარტებით, როგორც იმპიჩმენტის, ისე პარლამენტის წევრისათვის დანაშაულის ჩადენის გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დანიშნულება პრაქტიკულად ერთი და იგივეა. ეს არის მაღალი თანამდებობის პირის ხელისუფლებისაგან ჩამოცილება ხელისუფლების სიჯანსაღის დაცვისა და მისდამი ხალხის ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს სწორედ ეს ინტერესი მიაჩნია წარმმართველად და არა მხოლოდ დეპუტატის უფლებების დაცვა.[1399]

დემოკრატიის პრინციპი პოლიტიკური ოპოზიციის უფლებების დაცვას მოითხოვს. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა იძლევა უმცი-

---

[1394] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[1395] იქვე, II-7.

[1396] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 270.

[1397] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 194.

[1398] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-36.

[1399] იხ., იქვე.

რესობის დაცვის შესაძლებლობას.[1400] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დემოკრატია არა მხოლოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, არამედ ამომრჩევლის ნების სრულყოფილ აღსრულებასაც, რაც დემოკრატიის ბუნებრივი გაგრძელებაა.[1401] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა არ დაუშვას პარლამენტის წევრის სუბიექტური პოზიციის ისეთი ხელყოფა, რომელიც არღვევს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, ვინაიდან, სწორედ ამით სასამართლო იცავს ხელისუფლების სიჯანსაღეს.[1402] რაც შეეხება საზოგადოების ნდობას, ამ უკანასკნელის საზომია თავისუფალი არჩევნები და არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვარაუდი პარლამენტის წევრის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენთან მიმართებით, რომ განაჩენი აცლის მას დემოკრატიულ ლეგიტიმაციას და საზოგადოების ნდობას.[1403]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს:

ა) საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას თუ ვადაზე ადრე მოხდა მისი როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა;

ბ) საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და საქართველოს მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მისი უფლებამოსილება არ ცნო.

გ) საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება;

დ) საქართველოს პარლამენტის იმ დადგენილების (ან დადგენილების ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს

[1400] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 259.

[1401] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[1402] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 260.

[1403] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-36.

გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო მისი წევრის უფლებამოსილება.[1404] ამასთან, „ა" და „გ" პუნქტებით განსაზღვრული შედეგები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს მიემართება, ხოლო „ბ" და „დ" პუნქტებით განსაზღვრული შედეგები – პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას. პარლამენტის წევრის მიმართ მიღებული არაკონსტიტუციური დადგენილება უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტასთან ან უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით ძალას კარგავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

3. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლი

3.1. არსი და დანიშნულება

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ინსტიტუციებია და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.[1405] პოლიტიკური სუბიექტების გაძლიერება და ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის შექმნა უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.[1406] ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე ვრცელდება საკონსტიტუციო კონტროლი და ამ უფლებამოსილებით აღჭურვილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკონსტიტუციო ორგანო.[1407] სახელმწიფოთა სიმრავლე განაპირობებს მოდელურ მრავალფეროვნებასაც: სახელმწიფოთა ერთ ნაწილში აღნიშნული განიხილება, როგორც პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ერთ-ერთი გარანტია. მოცემულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოები ამოწმებენ პოლიტიკური პარტიების აკრძალვის, თუ საქმიანობის შეჩერების შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას.[1408] სხვა სახელმწიფოებში კი საქმე

[1404] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1405] ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020, 222.

[1406] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-23.

[1407] მაგ., ჩეხეთის, რუმინეთის, ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოები და სხვ.

[1408] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 175.

შეეხება გაერთიანების შექმნის თავისუფლების შეზღუდვას, კონსტიტუციის დარღვევისათვის პოლიტიკური პარტიის პასუხისმგებლობის საკითხს და საკითხის გადაწყვეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ.[1409] საქართველო სწორედ მეორე მოდელს მიეკუთვნება.

საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქის ერთ-ერთ ძირითად უფლებად განიხილავს.[1410] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი პოლიტიკურ პარტიას განმარტავს საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილ მოქალაქეთა ნებაყოფლობრივ და დამოუკიდებელ გაერთიანებად, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.[1411] ამდენად, საქართველოში პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დგინდება.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციოსამართლებრივ ფუნქციასა და მათი საქმიანობის პრინციპებს. პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება: პარტიების თავისუფლების პრინციპი პარტიების მიმართებას აწესრიგებს სახელმწიფოსთან; პარტიების თანასწორობის პრინციპი – პარტიების მიმართებას სხვა პარტიებთან; პარტიების საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი პარტიების მიმართებას აწესრიგებს საზოგადოებასთან და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპი, რომელიც პარტიების მიმართებას აწესრიგებს პარტიის წევრებთან.[1412]

დემოკრატიული მმართველობის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ პოლიტიკურ პარტიებს, ვინაიდან, სწორედ პოლიტიკური გაერთიანებების მეშვეობით ხორციელდება იმ ინდივიდების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის გაცნობა, რომელთაც შესაძლოა მომავალში პოლიტიკური და სხვა სახელმწიფო თანამდებობები დაიკავონ.[1413] აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფართო შესაძლებლობას ითვალისწინებს. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „სა-

---

[1409] იხ., იქვე.

[1410] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1411] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[1412] კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, თბილისი, 2008, 112.

[1413] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/2/1277 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29.

ქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე, იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს".[1414]

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის თავისუფლებას. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.[1415] ამასთან, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს პოლიტიკური პარტიების თავისუფლების დაცულ სფეროში ყველაზე მძიმე, აკრძალვის ფორმით ჩარევას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხი მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია, ვინაიდან ამ უკანასკნელმა უნდა დაიცვას კონსტიტუციური წესრიგი პოლიტიკური ძალისგან, რომლის თავისუფლების ხელყოფა გამომდინარეობს საზოგადოების თავისუფლების დაცვის ინტერესიდან. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული ამოცანა უნდა შესრულდეს საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური ღირებულებების დაზიანების გარეშე.[1416]

საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და ამ უკანასკნელის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლის მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ, კუთხურ ან სხვა სოციალურ შუღლს. კონსტიტუციით ასევე იზღუდება პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.[1417] ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციით პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის შეზღუდვისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებები არ არის ამომწურავი და დამატებით განისაზღვრება ორგანული კანონით.[1418] მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად დადგენილია პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის აკრძალვის ისეთი საფუძველი, როგორიცაა პოლიტიკური პარტიის მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა.[1419]

1414 საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

1415 იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1416 ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 243.

1417 საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1418 იქვე, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1419 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლი.

3.2. უფლებამოსილი მოსარჩელე

2017 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ არსებითად შეცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის საკითხის განხილვის უფლებამოსილება. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით არის გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, რომელიც ადგენს საქართველოს მოქალაქეების მიერ პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით კი, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით,[1420] რომლის საფუძვლებიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-4 თავითაა გათვალისწინებული.

აღნიშნული საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციით ასევე განისაზღვრა იმ მოსარჩელეთა წრე, რომელთაც შეუძლიათ კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმებისას სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გააჩნია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას ან საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.[1421] ამდენად, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე პირთა წრე აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვაზე უფლებამოსილ პირთა იდენტურია.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებამ სხვა მხრივაც განიცადა ცვლილება და გაფართოვდა მისი ფარგლები: საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილების ფარგლებში ასევე განიხილავს შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხსაც.[1422] ამასთან, საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ და საკონსტიტუციო კონტროლს და-

[1420] იხ., იქვე, 35-ე მუხლი.

[1421] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

[1422] იხ., იქვე.

ექვემდებარა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. აღნიშნულის მიუხედავად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონით კვლავ მოწესრიგებულია პოლიტიკური პარტიების არა მხოლოდ საქმიანობის, არამედ შექმნის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხიც.[1423]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა პოლიტიკური პარტია, ხოლო როდესაც კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა პოლიტიკური პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო.[1424] პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,[1425] რომელსაც წარედგინება პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, პარტიის წესდება. სწორედ წესდების შინაარსიდან გამომდინარე, მარეგისტრირებელ ორგანოს აქვს შესაძლებლობა გამოიკვლიოს ინფორმაცია პარტიის არაკონსტიტუციური მიზნებისა და საქმიანობის შესახებ, რისთვისაც კანონით მინიჭებული აქვს განხილვის 1 (ერთი) თვიანი ვადა.[1426] პარტიის რეგისტრაციის აქტი არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა.[1427] ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია უარი განაცხადოს პარტიის რეგისტრაციაზე, იმ საფუძვლით, რომ პოლიტიკური პარტიის წესდება ან სხვა თანდართული დოკუმენტაცია წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან ან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონთან.[1428] შესაბამისად, არაკონსტიტუციური პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეკისრება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლში 2018 წელს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ამოღებულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც უფლებამოსილი მოსარჩელე და იგი ჩანაცვლდა საქართველოს მთავრობით: ლოგიკურია, რომ პოლიტიკური პარტიის არაკონ-

---

1423 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

1424 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1425 იხ., იქვე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1426 იხ., იქვე, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1427 იხ., იქვე, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1428 იხ., იქვე, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

სტიტუციური მიზნებისა და მოქმედებების შესახებ მოსარჩელეთა შორის შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენის ყველაზე მეტი შესაძლებლობა მთავრობას აქვს.[1429] რაც შეეხება, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, როგორც უფლებამოსილი მოსარჩელის არსებობას, იგი პრობლემურად აღიქმებოდა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ტერიტორიული ერთეულების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და იგი ძირითადად მიმართულია უშუალოდ ამ ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებების დაცვისკენ. მით უმეტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში მოქმედი პოლიტიკური პარტიები არ შეიძლება კანონიერად არსებობდნენ.[1430]

3.3. დავის საგანი და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის არაკონსტიტუციურად გამოცხადების სამართლებრივი შედეგები

პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათი საქმიანობის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპია. პოლიტიკური პარტიის შექმნა გულისხმობს პარტიის დაფუძნებასა და რეგისტრაციას, ხოლო საქმიანობა – უკვე შექმნილი პარტიის პოლიტიკურ აქტივობას. პარტიის შექმნა წარმოადგენს პარტიის საქმიანობის წინაპირობას, რადგან სხვაგვარად პარტია ლეგალურად ვერ იმოქმედებს.[1431] 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების როგორც შექმნის, ისე მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხები. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შექმნის კონსტიტუციურობას, კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით იგი საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის მიღმაა დატოვებული.[1432]

[1429] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 246.

[1430] შარაშიძე მ., პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში, კრებულში: „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლებების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში", თბილისი, 2006, 94.

[1431] იხ., იქვე, 251.

[1432] ხეცურიანი ჯ., ფირცხალაშვილი ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", სპეციალური გამოცემა, თბილისი, N1, 2018, 40.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ლეგიტიმაცია მებრძოლი ან თავდაცვისუნარიანი დემოკრატიის დოქტრინიდან გამომდინარეობს.[1433] აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ასევე, დაუშვებელია პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.[1434] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი პოლიტიკური პარტიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობის განხორციელებაა.[1435]

პარტიის აკრძალვასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებაც. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობაზეა დამოკიდებული. თუმცა ახალი უფლებამოსილება ნაკლოვანი ნორმატიული მოწესრიგებით ხასიათდება, რადგან „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შედეგებს არაკონსტიტუციური პარტიის წარდგინებით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტასთან მიმართებით. ამასთან, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი შეწყვეტის საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტი, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ თვალსაზრისით საკონსულტაციო ხასიათი ექნება და საკანონმდებლო ორგანო განიხილავს და წყვეტს, თუ რამდენად არის პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა კონკრეტული დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკმარისი საფუძველი.[1436] იგივე მიდგომა იქნება გასაზიარებელი სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების შემთხვევაშიც.

[1433] Morlok M., Das Partiengesetz Georgiens und die Moglichkeiten seiner Verbesserung, GIZ, N8, 2018, 4-11.

[1434] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1435] ბუნდოვანია საკითხი, პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ ნორმასთან მიმართებით შეუძლია შეაფასოს, რომელიც კრძალავს პოლიტიკური პარტიის შექმნასა და საქმიანობას კონკრეტული მიზნით, თუ სხვა ნორმებთან მიმართებითაც, მაგ., კონსტიტუციით განსაზღვრული პარტიის საქმიანობის პრინციპების დარღვევისასაც.

[1436] საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის შემოწმებისას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება და პარტიის საქმიანობის არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის აქტის გაუქმებას,[1437] რაც პარტიის როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი სუბიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის ტოლფასია. შესაბამისად, პარტია კარგავს სტატუსს, ხოლო პარტიის ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.[1438] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას გამოიწვევს პოლიტიკური პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და მის მიერ წარდგენილი საარჩევნო კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმებას.[1439] შესაბამისად, პოლიტიკური პარტია მონაწილეობას ვერ მიიღებს არჩევნებში. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს პოლიტიკური პარტიის „რეინკარნაციის" შესაძლებლობას,[1440] გაუქმებული პარტიის წევრებმა შექმნან ახალი პარტია, რომელიც ფორმალურად შესაბამისი იქნება კონსტიტუციის მოთხოვნებთან.

[1437] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1438] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლი.

[1439] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 113-ე მუხლის მე-12 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტი.

[1440] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021, 257.

თავი XIII. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სტრუქტურა და მიღების წესი

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია: გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა.[1441] როგორც წესი, საოქმო ჩანაწერი და განჩინება განმწესრიგებელი ეტაპის სხდომის აქტებია, დასკვნა შემაჯამებელი აქტია, რომელიც მიიღება მხოლოდ იმპიჩმენტისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის გადაწყვეტისას, ხოლო გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების საბოლოო, შემაჯამებელი აქტია. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები სტრუქტურულად მსგავსია, თუმცა მცირედი განსხვავება განპირობებულია თავად ამ აქტების ბუნებითა და იმ სამართლებრივი შედეგებით, რომელთა დადგომასაც იწვევს თითოეული მათგანი.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები 4 ძირითადი სტრუქტურული ერთეულისგან – შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისგან შედგება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემულ თითოეულ სამართლებრივ აქტში ვხვდებით კანონით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს, რომლებიც დასახელებულ აქტებს შესაბამის ნაწილში მიეთითება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების შესავალ ნაწილში აღინიშნება აქტისთვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, რომლის პირველი ციფრიც მიუთითებს სასამართლოს შემადგენლობაზე, ხოლო მომდევნო ციფრები და რიცხვები კი საქმისათვის მინიჭებული ნომერი და გამოცემული აქტის რიგითობის აღმნიშვნელია. ამასთან, გადაწყვეტილებაში, საოქმო ჩანაწერში, დასკვნასა და განჩინებაში მიეთითება ისეთი რეკვიზიტები, როგორებიცაა, აქტის მიღების თარიღი და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, მომხსენებელი მოსამართლე, სხდომის მდივანი, საქმის დასახელება, დავის საგანი და საქმის განხილვის მონაწილეები. მონაწილეთა შორის აღინიშნება ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა პროცესში. კერძოდ, როგორც პროცესის მონაწილე მხარეები და მათი წარმომადგენლები, ასევე პროცესზე მოწვეული ექსპერტი, მონმე ან/და სპეცი-

[1441] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ალისტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[1442] ბუნებრივია, საქმის განხილვის მონაწილეების მითითება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენით.[1443]

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების მეორე სტრუქტურული ნაწილი აღწერილობითია, რაც მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მოსარჩელე მხარის მოთხოვნის მიმოხილვასა და აღწერას. სასამართლო უთითებს, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად კოლეგიისთვის, პლენუმისათვის გადაცემისა და სხდომების გამართვის თარიღებს. აღწერილობით ნაწილშივე მიეთითება ისეთი საკითხები, როგორიცაა: სარჩელის პლენუმისთვის გადაცემა და მოსამართლეთა აცილება, კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში მითითებული საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივი საფუძვლები, შუამდგომლობები და სხვა. აღწერილობითი ნაწილის ძირითადი დანიშნულება საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში წარმოდგენილი არსებითი არგუმენტაციის მიმოხილვა, ხოლო, იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე წყდება ზეპირი მოსმენით, მხარეთა არგუმენტაციის, პროცესზე მოწვეული და სხვა პირების (მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის და სასამართლოს მეგობრის) მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების შეჯამებაა. ამდენად, აღწერილობით ნაწილში მიეთითება კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მოთხოვნა და მოპასუხის, პროცესში მონაწილე სხვა პირთა მოსაზრებები სადავოდ გამხდარ საკითხზე.[1444]

სამართლებრივი აქტების მესამე, არსებითი ნაწილი არის სამოტივაციო. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამ ნაწილში აყალიბებს საკუთარ არგუმენტაციას, წყვეტს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების, მიუღებლობის, შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან/და დაუკმაყოფილებლობის, სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის და სხვა საკითხებს. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების სამოტივაციო ნაწილი და, შესაბამისად, მისი დასაბუთება განსხვავდება აქტების ბუნების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა, განსხვავებით იმ საოქმო ჩანაწერისგან, რომლითაც სრულად ხდება კონსტიტუციური სარჩელის

[1442] იქვე, 43-ე მუხლის 1^2 პუნქტი.

[1443] შეად., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/13/1603 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/1/729 განჩინება საქმეზე, „გრიგოლ სანდუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1444] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1^3 პუნქტი.

არსებითად განსახილველად მიღება, მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, მტკიცებულებებზე და სათანადო არგუმენტებზე მითითებას. გარდა ამისა, სამოტივაციო ნაწილში ასევე აღინიშნება კანონის/კონსტიტუციის ის ნორმები, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობდა შესაბამისი გადაწყვეტილების ან დასკვნის მიღებისას.[1445]

საკონსტიტუციო სასამართლო აქტების სარეზოლუციო ნაწილში უთითებს იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომლებიც საფუძვლად ედება სამართლებრივი აქტის მიღებას. იმავდროულად, სასამართლო ადგენს აქტების საბოლოო სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნულ შემთხვევაშიც, აქტის ბუნება განსაზღვრავს, როგორც სარეზოლუციო ნაწილის სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ საკითხებს. თითოეული სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილით სასამართლო წყვეტს და ადგენს კონსტიტუციური სარჩელით, შუამდგომლობით დაყენებულ მოთხოვნას, პასუხობს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად მიღების, მოსამართლის აცილების თუ სხვა საკითხებს. მაგალითად, იმ განჩინების შემთხვევაში, რომლითაც სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად, საკონსტიტუციო სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილით ადგენს სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობის საკითხს, განჩინების საბოლოობას, უთითებს მისი გასაჩივრების აკრძალვისა და გამოქვეყნების წესზე და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა „დამძლევი" განჩინება, სარეზოლუციო ნაწილი იმეორებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სტრუქტურას და ადგენს კონკრეტული აქტის ძალადაკარგულად ცნობას, ცალკეულ შემთხვევებში კი, განსაზღვრავს სადავო აქტის ძალადაკარგულად ცნობის კონკრეტულ ვადას.

მიუხედავად, იმისა, რომ ერთი შეხედვით, საკითხს გადაწყვეტს აქტის სარეზოლუციო ნაწილი, სავალდებულო ხასიათის მქონეა არა მხოლოდ სარეზოლუციო, არამედ, ასევე სამოტივაციო ნაწილიც, რომელიც ადგენს ძირითად სტანდარტებს და ახდენს კონსტიტუციური დებულებების შინაარსის განმარტებას.[1446] იმავდროულად, სამოტივაციო ნაწილი შედგება როგორც ძირითადი, ფუნდამენტური მსჯელობისგან, რომლის გარეშე არ მიიღებოდა ესა თუ ის გადაწყვეტილება და ურომლისოდაც გაუგებარი გახდებოდა სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი სამართლებრივი შედეგი, ან რომელთა მხედველობაში მიღებაც აუცილე-

---

[1445] იქვე, 43-ე მუხლის 1[4] პუნქტი.

[1446] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", რომლითაც სადავო ნორმა არაკონსტიტუციურადაა ცნობილი სამოტივაციო ნაწილით დადგენილ გარემოებებზე მითითებით.

ბელია სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი საკითხის ხელახალი რეგულირებისას, ასევე მოიცავს *obiter dictum*, რაც არაარსებითი, მარტოოდენ დამატებითი ხასიათის მსჯელობაა და ავსებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად აზრს.[1447]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის მიღების პროცედურას განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი. აღნიშნული ორგანული კანონი ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, განჩინების/საოქმო ჩანაწერის პროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს/კოლეგიას წარუდგენს მომხსენებელი მოსამართლე,[1448] ხოლო რეგლამენტი კი დეტალურად აწესრიგებს მისი მიღების პროცედურულ ასპექტებს.

სასამართლოს აქტის მიღების საკითხს პლენუმი/კოლეგია წყვეტს ღია კენჭისყრით, სათათბირო ოთახში.[1449] აქტის მისაღებად სასამართლოს სხდომას იწვევს შესაბამისი კოლეგიის/პლენუმის თავმჯდომარე მომხსენებელ მოსამართლესთან კონსულტაციით. მომხსენებელი მოსამართლე პლენუმს/კოლეგიას განმწესრიგებელი სხდომის დოკუმენტის პროექტს წარუდგენს სასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 2 დღის, ხოლო გადაწყვეტილების/დასკვნის პროექტს – არაუგვიანეს 7 დღისა.[1450] ამასთან, საქმის განხილვის მონაწილე მოსამართლეებს უფლება აქვთ დააყენონ წინადადება სასამართლოს აქტის პროექტში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ, რომელთა გაზიარების შემთხვევაში ცვლილებები აისახება სასამართლოს აქტის პროექტში.[1451] შესაძლებელია ცვლილებები არ იქნეს გაზიარებული და, შედეგად კენჭი ეყაროს სასამართლო აქტის თავდაპირველ პროექტს, ხოლო მათი გაზიარების შემთხვევაში პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებსა და დამატებებს.[1452] თუ მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარმოდგენილ პროექტში ასახულ საქმის გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა მისი მიღებისათვის საკმარისი რაოდენობის მოსამართლემ, პროექტი არ ჩაითვლება მიღებულად. ის მოსამართლეები, რომლებმაც პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ადგენენ სასამართლო აქტის ალტერნატიულ

1447 იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-49.

1448 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი 31[5] მუხლის მე-3 პუნქტი.

1449 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1450 იქვე, 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

1451 იქვე, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1452 იქვე, 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

პროექტს. ალტერნატიული პროექტი გასაცნობად გადაეცემა საქმის განმხილველ ყველა მოსამართლეს.[1453]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლში 2024 წლის პირველ მარტს შესული ცვლილების საფუძველზე განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა დროული გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმი. კერძოდ, თუ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციიდან ან მისი არსებითად განსახილველად მიღებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, ხოლო ზეპირი მოსმენით განმწესრიგებელი სხდომის ან/და არსებითი განხილვის დასრულებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ პლენუმის/კოლეგიის თავმჯდომარე, მომხსენებელ მოსამართლესთან კონსულტაციის შედეგად, გამოარკვევს, რომ აქტის მისაღებად სასამართლოს სხდომის ჩანიშვნის შემთხვევაში, მომხსენებელი მოსამართლე ვერ შეძლებს შესაბამისი სასამართლოს აქტის პროექტის წარდგენას, პლენუმის/კოლეგიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სასამართლოს აქტის პროექტის მომზადება დაავალოს საქმის განმხილველ სხვა მოსამართლეს და მასთან კონსულტაციის შედეგად ჩანიშნოს სასამართლოს სხდომა, რა დროსაც გამოიყენება აქტის მისაღებად დადგენილი ზოგადი წესები.[1454]

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია, განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა სამი წევრი.[1455] ხოლო, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორიცაა მაგალითად, იმპიჩმენტის საკითხზე დასკვნის მიღება, რა დროსაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომას ესწრებოდეს სულ ცოტა 7 წევრი.[1456] საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების ან/და გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს წყვეტს საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეების ხმათა უმრავლესობით.[1457] თუ კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ისევე როგორც არ დასტურდება თანამდებობის პირის

1453 იქვე, 36-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები.

1454 იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2024 წლის პირველი მარტის N136/1 დადგენილების მე-3 პუნქტი.

1455 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1456 იქვე, 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

1457 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა,[1458] რამდენადაც ასეთ შემთხვევებში მოქმედებს, როგორც პირის უდანაშაულობის ასევე, ნორმათა კონსტიტუციურობის პრეზუმფცია. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის საოქმო ჩანაწერი/განჩინება ან დასკვნა, რომელიც განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისგან, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.[1459]

საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერს/განჩინებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი, ასევე, გადაწყვეტილებას და დასკვნას ხელს აწერს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი.[1460] თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ ეთანხმება სასამართლოს აქტის პროექტს, იგი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბოს განსხვავებული ან თანმხვედრი აქტი, რომელიც სასამართლოს აქტს თან დაერთვის და მასთან ერთად ქვეყნდება.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სახეები და თავისებურებები

2.1. განჩინება

2.1.1. განჩინების მიღების საფუძვლები

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ყველაზე ხშირად გამოცემული სამართლებრივი აქტები იმ შინაარსის განჩინებებია, რომლის საფუძველზეც არსებითად განსახილველად არ მიიღება კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება. შესაბამისად, თავისი ბუნებით, განჩინება უარყოფითი ხასიათის აქტია, რომლითაც არ კმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა და მისით დადგენილი სამართლებრივი შედეგი ინვევს სამართალწარმოების დასრულებას. თუმცა, კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში, როდესაც განჩინებით შესაფასებელი საკითხი არაა კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება, აღნიშნული კატეგორიის აქტის სამართლებრივი შედეგი შესაძლოა, შუამდგომლობის დაკმაყოფილება ან/და ნორმის ძალადაკარგულად ცნობაც იყოს. მაგალითად, სასამართლო

[1458] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

[1459] იქვე, 21[1] მუხლის მე-2 პუნქტი.

[1460] იქვე, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

განჩინებით პასუხობს მოსამართლის თვითაცილებას ან/და მხარის შუამდგომლობას, მოსამართლის აცილების თაობაზე, რომელსაც აკმაყოფილებს.[1461] განჩინება ასევე მიიღება ასეთი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც.[1462]

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით განისაზღვრება განჩინების მიღების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული შემთხვევები პირობითად, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: განჩინებები, რომლებიც განსაზღვრავენ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხს და განჩინებები, რომლებიც პასუხობენ ცალკეულ შუამდგომლობებს ან წყვეტენ ტექნიკურ საკითხებს.

2.1.1.1. საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა

უფლების დარღვევის რეალურ ფაქტებზე კონცენტრირებისა და ჭარბი მიმართვიანობის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მიზნით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში არსებობს საპროცესო „ფილტრები", რაც, ძირითადად, კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძვლებში გამოიხატება. ამავდროულად, ბუნებრივია, ამ წინაპირობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღოს სწორედ ის საკითხები, რომლებიც ექცევა მისთვის კონსტიტუციით დადგენილ მანდატში და რეალურ მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას ან/და დარღვევის პრევენციას. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების გადაწყვეტა პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სასამართლო მართლმსაჯულების ეფექტიან და დროულ განხორციელებას.[1463] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითად განხილვა დაკავშირებულია შეზღუდულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან, რომელთა მხოლოდ ოპტიმალური გამოყენებითაა შესაძლებელი საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატისა და როლის სრულყოფილად განხორციელება.[1464]

[1461] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1462] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1463] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 23.

[1464] ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017, 8.

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს განჩინებას. თავის მხრივ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ორგანული კანონის 31^1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ; გ) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ორგანული კანონის 21^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის. თუ მოსარჩელე/წარდგინების ავტორი ითხოვს რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას, რომელთა ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია, ხოლო ნაწილი ხელისუფლების სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ ამ კანონით მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებს.[1465]

2.1.1.2. გამარტივებული წარმოება

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო ძალის მქონეა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა ავტომატურად არ იწვევს მსგავსი შინაარსის მქონე სხვა აქტების არაკონსტიტუციურად ცნობასაც. გარდა ამისა, პრაქტიკაში არ გამოირიცხება სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული შინაარსის განმეორების შესაძლებლობა. შესაძლოა, განზრახ, საკონსტიტუციო სასამართლოს ნების უგულებელყოფით, ან/და განზრახვის გარეშე მიღებული იქნეს იმ შინაარსის ნორმა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობა ითვალისწინებს პრაქტიკის დამძლევი ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას განმწესრიგებელ სხდომაზე, რა დროსაც სასამარ-

[1465] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლი.

თლო იღებს განჩინებას. კერძოდ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.[1466] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმა წარმოადგენს სასამართლო პროცესის ეკონომიურობისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის პრინციპის გამოხატულებას. აღნიშნული ნორმა სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესი გააუქმოს არსებითად განხილვის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მასში ასახული მოწესრიგების რეალურ აღსრულებას. მოცემული ნორმით, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, კონტროლს უწევს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევისგან დაცვის პრევენციულ მექანიზმს.[1467]

იმისათვის, რომ სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი არსებითად განსახილველად მიღების გარეშე, აუცილებელია ორი კუმულაციური წინაპირობის არსებობა: ა) სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი უნდა შეიცავდეს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად; ბ) საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იზიარებდეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ადრე გამოხატულ პოზიციას.[1468] სასამართლოს პრაქტიკით, ტერმინი „იმავე შინაარსის ნორმა" არ გულისხმობს სიტყვასიტყვით იგივე ფორმულირების შემცველი წესის მიღებას/არსებობას. ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსისა.[1469] ამასთან, ნორმებს შორის შინაარსობრივი მსგავსების დადგენისას სასამართლო აფასებს სადავო ნორმა იწვევს თუ არა იმავე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, რომელსაც

[1466] იქვე, 25-ე მუხლის 4[1] პუნქტი.

[1467] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

[1468] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/14/1476 განჩინება საქმეზე, „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[1469] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-10.

არღვევდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა, რამდენად ხდება უფლების შეზღუდვა მსგავსი სამართლებრივი საშუალების გამოყენებით და დგება თუ არა არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგები.[1470]

ამდენად, აღნიშნული ფორმის განჩინებით განმწესრიგებელ ეტაპზე წყდება იმ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი, რომელიც იმეორებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. იმავდროულად, შინაარსობრივი მსგავსება სახეზეა მაშინ, როდესაც სადავო ნორმით დადგენილი სამართლებრივი მოწესრიგების არაკონსტიტუციურობა უკვე დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და არ არსებობს სხვა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმის კონსტიტუციურობის ხელახლა შეფასების საჭიროებას ან საფუძველს შექმნიდა.[1471]

2.1.1.3. სამართალწარმოების შეწყვეტა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში საქმის შეწყვეტა არ ხდება ავტომატურად და დამოკიდებულია სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღებაზე, რომლისთვისაც უნდა არსებობდეს სათანადო წინაპირობები. კერძოდ, საქმე წყდება მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისას,[1472] მოსარჩელე მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობისას,[1473] საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობისას,[1474] ან/და

[1470] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/855 განჩინება საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის" პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო", II-5.

[1471] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/2/1647 განჩინება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის", ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/20/1219,1236 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1472] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1473] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1474] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მოსარჩელე მხარის გარდაცვალების შემთხვევაში.[1475] საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიეთითება ფაქტობრივი გარემოებები, იქნება ეს ნორმის ცვლილება, მოსარჩელე მხარის ნება, თუ ცნობა გარდაცვალების შესახებ. იმავდროულად, მოსარჩელის ნება, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, არ ტოვებს სასამართლოსთვის დამატებით სივრცეს საკითხის შეფასებისათვის და განაპირობებს *a priori*, ყოველგვარი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მის შეწყვეტას.[1476] აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.[1477]

სადავო ნორმის ცვლილებისას, საქმე წყდება და, შესაბამისად, განჩინება მიიღება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზეა საქმის განხილვა. განმწესრიგებელ ეტაპზე სადავო ნორმის ცვლილება არ იქნება საქმის შეწყვეტის თვითკმარი საფუძველი, თუ მოსარჩელე მხარე აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.[1478] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.[1479]

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით, საქმის შეწყვეტის წინაპირობად მიჩნეულია მოსარჩელის მიერ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხა-

---

[1475] იქვე, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; ასევე, იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის N1/1/657 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1476] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/2/1358 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის" და „შპს ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1477] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1478] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის N3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ვახტანგი მიმინოშვილი, ინერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-10.

[1479] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

დებლობა, რაც შესაძლოა, განხილულ იქნეს მის მიერ დავის მიმართ ინტერესის დაკარგვად და კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმად. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს საქმე.[1480]

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის გარდაცვალება არაა საქმის შეწყვეტისა და განჩინების მიღების ცალსახა წინაპირობა. მას შემდგომ, რაც სასამართლოსთვის ცნობილი გახდება ამგვარი ფაქტობრივი მოცემულობა, სასამართლო აფასებს სადავო სამართალურთიერთობას, მისი არსისა და სასარჩელო მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელის გარდაცვალება აცლის თუ არა არსს სასარჩელო მოთხოვნას. კერძოდ, საქმის გაგრძელება ემსახურება უშუალოდ გარდაცვლილი პირის უფლებებისა და მათი დაცვის საკონსტიტუციოსამართლებრივი სტანდარტების დადგენას თუ არა. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლებელია, არ შეწყვიტოს სამართალწარმოება, თუ სამართალურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით საქმის შეწყვეტა თავად კონსტიტუციური დავის მიზნებთან მოვა წინააღმდეგობაში.[1481] ამდენად, მოსარჩელის გარდაცვალებისას, საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აფასებს სარჩელის არსს და არსებობს თუ არა გამონაკლისი შემთხვევა, რა დროსაც საქმისწარმოება გაგრძელდება და მიღებული არ იქნება განჩინება.

2.1.1.4. განჩინების მიღების სხვა სამართლებრივი შემთხვევები

განჩინება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებასთან ერთად შესაძლოა წყვეტდეს სხვა საკითხებს და არ იწვევდეს საქმის დასრულებას. მაგალითად, როდესაც პლენუმი არსებითად განსახილველად არ იღებს კონსტიტუციურ სარჩელს იმ ნაწილში, რომელიც მისი განსჯადია და უბრუნებს კოლეგიას მისი (კოლეგიის) განსჯადობის ნაწილში.[1482] ამდენად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განმწესრიგებელ სხდომაზე გადაწყვეტს, რომ საქმე, რომელიც მოიცავს პლენუმის განსახილველ საკითხებს, არსებითად განსახილველად არ მიიღება, იგი საქმის იმ ნაწილს, რომელიც საკონსტიტუციო სასა-

---

[1480] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1481] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1482] მაგ., იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვალის N3/1/1681 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/9/1309 განჩინება საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 ოქტომბერის N3/7/1274 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მართლოს კოლეგიის განსჯადია, განჩინებით გადასცემს საკონსტიტუციო სასა-მართლოს თავმჯდომარეს კოლეგიებს შორის გასანაწილებლად.[1483]

განჩინება მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ან კოლეგიის წევრის მიერ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადაეცა წინარე პრაქტიკის დაძლევის ან იმ მოტივით, რომ განსახილ-ველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის გან-მარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სა-მართლებრივ პრობლემას და პლენუმი არ გაიზიარებს აღნიშნულ პოზიციას.[1484] საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ განჩინების მიღების შემთხვე-ვაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განსახილველად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცემს ერთ-ერთ კოლე-გიას ან საქმე განსახილველად უბრუნდება იმავე კოლეგიას.[1485]

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და ინდივიდუალური მოსამართლეებისგან განსხვავებით, რომლებიც პლენუმს მიმა-რთავენ შუამდგომლობისა და დასაბუთებული წინადადების ფორმით, თუ თავად კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილ-ველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვე-ტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონ-სტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, იგი საქმის განხილვისა და გადა-წყვეტის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განჩინებით საქმეს განსახილველად გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.[1486] თავის მხრივ, პლენუ-მის შესაძლებლობა, მიიღოს ან არ მიიღოს კოლეგიის მიერ გადაცემული საქმე არსებითად განსახილველად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა იქნება მისი საფუძველი. კერძოდ, თუ კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია განსხვავდება ადრე არსებული პრაქტიკისგან და ამ საფუძვლით იღებს პლენუმისთვის საქმის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას, აღნიშნული სავალდებულოდ იწვევს პლე-ნუმის მიერ საქმის მიღებას, ხოლო თუ საკითხი შეეხება საქმის სირთულეს ან განმარტების იშვიათობას, პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს საქმე ან განჩინე-ბით დაუბრუნოს კვლავ კოლეგიას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის შესაძლებლობა, განჩინებით, სავალდებულო წესით გადასცეს საქმე პლენუმს

1483 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1484 იქვე, 21[1] მუხლის მე-4 პუნქტი, 21[2] მუხლის მე-2 პუნქტი.

1485 იქვე, 21[1] მუხლის მე-3 პუნქტი, 21[2] მუხლის მე-2 პუნქტი.

1486 იქვე, 21[1] მუხლის პირველი პუნქტი.

ემსახურება თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფას და, ერთი მხრივ, გამორიცხავს კოლეგიის მიერ ადრე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, აღჭურავს კოლეგიას, პრაქტიკის შეცვლის მიზნით, საქმის პლენუმისთვის გადაცემის უფლებამოსილებით.[1487] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, განჩინება, საქმის პლენუმისთვის გადაცემის შესახებ, მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის ორი წევრი.[1488]

განჩინება მიიღება, აგრეთვე ისეთი შუამდგომლობის პასუხად, როგორიცაა, მოსამართლის აცილება ან თვითაცილება. აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოს შეიძლება მიმართონ როგორც მხარეებმა, აგრეთვე თავად მოსამართლემ, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების განმხილველი სასამართლოს წინაშე დააყენებს თვითაცილების საკითხს. საგულისხმოა, რომ მოსამართლის აცილების შესახებ განჩინება მიიღება, მათ შორის, იმ მოსამართლის მონაწილეობით, რომლის აცილების საკითხსაც განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო.[1489]

დასაბუთებული განჩინება მიიღება, ასევე ისეთი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისას, როგორიცაა უკვე გამოქვეყნებულ აქტში ფორმალური შეცდომის გასწორება და საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის დისტანციურად ჩატარება. ორივე საფუძველი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტითაა მოწესრიგებული. ტექნიკური შეცდომების გასწორება გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, გამოქვეყნებულ აქტში გაანახორციელოს რედაქციული ცვლილებები. აღნიშნული განჩინება მიიღება შესასწორებელი აქტისთვის საჭირო კვორუმით, იმ პლენუმის ან იმ კოლეგიის მიერ, რომლის აქტშიც სწორდება შეცდომა. ამასთანავე, განჩინება მხოლოდ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ისახავს მიზნად და არ უნდა იწვევდეს აქტის შინაარსობრივ ცვლილებას.[1490] ტექნიკური შესწორების მიზნით დასაბუთებული

[1487] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ნოემბრის N1/1/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1488] იხ., იქვე. პირველ ჯერზე, პრაქტიკის დაძლევის თაობაზე, პლენუმს შუამდგომლობით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა მოსამართლემ, რომლის პოზიციაც არ გაიზიარა პლენუმმა და განჩინებით უარი უთხრა საქმის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ განხილვის თაობაზე. ხოლო მეორედ, იგივე საქმეზე, უკვე ორმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ სასამართლოს უნდა შეეცვალა წინარე პრაქტიკა, რომელთა განჩინების საფუძველზეც პლენუმმა საქმე მიიღო არსებითად განსახილველად.

[1489] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ".

[1490] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლი

განჩინების მიღება წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციის ნაწილს და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას ან/და კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც გამოყენებული იქნება აღნიშნული მექანიზმი. საგულისხმოა, რომ მიუხედავად ტექნიკური შეცდომებისა, რომლებიც არსებობს ზოგიერთ გამოქვეყნებულ სამართლებრივ აქტში, დღემდე პრაქტიკაში სასამართლოს ამ შინაარსის არც ერთი განჩინება არ მიუღია.

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის თანახმად, განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, საქმის განმხილველი კოლეგია/პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებელი ან/და არსებითი განხილვის სხდომის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის თაობაზე, რაც თანხმდება მხარეებთან და არ საჭიროებს დამატებით დასაბუთებას. ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, რომლის დროსაც მოპასუხე მხარეს ზეპირ განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიაჩნია და უარს აცხადებს სხდომის დისტანციურად ჩატარებაზე. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ გაიზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას საქმის განხილვაში ფიზიკურად მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, იგი საქმის ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის შესახებ იღებს წერილობით განჩინებას.[1491] მართალია, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლო სხდომებს მართავდა დისტანციურად, თუმცა ამ დროის განმავლობაში სასამართლო არ დამდგარა ხსნებული ტიპის განჩინების მიღების საჭიროების წინაშე.

2.1.2. განჩინების დასაბუთების სტანდარტი

საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში განმარტავს კონსტიტუციას და უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას და ქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკონსტიტუციოსამართლებრივ გარანტიას.[1492] ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მისი უფლებრივი კომპონენტებითა და გარანტიებით ასევე ვრცელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესზეც.

[1491] იქვე, 20[1] მუხლი.

[1492] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-15.

სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების სანდოობა დიდწილად დამოკიდებულია გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე. დაუსაბუთებელმა, გაურკვეველმა და ზოგადმა ფორმულირებებმა შესაძლოა მხარეებს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება იყო თვითნებური და მას აკლდა გამჭვირვალობა. სასამართლომ საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს სადავო აქტის მოქმედების ცალკეული ასპექტები და ნორმის მოქმედების ყველა სეგმენტი კომპლექსურად უნდა იქნეს შეფასებული.[1493]

გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა მოსამართლეებს ავალდებულებს, თავიანთი მსჯელობა დააფუძნონ ობიექტურ არგუმენტებზე. იმავდროულად, დასაბუთების ვალდებულების ხარისხი იცვლება სასამართლოს მიერ მიღებული აქტის ხასიათის და სამართალწარმოების ბუნების მიხედვით.[1494]

როგორც უკვე აღინიშნა, განჩინება, რომელიც შეეხება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებას, თავისი შინაარსით, ნიშნავს უარს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის დაწყებაზე და, შესაბამისად, ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამდენად, განჩინების დასაბუთება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცულ უფლებრივ კომპონენტად უნდა იქნეს მიჩნეული. იმავდროულად, განჩინების დასაბუთება წარმოადგენს კანონით დადგენილ მოთხოვნასაც.[1495] თუმცა ორგანული კანონი არ აზუსტებს, თუ როგორ უნდა დასაბუთდეს თითოეული განჩინება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ აქტთან მიმართებით თავად განსაზღვრავს დასაბუთების სტანდარტს და, ამ თვალსაზრისით, დასაბუთება სასამართლოს მიხედულების ფარგლებშია. ბუნებრივია, დასაბუთება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა საკითხის მოწესრიგების მიზნით მიიღება განჩინება.

კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას პლენუმს/კოლეგიას გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.[1496] საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, განჩინების დასაბუთება, რომლითაც წყდება კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი,

---

[1493] იხ., იქვე, II-10.

[1494] იხ., იქვე, II-11.

[1495] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[1496] იქვე, 31[2] მუხლის მე-8 პუნქტი.

გულისხმობს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამ მიზნით, სასამართლო აფასებს მოსარჩელის მიერ კონსტიტუციური სარჩელით წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არგუმენტაციას და სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, ასაბუთებს, თუ რატომ ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად მიღების საფუძვლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთება შეზღუდულია თავად მოსარჩელე მხარის პოზიციით, რამდენადაც ყოველ კონკრეტულ სარჩელზე/წარდგინებაზე სასამართლო ახდენს არა ამა თუ იმ ნორმის შესაძლო კონსტიტუციურობის კონტროლს, არამედ აფასებს, თუ რამდენად ზღუდავს ძირითად უფლებებს მოსარჩელის არგუმენტაციით წარმოდგენილი პერსპექტივა. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა სასარჩელო მოთხოვნით, არ უნდა გულისხმობდეს კონსტიტუციურ სარჩელში მოყვანილი არგუმენტაციის ფორმალურად წაკითხვას და აღნიშნული არგუმენტაციისთვის მოსარჩელის მიერ მიცემული სტრუქტურით ბოჭვას.[1497]

დასაბუთების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს."[1498] საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა".[1499] ამასთან, სასამართლო აფასებს, თუ რამდენად სწორია მოსარჩელის აღქმა სადავო ნორმის შინაარსის თაობაზე. საკონსტიტუციო სა-

---

[1497] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის N3/6/808 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

[1498] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[1499] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-16.

სამართლო სადავო ნორმის შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა განყენებულად, არამედ სისტემურად სხვა მასთან კავშირში მყოფი საკანონმდებლო ნორმების მხედველობაში მიღებით.

არსებითად არ განსხვავდება დასაბუთება იმ განჩინებებთან მიმართებით, რომლითაც სასამართლო წყვეტს შუამდგომლობის ან/და კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების პლენუმისთვის გადაცემის საკითხებს. თითოეულ შემთხვევაში სასამართლო სწავლობს წარდგენილი პოზიციის, მოთხოვნის საფუძვლიანობას და მისი გაუზიარებლობის შემთხვევაში მოჰყავს ის არგუმენტები, რაც ხდება განჩინების მიღების საფუძველი. მაგალითისთვის, განჩინებაში, რომლითაც წყდება მოსამართლის აცილების საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს რამდენად წარმოადგენს შუამდგომლობაში მითითებული ფაქტი იმგვარ გარემოებას, „რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში".[1500]

განჩინებით, რომლითაც დამძლევი ნორმები არაკონსტიტუციურად ცხადდება განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე, საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ასაბუთებს სადავო ნორმა რამდენად იმეორებს უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. ამასთან, ნორმებს შორის შინაარსობრივი მსგავსების დადგენისას სასამართლო აფასებს, სადავო ნორმა იწვევს თუ არა იმავე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, რომელსაც არღვევდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა.[1501] ამასთან, რამდენად ხდება უფლების შეზღუდვა მსგავსი სამართლებრივი საშუალების გამოყენებით და დგება თუ არა არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგები.[1502] განჩინების დასაბუთება ასევე მოიცავს იმის შეფასებას, თუ რამდენად არსებობს ახალი გარემოებები, რომელთა არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებაც იარსებებდა.[1503]

[1500] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-3.

[1501] აღნიშნული არ ნარმოადგენს უპირობო მოთხოვნას, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკით რეგულირება მიჩნეულ იქნა დამძლევ ნორმად იმ პირობებშიც, როდესაც არ იწვევდა იმავე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, რომელსაც არღვევდა სასამართლოს გადაწყვეტილებით მანამდე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/15/1453 განჩინება საქმეზე, „შოთა ქობალია და ვასილ ფიფიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1502] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/855 განჩინება საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის" პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო", II-5.

[1503] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/20/1614

განჩინებაში, რომელიც განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე ცნობს სადავო ნორმას ძალადაკარგულად, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადების მექანიზმი, რომლის მიზანია რეგულირების გარეშე არ დარჩეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ სამართლებრივ მონესრიგებას.[1504] ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის გადავადების მექანიზმის გამოყენებით ხშირად წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის დილემა. კერძოდ, არაკონსტიტუციური ნორმა მომავალ დროში აგრძელებს მოქმედებას იმ ლოგიკით, რომ არ დაზიანდეს უფრო მეტი სიკეთე. შესაბამისად, ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო ასაბუთებს თუ რა საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადებასთან დაკავშირებით.

2.2. საოქმო ჩანაწერი

2.2.1. საოქმო ჩანაწერის სამართლებრივი ბუნება და მიღების საფუძვლები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო საოქმო ჩანაწერს იღებს რამდენიმე შემთხვევაში: ა) კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებისას;[1505] ბ) სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების[1506] ან სადავო ნორმის შეჩერების შუამდგომლობაზე უარის თქმისას;[1507] გ) კოლეგიის განსახილველი საქმის პლენუმის მიერ განხილვის თაობაზე;[1508]

განჩინება საქმეზე, „ზვიად გოგიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N3/10/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-17.

[1504] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", II-25.

[1505] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^2 მუხლის მე-8 პუნქტი.

[1506] იხ., იქვე, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1507] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/1-1/1459 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1508] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები. იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

დ) საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვის/გადაწყვეტის შესახებ.[1509] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო ჩანაწერები, მსგავსად სხვა სამართლებრივი აქტებისა, საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე საოქმო ჩანაწერით ფორმდება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად მიღება, თუმცა იმავდროულად, გარდა არსებითად მიღების საკითხისა, იმავე საოქმო ჩანაწერით შეიძლება გადაწყდეს ამა თუ იმ სადავო ნორმის არსებითად არმიღება, დავის კონკრეტულ ნაწილში საქმის შეწყვეტა, შუამდგომლობების საკითხი და სხვა.[1510] ამდენად, შედეგობრივად საოქმო ჩანაწერი პასუხობს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს და შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ იღებდეს საქმეს არსებითად განსახილველად. საოქმო ჩანაწერით დგინდება იმ საქმეების გაერთიანება, რომლებიც მიიღება არსებითად განსახილველად და რომელთა დავის საგანიც იდენტურია.[1511] თუ საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმატიული აქტის შეჩერების საკითხს არ წყვეტს საქმის არსებითად განხილვის საკითხთან ერთად, დამოუკიდებლად, ამ საკითხზეც იღებს საოქმო ჩანაწერს, რომლითაც საკუთარი/ან მხარის ინიციატივით შეიძლება აჩერებდეს სადავო ნორმის მოქმედებას ან/და არ აკმაყოფილებდეს მოსარჩელე მხარის შუამდგომლობას, სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე.[1512]

როგორც უკვე აღინიშნა, კოლეგიის, მისი წევრის ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის პლენუმისთვის გადაცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადასაწყვეტია გაიზიარებს თუ არა საქმის გადაცემის მოტივაციას და დადებითი პასუხის შემთხვევაში პლენუმი და-

---

[1509] საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1510] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/15/1628 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/5/1558 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი ლაშხი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[1511] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N3/5/1674 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო".

[1512] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/1-1/1459 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საბუთებული საოქმო ჩანაწერით საქმეს იღებს განსახილველად.[1513] აღნიშნული წესისგან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც კოლეგია პლენუმს საქმეს გადასცემს პრაქტიკის შეცვლის მოტივით, რა დროსაც, საოქმო ჩანაწერით საქმის მიღება პლენუმის ვალდებულებაა და არა დისკრეცია.[1514] როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო საოქმო ჩანაწერს იღებს საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვის თაობაზე. აღნიშნული საოქმო ჩანაწერის მიზანია იმგვარი უფლებების უპირატესი დაცვა, რომელთა შეზღუდვაც შეუქცევადი, მომეტებული საფრთხის შემცველია პირის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, პრიორიტეტულად განიხილოს საქმეები, რომელთა გადაწყვეტაც ესაჭიროება მოსარჩელეს საკუთარი ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად ან/და რომელზეც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ საქმის პრიორიტეტულად გადაწყვეტის საჭიროებაზე.[1515]

2.2.2. საოქმო ჩანაწერის დასაბუთების სტანდარტი

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული უფლებაა. მისი უფლებრივი კომპონენტები იმ მოცულობით უნდა გამოიყენებოდეს, რაც ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული უფლების დაცვისთვის, როდესაც ამას ობიექტურად შეუძლია გავლენის მოხდენა სასამართლო დაცვის ეფექტიანობაზე.[1516] აღნიშნულის გათვალისწინებით, საოქმო ჩანაწერი, რომლითაც ხდება სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება, საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით არ საბუთდება, რამდენადაც არ არსებობს მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების რაიმე სახით შეზღუდვა.

თუმცა, იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად იღებს კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმების ერთ ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილზე წყდება სამართალწარმოება ან არ მიიღება არსებითად განსა-

---

[1513] იხ. მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1514] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[1515] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[1516] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ეახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II -14.

ხილველად, ამ ნაწილებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საბუთდება და იმეორებს განჩინების დასაბუთების სტანდარტებს. გარდა ამისა, საოქმო ჩანაწერით დამატებით შეიძლება დასაბუთდეს ისეთი შუამდგომლობების გადაწყვეტა, მაგალითად, როგორიცაა ნორმის შეჩერება.[1517] ასევე უნდა დასაბუთდეს საოქმო ჩანაწერი, რომლითაც წყდება საქმის პრიორიტეტულად განხილვის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, საოქმო ჩანაწერის დასაბუთება უნდა მოიცავდეს იმის განმარტებას, თუ რა მნიშვნელოვანი ინტერესი განაპირობებს კონკრეტული საქმის დაჩქარებას და სხვებთან შედარებით ადრე განხილვის უპირატესობის მინიჭებას. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დღემდე არ მიუღია ამ შინაარსის საოქმო ჩანაწერი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მისთვის გადაცემული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისას საოქმო ჩანაწერით პასუხობს, თუ რა მოტივაცია ედება საფუძვლად კოლეგიის განსახილველი საქმის პლენუმის მიერ მიღებას, რამაც თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა ან პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა.[1518] როგორც წესი, ასეთი საოქმო ჩანაწერის დასაბუთებისას პლენუმი შემოიფარგლება იმაზე მითითებით, რომ არსებობს ძირითადი უფლებების ახლებურად განმარტებისა თუ დაცული სფეროების გამიჯვნის აუცილებლობა და არ ხდება კონკრეტული საკითხების იდენტიფიცირება ან იმის მტკიცება, თუ რა განაპირობებს უფლების პლენუმის მიერ განმარტების აუცილებლობას.[1519]

საოქმო ჩანაწერის დასაბუთება, რომელიც შეეხება სადავო ნორმის შეჩერება/შეუჩერებლობის ან/და უკვე შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილე-

---

[1517] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სტერეო+", ლუკა სეეირინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალეევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[1518] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/1-1/752 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1519] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის N3/1-3/1524 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

ბის შეცელას, მოიცავს კანონმდებლობითა და სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი იმ წინაპირობების შეფასებას, რომელთა არსებობისას გამოიყენება შეჩერების მექანიზმი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შეჩერება გულისხმობს შემდეგი არსებითი პირობების შეფასებას: 1) წარმოქმნის თუ არა სადავო ნორმის მოქმედება პირისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეს; 2) შესაძლებელია თუ არა შეჩერებით ამგვარი საფრთხის აცილება; 3) ხომ არ არსებობს ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩელე შეძლებდა საფრთხის აცილებას; 4) რა გავლენას მოახდენს სადავო ნორმის შეჩერება საჯარო ინტერესებსა და სხვა პირთა უფლებებზე.[1520] ამასთან, თითოეული ამ წინაპირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო დანარჩენ საკითხებზე მსჯელობას აღარ აგრძელებს და ნორმის მოქმედების შეჩერებაზე უარს ამბობს.[1521]

2.3. დასკვნა

2.3.1. დასკვნის სამართლებრივი ბუნება და მიღების საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით დადგენილია იმპიჩმენტის პროცედურა, რომელიც მოიცავს, როგორც სამართლებრივ, ასევე პოლიტიკურ ნაწილს.[1522] სამართლებრივი ნაწილი მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სათანადო წარდგინების არსებობისას დასკვნის მომზადებას. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედის აღძვრის შემდგომ, საკითხი დასკვნის მომზადების მიზნით გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[1523] იმპიჩმენტის, პოლიტიკური ნაწილის გათვალისწინებით, რაც საკითხის საბოლოო გადაწყვეტას პარლამენტის დისკრეციაში აქცევს, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომელიც ადასტუ-

---

[1520] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, 207.

[1521] ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, „საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი", 2019, 98.

[1522] Final Opinion on the Draft Constitutional Law on Amendments and Changes to the Constitution of Georgia, adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session, CDL-ad(2010)028, Strasbourg, 15 October, 2010, 30.

[1523] საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

რებს შესაბამისი პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას/ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას არასავალდებულო ხასიათისაა. თუმცა, დასკვნის შინაარსი განსაზღვრავს პროცედურის შემდგომში გაგრძელების შესაძლებლობას. კერძოდ, კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი განიხილოს და კენჭი უყაროს იმპიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.[1524]

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი დასკვნას იღებს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომელიც შეეხება რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობას.[1525] კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების დაუშვებლობას.[1526] როგორც იმპიჩმენტის, ასევე რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუცურობის თაობაზე დასკვნის მომზადება განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯად საკითხს.[1527]

2.3.2. დასკვნის დასაბუთების სტანდარტი

დასკვნის მომზადებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრადაა შეზღუდული კონსტიტუციური წარდგინების არსით, რამდენადაც, ის აფასებს მხოლოდ იმ ქმედებას, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერაა მიჩნეული იმპიჩმენტის საფუძვლად.[1528] იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა შედეგობრივად ადგენს ან უარყოფს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში აღნიშნული პირის ქმედების კონსტიტუციურობას ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას.[1529]

როგორც უკვე აღინიშნა, დასკვნის მომზადებისას სასამართლოს შეფასების საგანია როგორც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა, ასევე, პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა. ბუნებრივია, არაფერი გამორიცხავს იმას,

---

[1524] იქვე, 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[1525] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1526] იქვე, 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[1527] იქვე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[1528] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[1529] იქვე, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

რომ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკითხი აღიძრას ორივე საფუძვლით და საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საფუძვლები შეაფასოს ერთობლივად. იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრული არაა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის რა კატეგორია შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი, კერძოდ, იქნება ეს მხოლოდ ე. წ. „სერიოზული", თუ ყველა სიმძიმის კონსტიტუციასთან შეუსაბამო ქმედება, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაფასებელი იქნება ნებისმიერი საკითხი, რომელზეც პარლამენტი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავს. იმავდროულად, არც საქართველოს კონსტიტუციით და არც ორგანული კანონით ნეგატიურად არაა დადგენილი შემთხვევები, რომლებიც შეიძლება მოიაზრებოდეს კონსტიტუციის დარღვევად, იქნება ეს იმპიჩმენტის სუბიექტის ქმედება, უმოქმედობა თუ ტექნიკური ხასიათის საკითხი. შესაბამისი თანამდებობის პირების კომპეტენციები და ვალდებულებები თავად საქართველოს კონსტიტუციითაა განსაზღვრული, ნებისმიერ შემთხვევაში, იმის დასაბუთება, დაირღვა თუ არა საქართველოს კონსტიტუცია, აუცილებლად მოითხოვს შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის დასაშვები ფარგლების, მისი სტატუსის, კონსტიტუციის მისთვის წაყენებული მოთხოვნებისა და კონკრეტული ქმედების შინაარსის შეფასებას, რაც ასევე გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას. მაგალითად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინების დასკვნის დასაბუთება, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში; პრეზიდენტი როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ფიგურა, რომელიც არ ფლობს პოლიტიკურ ხელისუფლებას; საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განმსაზღვრელი ნორმები, ურთიერთმიმართება უფლებამოსილებებსა და სტატუსს შორის და სხვა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნიდან ნათლად ჩანს, რომ საკითხის (ამ შემთხვევაში კონსტიტუციის დარღვევის) შეფასებისას იგი კონსტიტუციას აფასებს როგორც ერთიან დოკუმენტს და არა მხოლოდ ცალკეულ მუხლებს.[1530]

დასკვნის დასაბუთების მნიშვნელოვანი ნაწილია კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული და მოგვიანებით, სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტების შეფასება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, იმპიჩმენტის საკითხზე დასკვნის გაცემისას, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს არა მხოლოდ იმ „ფაქტებს", რომლებიც კონსტიტუციური წარდგინე-

[1530] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის ნევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 ნევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე".

ბის ავტორ პარლამენტის წევრებს მიაჩნიათ დადგენილად, არამედ, მათ შორის, კონსტიტუციური წარდგინების ზეპირი მოსმენისას გამოკვლეულ ფაქტებს, რომელთა დასადგენადაც საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს როგორც კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურ თუ სხვა მტკიცებულებებს, ისე საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომ ინფორმაციას. იმავდროულად, სასამართლო საკუთარ დასაბუთებას აფუძნებს „ცხადი და დამაჯერებელი" მტკიცებულების სტანდარტს და, შესაბამისად, კონსტიტუციურ ჭრილში სამართლებრივ შეფასებას აძლევს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც ცხადად და დამაჯერებლად იქნება დადგენილი.[1531] ამდენად, დასკვნის მომზადებისას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა შესწავლაც მას (სასამართლოს) შეუძლია, როგორც კონსტიტუციური წარდგინების ავტორების არგუმენტაციის, მოყვანილი მტკიცებულებების საფუძველზე, ასევე იმ თანამდებობის პირების ახსნა-განმარტებების მოსმენით, რომელთა იმპიჩმენტის საკითხზეც ამზადებს დასკვნას, თუმცა ამ პირებს, სასამართლო მხარეებად არ აღიარებს.[1532] შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი დასკვნით პასუხს სცემს იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის წერილობით მოთხოვნაში ჩამოყალიბებულ მტკიცებულებებს, რომლებიც, საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას.[1533]

დღემდე სასამართლოს პრაქტიკაში არ შეფასებულა რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი რომელიმე დებულების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს, როგორც ხელშეკრულების შინაარსის, ასევე ცალკეული კონსტიტუციური დებულებების შეფასებასა და განმარტებას. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ დასკვნა, რომელიც შეეხება რატიფიცირებამდე ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს, არსებითად გაიმეორებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტებს.

1531 იქვე, II-3.

1532 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27[3] მუხლის მე-2 პუნქტი.

1533 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 178-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თანმხვედრი და განსხვავებული აზრი

2.4.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2.4.1.1. გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება და მიღების წესი

გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელის მეშვეობითაც, საკონსტიტუციო სასამართლო, საქმის არსებითად და შინაარსობრივად გადაწყვეტის გზით, ასრულებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას. გადაწყვეტილებაში გამოხატულია საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო პოზიცია კონსტიტუციური სარჩელით/კონსტიტუციური წარდგინებით სადავოდ გამხდარ საკითხთან დაკავშირებით. იშვიათი გამონაკლისების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ გადაწყვეტილების მიღების გზით წყვეტს დავის საგნის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის საკითხს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღებით სამართალწარმოება მთავრდება იმ დავებთან დაკავშირებით, რომელთა ინიციირების საფუძველი კონსტიტუციური სარჩელია. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს იმ კონსტიტუციურ ნარდგინებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ა) საერთო სასამართლოების კონსტიტუციურ წარდგინებას;[1534] ბ) სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციურ წარდგინებას; გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის დადგენას.

რაც შეეხება მიღების პროცედურას,[1535] საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არსებითად წყვეტს წერილობითი ფორმით ანუ გადაწყვეტილების მიღების გზით.

[1534] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[1535] ნარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცედურას ეფუძნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ნორმებს.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კოლეგიური წესით საქმის განხილვისას, კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა სამი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი ანუ სულ მცირე ორი წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ ექვსი წევრი. კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობის უმრავლესობა ანუ სულ მცირე საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთი მოსამართლე. იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის თაობაზე ან ორგანული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა შვიდი წევრი. მოცემული საკითხების თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის არანაკლებ ექვსი წევრი.

2.4.1.2. გადაწყვეტილების სტრუქტურა და ფორმალური რეკვიზიტები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან.[1538] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები დანომრილია რომაული სიმბოლოებით. კერძოდ, სიმბოლო „I" აღნიშნავს აღწერილობით ნაწილს, „II" – სამოტივაციო ნაწილს, ხოლო სიმბოლო „III"-ით გამოიყოფა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. გადაწყვეტილების ნაწილებს რომაულ ნუმერაციასთან ერთად, მინიჭებული აქვს შესაბამისი სათაურები, აღქმის გამარტივების მიზნით არაბული ციფრებით დანომრილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თითოეული აბზაცი.

[1538] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1[1] პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება, გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი, აგრეთვე საქმის განხილვის მონაწილენი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დავის საგანი.[1537] მცირე განსხვავება არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების შესავალ ნაწილებს შორის, რომლებიც მიღებულია ზეპირი მოსმენით და ზეპირი მოსმენის გარეშე. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას, რომლის თაობაზეც მიღებული გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში არ მიეთითება საქმის განხილვის მონაწილეების შესახებ.[1538]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღინიშნება კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მოთხოვნა და მოპასუხეთა პოზიციები, ისევე, როგორც მხარეთა შუამდგომლობების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერილობით ნაწილში მიეთითება, აგრეთვე მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის ან/და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.[1539] აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით ამოქმედებამ, ცალკეულ შემთხვევებში, წარმოშვა კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაშვებობის ნორმატიული საფუძვლების შეცვლის საჭიროება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.[1540] ამ გარემოების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღინიშნება აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში 2018 წლის 16 დეკემბრამდე რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ გამხდარი კონსტიტუციური დებულებების

[1537] იქვე, 1^2 პუნქტის „ა"–„დ" პუნქტები.

[1538] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე".

[1539] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1^3 პუნქტის „ა"-„გ" ქვეპუნქტები.

[1540] „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

მსგავსი/იდენტური შინაარსის მქონე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი ნორმების შესახებ ინფორმაცია.[1541]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი არა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებაში. სწორედ აღწერილობით ნაწილში მითითებულ გარემოებებს აყრდნობს საკონსტიტუციო სასამართლო სამოტივაციო ნაწილს, რომელიც, თავის მხრივ, სარეზოლუციო ნაწილის მიღების საფუძველია. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილს შესასრულებლად სავალდებულო, მბოჭავი ძალა არ გააჩნია, თუმცა მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირება. აღნიშნული კი ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, ისევე, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის გამჭვირვალობას და ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის დასაბუთების ვალდებულებაც საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია.[1542] სწორედ გადაწყვეტილების დასაბუთების მიზნით, მის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს საქმის ფარგლებში იდენტიფიცირებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები, მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მტკიცებულებას, საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ის ნორმები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[1543]

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს სარეზოლუციო ნაწილზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, დავის საგნის კონსტიტუციურობის საკითხი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით წყდება, თუმცა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით შესაძლებელი ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს

[1541] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის №2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „„შპს სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", I-7-8.

[1542] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[1543] იქვე, 1^4 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტები.

მხრიდან კონკრეტულ გადაწყვეტამდე მისვლის ლოგიკის, არგუმენტებისა და პოზიციების დადგენა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, სავალდებულოა ყველა სახელისუფლებო ორგანოსათვის, იქნება ეს სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო შტო. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულოობა არ გულისხმობს მხოლოდ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის პრაქტიკაში არგამოყენებას, არამედ იგი, აგრეთვე მოიაზრებს აღნიშნული გადაწყვეტილების განუხრელ შესრულებას, თავად გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტებისა და დასაბუთების გათვალისწინებით[1544].

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი საფუძველია ნორმაშემოქმედებითი უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოსთვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაციისთვის. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადების გზით, უშუალოდ, პოზიტიურად არ მონაწილეობს ნორმაშემოქმედებით პროცესში, თუმცა იგი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, საკუთარი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობით, ეხმარება აღნიშნული სამართლებრივი აქტების საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებაში.[1545] ბუნებრივია, აღნიშნული, ხელს უწყობს მოქმედი ნორმატიული სივრცის დახვეწასა და საქართველოს კონსტიტუციასთან მის პარმონიზაციას.[1546] შესაბამისად, შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვს და აღსრულებას ექვემდებარება არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო, არამედ სამოტივაციო ნაწილიც.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი განვითარდა დასაბუთების თვალსაზრისით და ადრეული პრაქტიკისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ამჟამად, როგორც წესი, შეიცავს სათაურებსა და ქვესათაურებს, რომლებიც შეეხება კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით სადავოდ გამხდარი ნორმის შინაარსს, კონკრეტულ საქმეზე შესაფასებელ მოცემულობასა და სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის იდენტიფიცირებას, კონკრეტული კონსტიტუციური დებულებით გარანტირებული უფლების დაცული სფეროს დადგენას, ისევე, რო-

---

[1544] Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme Courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, No. 1, 2007, 67.

[1545] შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 144.

[1546] კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006, 41.

გორც შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებას და მის ისეთ ელემენტებს, როგორებიც არის სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა ვიწრო გაგებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მისი უარყოფის შესახებ; საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას საერთო სასამართლოს ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის ან საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ; გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს.[1547]

საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო, აგრეთვე მიუთითებს გადაწყვეტილების თანმდევ სამართლებრივ შედეგებზე, მათ შორის, სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადაწყვეტილების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების, გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის და სხვა პირებისათვის/ორგანოებისათვის გაგზავნის შესახებ. გარდა ამისა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის, შედეგებისა და გასაჩივრების თაობაზე – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო და დაუშვებელია მისი გასაჩივრება ან გადასინჯვა. ცალკეულ შემთხვევაში კი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება ხდება, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აგრეთვე მიეთითება სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების უფრო გვიანდელი, კონკრეტული ვადის შესახებ.[1548]

2.4.1.3. გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის მასშტაბი და გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი დამოკიდებულია თავად სამართა-

---

[1547] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1^5 პუნქტი.

[1548] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-5.

ლწარმოების სპეციფიკასა და შესაფასებელ მოცემულობაზე, თუმცა, ზოგადი წესის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს დავის საგნის მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის დავების გადაწყვეტის ერთადერთ საზომს, სამართლებრივ საფუძველსა და შეფასების მასშტაბს საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს.[1549]

საქართველოს კონსტიტუციით გამოირიცხება დავის საგნის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა მოახდინოს საქართველოს კონსტიტუციის და არა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განმარტება და უზენაესობის გარანტირება.[1550] მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია უფლებამოსილებას შეაფასოს ნორმატიული აქტის შესაბამისობა ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო აქტთან მიმართებით, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია[1551] ან სხვა საერთაშორისო სასამართლოებსა და ორგანოების პრაქტიკასთან და ოფიციალურ დოკუმენტაციებთან მიმართებით, რაზეც ხშირად მიუთითებენ მხარეები კონსტიტუციურ სარჩელში.[1552] თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მხარეებს შეუზღუდავად აქვთ შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე თავიანთი არგუმენტები ევროპული კონვენციის ნორმებით გაამყარონ. ცხადია, აღნიშნული ერცელდება, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კო-

---

[1549] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის N1/6/557 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ეალერიან გელბახიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7.

[1550] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-5.

[1551] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სვეტი დეველოპმენტი", „შპს სვეტი ჯგუფი", „შპს სვეტი", „შპს სვეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-14.

[1552] იხ., მაგ., 2021 წლის 20 მაისის N1603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2018 წლის 25 აპრილის N1312 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2017 წლის 27 აპრილის N1208 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამუკა ცაავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 15 სექტემბრის N828 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – კობა ეპიტაშვილი, ხვიჩა ყირმიზაშვილი, ლევან გაბაშვილი, ბადრი ბეჟანიძე და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 21 ივლისის N811 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მისიისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლითაც დაზუსტებულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსი.[1553] თავის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც ხშირად იყენებს გადაწყვეტილების დასაბუთებისას საერთაშორისო სამართალს.

აღსანიშნავია, აგრეთვე ცალკეული კონსტიტუციური დავის ფაქტობრივი გარემოებების როლიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ჭრილში. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, როდესაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარე ნორმატიული ქცევის წესის არაკონსტიტუციურობის სამტკიცებლად იშველიებს ფაქტობრივ გარემოებებს, აუცილებელია, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები აკმაყოფილებდეს დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს, რათა დადასტურდეს კონკრეტული პრობლემის რეალურობა. ამგვარი არგუმენტები გამყარებული უნდა იყოს რელევანტური დოკუმენტური მტკიცებულებებით. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით მოთხოვნილი არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ტვირთის ტექნიკური აღსრულება ახდენდა ინტენსიურ ზეგავლენას საწარმოო პროცესზე. მსგავსი მტკიცებულებების არარსებობის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა ამ დავის დაკმაყოფილებაზე.[1554]

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური დავის გადაწყვეტისათვის იყენებს თანაზომიერების საფეხუროვან ტესტს. თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის განუყოფელ ელემენტს.[1555] კონსტიტუციის შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება,[1556] რაც თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური ჩანასახის საფუძველია. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად უფლების მზღუდავი საკანონმდებლო

[1553] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „უნისერვისი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4.

[1554] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „შპს კასტელ ჯორჯია" და სს „წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ", II-86-89.

[1555] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-60.

[1556] საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ, აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას. თანაზომიერების პრინციპის ელემენტების ანალიზს ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება და იგი განსაზღვრავს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტსაც.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, როგორც წესი, შემოიფარგლება კონკრეტული კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით სადავოდ გამხდარი ნორმის კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაზე განმარტებებით, თუმცა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ხშირად შეეხება არა მხოლოდ *ratio decidendi* მსჯელობებს, არამედ *obiter dictum*-საც. ამრიგად, შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული ყველა მსჯელობა არ აისახოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, თუმცა შეეხებოდეს კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხებს და რეალიზდეს საკონსტიტუციო სასამართლოს სამომავლო საქმეებში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის სათანადო გააზრება, რათა შესაძლებელი გახდეს მისით დადგენილი ძირითადი სტანდარტებისა და დამატებითი არგუმენტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებაც, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი, პრაქტიკაში, არ გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს უპირობო ბოძვას საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტებით. იმის მხედველობაში მიღებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააჩნია საბოლოო, საყოველთაო და სავალდებულო ხასიათი, არსებითად ზემოქმედებს თითოეული ინდივიდისა თუ საზოგადოების ინტერესებზე და არის სახელმწიფოში სამართლებრივ, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ სფეროში ნორმატიული სივრცის ახლებურად ჩამოყალიბების კატალიზატორი, კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების დადგენა და საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტა ვერ იქნება მინდობილი მარტოოდენ მხარეთა არგუმენტაციაზე, სამართალწარმოების პროცესში მათი ჩართულობისა და მომზადების ხარისხზე და სხვა.

ამ და მსგავსი ინტერესების აღსრულების გამოძახილია მაგალითად ის, რომ მოპასუხე მხარის მიერ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების ცნობა, ლეგიტიმური მიზნის დასახელებისაგან თავის შეკავება ან/და თანაზომიერების პრინციპის რომელიმე ელემენტზე არგუმენტაციის ხაზის გაწყვეტა, იმთავითვე, არ გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს, საკუთარი სამართალწარმოების პრაქტიკაში, არაერთხელ აუღია საკუთარ თავზე ინიციატივა იმისა, რომ მოპასუხე მხარის მიერ ლეგიტიმური მიზნის დასახელებისაგან თავის შეკავების ან/და არასათანადო ლეგიტიმური მიზნის დასახელების შემთხვევაში, თავად დაედგინა, რა მიზანს ემსახურებოდა სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვა.[1557]

2.4.2. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შესაძლებლობას, გამოთქვას განსხვავებული ან თანმხვედრი აზრი.[1558] მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული/თანმხვედრი აზრის კლასიკურ დეფინიციას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მისი შინაარსის იდენტიფიცირება შესაძლებელია ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ან სამოტივაციო ნაწილს, წერილობით აყალიბებს განსხვავებულ ან თანმხვედრ აზრს. უფრო კონკრეტულად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, იგი შეიმუშავებს განსხვავებულ აზრს, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, თუმცა არ ეთანხმება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამარ-

---

[1557] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-21-25; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-55-56; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1558] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

თლოს შემადგენლობის მიერ სამოტივაციო ნაწილში განვითარებულ მსჯელობას, მიიღება თანმხვედრი აზრი.[1559] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული და თანმხვედრი აზრის დიფერენცირებას პრაქტიკული გავლენა აქვს სათათბირო ოთახში კენჭისყრის შედეგებზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, რომელიც წერილობით აყალიბებს განსხვავებულ აზრს, არ ეთანხმება შესაბამის აქტს მთლიანად, ხოლო თანმხვედრი აზრის მქონე მოსამართლე არ ეთანხმება (სრულად ან ნაწილობრივ) მხოლოდ მის არგუმენტაციას.[1560]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრის/თანმხვედრი აზრის არსებობის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, ინფორმაციას აცხადებს სხდომათა დარბაზში.[1561] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრი დაერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მაცნეში", იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებული/თანმხვედრი აზრი მომზადებულია გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის და შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისათვის დადგენილი ვადის დაცვით განსხვავებული/თანმხვედრი აზრის გადაწყვეტილებასთან გამოქვეყნება.[1562] იმ შემთხვევაში კი, თუ გადაწყვეტილების სხდომათა დარბაზში გამოცხადების მომენტისათვის არ არსებობს განსხვავებული/თანმხვედრი აზრის პროექტი და მისი გამოქვეყნება ვერ ხერხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული/თანმხვედრი აზრი გამოქვეყნდება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცა ზემოაღნიშნული აქტის სხდომათა დარბაზში გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებულ/თანმხვედრ აზრს საკონსტიტუციო სასამართლო 2 დღის ვადაში აქვეყნებს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და უგზავნის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს", რომელიც მომდევნო 2 დღის ვადაში აქვეყნებს მას.[1563]

[1559] ჯავახიშვილი პ., განსხვავებული და თანმხვედრი აზრის უფლების არსი და მის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2014, 81.

[1560] იქვე, 80.

[1561] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 2^1 პუნქტი.

[1562] იქვე, 43-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები.

[1563] იქვე, 43-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, საოქმო ჩანაწერისა და დასკვნის სრული ტექსტი, აგრეთვე, ამ აქტებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი/თანმხვედრი აზრი, მისი არსებობის შემთხვევაში, ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. ამდენად, ნორმატიული წყაროებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (აგრეთვე დოქტრინალური წყაროებით[1564]), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ განსხვავებული და თანმხვედრი აზრის ჩამოყალიბება შესაძლებელია შეუზღუდავად საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერ აქტთან მიმართებით.[1565]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიერ განსხვავებული/თანმხვედრი აზრის უფლება ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შორის ბუნებრივად არსებულ განსხვავებულ პოზიციებს და ემსახურება საქმის მრავალასპექტიანი განხილვისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფის მიზანს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არაერთგვაროვან პოზიციებზე საზოგადოების წვდომას, ასევე ხელს უწყობს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის დახვეწასა და სამართალგანვითარებას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ განსხვავებული აზრი იმგვარად უნდა ჩამოაყალიბოს რომ, ერთი მხრივ, დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი აზრის ავტორებისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, განსხვავებული/თანმხვედრი აზრის გამოხატვით არ დაარღვიოს სათათბირო ოთახის საიდუმლოების ფუნდამენტური პრინციპი.[1566]

[1564] ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 84.

[1565] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით საქმეზე, „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლ. ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის N2/1/314 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ფედლი კულაევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

[1566] ჯავახიშვილი პ., განსხვავებული და თანმხვედრი აზრის უფლების არსი და მის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2014, 80.

მიუხედავად მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ისეთი რისკებისა, როგორიცაა სათათბირო საიდუმლოების დარღვევა, სასამართლოს ერთსულოვნებისა და ავტორიტეტის ეჭქვეშ დაყენება, დროული მართლმსაჯულების განხორციელება და ა.შ.[1567] მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი დადებითი ასპექტები. განსხვავებული/თანმხვედრი აზრის საჯაროობის სასარგებლოდ არსებული არგუმენტები შეეხება ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას, გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებასა და დამაჯერებლობას, გამჭვირვალობას, ისევე, როგორც მოქმედი სასამართლო შემადგენლობის დიალოგის წარმართვას მომავალ სასამართლო შემადგენლობასთან.[1568] საბოლოოდ, მოსამართლის მიერ განსხვავებული/თანმხვედრი აზრის გამოხატვა მოსამართლის მაღალ სტატუსზე მიუთითებს,[1569] რადგან არსებული რეალობის გაცნობიერება და უმრავლესობაში მყოფი კოლეგებისგან განსხვავებული აზრის დაფიქსირება დიდ სამართლებრივ გამბედაობას და კვალიფიკაციას მოითხოვს.[1570]

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი დროთა განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარების საფუძველი შეიძლება გახდეს და საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ პოზიციას დაედოს საფუძვლად. მაგალითად, ჯერ კიდევ 2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის მიერ გამოთქმულმა განსხვავებულმა აზრმა, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულობა *a priori* არ უნდა გამხდარიყო საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების შეწყვეტის უპირობო საფუძველი[1571], ასახვა ჰპოვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის ერთ-ერთ საოქმო ჩანაწერში, რომლის საფუძველზეც ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო

[1567] Raffaelli R., Study on Dissenting opinions in the Supreme Courts of the Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies. Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2012, 9-11.

[1568] იქვე, 12-16.

[1569] ჯავახიშვილი პ., განსხვავებული და თანმხვედრი აზრის უფლების არსი და მის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2014, 78

[1570] კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, 20.

[1571] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, შპს „გამომცემლობა ინტელექტი", შპს „გამომცემლობა არტანუჯი", შპს „გამომცემლობა დიოგენე", შპს „ლოგოს პრესი", შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი" და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ".

სასამართლომ შეცვალა საკუთარი, დაახლოებით, 30 წლიანი პრაქტიკა.[1572] სხვა საქმეზე, რომელშიც საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციების 28-ე და 29-ე მუხლების ფარგლებში, არჩევნების გზით, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებით დაცული სფეროების გამიჯვნას შეეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ჯგუფის მიერ 2016 წელს გამოთქმული განსხვავებული აზრი[1573] საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ პოზიციად, დაახლოებით, ერთ წელში გადაიქცა.[1574]

[1572] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის N3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[1573] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თაქაძის და ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1574] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა და აღსრულება

3.1. სასამართლოს აქტების იურიდიულ ძალაში შესვლა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია და დანიშნულება გასაჩივრებული ნორმისა თუ, ცალკეულ შემთხვევებში, ქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენაა, თუმცა, განყენებულად, ნორმისა თუ ქმედების კონსტიტუციურობის შეფასება, ცხადია, სასამართლოს თვითმიზანი არ არის. მთავარია სამართლებრივი აქტების ფუნქციაუნარიანობა, სასამართლოს მიერ ამ აქტებში გამოთქმული შეფასების თანმხლები შედეგი და მათი გავლენა ადამიანის უფლებების დაცვასა და კონსტიტუციური ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზებაზე. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, დიდწილად, იმ შედეგებით იზომება, რომელთა პრაქტიკაში გამოწვევის პოტენციალიც მათ გააჩნია და რომელთა მიღწევასაც ისახავს საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი მიზნად, რასაც განაპირობებს ის, თუ როგორ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა და მათი აღსრულების მექანიზმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების – გადაწყვეტილების, განჩინების, საოქმო ჩანაწერის და დასკვნის ძალაში შესვლა და მის საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა, გარკვეული პროცედურებისა და წინაპირობების დაცვით ხორციელდება. ძირითადი ეტაპები, რომელიც აქტმა სრულყოფილი იურიდიული ძალის შესაძენად უნდა გაიაროს, მისი ხელმოწერა, გამოცხადება და გამოქვეყნებაა. ამავდროულად, აღნიშნულ წინაპირობებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა აქტებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, ისევე, როგორც განსხვავებულია მათი ძალაში შესვლის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები.

3.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიულ ძალაში შესვლა

3.1.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება და საოქმო ჩანაწერი

განჩინება და საოქმო ჩანაწერი, როგორც წესი, მიეკუთვნება განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებულ აქტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება/საოქმო ჩანაწერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განჩინება შეეხება განმ-

წესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას ან მიღებულია საოქმო ჩანაწერი სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე[1575], ძალაში შედის საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ხელმონერის მომენტიდან.[1576] საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებას/საოქმო ჩანაწერს ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი.[1577]

საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში და თავი შეიკავოს კენჭისყრისას.[1578] იგი ვალდებულია ხელი მოაწეროს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტს, თუნდაც გააჩნდეს განსხვავებული/თანმხვედრი აზრი ამ აქტის რომელიმე ნაწილთან მიმართებით.[1579] აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ობიექტური მიზეზის გამო, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ვერ ახერხებს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას. სასამართლო აქტის ხელმოწერის პროცედურა იმართება სათათბირო ოთახში. სასამართლო აქტებს ხელს აწერს ჯერ სხდომის თავმჯდომარე, შემდეგ საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე ანბანური რიგითობის მიხედვით, კენჭისყრისას მათ მიერ დაკავებული პოზიციის მიუხედავად.[1580]

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება/საოქმო ჩანაწერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განჩინება შეეხება განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას ან მიღებულია საოქმო ჩანაწერი სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე, როგორც წესი, არ ცხადდება სხდომათა დარბაზში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წევრი განზრახ თავს არიდებს განჩინებაზე/საოქმო ჩანაწერზე ხელმოწერას ან ობიექტური მიზეზის გამო ვერ აწერს ხელს და ხელმომწერთა რაოდენობა საკმარისია შესაბამისი განჩინების/საოქმო ჩანაწერის მიღებისთვის, განჩინება/საოქმო ჩანაწერი შესაძლოა გამოცხადდეს სხდომათა დარბაზში.[1581, 1582]

1575 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4^1 და მე-5 პუნქტები.

1576 იხ., იქვე, 31^5 მუხლის მე-4 პუნქტი.

1577 იქვე, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1578 იქვე, 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1579 მაგ. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/17/1629 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/17/1629 განჩინებასთან დაკავშირებით.

1580 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლი.

1581 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^5 მუხლის მე-4 პუნქტი.

1582 აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებამდე, რომლებიც საკონსტიტუციო

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების/საოქმო ჩანაწერის სრული ტექსტი მისი მიღებიდან 15 დღის ვადაში ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს", რომელიც მომდევნო 2 დღის ვადაში აქვეყნებს მას.[1583] ამდენად, განჩინების/საოქმო ჩანაწერის შემთხვევაში, ვინაიდან აქტის ძალაში შესვლა დაკავშირებულია მის ხელმოწერასთან და არა გამოქვეყნებასთან, აქტის ძალაში შესვლის თარიღი ემთხვევა მისი ხელმოწერის თარიღს. აქტის მიღების/ძალაში შესვლის და საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე მისი ოფიციალური გამოქვეყნების თარიღები კი შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.[1584]

3.1.1.2. განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განჩინება და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საოქმო ჩანაწერი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. აღნიშნული დებულების გამოძახილი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმია ამავე მუხლის 4[1] პუნქტით დადგენილი ინსტიტუტი, რომლის საფუძველზეც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში იღებს განჩინებას მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესის არსებითად განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.[1585]

სასამართლოს სხვადასხვა აქტებთან მიმართებით განხორციელდა 2016 და 2018 წლებში, დადგენილი იყო, რომ თუ საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ობიექტური მიზეზის გამო ან განზრახ ვერ ახერხებდა საკონსტიტუციო სასამართლოს აქტზე ხელმოწერას, აღნიშნული აქტი ვერ იძენდა ოფიციალურ იურიდიულ ძალას, რაც ქმნიდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გარკვეულ საფრთხეს. აღნიშნული მიდგომა დღეს მოქმედი კანონმდებლობით აღარ არსებობს, შესაბამისად, აქტი ძალაში შედის იმ შემთხვევაშიც, თუ საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი განზრახ ან ობიექტური მიზეზის გამო ხელს ვერ აწერს მას, თუმცა სახეზეა აქტის მისაღებად ხელმოწერთა საკმარისი რაოდენობა (კვორუმი).

[1583] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[1584] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N1/9/1800 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და მარინე კაპანაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ".

[1585] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N3/17/1583 განჩინება საქმეზე, „ირაკლი მაჭუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით მოწესრიგებულია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების, ასევე, ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმი.[1586] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ აუცდენელი და შეუქცევადი საფრთხეების პრევენციისკენ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც".[1587]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4^1 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ განჩინებასა და საოქმო ჩანაწერს ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი.[1588] ხელმოწერისთანავე, აღნიშნული განჩინების/საოქმო ჩანაწერის სრული ტექსტი ქვეყნდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს", რომელიც მიღებისთანავე აქვეყნებს მას.[1589] დასახელებული აქტები ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. გამოქვეყნებად ითვლება აქტის სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.[1590] ამდენად, მოცემულ შემთხვევაში აქტის მიღების/ხელმოწერის თარიღი ემთხვევა აქტის გამოქვეყნების, მისი ძალაში შესვლის თარიღს.[1591] ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული საოქმო ჩანაწერებისა და განჩინებებისაგან განსხვავებით, განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ მიღებული განჩინებისა და სადავო

[1586] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-46-67; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/5/1491 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7-15.

[1587] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-31-35.

[1588] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^5 მუხლის მე-6 პუნქტი.

[1589] იქვე, 43-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

[1590] იქვე, 43-ე მუხლის 12^1 პუნქტი.

[1591] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/15/1453 განჩინება საქმეზე, „შოთა ქობალია და ვასილ ჟიჟიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საოქმო ჩანაწერის სხდომათა დარბაზში გამოცხადება სავალდებულოა.[1592] თუმცა, თუ განჩინება/საოქმო ჩანაწერი მიღებულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის საფუძველზე, იგი შესაძლოა, არ გამოცხადდეს სხდომათა დარბაზში.[1593]

3.1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა არის საქმის არსებითად განხილვის ფორმატში განხორციელებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების შედეგად მიღებული საბოლოო დოკუმენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას/დასკვნას ხელს აწერს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი, მიუხედავად იმისა იზიარებენ თუ არა მასში გადმოცემულ მსჯელობას.

საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების/დასკვნის ხელმოწერის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე ამ გადაწყვეტილებას/დასკვნას და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრის/თანმხვედრი აზრის არსებობის შესახებ ინფორმაციას აცხადებს სხდომათა დარბაზში. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი განზრახ თავს არიდებს ხელმოწერას ან ობიექტური მიზეზის გამო ვერ აწერს ხელს და ხელმომწერთა რაოდენობა საკმარისია შესაბამისი განჩინების/საოქმო ჩანაწერის მიღებისთვის, სხდომის თავმჯდომარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას/დასკვნას და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრის/თანმხვედრი აზრის არსებობის შესახებ ინფორმაციას აცხადებს სხდომათა დარბაზში.[1594] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა ცხადდება საქართველოს სახელით.[1595] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა, რომელიც მიღებულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია არ გამოცხადდეს სხდომათა დარბაზში.[1596] ამავდროულად, გადაწყვეტილების/დასკვნის სხდომათა დარბაზში გამოცხადება არ ნიშნავს ამ აქტების სრული ტექსტის გამოცხადებას. გამოცხადებისას, სხდომის თავმჯდომარე, როგორც წესი, კითხულობს მხოლოდ აქტის შესავალ და სარეზოლუციო ნაწილს.[1597]

[1592] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^5 მუხლის მე-5 პუნქტი.

[1593] იქვე, 43-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

[1594] იქვე, 43-ე მუხლის 2^1 პუნქტი.

[1595] იქვე, 43-ე მუხლის 8^1 პუნქტი.

[1596] იქვე, 43-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

[1597] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების/დასკვნის სრული ტექსტი, ხელმოწერისა და სხდომათა დარბაზში გამოცხადების შემდეგ, დაუყოვნებლივ ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს", რომელიც მიღებისთანავე აქვეყნებს მას.[1598] საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა ოფიციალურად შედის ძალაში.[1599]

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა ყოველთვის მის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებასთან არ იყო დაკავშირებული. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდებოდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში",[1600] ხოლო, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილებაზე ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნების მომენტიდან.

(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-188-197.

[1598] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

[1599] იქვე, 43-ე მუხლის 12[1] პუნქტი.

[1600] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-5. აღნიშნულ მონესრიგებას ახასიათებდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ რჩებოდა დროის ინტერვალი, სადაც, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არაკონსტიტუციურად აცხადებდა სადავო ნორმას, შედიოდა ძალაში საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და, ამავდროულად, აღნიშნული ნორმა მომდევნო 15 დღის განმავლობაში, კერძოდ კი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" მის გამოქვეყნებამდე არ კარგავდა ძალას. იხ., ერემაძე ქ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემები", ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", თბილისი, 2013, N6, 16; მსგავსი მონესრიგების კიდევ ერთი ხარვეზი იყო ისიც, რომ ფაქტობრივად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, გარკვეულწილად, დამოკიდებული ხდებოდა საქართველოს იუსტიციის მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე", რომელსაც არ ეკალებოდა მისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მხრიდან", საკანონმდებლო მოთხოვნები დაცული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გადაწყვეტილებას გამოაქვეყნებდა ხელმოწერიდან 15 დღიანი პერიოდის დაცვით ნებისმიერ დროს. ეს კი გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან მიმართებით.

3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა და სამართლებრივი შედეგები

3.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება/საოქმო ჩანაწერი

განჩინების ძალაში შესვლის შედეგია კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად არმიღება,[1601] პლენუმის მიერ საქმის პლენუმზე განსახილველად არმიღება და კოლეგიისთვის უკან დაბრუნება[1602]/გადაცემა,[1603] ასევე კოლეგიის მიერ საქმის პლენუმზე განსახილველად გადაცემა[1604] და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების ან თვითგანრიდების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება/დაუკმაყოფილებლობა.[1605]

საოქმო ჩანაწერის ძალაში შესვლის შედეგია კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება,[1606] ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, თავმჯდომარის ან კოლეგიის მიერ პლენუმისთვის გადაცემული საქმის პლენუმის მიერ განსახილველად მიღება.[1607]

[1601] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N2/34/1787 განჩინება საქმეზე, „ლაშა შუკაკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1602] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/1/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი საევიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1603] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/9/1309 განჩინება საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1604] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2-3/1/1547 განჩინება საქმეზე, „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ".

[1605] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა ნიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ."; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა ნიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1606] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1792 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ თომაძიანი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[1607] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

რაც შეეხება უშუალოდ, კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში სადავოდ გამხდარი საკითხის (ნორმის) ბედს, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი წარმოადგენს შუალედურ აქტს, მის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტა, როგორც წესი, არ ხდება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საოქმო ჩანაწერის მიღება, გავლენას არ ახდენს სადავო ნორმის ძალადაკარგულობაზე, ისევე, როგორც მისი მოქმედების შეჩერებაზე. გამონაკლისი შემთხვევა გათვალისწინებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 42[1] მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის შესახებ პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[1608]

საოქმო ჩანაწერის მსგავსად, არც კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის თაობაზე განჩინება ახდენს რაიმე გავლენას სადავო ნორმის ბედზე. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება სრულდება, ხოლო სადავო ნორმა ისევე განაგრძობს მოქმედებას, როგორც კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვამდე.

3.2.2. განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განჩინება და სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ საოქმო ჩანაწერი

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4[1] პუნქტის საფუძველზე მიღებული განჩინების შემთხვევაში, სადავო ნორმა, როგორც წესი, ძალას კარგავს დაუყოვნებლივ, განჩინების საქართველოს საკონსტიტუციო

2020 წლის 29 ივლისის N3/1-3/1524 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 17 ივნისის N3/1-2/1400 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1608] მსგავსი შემთხვევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ამ დრომდე არ დაფიქსირებულა, თუმცა უმჯობესი იქნება ამ ტიპის საოქმო ჩანაწერის ძალაში შესვლის თარიღი ემთხვეოდეს მისი გამოქვეყნების თარიღს, რათა იმთავითვე საყოველთაოდ იყოს ცნობილი სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე.

სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან[1609] ან, გამონაკლის შემთხვევებში, უფრო გვიანდელი თარიღიდან, როდესაც არაკონსტიტუციურად გამოცხადებული სადავო ნორმის დაუყოვნებლივმა ძალის დაკარგვამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს კერძო და საჯარო ინტერესები.[1610] ნებისმიერ შემთხვევაში, სადავო ნორმის ძალის დაკარგვის თარიღზე ყოველთვის ხდება მითითება განჩინების სარეზოლუციო ნაწილში.[1611]

რაც შეეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული საოქმო ჩანაწერის სამართლებრივ შედეგს, როგორც აღინიშნა, იგი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით აჩერებს სადავო ნორმის მოქმედებას ან პირიქით, თუ შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს აგრძელებს შეჩერებული სადავო ნორმის მოქმედებას.

სადავო ნორმის შეჩერების ათვლის თარიღი, როგორც წესი, ემთხვევა საოქმო ჩანაწერის გამოქვეყნების მომენტს. ამ შემთხვევაშიც, შეჩერების მოშენტსა და ხანგრძლივობაზე მითითება, როგორც წესი, ხდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერის სარეზოლუციო ნაწილში.[1612]

3.2.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება/დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის კონსტიტუციურ სარჩელსა და წარდგინებაზე სამართალწარმოების დასრულება და კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დაკმაყოფილება განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს.[1613] ეს შეიძლება იყოს როგორც სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, ისე ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ან/და იმპიჩმენტის პროცედურას დაქვემდებარებული

[1609] იქვე, 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

[1610] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ", III-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/12/1237 განჩინება საქმეზე, „ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-2.

[1611] იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/14/1476 განჩინება საქმეზე, „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-2.

[1612] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", III-4.

[1613] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლი.

პირის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის დადგენა. ნებისმიერ შემთხვევაში, საკანონმდებლო მოთხოვნაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების/დასკვნის სამართლებრივი შედეგები ყოველთვის მითითებული იყოს მის სარეზოლუციო ნაწილში.[1614]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალის დაკარგვის მომენტი და დროში მოქმედების ეფექტი.[1615] აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონთან ერთად საქართველოს კონსტიტუცია თავად აწესრიგებს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის თარიღს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.[1616] გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ცხადია, ამ შემთხვევაშიც მისი სრული ტექსტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება იგულისხმება.

[1614] იქვე, 43-ე მუხლის 1[5] პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

[1615] წარმოდგენილი მსჯელობა თანაბრად მიემართება განმწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ განჩინებას.

[1616] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი, 1995; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2018 წლის ცვლილებებამდე მითითებული იყო, რომ „არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი". ორგანულ კანონში და საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონმდებელმა დააზუსტა, რომ „სხვა ვადა" გულისხმობს მხოლოდ „გვიანდელ ვადას". ამ ცვლილებით კანონმდებელმა უფრო ნათლად გამოხატა საკუთარი ნება, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ეფექტებთან მიმართებით. საყურადღებოა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლში ვხვდებით აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო აქტი ძალადაკარგულად ცხადდება არა გადაწყვეტილების გამოქვეყნების, არამედ ამ აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან. მაგალითად, დასახელებული კანონის მე-6 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს საქართველოს პარლამენტის: ა) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება; ბ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება.

დასახელებული კონსტიტუციური დებულების ანალიზი ცხადყოფს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების ეფექტი მიმართულია გადაწყვეტილების მიღების/გამოქვეყნების შემდგომ პერიოდზე (*ex nunc*) და რეტროაქტიულად (*ex tunc*) არ ვრცელდება გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდელ ურთიერთობებზე. სხვაგვარად, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას განგრძობადი ხასიათი გააჩნია, უფლებათა დარღვევა უფლებაშემზღუდველი სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან შეწყდება როგორც მოსარჩელის, ასევე ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა პირების მიმართ, ხოლო „პოტენციურ მსხვერპლებთან" მიმართებით უფლებადამრღვევი ნორმატიული აქტის გამოყენება მომავალში შეუძლებელი გახდება.

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, გადაავადოს არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება მომავალში, კონკრეტულ თარიღზე მითითებით, თუ დადგინდება, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს კერძო და საჯარო ინტერესები. აღნიშნული მექანიზმით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამის სახელმწიფო ორგანოს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რათა მან სადავო საკითხი იმგვარად მოაწესრიგოს, რომ ერთი მხრივ, გაითვალისწინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგად ზიანი არ მიადგეს გარკვეულ კერძო და საჯარო ინტერესებს.[1617]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რომ რეტროაქტიული (*ex tunc*) ეფექტი არ გააჩნია, ამაზე მეტყველებს უშუალოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლიც, რომლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკითხის ამგვარი მოწესრიგება აჩენს სერიოზულ კითხვებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის, კერძოდ

[1617] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის N2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-26-27.

კი, იმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის თვალსაზრისით, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაერღვათ უფლებები არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების საფუძველზე. თუმცა, არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ცალკეული ინდივიდების უფლებების ეფექტიანად დაცვის მოტივით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გავრცელება ამ გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, ეჭვქვეშ დააყენებს კანონის განსაზღვრულობის პრინციპის მოქმედებას და მნიშვნელოვნად დააზიანებს იმ ინტერესებს, რომლებიც ამ პრინციპის გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს უფრო მეტ ნეგატიურ შედეგებს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ვიდრე ეს გადაწყვეტილების *ex tunc* ეფექტის არარსებობის პირობებშია შესაძლებელი.[1618]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტის არარსებობას, სისხლის სამართალში, გარკვეულწილად, აბალანსებს ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კონკრეტულ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, მიიჩნევა ახლად გამოვლენილ გარემოებად და წარმოადგენს განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.[1619] თუმცა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში მსგავსი დამაბალანსებელი მექანიზმი არ არსებობს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა სამოქალაქო/ადმინისტრაციულ სამართალში არ მიიჩნევა ახლად აღმოჩენილ გარემოებად და, შესაბამისად არ წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების ან მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის საფუძველს.

[1618] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ეფექტებთან მიმართებით იხ., Amicus curiae brief for the Constitutional Court of Georgia on the effects of Constitutional Court decisions on final judgments in civil and administrative cases, Adopted by the Venice Commission at its 115th Plenary Session, CDL-AD(2018)012, Venice, 22-23 June, 2018.

[1619] მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული ჩანაწერის არსებობისა, განაჩენის გადასინჯვასთან მიმართებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკა აქვს განვითარებული იმის მიხედვით, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა ადგენს სისხლის სამართლის მატერიალურ თუ საპროცესო წესს. მსგავსი მოწესრიგების გამოძახილია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმა ამჟამად გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში: იხ., 2023 წლის 22 აგვისტოს N1795 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „თემურ კალანდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 2022 წლის 27 სექტემბრის N1734 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „იაკობ ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების[1620] დროში მოქმედების ეფექტებთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთი კონსტიტუციური სარჩელია წარდგენილი, რომელთა განხილვამ და გადაწყვეტამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გაელენა იქონიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გზით ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვასა და სრულყოფილ რეალიზებაზე.[1621]

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალადაკარგულობასთან მიმართებით კიდევ ერთი აღსანიშნავი თავისებურება ისაა, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად აცხადებს უკვე ძალადაკარგულ ნორმას. ეს მაშინ ხდება, როდესაც სადავო ნორმა ძალას კარგავს საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ. აღნიშნული მექანიზმის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვა და სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის პრევენცია.[1622] ცხადია, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღარ ხდება მითითება არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმის ძალადაკარგულობასთან მიმართებით.[1623]

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის საბოლოობა, სავალდებულობა და საყოველთაობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი კი ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.[1624]

[1620] იგულისხმება აგრეთვე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4[1] პუნქტის საფუძველზე მიღებული განჩინება.

[1621] იხ., 2022 წლის 13 ოქტომბრის N1738 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „თინა ბოჭორიშვილი და იური დვალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2015 წლის 30 ოქტომბრის N678 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; 2016 წლის 16 თებერვლის N719 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1622] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის N3/6/813 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-4-8.

[1623] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/5/1355,1389 გადაწყვეტილება საქმეზე, „სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III-2.

[1624] საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება ტექნიკური შეცდომების გა-

გადაწყვეტილება „საბოლოოა" გულისხმობს, რომ, ერთი მხრივ, არ არსებობს მისი მხარეების მიერ გასაჩივრების, ზემდგომი ორგანოს მიერ გადასინჯვის და ამ გზით საქმის თავიდან განხილვისა და გადაწყვეტილების შედეგების შეცვლის სამართლებრივი შესაძლებლობა (კომპეტენცია), ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ აქტს აქვს საყოველთაობის პრეტენზია. იგი მავალებელია და ბოჭავს ყველა შესაბამის სუბიექტს, რაც ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს გადაწყვეტილების დაძლევის, მისი შედეგების იგნორირების კანონიერი შესაძლებლობა.[1625]

მაშასადამე საკონსტიტუციო სასამართლოს აქტს აქვს *res judicata* ეფექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე განხილული და გადაწყვეტილი საკითხის ხელახლა განხილვა ანდა ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ან გადასინჯვა რომელიმე სხვა ორგანოში ან თუნდაც თავად საკონსტიტუციო სასამართლოში.[1626] *Res judicata* პრინციპის გავრცელება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებზე ემსახურება გასაჩივრებულ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის მიღწევას და საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პოზიციის დამკვიდრებას, რაც შედეგად იწვევს, საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი გადაწყვეტილებების მიმართ პატივისცემას.

გადაწყვეტილების საბოლოობაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, როდესაც, ობიექტური საჭიროებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვის მოტივით, საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ერთხელ უკვე გადაწყვეტილი საკითხის განხილვას და ამ საკითხთან მიმართებით

სწორების მიზნით გამოქვეყნებულ აქტში განახორციელოს რედაქციული ცვლილებები, თუმცა იმ დათქმით, რომ რედაქციულმა ცვლილებებმა არ უნდა გამოიწვიოს აქტის შინაარსის ცვლილება. აღნიშნული მექანიზმი, ცხადია, ვერ იქნება მიჩნეული საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გადასინჯვის მექანიზმად. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლი.

[1625] ერემაძე ქ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემები", ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", თბილისი, 2013, N6, 4.

[1626] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის N1/14/1699 განჩინება საქმეზე, „გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საკუთარი პრაქტიკის დაძლევას.[1627] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმის ორიენტირი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის მექანიზმის შემოღება. ამ ნორმის დანიშნულება და საბოლოო მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის კონსტიტუციის დროში მოქნილობის (დროსთან ადეკვატურობის) უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების რეალური, ეფექტური და გრძელვადიან პერსპექტივაში ქმედითი დაცვისთვის დამატებითი გარანტიის შექმნა, ქვეყნის სამართლის კონსტიტუციურ ღირებულებებთან ჰარმონიულად განვითარების ხელშეწყობა.[1628] ადამიანის უფლებების სამართლის განვითარების კვალდაკვალ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, კონსტიტუციური უფლების დამდგენი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევდეს მისი უფრო ფართო შინაარსით ან იმგვარი გზით წაკითხვის შესაძლებლობას, რომელიც უკეთ მოემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არის კონსტიტუციის განმარტებაზე პასუხისმგებელი ორგანო ადამიანის უფლებების უკეთესად დაცვის მოტივით არ უნდა დარჩეს შებოჭილი მისივე გადაწყვეტილებებით. სწორედ ამ მიზნით ანიჭებს კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი პრაქტიკის დაძლევის უფლებამოსილებას.[1629]

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ აქტებს სავალდებულო ძალა აქვთ არა მხოლოდ მხარეებისთვის (*inter partes*), არამედ ისინი მოქმედებენ *erga omnes* ეფექტით, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული სუბიექტის მიერ წამოწყებული დავის შედეგად მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი ვრცელდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აქვს საყოველთაო, შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ხელისუფლების ყველა შტოს, ისევე, როგორც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი ნებისმიერი პირის/ორგანოს მიმართ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობის და მისი შედეგების შეუცვლელობის უზრუნველსაყოფად, ორგანული კანონი ითვალისწინებს შესაბამის გარანტიებსა და მექანიზმებს. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის

[1627] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[1628] ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", თბილისი, 2013, N6, 7.

[1629] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-2-11.

25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.[1630] ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. გადაწყვეტილების საბოლოობის და აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება აგრეთვე ზემოთ განხილული განჩინების მექანიზმი, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის რეგულაციის საქმის არსებითი განხილვის გარეშე, გადაწყვეტილების დამძლევ ნორმად და, შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.[1631]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების დამძლევი ნორმის გამწესრიგებელი სხდომის ფორმატში, ძალადაკარგულად გამოცხადების მექანიზმი სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესი გააუქმოს არსებითად განხილვის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მასში ასახული მოწესრიგების რეალურ აღსრულებას. მოცემული ნორმით, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, კონტროლს უწევს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან დაცვის პრევენციულ მექანიზმს.[1632]

3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის აღსრულება

ზოგადად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მათ შორის, გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, თვითაღსრულებადია, რაც ნიშნავს იმას, რომ ნორმა ძალას კარგავს გადაწყვე-

---

[1630] რეალურად, აღნიშნული ჩანაწერის პრაქტიკაში განხორციელება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის რაიმე ტიპის სასჯელის გამოყენება, რთულად რეალიზებადი პროცესია. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „შესრულება" ევალება სახელმწიფო ორგანოებს. ამ სირთულეების გამოძახილია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის რაიმე კონკრეტული ტიპის (სამართლებრივი ან/და პოლიტიკური) პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა არ არსებობს.

[1631] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4^1 პუნქტი.

[1632] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-8.

ტილების გამოქვეყნების მომენტიდან და არ საჭიროებს სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, დამატებით, საიმპლემენტაციო ღონისძიებების გატარებას. მაშინაც კი, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადებას და კანონმდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას განხილული სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგებისათვის, კანონმდებლის უმოქმედობა და ამ დროის მანძილზე შესაბამისი ზომების არმიღება, გაელენას ვერ იქონიებს უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე. კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღის დადგომისთანავე, არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო ნორმა ძალას დაკარგავს და ვეღარ გამოიწვევს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით იმ ნეგატიურ შედეგებს, რაც გახდა მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. ამავდროულად, კანონმდებლის მხრიდან მსგავსი ტიპის უმოქმედობამ, შესაძლოა დააზიანოს სხვა კერძო და საჯარო ინტერესები, რომლის დარეგულირების მოტივითაც საკონსტიტუციო სასამართლომ გადაავადა სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა.[1633]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობად შეესაძლოა მიჩნეულ იქნეს ორი შემთხვევა: (1) როდესაც სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, კანონმდებელი სადავო საკითხს კვლავაც აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების საწინააღმდეგოდ, რის შედეგადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს, განჩინების მიღებით, განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში, განმეორებით უხდება ცვლილების შედეგად მიღებული არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის ნორმის ძალადაკარგულად ცნობა,[1634] რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია შესა-

---

[1633] მსგავსი შედეგი დადგა მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 აპრილის N2/3/1421,1448,1451 გადაწყვეტილებაზე საქმეში, „შპს იხტიოსი", ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი, ვახტანგ კობეშავიძე და მანანა ხარხელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", სადაც ისე გავიდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა, რომ საქართველოს პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები არ განუხორციელებია.

[1634] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას პუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N3/10/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ".

ბამისი კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვაზე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ზოგადად, არ გააჩნია თვითინიციატივის უფლება (კომპეტენცია) და (2) როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტული ქცევის წესის და მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკის არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგაც, შესაბამისი ორგანოები ავლენენ უმოქმედობას და არ ცვლიან აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკას („არ ემორჩილებიან" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას). მსგავსი შემთხვევის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, სადაც მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა დაინტერესებული პირებისთვის ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრულ ტექსტზე წვდომის უფლების ბლანკეტური შეზღუდვის არაკონსტიტუციურობა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი არ არსებობს ან ვერ გადაწონის სასამართლოს აქტების ღიაობისა და მის სრულ ტექსტზე წვდომის ინტერესს, საერთო სასამართლოებისგან აქტების ე.წ. „დაუშტრიხავი"/სრული ტექსტის მიღება პირისთვის დღესაც მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული.[1635]

[1635] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021

ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997

ბეჟიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997

ბერაია გ., ზედელაშვილი დ., თაქთაქიშვილი ჩ., კოპალეიშვილი მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბილისი, 2021

ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2000

გაული ე., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, თბილისი, 2002

გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისათვის, წიგნში: სერგო ჯორბენაძე 90, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019

გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012

გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, ნ. I, გ. კვერენჩხილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012

გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, მე-3 გამოცემა, 2015

გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მ-4 გამოცემა, თბილისი, 2016

გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2022

გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018

გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე", 2017

გეწაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998

გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016

გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი სტატუსი და აღსრულება, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 80, ს. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021

დავითური გ., დავითაშვილი გ., საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021

დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2021

დემეტრაშვილი ა., კლდიაშვილი დ., მაცაბერიძე მ., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, ნ. II, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2022

დემეტრაშვილი ა., მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, ნიგნში: სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე: საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, გ. ნოდიას და დ. აფრასიძის რედაქტორობით, თბილისი, 2013

დიური შ.რ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპული სისტემების შედარებითი მიმოხილვა, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, „სამართლის ჟურნალი", N2, 2017

ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018

ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013

ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N6, 2013

ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007

კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011

კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2005

კვაჭაძე მ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., ლურსმანაშვილი ლ., სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (Amicus Curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N1(61), 2019

კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2006

კვერენჩხილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997

კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბილისი, 2019

კობახიძე ი., პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი, თბილისი, 2008

კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018

კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წ. II, დ. გეგენავას, გ. გორაძისა და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2020

კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, რედ. ავ. დემეტრაშვილი, თბილისი, 2005

კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008

ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021

ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2023

მავჩიჩი ა.მ., განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების (დამოუკიდებელი მოსაზრებების) მნიშვნელობა საკონსტიტუციო და სასამართლო მეთვალყურეობის განვითარებისთვის სლოვენიის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N4, 2011

მეიშვილი ზ., Amicus Curiae სისხლის სამართალწარმოებაში: ტენდენციები და გამოწვევები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N1(53), 2017

მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატებში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999

მელქაძე ო., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996

მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი" – ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1998

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015

ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *Ex Post* საკონსტიტუციო კონტროლი, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N1, 2022

ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება", N1, 2009

ნიშნიანიძე ნ., კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 1997

პაპიერი ჰ.ი., ინდივიდუალური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, მ. მანჯგალაძის თარგმანი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2003

რეინქუისთი უ.ჰ., მარშალი ჯ., გ. გორაძის თარგმანი, წიგნში: გიორგი კეკერენჩხილაძე 50, თბილისი, 2022

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობა და პრაქტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, კელეგის აეტ. ლ. გვიშიანი, კელევის ხელმძღვანელი ლ. ღვინიანიძე, თბილისი, 2016

ქსოვრელი ი., საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება – უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", N2, 2019
შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003
შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N3, 2003
შარაშიძე მ., პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში, კრებულში: „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლებების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში", თბილისი, 2006
შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის რეალური კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010
შესავალი საერთაშორისო სამართალში, მე-2 გამოცემა, მ. ჯიქიას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2023
შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021
შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003
ჩორგოლაშვილი ლ., კონსტიტუციური კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის სადაო საკითხები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N2, 2002
ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 1989
ხეცურიანი ჯ., საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N4(35), 2012
ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016
ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2020
ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება იმპიჩმენტის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", N2/3(45/46)'15, 2015
ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017) და საკონსტიტუციო სასამართლო, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 80, ს. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2021
ხეცურიანი ჯ., ფირცხალაშვილი ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი", სპეციალური გამოცემა, N1, 2018
ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", N4, 2000

ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001
ჯავახიშვილი პ., განსხვავებული და თანმხედრი აზრის უფლების არსი და მის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნ „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა", N1, 2014
ჯავახიშვილი პ., თვითინიციატივასა და შეჯიბრებითობას შორის: ერთი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, წიგნში: ავთანდილ დემეტრაშვილი 75, დ. გეგენავას და მ. ჯიქიას რედაქტორობით, თბილისი, 2017
ჯავახიშვილი პ., საერთაშორისო ხელშეკრულებათა საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, წიგნში: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები, მ. ჯიქიას, პ. ჯავახიშვილის და ქ. გუგუჩიას რედაქტორობით, თბილისი, 2020
ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, „სამართლის ჟურნალი", N1, 2016
ჯავახიშვილი პ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლი ქართულ სამართლებრივ პერსპექტივაში, თბილისი, 2022
ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტები საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013
ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, „სამართლის ჟურნალი", N1, 2017
ჯანჯალაშვილი გ., ხავთასი ი., კონსტიტუციური კონტროლი და ცალკეული საპროცესო უფლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბება, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021
ჰამილტონი ა., 78-ე ფედერალისტური წერილი, წიგნში: ფედერალისტური წერილები, გ. ბარამიძის თარგმანი, თბილისი, 2008
Abraham J., The Judicial Process, An Introductory Analyses of the Courts of the United States, England and France, 6th Ed., Oxford University Press, 1993
Ackermann L.W.H., Constitutional Protection of Human Rights: Judicial Review, Columbia Human Rights Law Review, Vol. 21, No. 1, 1989
Alexy R., Balancing, Constitutional Review, and Representation, International Journal of Constitutional Law, Vol. 3, No. 4, 2005
Bermann G.A., Marbury v. Madison and European Union "Constitutional" Review, The George Washington International Law Journal, Vol. 36, No. 3, 2004
Bernard F., Constitutional Review, Individual Rights, and the Transparency Model, Regent Journal of Law and Public Policy, Vol. 4, No. 1, 2012
Bezemek C., A Kelsenian Model of Constitutional Adjudication - The Austrian Constitutional Court, Austrian Journal of Public Law, 2012
Black's Law Dictionary, 8th ed. By Garner A.B., Thomson West Publishing, 2004
Breyer S., Interdependence of Science and Law, Judicature, Vol. 82, No. 1, 1998
Brewer-Carias A.R., Constitutional Courts as Positive Legislator, A Comparative Law Study, Cambridge University Press, 2011

Claus L.P., Kay R., Constitutional Courts as "Positive Legislators" in the United States, American Journal of Comparative Law, Vol. 58, 2010
Collins M.P., Jr., Lobbyists before the U.S. Supreme Court: Investigating the Influence of Amicus Curiae Briefs, Political Research Quarterly, Vol. 60, No. 1, 2007
Collins M.P., Jr., Friends of the Court: Examining the Influence of Amicus Curiae Participation in U.S. Supreme Court Litigation, Law & Society Review, Vol. 38, No. 4, 2004
Comella V. F., The Spanish Constitutional Court: Time for Reforms, Journal of Comparative Law, Vol. 3, No. 2. 2008
Connah J., Legislative Sovereignty or Constitutional Supremacy? The Dutch Constitutional Review Conundrum, Cambridge Student Law Review, Vol. 4, No. 2, 2008
Corley P.C., The Supreme Court and Opinion Content. Political Research Quarterly, Vol. 61, No. 3, 2007
Cromwell T.A., Aspects of Constitutional Judicial Review in Canada, South Carolina Law Review, Vol. 46, No. 5, 1995
Czeszejko-Sochacki Z., The Origins of Constitutional Review in Poland, St. Louis-Warsaw Transatlantic Law Journal, Vol. 1996, 1996
Daly N., Amicus Curiae and the Public Interest: A Search for a Standard, Law & Policy, Vol.12, No. 4, 1990
Daneliene I., Individual Access to Constitutional Justice in Lithuania: The Potential Within the Newly Established Model of the Individual Constitutional Complaint, Revista de Derecho Político, No. 111, 2021
Davis M.C., Constitutionalism and New Democracies, George Washington International Law Review, Vol. 36, No. 3, 2004
Duranti F., New Models of Constitutional Review, Comparative Law Review, Vol. 5, No. 1, 2014
Edwards T.H., The Effects of Collegiality on Judicial Decision Making, Pennsylvania Law Review, Vol.151, No. 1, 2003
Elias S., Judicial Review and Constitutional Balance, Address to the New Zealand Centre for Public Law, Victoria University of Wellington, 2019
Eoin C., "Democratic Accountability and the Non-Delegation Doctrine", Dublin University Law Journal, Vol. 33, 2011
Epstein L., Interest Group Litigation During the Rehnquist Court Era, Journal of Law and Politics, Vol. 9, No. 4, 1993
Farber S., The Amicus Curiae Phenomenon – Theory, Causes and Meanings, 29 Transnational Law and Contemporary Problems, Vol. 29, No. 1, 2019
Farinacci-Fernós J., Constitutional Courts as Majoritarian Instruments, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 14, No. 4, 2020
Fernandes de Andrade G., Comparative Constitutional Law: Judicial Review, Pennsylvania Journal of Constitutional Law, Vol. 3. No. 3, 2001
Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol.6, No.1, 2002
Fiseha A., A New Perspective on Constitutional Review, Tilburg Foreign Law Review, Vol. 10, No. 3, 2002

Fontana D., Docket Control and the Success of Constitutional Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011
Ferejohn J.E., Constitutional Review in the Global Context, NYU Journal of Legislation and Public Policy, Vol. 6, No. 1, 2002
Garcia J.R., A Democratic Theory of Amicus Advocacy, Florida State University Law Review, Vol. 35, Iss. 2, 2008
Garlicki L., Constitutional Courts Versus Supreme Courts, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, No. 1, 2007
Gegenava D., Unconstitutional Constitutional Amendment: Three Judgments from the Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, No. 5, 2014
Ginsburg T., Constitutional Courts in East Asia, in: Comparative Constitutional Law in Asia, Edited by R. Dixon and T. Ginsburg, Edward Elgar Publishing, 2014
Ginsburg T., Huq A., Landau D., The Comparative Constitutional Law of Presidential Impeachment,The University of Chicago Law Review, Vol. 88, No. 1, 2021
Ginsburg T., Judicial Review in New Democracies, Constitutional Courts in Asian Cases, Cambridge University Press, 2003
Groppi T., The Italian Constitutional Court: Towards A "Multilevel System" of Constitutional Review? Indian Journal of Constitutional Law, Vol. 4, No. 1, 2010
Hamilton A., Federalist No. 78, in: Hamilton A., Madison J., Jay J., The Federalist Papers, Hackett Publishing Company, 2005
Hansford T.G., Johnson, K., The Supply of Amicus Curiae Briefs in the Market for Information at the U.S. Supreme Court. Justice System Journal, Vol. 35, No. 4, 2014
Harari N.Y., 21 Lessons for the 21st Century, London, 2018
Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, 1997
Huq A.Z., Libertarian Separation of Powers, New York University Journal of Law and Liberty Vol. 8, No. 3, 2014
Izarova I., Szolc-Nartowski B., Kovtun A., Amicus Curiae: Origin, Worldwide Experience and Suggestions for East European Countries, Hungarian Journal of Legal Studies, Vol. 60, No.1, 2019
Jackson V.C., Green J., Constitutional Interpretation in Comparative Perspective: Comparing Judges or Courts, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Edward Elgar, 2011
Kochevar S., Amici Curiae in Civil Law Jurisdictions, The Yale Law Journal, Vol.122, No. 6, 2013
Kokott J., Kaspar M., Ensuring Constitutional Efficacy, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012
Kommers P.D., Miller A. R., The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany, 3rd Ed., Duke University Press, 2012
Krislov S., The Amicus Curiae Brief: From Friendship to Advocacy, The Yale Law Journal, Vol. 72, No. 4, 1963

Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, No. 3, 1983
Loughlin M., The Contemporary Crisis of Constitutional Democracy, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 39, No. 2, 2019
López E.G., Judicial Review in Spain: The Constitutional Court, Loyola of Los Angeles Law Review, Vol. 41, No. 2, 2008
Madison J., Federalist No. 51, in: Hamilton A., Madison J., Jay J., The Federalist Papers, Hackett Publishing Company, 2005
Mendez M., Constitutional Review of Treaties: Lessons for Comparative Constitutional Design and Practice, International Journal of Constitutional Law, Vol. 15, No. 1, 2017
McWhinney E., Constitutional Review in Canada and The Commonwealth Countries, Ohio State Law Journal, Vol. 35, No. 3, 1974
McWhiney E., Federal Supreme Courts and Constitutional Review, La Revue Du Barreau Canadien, Vol. 45, No. 3, 1967
Murphy W., Fleming J., Barber S., American Constitutional Interpretation, 2nd Ed., New York, 1995
Morlok M., Das Partiengesetz Georgiens und die Moglichkeiten seiner Verbesserung, GIZ, N8, 2018
Plessis M.D., Penfold G., Brickhill J., Constitutional Litigation, Law Society of South Africa, 2014
Posner A.R., How Judges Think, Harvard University Press, 2008
Posner A.R., Overcoming Law, Harvard University Press, 1995
Raffaelli R., Study on Dissenting Opinions in the Supreme Courts of the Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies. Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2012
Ribeiro G.A., Judicial Review of Legislation in Portugal: Genealogy and Critique, in: Comparative Constitutional History, Vol. I, Edited by F. Biagi, J.O. Frosini and J. Mazzone, Brill, 2020
Safta M., Constitutional Review and the Legislative Procedure, Proceedings of the International Conference of Law, European Studies and International Relations, 7th Ed., Bucharest, 9-11 May, 2019
Safta M., Developments in the Constitutional Review, Constitutional Court between the Status of Negative Legislator and the Status of Positive CoLegislator, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, No. 1, 2012
Sajó A., Uitz R., The Constitution of Freedom: An Introduction to Legal Constitutionalism, Oxford University Press, 2017
Savitri D.N., Constitutional Preview and Review of International Treaties: France and Indonesia Compared, Constitutional Review, Vol. 5, No. 1, 2019
Shapira A., A Proposal for Constitutional Judicial Review in Israel, Tel Aviv University Studies in Law, Vol.11, 1992
Shelton D., The Participation of Nongovernmental Organizations in International Judicial Proceedings, The American Journal of International Law, Vol. 88, No. 4, 1994

Simon S., Constitutional Identity and Ultra Vires Review in Germany, Central European Journal of Comparative Law, Vol. 2, No. 1, 2021
Sólyom L., Constitutional Justice – Some Comparative Remarks, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-JU(2003)30, 2003
Spriggs F.J., Wahlbeck J. P., Amicus Curiae and the Role of Information at the Supreme Court, Political Research Quarterly, Vol. 50, No. 2, 1997
Starck C., Constitutional Review in the Federal Republic of Germany, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, No. 2, 1984
Steinberger H., Models of Constitutional Jurisdiction, Collection of Science and Technique of Democracy, European Commission for Democracy through Law, 1993
Stolleis M., Judicial Review, Administrative Review, and Constitutional Review in the Weimar Republic, Ratio Juris, Vol. 16, No. 2, 2003
Sweet A.S., Constitutional Courts, in: The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, Edited by M. Rosenfeld and A. Sajó, Oxford University Press, 2012
Thorson C.L., Politics, Judicial Review, and the Russian Constitutional Court, Palgrave Macmillan, 2012
Tushnet M., Weak Courts, Strong Right, Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, Princeton University Press, 2008
Van der Schyff, G., The Prohibition on Constitutional Review by the Judiciary in the Netherlands in Critical Perspective: The Case and Roadmap for Reform, German Law Journal, Vol. 21, No. 5, 2020
Vanberg G., Abstract Judicial Review, Legislative Bargaining and Policy Compromise Journal of Theoretical Politics, Vol. 10, No. 3, 1998
Verstraelen S., The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, German Law Journal, Vol. 14, No. 9, 2013
Wofford B.C., Assessing the Anecdotes: Amicus Curiae, Legal Rules, and the U.S. Supreme Court, Justice System Journal, Vol. 36, No. 3, 2015
Barczak T., ed. BVerfGG: Mitarbeiterkommentar zum Bundesverfassungsgerichtsgesetz. Walter de Gruyter GmbH & Co KG, 2017
Becker U., Grundrechtsberechtigung juristicher Personen (Art. 19 Abs. 3GG), Juristische Ausbildgung, 2019 (5)
Blanquett W., Casser C., Amicus Curiae in Deutschland, Drittbeteiligung von Verbänden durch Amicus-Curiae-Stellungnahmen in Gerichtsverfahren der unteren Instanzen, KJ 50, 2017
Eser A., Adversatorisch versus inquisitorisch: auf der Suche nach optimalenVerfahrensstrukturen, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift, No. 2019
Kühne U., Amicus Curiae: Richterliche Informationsbeschaffung durch Beteiligung Dritter, Mohr Siebeck, Tübingen, 2015

სამართლებრივი აქტები

საქართველოს კონსტიტუცია
2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ"
2005 წლის 27 დეკემბრის N2496 საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ"
2017 წლის 13 ოქტომბრის N1325-რს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ"
საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" (ძალადაკარგულია – 13.10.2017)
საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ"
საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"
საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ"
საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ"
საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ"
საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"
საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ"
საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ"
2022 წლის 18 ოქტომბრის N1914-IXმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განმარტებითი ბარათი
2022 წლის 14 აპრილის N1511-VIIIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განმარტებითი ბარათი
2018 წლის 21 ივლისის N3265-რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
2016 წლის 3 ივნისის N5161-რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
2009 წლის 22 ოქტომბრის N1890 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"
2006 წლის 29 დეკემბრის N4215–რს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე"
2004 წლის 25 ნოემბრის N599–IIს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

2002 წლის 12 თებერვლის N1264–IIს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"
საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"
საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ"
საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"
საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"
საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი"
საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი"
საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი"
საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" (ძალადაკარგულია – 21.07.18)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის N1891 საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" (ძალადაკარგულია – 21.07.18)
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2024 წლის პირველი მარტის N136/1 დადგენილება
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულება
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950
ავსტრიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1920
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1949
ესპანეთის სამეფოს ორგანული კანონი „ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", 1979
ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", 2004

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/5/1355,1389 გადაწყვეტილება საქმეზე, „სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის N2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე, „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 აპრილის N2/3/1421,1448,1451 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს იხტიოსი", ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი, ვახტანგ კობეშავიძე და მანანა ხარხელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის N3/6/813 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის N1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე, „დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/2/1277 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის N3/1/1239,1642,1674 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის, 6,7 გრამის და 9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის N2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის N2/1/1434,1466 გადაწყვეტილება საქმეზე, „ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N1/1/1558 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ლაშხი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე, „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/5/1499 გადაწყვეტილება საქმეზე, „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე, „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე, „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის N1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის N2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს ალტა", „შპს ოქეი", „შპს ზუმერი ჯორჯია", „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი" და „შპს სმაილი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის N2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის N2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყაველაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის N2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე, „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის N1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სკს" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს გიგანტი სექიურითი" და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „შპს კასტელ ჯორჯია" და სს „წყალი მარგებელი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა სღვთო ეკლესია საქართველოში" და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია", სსიპ „ქრისტეს ეკლესია", სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია", ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან – ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი", სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია", ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი", სსიპ „წმინდა სამების ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ტელენეტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის N1/12/781 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის N2/3/591 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო" და „ახალი მემარჯვენეები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633,634 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინაამდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ხარაძე და ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი

ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანიის მოქალაქე პეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარ-

ჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428/447/459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი", შპს „პატარა კახი", სს „გორგიტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური სანარმო „ფერმერი" და შპს „ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე, „შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1/370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის N2/1/327,336,344 გადაწყვეტილება საქმეზე, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლილი და კომპანიის" დამფუძნებელი პარტნიორი მერაბ კიკვაძე საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის N1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე, „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი" და „ანაჯგუფი" (ყოფილი „თბილგაზოაპარატი") საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის N2/1/314 გადაწყვეტილება საქმეზე, „ფედლი კულაევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „უნისერვისი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის N1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის N15/290,266 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 30 აპრილის N1/2/204 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გრიგოლ კარგინი საქართველოს პრეზიდენტისა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის N1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები „ოლღა სუმბათიშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 3 დეკემბრის N11/203/2 გადაწყვეტილება საქმეზე, „თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის კონსტიტუციური წარდგინება"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის N8/177/2 გადაწყვეტილება საქმეზე, „ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის N2/35 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის N1/2-14/19 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 5 დეკემბრის N2/3/13 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის N1/1/10 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის N2/1/7 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „კოლხის" დამფუძნებელი თენგიზ სუდაძე ქ. ფოთის მერიის წინააღმდეგ"

საოქმო ჩანაწერები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1792 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ თომასიანი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის N1/9/1800 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ვასილ ფიფიაშვილი და მარინე კაპანაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 სექტემბრის N3/2/1797 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/3/1737 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1715 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის და 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/9/1572 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის N3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ვახტანგი მიმინოშვილი, ინერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის N3/1-1/1711 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N3/5/1674 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის N3/2/1642 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/15/1628 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/13/1603 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის N3/1-3/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/7/1545 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/5/1558 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „გიორგი ლაშხი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1448 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი და ვახტანგ კობეშავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/5/1565,1568,1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/4/1400 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის N1/1/1441 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N3/3/1543 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N3/2/1520 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2163, 2164, 2165 მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ საკითხის შუამდგომლობის საბით განხილვას"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/7/1465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ჩემპიონები 111" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/8/1526 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის N3/1-3/1524 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 17 ივნისის N3/1-2/1400 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის N1/9/1505 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის N3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის N3/6/1502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/5/1491 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N3/1-1/1459 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 დეკემბრის N2/8/665,683 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის N1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N1/11/1361 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის N1/10/1437 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ეპიცენტრი" საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/15/1423 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ანი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/12/1354 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის N2/10/1378 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ზვიად დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N1/1/1312 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/2/1337 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის N2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სტერეო+", ლუკა სეეერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/5/1313 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის N1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/11/1279 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და „ეს ალაფიშვილი და ყაველაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის N1/5/1282 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის N2/4/1225 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის N2/2/822 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/4/885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/18/1234,1235 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/17/1216 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი" და საქართველოს მოქალაქეები – მარინა მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის N2/10/604 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თენგიზი ლატარია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/1-1/752 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/19/690 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქეები გურამ იმნაძე და სოფიკო ვერძეული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/6/755 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თამარ პაპაშვილი და ანა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის N3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის N3/1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N1/3/679 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/8/678 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N3/7/635 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს გამომცემლობა ინტელექტი", „შპს გამომცემლობა არტანუჯი", „შპს ლოგოს პრესი" და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს ტელეკომპანია „საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის N1/6/675 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის N2/6/623 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის N2/2/630 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატა-

ლია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის N1/7/561,568 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის N1/6/557 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვალერიან გელბახიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N2/1/522 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „სპს „გრიშა აშორდია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის N1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის N2/6/465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 30 ოქტომბრის N2/10/402,405 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ანზორ მანძულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის N1/4/393,397 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

განჩინებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/8/1613 განჩინება საქმეზე, „დავით გამყრელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/7/1286 განჩინება საქმეზე, „აკაკი ნერეთელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N2/34/1787 განჩინება საქმეზე, „ლაშა შუკაკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/17/1629 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/15/1453 განჩინება საქმეზე, „შოთა ქობალია და ვასილ ჟიჟიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის N2/5/1654 განჩინება საქმეზე, „ალექსანდრე კობაიძე და მირანდა შალამბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/4/1691 განჩინება საქმეზე, „გიორგი გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/2/1447 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1/1743 განჩინება საქმეზე, „ა.დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის N3/2/1723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის N3/1/1711 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N3/17/1583 განჩინება საქმეზე, „ირაკლი მაჭუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის N2/14/1730 განჩინება საქმეზე, „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის N3/1/1693,1700 განჩინება საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის N1/19/1685 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „განათლების დამცველთა ასოციაცია" და მაკა გიორგაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/13/1623 განჩინება საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/8/1470 განჩინება საქმეზე, „ფრიდონ ბასილაია და აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1409 განჩინება საქმეზე, „რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/3/761 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის N1/14/1699 განჩინება საქმეზე, „გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 16 ივნისის N1/13/1704 განჩინება საქმეზე, „ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 11 მაისის N2/3/1488 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამრთლოს 2022 წლის 13 აპრილის განჩინება N1/4/1368 საქმეზე, „შპს ჯორჯიან ეარვეისი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგარადი განვითარების მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის N1/1/1288 განჩინება საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვალის N3/1/1681 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/21/1626 განჩინება საქმეზე, „თენგიზ მესხი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის N1/20/1614 განჩინება საქმეზე, „ზვიად გოგიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის N2/16/1617 განჩინება საქმეზე, „იზოლდა შანიძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის N2/13/1460 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/3/1297 განჩინება საქმეზე, „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ააიპ „აპრიორი" და ააიპ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/2/1647 განჩინება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის", ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2/10/1540 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის N2-3/1/1547 განჩინება საქმეზე, „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის N1/9/1531 განჩინება საქმეზე, „შპს „ახალი ქსელები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/6/1536 განჩინება საქმეზე, „ლაშა შუკაკიძე ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/5/1408 განჩინება საქმეზე, „ირაკლი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის N2/2/1360 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის N3/1/1581 განჩინება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის N1/1/1535 განჩინება საქმეზე, „თორნიკე კუბლაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის N2/14/1476 განჩინება საქმეზე, „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის N3/3/1459,1491 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/17/1493 განჩინება საქმეზე, „ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და სულხან სალაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/12/1456 განჩინება საქმეზე, „ვახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/4/1416 განჩინება საქმეზე, „შპს სეტი დეველოპმენტი", „შპს სეტი ჯგუფი", „შპს სეტი", „შპს სეტი ნუცუბიძე", გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/8/1496 განჩინება საქმეზე, „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/6/1450 განჩინება საქმეზე, „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/4/1438 განჩინება საქმეზე, „შპს ლექსიკა" საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/1/729 განჩინება საქმეზე, „გრიგოლ სანდუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N2/16/1346 განჩინება საქმეზე, „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N3/1/1459 განჩინება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/12/1237 განჩინება საქმეზე, „ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის N1/5/1402 განჩინება საქმეზე, „შპს ქეი ბი ლოჯისთიქს", „შპს ფორტუნა", „შპს ჩირინა", „შპს პოულტრი ჯორჯია", „შპს კუმისი XXI" და „შპს ნუტრიმაქსი" საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/8/1338 განჩინება საქმეზე, „გრიგოლ აბულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/2/1358 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის" და „შპს ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N3/10/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის N1/12/1310 განჩინება საქმეზე, „შპს „ნავთლული" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ნოემბრის N1/1/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/9/1309 განჩინება საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/8/1288 განჩინება საქმეზე, „აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/6/1253 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლეან ალაფიშვილი და აიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/4/858 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N3/1/1267,1268 განჩინება საქმეზე, „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 ოქტომბერის N3/7/1274 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის N2/21/1305 განჩინება საქმეზე, „კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის N2/17/1301 განჩინება საქმეზე, „მზია ტურაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის N3/1/707 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის N2/8/881 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ანა მაისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/7/1258 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/5/1249 განჩინება საქმეზე, „ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები – შეპაბ აპმედ ჰამუდი ჰამუდი და აპმედ შეპაბ აპმედ აპმედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/4/1292 განჩინება, საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/21/872 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – სოფიკო ვერძეული, გურამ იმნაძე და გიორგი გვიმრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N1/23/824 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის N3/7/679 განჩინება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/20/1219,1236 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის N1/2/864 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N1/12/782,783 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ზაქარაია და ხათუნა გადელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის N1/11/1232 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ივანე პეტრიაშვილი და ელენე მახარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის N1/1/657 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/7/727 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი სეხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N1/6/748 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალადინ მამედოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/855 განჩინება საქმეზე, „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის N3/7/831 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მანანა ჟორდანია და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/9/664 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „ქართული ღია წრე“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის N1/7/662 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე სტეფანე კვირკვაია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის N3/1/740, 764 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის N2/7/812 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე პაატა ბაკურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/6/723 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მერი ბიგვავა საქართველოს ოკუპი-

რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/4/644 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ნაჭყებია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N3/1/708,709,710 განჩინება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის და 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის პირდი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N1/4/607 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა" საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის N1/3/606 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის N2/9/612 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ქურასბედიანი და ნელი გოგიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის N3/2/602 განჩინება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, ზურაბ ჩილინგარაშვილი და სხვები, სულ 35 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის N1/1/564 განჩინება საქმეზე, „შპს „მაგთიკომი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის N1/2/541 განჩინება საქმეზე, „მაია ხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/505 განჩინება საქმეზე, „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/523 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის N2/3/514 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის N2/4/507 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/3/511 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მწვანეთა პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/2/506 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კობა გოგუა საქართველოს კონტროლის პალატის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 იელისის N1/4/495 განჩინება საქმეზე, „შპს „ჰორიზონტი" ქ. ბათუმის მერის და თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის N2/2/486 განჩინება საქმეზე, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/469 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის N2/6/475 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის N16/455 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის N1/7/436 განჩინება საქმეზე, „შპს „კავკასუს ონლაინი" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის N1/5/424 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის N2/3/412 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის N2/2/394 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბადრი ნანეტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის N1/1/413 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის N1/2/313 განჩინება საქმეზე, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ეარვეისი" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 7 ოქტომბრის N2/8/302 განჩინება საქმეზე, „მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატის შემადგენლობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 ივნისის N1/7/236 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე, „ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის N2/88/1 განჩინება საქმეზე, „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 17 მარტის N1/2/101 განჩინება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის ნევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 8 ოქტომბრის N1/1/3 განჩინება საქმეზე, „მოქალაქე ლუდმილა ბელიაევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ"

დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე"

განსხვავებული და თანმხვედრი აზრები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის N3/5/1502,1503 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის N2/17/1629 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით საქმეზე, „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით N1565, N1568 და N1569 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების შესახებ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრის, მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრის ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში" და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის N3/6/808 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „გაერ-

თიანებული დემოკრატიული მოძრაობა", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თაქაძის და ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ჭინჭლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინებასთან დაკავშირებით საქმეზე, შპს „გამომცემლობა ინტელექტი", შპს „გამომცემლობა არტანუჯი", შპს „გამომცემლობა დიოგენე", შპს „ლოგოს პრესი", შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი" და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ლამარა ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის N2/1/314 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „ფედლი კულაევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის იაკობ ფუტკარაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები „ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

ანგარიშები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის ანგარიში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019

ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2018

ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017

კონსტიტუციური სარჩელები

2024 წლის 18 ივლისის N1828 კონსტიტუციური სარჩელი, საქმეზე „საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2023 წლის 22 აგვისტოს N1795 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „თემურ კალანდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2023 წლის 20 იანვრის N1763 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ირაკლი მარგველაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 2 დეკემბრის N1750 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრები: ანა ნაცვლიშვილი, ანა ბუჩუკური, მიხეილ დაუშვილი და სხვები (სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 2 ნოემბრის N1743 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ა.დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 13 ოქტომბრის N1738 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „თინა ბოჭორიშვილი და იური დვალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 27 სექტემბრის N1734 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „იაკობ ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 16 აგვისტოს N1723 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 10 ივნისის N1711 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 6 მაისის N1700 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 11 აპრილის N1693 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა ნიკლაური და თამარ ხატომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2022 წლის 11 მარტის N1688 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2021 წლის 16 დეკემბრის N1666 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ"

2021 წლის 8 დეკემბრის N1664 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2021 წლის 24 ნოემბრის N1661 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „უზბეკეთის მოქალაქე ინომჯონ ბუვამირზაევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2021 წლის 20 მაისის N1603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2021 წლის 20 მაისის N1602 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2021 წლის 10 თებერვლის N1565 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2020 წლის 13 ივლისის N1526 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი", პერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2020 წლის 23 აპრილის N1499 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

2019 წლის 23 დეკემბრის N1473 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

2019 წლის 11 დეკემბრის N1466 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის 15 აგვისტოს N1441 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის პირველი აგვისტოს N1434 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ოთარ მარშავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის 7 მაისის N1421 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს „იხტიოსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის 20 თებერვლის N1402 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს ქეი ბი ლოჯისთიქს“, „შპს ფორტუნა“, „შპს ჩირინა“, „შპს პოულტრი ჯორჯია“, „შპს კუმისი XXI“ და „შპს ნუტრიმაქსი“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“

2019 წლის 29 იანვრის N1392 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის 23 იანვრის N1389 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 4 დეკემბრის N1376 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ზოხრა მამედოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 9 ოქტომბრის N1355 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, სამსონ თამარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 3 ოქტომბრის N1354 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 10 მაისის N1315 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე, ნინო ჭანიშვილი და სხვები (სულ 29 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 25 აპრილის N1312 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 12 იანვრის N1289 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2017 წლის 13 დეკემბრის N1282 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2017 წლის 10 ნოემბრის N1276 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2017 წლის 3 მაისის N1216 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2017 წლის 27 აპრილის N1208 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მამუკა ცაავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2017 წლის 17 მარტის N877 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 26 სექტემბრის N850 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი,

გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ“

2016 წლის 15 სექტემბრის N828 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - კობა ეპიტაშვილი, ხვიჩა ყირმიზაშვილი, ლევან გაბაშვილი, ბადრი ბეჟანიძე და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 21 ივლისის N811 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 12 ივლისის N792 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 17 ივნისის N770 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 1 ივნისის N763 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 27 მაისის N761 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2016 წლის 16 თებერვლის N719 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2015 წლის 25 ნოემბრის N697 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

2015 წლის 30 ოქტომბრის N678 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2015 წლის 22 სექტემბრის N668 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2015 წლის 8 მაისის N648 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „ლევან მესხი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2014 წლის 7 ივლისის N603 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“

2014 წლის 5 მაისის N592 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2013 წლის 17 სექტემბრის N563 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

კონსტიტუციური წარდგინებები

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის პირველი თებერვლის N1674 კონსტიტუციური წარდგინება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო"

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის N1642 წარდგინება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო

თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 23 ოქტომბრის N1543 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის N1478 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს N1341 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის N1660 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის N1239 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 70 გრამამდე (მოცემულ შემთხვევაში 6,7 გრამი) ნარკოტიკული საშუალება - „გამომშრალი მარიხუანის" პირადი მოხმარების მიზნებისთვის საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის N641 კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის N601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები

„სასამართლოს მეგობრის" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ნერილობითი მოსაზრება 2009 წლის 27 ნოემბრის N466 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

„სასამართლოს მეგობრის" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოსაზრება 2022 წლის 10 ივნისის N1711 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"

„სასამართლოს მეგობრის" ჯეიმს ი. მოლიტერნოს წერილობითი მოსაზრება 2019 წლის 13 მაისის N1424 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

„სასამართლოს მეგობრის" ესმა გუმბერიძის წერილობითი მოსაზრება 2020 წლის 26 ოქტომბრის N1736 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ"

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

„აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ" [ECtHR], განაცხადი N40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი

„მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ" [ECtHR], განაცხადი N30097/03, 2008 წლის 8 იანვარი

„სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ" [ECtHR], განაცხადი N37809/08, 2019 წლის 25 ივლისი

Döry v. Sweden [ECtHR], App. No. 28394/95, 12 November 2002

Gregory v. United Kingdom [ECtHR], App. No. 22299/93, 25 February 1997

Malhous v. The Chech Rebublic [ECtHR], App. No. 33071/96, 13 December 2000

Pretto and others v. Italy [EctHR], App. No. 7984/77, 8 December 1983

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებები

Cooper v. Aaron, 358 U.S. 1 (1958)

Pollock v. Farmers' Loan & Trust Company, 157 U.S. 429 (1895)

Norton v. Shelby County, 118 U.S. 425 (1886)

Dred Scott v. Sandford, 60 U.S. 393 (1857)

Martin v. Hunter's Lessee, 14 US 304 (1816)

Marbury v. Madison, 5 U.S. 137 (1803)

Chisholm v. Georgia, 2 US 419 (1793)

ვენეციის კომისიის დასკვნები

Opinions and Reports on Law-making Procedures and the Quality of the Law, Endrosed by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-PI(2021)003, Strasbourg, 29 March, 2021

Revised Report on individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at its 125th online Plenary Session, CDL-AD(2021)001, 11-12 December, 2020

Opinion On the Scope of the Power of the President to Set the Dates of Elections, Adopted by the Venice Commission at its 120th Plenary Session, CDL-AD(2019)019, Strasbourg, 14 October, 2019

Amicus curiae brief for the Constitutional Court of Georgia on the effects of Constitutional Court decisions on final judgments in civil and administrative cases, Adopted by the Venice Commission at its 115th Plenary Session, CDL-AD(2018)012, Venice, 22-23 June, 2018

Opinion on the Draft Constitutional Law on the Constitutional Court, Adopted by the Venice Commission at Its 111th Plenary Session, CDL-AD(2017)011, Venice, 16-17 June, 2017

Opinion on the Draft Law on the Constitutional Court, Adopted by the Venice Commission at Its 109th plenary Session, CDL-AD(2016)034, Venice, 9-10 December, 2016

Opinion on Amendments to the Act of 25 June 2015 on the Constitutional Tribunal of Poland, Adopted by the Venice Commission at Its 106th Plenary Session, CDL-AD(2016)001, Venice, 11-12 March, 2016

Conference on Relations of the Constitutional Court with Other Public Authorities, Adopted by Venice Commission in Cooperation with the Constitutional Court of the Republic of Moldova, 24-25 September, CDL-JU(2015)021, Chisinau, Moldova, 2015

Opinion on the Draft Constitutional Law on the Constitutional Court of Tajikistan, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)017, Venice, 13-14 June, 2014

Opinion on the Draft Constitutional Law on Introducing Amendments and Additions to the Constitutional Law on the Const itutional Chamber of the Supreme Court of the Kyrgyz Republic, Adopted by the Venice Commission at Its 99th Plenary Session, CDL-AD(2014)020, Venice, 13-14 June, 2014

Opinon on three Legal Questions Arising in the Process of Drafting the New Constitution of Hungary, adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, CDL-AD(2011)001, Strasbourg, 28 March, 2011

Opinion on Three Legal Questions Arising in the Process of Drafting the New Constitution of Hungary, adopted by the Venice Commission at its 87th Plenary Session, CDL(2011)016, Strasbourg, 17 March, 2011

Study on Individual Access to Constitutional Justice, Adopted by the Venice Commission at Its 85th Plenary Session, CDL-AD(2010)039rev, Venice, 17-18 December, 2010

Final Opinion on the Draft Constitutional Law on Amendments and Changes to the Constitution of Georgia, adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session, CDL-ad(2010)028, Strasbourg, 15 October, 2010

On the draft Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia (chapter vii – local self-government), adopted by the Venice Commission at its 83th Plenary Session, CDL(2010)020, Strasbourg, 4 March 2010

Report on Constitutional Amendments, Adopted by the Venice Commission at its 81st Plenary Session, CDL-AD(2010)001, Venice, 11-12 December, 2009

Amicus Curiae Opinion on the Law on the cleanliness of the figure of high functionaries of the Public Administration and Elected Persons of Albania, adopted by the Venice Commission at its 80th Plenary Session, CDL-AD(2009)044, Venice, 9-10 October, 2009

Opinion on the Draft Laws Amending and Supplementing (1) the Law on Constitutional Proceedings and (2) the Law on the Constitutional Court of Kyrgyzstan, Adopted by the Venice Commission at Its 76th Plenary Session CDL-AD(2008)029, Venice, 17-18 October, 2008

Opinion on the Constitution of Serbia, Adopted by the Venice Commission at Its 70th Plenary Session, CDL-AD(2007)004, Strasbourg, 19 March, 2007

Opinion on the Two Draft Laws Amending Law No. 47/1992 on the Organisation and Functioning of the Constitutional Court of Romania, Adopted by the Commission at Its 66th Plenary Session, CDL-AD(2006)006, Venice, 17-18 March, 2006

Opinion on the Draft Federal Constitutional Law "on Modifications and Amendments to the Federal Constitutional Law on the Constitutional Court of the Russian Federation", Adopted by the Commission at Its 60th Plenary Session, CDL-AD(2004)035, Venice, 8-9 October, 2004

The Binding Effect of Federal Constitutional Court Decisions Upon Political Institutions, Report by Ms Anke Eilers, Seminar on "The effects of Constitutional Court decisions", CDL-JU(2003)18, Tirana, 28-29 April, 2003

Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan, Adopted by the Venice Commission at its 50th Plenary Session, CDL-AD(2002)005, Venice, 8-9 March, 2002

ანგარიშები, რეკომენდაციები

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის სტანდარტის შესახებ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) NR(94)12 რეკომენდაცია, სტრასბურგი, 2001 წლის 23 ნოემბერი

Constitutional Grounds for Presidential Impeachment, Report by the Staff of Majority Staff of the House Committee in the Judiciary, 116th Congress, 1st Session, 2019

ელექტრონული რესურსები

<https://www.law.cornell.edu/rules/supct/rule_37>

<https://www.venice.coe.int/webforms/documents/?country=40&year=all&fbclid=IwAR17WmqvBfkn1dkltfcHSSeaui8tbhtdRboXopmjZ4ZtgZAVHAlaqBW_wzE>

<https://www.venice.coe.int/files/EmergencyPowersObservatory/T14-E.htm>

Interim Measures - <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/fs_interim_measures_eng>

<https://constcourt.ge/ka/court/app-forms>

ავტორთა შესახებ

პაატა ჯავახიშვილი, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი. საკონსტიტუციო კონტროლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 35-მდე აკადემიური ნაშრომი.

დიმიტრი გეგენავა, სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი. არის 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სტატიებისა და თარგმანების, ავტორი.

ავთანდილ დემეტრაშვილი, სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე. 2009-2010 წლების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. 1986 წლიდან კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს არაერთი აკადემიური ნაშრომი საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

ლელა მაჭარაშვილი, სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. არის შვედეთის ინსტიტუტის, რიგის სამართლის სკოლის, ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის, ზაარლანდის უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებული. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფროსი სამართლებრივი თანაშემწე. არის 10-ზე მეტი აკადემიური ნაშრომის ავტორი.

ზაზა ზანგურაშვილი, საჯარო პოლიტიკისა და სამართლის მაგისტრი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი. წლების განმავლობაში მუშაობდა სახალხო დამცველის ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე. ამჟამად ეწევა პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე აკადემიური ნაშრომი საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

მარიამ ნატროშვილი, სამართლის მაგისტრი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი. ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

ნიკა პირველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი სამართლებრივი მრჩეველი.

გვანცა ლაშხია, სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. შვედეთის ინსტიტუტის, რიგის სამართლის სკოლის, ევროპის ინსტიტუტის, ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის პროგრამების კურსდამთავრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფროსი სამართლებრივი თანაშემწე.

ივა ხავთასი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სამართლებრივი თანაშემწე. არის 10-მდე აკადემიური ნაშრომის ავტორი.

თამარ ბარამაშვილი, სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი სამართლებრივი მრჩეველი-მრჩეველთა ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე აკადემიური ნაშრომი საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

სოფიო დემეტრაშვილი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მრჩეველი. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე ნაშრომი სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით.